საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№40 (369)
2 - 8 ნოემბერი, 2016

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## ღია წერილი იან კელის

## რას აკეთებთ, ბატონო ელჩო?! 7



«როდესაც აშშ-ის მოქალაქესთან, მომაკვდავ დედასთან, გამოსამშვიდობებლად შვილს ვიზას არ აძლევთ, ამას სტრატეგიული პარტნიორობა არ ჰქვია. ამას სახელი არ აქვს!»

## ერთიანი ნაციონალური მარცხი






4

ივანიშვილის «საოცნებო პარლამენტი» და უსუფაშვილის «დიდი გაქცევა»

# 27 სისხლისფერი კომისარი 10

## სამყარო იცვლება

8

«დაველოდოთ აშშ-ში არჩევნების შედეგებს, დაველოდოთ გერმანიასა და საფრანგეთში არჩევნებს და შესაბამისად წარვმართოთ საგარეო პოლიტიკა»





## ნამო, თინა, ბუტკაში!



6

## თინანიკი

«ყველაზე სუსტი წერტილი უსუფაშვილისთვის კვლავ თინას ფაქტორია... საკითხავი მხოლოდ ის რჩება, შეძლებს თუ არა უსუფაშვილი მისი ჰიპერაქტიური მეუღლისთვის კარგად ცნობილი ფრაზის თქმას: «შედი, ქალო, ბუტკაში»!

«გავიგე, რომ ჩემი საქმის პროკურორი პროკოფი ჟანკვეტაძე ქველმოქმედებურად განაგრძობდა მუშაობას. პროკურატურაშივე განვაცხადე, — მე არც მაგ კაცს და არც მის მისამართს არ ვეძებ, მაგრამ, თუ ახლა აქედან გასვლისას ამ შენობაში სადმე შემთხვევით გადამეყრება, პასუხისმგებლობას ვიხსნი და ვერ მოგცემთ გარანტიას, რომ ცოცხალს დავტოვებ და, თუ გინდათ, ისევ დამიჭირეთ-მეთქი»

## ნახევარმა მილიონმა ქართველმა ამათ მისცა ხმა 9



«როდესაც ერთმა პატიმარმა შიმშილობა გამოაცხადა, აბანოში გაიყვანეს და იქ ძირს დაგდებული, ვილაცის ნახმარი საპონი აჭამეს»

## კიევში, რესტორან «დვა გუსიასთან» «ნაცმოძრაობის» ლიდერი აკო მინაშვილი და რომეო საჯაია გალახეს 2

წერილი მეორე

## ქართველ პოლიტიკოსებს «თურქული» შეეყარათ 12

როგორ შეიძლება, მგელი და კრავი «სტრატეგიული პარტნიორები» იყვნენ?!

## 3 ჰილარი კლინტონის ელექტრონულ მიმოწერაში ელჩის ლიკვიდაციის ინსტრუქცია იპოვეს

## 19 შტაინმაიერი ევროკავშირის დაშლას წინასწარმეტყველებს

საქართველო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




## 100 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტები

**ეროვნული ბანკის განცხადებით, საქართველოს ტერიტორიაზე 1 ნოემბრიდან მიმოქცევაში 100 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტები გამოვიდა და მიმოქცევაში იქნება ძველი ემისიების ბანკნოტებთან ერთად.** 100 ლარის ნომინალის განახლებულ ბანკნოტზე შენარჩუნებულია ლარის ბანკნოტების თავდაპირველი თემატიკა, ამასთანავე, ბანკნოტზე წარმოდგენილი ისტორიები გამრავალფეროვნებულია ცალკეული ახალი ელემენტებით. განახლებული დიზაინი კიდევ უფრო მეტი სიზუსტითა და თანამედროვე სახით წარმოაჩენს საქართველოს მნიშვნელოვან კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობას. 100 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტები დაცულია მომხმარებლისათვის მარტივად აღსაქმელი და, ამასთანავე, თანამედროვე და მაღალტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიღებული დამცავი ნიშნებით. მათ შორის დატანილია ნომინალის ამოსაცნობი ნიშანი სუსტი მხედველობის მქონე პირთათვის. 20 და 50 ლარის ნომინალის განახლებული ბანკნოტები მიმოქცევაშია 2016 წლის 1 თებერვლიდან. რაც შეეხება 5 და 10 ლარის ნომინალის ბანკნოტებს, განახლდება მოგვიანებით.



## «ქართულმა ოცნებამ» 50 საარჩევნო ოლქიდან 48-ში გაიმარჯვა

**საქართველოში საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური 30 ოქტომბერს გაიმართა. 50 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქიდან 48-ში გამარჯვება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატებმა მოიპოვეს. მმართველმა პარტიამ 115 ადგილი და,შესაბამისად, კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა მოიპოვა. ახალი მოწვევის პარლამენტი 19 ნოემბრამდე შეიკრიბება.**

„ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა **ირაკლი კობახიძემ** ამომრჩეველს მადლობა გადაუხადა იმისთვის, რომ მათი არჩევანი საქართველოს სწრაფ განვითარებასა და კეთილდღეობას მოუტანს. საქართველოს პარლამენტი 150 დეპუტატისგან შედგება, მათგან 100 დეპუტატის ვინაობა პირველ ტურში გაირკვა. „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოსაპოვებლად, სულ ცოტა, 46 საარჩევნო ოლქში გამარჯვება სჭირდებოდა.




## კიევში, რესტორან «დვა გუსიასთან» «ნაცმოძრაობის» ლიდერი აკო მინაშვილი და რომეო საჯაია გალახეს

### მიზეზად კლანური დაპირისპირება სახელდება

**ბიზნესმენ გია უდესიანის კლანის წევრებმა აკო მინაშვილსა და რომეო საჯაიას მძიმე ფიზიკური დაზიანებები მიაყენეს.**

მომხდარზე სისხლის სამართლის საქმე კიევის პროკურატურამ აღძრა და გამოძიება დაიწყო. გამოძიების მიმდინარეობას ხელი ოდესის ოლქის გუბერნატორმა **მიხეილ სააკაშვილმა** შეუშალა — სააკაშვილმა თავისი გავლენა გამოიყენა და პროკურატურა აიძულა, გამოძიება შეეწყვიტა. კლანური დაპირისპირება და ფიზიკური ანგარიშსწორება „ნაციონალური მოძრაობის“ გუნდში ახალი არ არის და უკრაინული და ქართული მედიის ყურადღების ცენტრში ხშირად ხვდება.

## რესპუბლიკური პარტია მარტივ მამრავლებად დაიშალა

**დავით უსუფაშვილმა 29 ოქტომბერს რესპუბლიკური პარტიის დატოვების შესახებ განაცხადა. მას მალევე სხვა მიმდევრებიც გამოუჩნდა. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის თქმით, მისთვის მიუღებელია რესპუბლიკური პარტიის ლიდერებისა და დამფუძნებლების თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხზე.**



უსუფაშვილის განცხადებით, პარტიის მომავალი საქმიანობის შესახებ პარტიის თავმჯდომარეს, დამფუძნებლებს, მის ლიდერებს აღმოაჩნდათ ისეთი პოლიტიკური, ღირებულებითი, ტაქტიკური ხედვები, რომლებიც მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, თუმცა იმ მიზეზით, რომ მათ რეალიზებას პარტიაში ხელი არ შეეშალოს, პარტიიდან წამოსვლა არჩია. მან მადლობა გადაუხადა **დავით ბერძენიშვილს**, რომელმაც, უსუფაშვილის თქმით, მიიყვანა პოლიტიკაში და აღნიშნა, რომ განაგრძობს „ინდივიდუალურ რეჟიმში აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას“. ჟურნალისტის შეკითხვაზე, რას აპირებს მისი მეუღლე, ასევე „რესპუბლიკური პარტიის წევრი“ **თინათინ ხიდაშელი**, უსუფაშვილმა უპასუხა: **„ქალბატონი თინა არ აპირებს ჩემს დატოვებას, პოლიტიკურად რას იზამს, არ ვიცი“.**

მოგვიანებით, რესპუბლიკური პარტია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ **თენგიზ შერგელაშვილმა** დატოვა. „ვფიქრობ, ჩემი ხედვები სულ უფრო და უფრო აცდენილია პარტიის შიგნით ჩამოყალიბებულ ძირითად მეინსტრიმს. პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის პათოსი და პოსტსაარჩევნო განცხადებები, შეფასებები და სამომავლო ხედვები აღმოჩნდა ბოლო წვეთი. შესაბამისად, მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო საქართველოს რესპუბლიკური პარტია, — განაცხადა **თენგიზ შერგელაშვილმა**. რესპუბლიკური პარტია **ფრიდონ საყვარელიძემაც** დატოვა, ხოლო **პაატა ზაქარეიშვილმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პარტიიდან დიდი ხნის წინათ წავიდა, თუმცა ამის შესახებ საჯაროდ არ განუცხადებია. რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **ლევან ბერძენიშვილი** ამბობს, რომ **დავით უსუფაშვილმა** პანდორას ყუთი გახსნა. მისი განცხადებით, დავით უსუფაშვილი რესპუბლიკურ პარტიაში ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა იყო და გასაკვირი არ არის, რომ მას პარტიის სხვა წევრებიც გაჰყვნენ.

დავით უსუფაშვილის, თენგიზ შერგელაშვილისა და ფრიდონ საყვარელიძის შემდეგ, რესპუბლიკური პარტია თინა ხიდაშელმა და **ვახტანგ ხმალაძემ** დატოვეს. ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, პარტიაში არის უთანხმოება, როგორ უნდა გაგრძელდეს პარტიის მომავალი საქმიანობა. „არსებობს უთანხმოება იმ დონის, როდესაც ერთად საქმიანობის გაგრძელება მიზანშეუწონელია. ძირითადად, ეს ეხება იმას, როგორ უნდა გაგრძელდეს პარტიის შემდგომი საქმიანობა. ჯერჯერობით, ჩემი პროფესიული საქმიანობით ვიქნები დაკავებული, დანარჩენს დრო გვიჩვენებს“, — განაცხადა ხმალაძემ.

## სომხეთი უახლოეს მომავალში აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს?

**სოხუმში 26 ოქტომბერს ჩატარებულ ტელეხიდზე „ერევანი-სოხუმი“, რომელსაც ესწრებოდნენ აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტის წევრები, აგრეთვე, სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, განიხილეს ორი ქვეყნის — აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში მცხოვრები სომხური დიასპორისა და ოფიციალური ერევნის ურთიერთთანამშრომლობის საკითხი.**




ონლაინპრესკონფერენციაზე ერევნელი ჟურნალისტების კითხვებზე პასუხობდნენ აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტის ვიცესპიკერი **ვაგარშაკ კოსიანი**, პარლამენტის დეპუტატი **ლევონ გალუსტიანი**, საზოგადოებრივი პალატის წევრი **ხაჩიკ მინასიანი** და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის სომხების კავშირის თავმჯდომარე **გალუსტ ტრაპიზონიანი.** ონლაინკონფერენცია საინფორმაციო სააგენტო **„სპუტნიკ არმენიას“** ფილიალის დირექტორმა გახსნა. ოფიციალური ერევნის მხრიდან დასმულ კითხვაზე, რომელიც აფხაზეთში ტურიზმის განვითარების პროგრამას ეხებოდა, აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის პარლამენტის ვიცესპიკერმა ვაგარშაკ კოსიანმა გასცა პასუხი და აღნიშნა, რომ „ჩვენ მზად ვართ, სრული დატვირთვით მივიღოთ ტურისტები. საკურორტო ქალაქები ათონი, ბიჭვინთა, გაგრა კარგ მდგომარეობაშია და ტურისტებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს“.

კითხვაზე, შეიცვალა თუ არა სომხებისთვის ვითარება აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარების შემდეგ, პასუხი „აფხაზეთის სომხების კავშირის“ თავმჯდომარემ გალუსტ ტრაპიზონიანმა გასცა: „აფხაზეთში ჩვენ თავს ვგრძნობთ კომფორტულად. აქ გახსნილია 26 სომხური სკოლა, პერიოდულად ვიღებთ ყველა აუცილებელ ლიტერატურას სომხეთიდან. არის შესაძლებლობა, რომ მომავალ თაობას შევასწავლოთ სომხური ენა და მოვამზადოთ ისინი სომხური უმაღლესი სასწავლებლებისთვის. კარგი იქნება, ასევე, თუ ჩარტერული ავიარეისები დაინიშნება აფხაზეთიდან სომხეთში, რათა სომეხ ტურისტებს მიმოსვლა გაუადვილდეთ“. ლევონ გალუსტიანმა კი განაცხადა: **„იმედი გვაქვს, რომ იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებმაც ოფიციალურად აღიარეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა, მალე სომხეთიც მიემატება. კარგად გვესმის, რა სირთულეებთან იქნება ეს დაკავშირებული“.**

## საქართველოში პირველად — 12 მოსამართლე უვადოდ იმუშავებს

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 12 მოსამართლის რვა სხვადასხვა ინსტანციაში უვადოდ დანიშვნის გადაწყვეტილება მიიღო. მას შემდეგ, რაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეულმა მოსამართლეებმა სამწლიანი გამოსაცდელი ვადა გაიარეს, მათ მიეცათ უფლება, თანამდებობა პენსიაზე გასვლამდე დაიკავონ.**

საქართველოს კონსტიტუციაში მოსამართლეების გამოსაცდელი პერიოდის შემდეგ უვადოდ დანიშვნის შესახებ შესწორებები 2010 წელს მიიღეს, თუმცა ეს ნორმა 2013 წლის ბოლოს ამოქმედდა. მოსამართლეები ამის შემდეგ შეუდგნენ გამოსაცდელი ვადის გავლას. მანამდე ამ პრაქტიკას საერთო სასამართლოებში არ იყენებდნენ. როგორც იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განცხადებაშია აღნიშნული, 12 მოსამართლის უვადოდ დანიშვნა სამწლიანი გამოსაცდელი პერიოდის გასვლის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ამიერიდან საპენსიო ასაკამდე მომუშავე მოსამართლეების გადაყენების უფლება მხოლოდ საბჭოს წევრებს აქვთ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე **ზაზა თავაძე** გახდა. უვადოდ იმუშავებენ თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში ორ-ორი მოსამართლე, თბილისის, ბათუმისა და გორის საქალაქო სასამართლოებში — თითო-თითო, ასევე მაგისტრატი მოსამართლეები ტყიბულის, სიღნაღისა და ცაგერის რაიონებში. იუსტიციის უმაღლესი საბჭო იმ მოსამართლეების კანდიდატურებს, რომლებსაც პენსიამდე თანამდებობაზე მუშაობის უფლება ეძლევათ, 13 პარამეტრით ირჩევს. აქამდე მოსამართლეების თანამდებობაზე ყოფნის ვადა სამიდან ათ წლამდე განისაზღვრებოდა.



## ესპანეთის პარლამენტმა პრემიერმინისტრის კანდიდატურა დაამტკიცა

**ესპანეთში პოლიტიკური კრიზისი დასრულდა. მარიანო რახოის კანდიდატურა პარლამენტმა რამდენიმე მცდელობის შემდეგ დაამტკიცა, მიუხედავად იმისა, რომ მისი პარტია უმრავლესობით არ არის წარმოდგენილი.**

**მარიანო რახოიმ** უკვე განაცხადა, რომ მთავრობის ახალ შემადგენლობას 3 ნოემბერს დაასახელებს. მთავრობის მეთაურის პოსტს რახოი მეორე ვადით ჩაიბარებს. 2015 წელს მისმა პარტიამ პარლამენტში უმრავლესობით შესვლა ვერ შეძლო, მაგრამ ეს ვერც სხვა პარტიებმა მოახერხეს. ამის გამო 2016 წლის ივლისში ესპანეთში განმეორებითი არჩევნები ჩატარდა, მაგრამ იმავე შედეგით დასრულდა. ამ ხნის განმავლობაში რახოი პრემიერმინისტრის მოვალეობას ასრულებდა.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ჰილარი კლინტონის მიმოწერაში ელჩის ლიკვიდაციის ინსტრუქცია იპოვეს

**აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიურო კვლავ დაინტერესდა კლინტონის ელექტრონული ფოსტით. ინტერნეტში გასაჯაროვდა წერილები ჰილარი კლინტონის ელექტრონული ფოსტიდან, გავრცელდა ფოტომტკიცებულება, რომელზეც ჩანს, როგორ გასცემს კლინტონი ლიბიაში აშშ-ის ელჩის — კრის სტივენსის ლიკვიდაციის ინსტრუქციებს.**



საქმე ყოფილი სახელმწიფო მდივნის ახალაღმოჩენილ ელექტრონულ წერილებს ეხება, რომლებიც კლინტონმა სამსახურებრივი ელექტრონული მიმოწერისას პირადი ელექტრონული ფოსტით გაგზავნა. პირველი გამოძიება კლინტონის წერილების საქმეზე 2016 წლის ივლისში ბრალის წარდგენის გარეშე შეწყდა, თუმცა მოგვიანებით გფბს ხელმძღვანელი **ჯეიმს კომი** ამბობს, რომ გამოძიება, შესაძლოა, განახლდეს, რადგან ახალი სამხილებია აღმოჩენილი. ჯეიმს კომის თქმით, გამოძიებისთვის ჯერჯერობით უცნობია, ახალი ელექტრონული წერილები რამდენად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს.

კლინტონის იმეილების საქმე 2015 წლის მეორე ნახევარში დაიწყო. გამოძიების ცნობით, კლინტონი სახელმწიფო მდივნობის პერიოდში (2009-13), სამსახურებრივი მიმოწერისას დაცული იმეილის სერვერის ნაცვლად, კერძო სერვერს იყენებდა. კანონის მიხედვით კი, აშშ-ში თანამდებობის პირები ვალდებულები არიან, სამსახურებრივი მიმოწერა არა კერძო, არამედ დაცული ელექტრონული სერვერიდან აწარმოონ.

ჰილარი კლინტონმა ამ ბოლო 2 თვის განმავლობაში უკვე არაერთხელ მოიგერია ჰაკერული თავდასხმები, მაგრამ ეს მათ შორის, ალბათ, ყველაზე სკანდალურია. საფოსტო შეტყობინებებში ყურადღებას იქცევს წერილი, რომელშიც დეტალურად აღწერილია **კრის სტივენსის** ზუსტი დისლოკაციისა და გადაადგილების კორდინატები. ეს წერილი ტერორისტებს ადვილად ჩაუვარდათ ხელში, რადგან გაგზავნილი იქნა სერვერიდან, რომელიც არ იყო საკმარისად დაცული.

ფოტოზე წარმოდგენილ წერილებს, რომლებსაც კლინტონი უგზავნიდა სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლებს, თუ კარგად დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ ადრესატის ველში კლინტონს მითითებული აქვს **კრის სმიტი,** ნაცვლად **კრის სტივენსისა**. ყველას ახსოვს, თუ როგორი ღრმა მწუხარება გამოთქვა კლინტონმა ელჩის სიკვდილის შემდგომ. თუ კლინტონი ელჩის სიკვდილმა ასე დაამწუხრა, ნუთუ ვერ შეძლო მან ელჩის სახელის დამახსოვრება?! ჰილარიმ დაუშვა ის, რომ ბენღაზი მომხდარიყო და მის თავიდან ასაცილებლად არაფერი გააკეთა. მან საფრთხის ქვეშ დააყენა სახელმწიფო მოხელის სიცოცხლე, როდესაც დაუცველი სერვერიდან აწარმოებდა მიმოწერას. სწორედ ამას ედავებიან მას, რომ კლინტონმა ეს შეგნებულად გააკეთა. მას ადანაშაულებენ იმაშიც, რომ ვერ შეძლო არგუმენტირებულად ეთქვა, რატომ არ შეეძლო ელჩს იმ დაძაბულ სიტუაციაში სახლში დაბრუნება.

დიდი ალბათობით, ვერასდროს გავიგებთ იმას, კიდევ რა ინფორმაციის ხელში ჩაგდება მოახერხეს ტერორისტებმა კლინტონის დაუცველი პირადი სერვერიდან. მიუხედავად კლინტონის მონდომებისა, დაეცვა საკუთარი სერვერი ჰაკერული თავდასხმებისგან, ინფორმაციის სრული დაცვა ვერ მოხერხდა. ამერიკელ ამომრჩეველს უკვე აღარ სჯერა ჰილარი კლინტონის დაუსრულებელი ტყუილებისა, რომლითაც განაგრძობს იგი მანიპულირებას. კლინტონს ეს არ ადარდებს და კვლავაც ამტკიცებს, რომ ეს წინასაარჩევნოდ აგორებული აფიორაა.



# აშშ-ის გენერლების გაფრთხილება: მომავალი ომი რუსეთსა და ჩინეთთან იქნება სწრაფი და უსასტიკესი

**ამერიკელი გენერლების განცხადებით, ეს იქნება ომი, რომლის მსგავსიც ბოლო 60 წლის განმავლობაში არ ყოფილა და გამორჩეული იქნება თავისი სისასტიკითა და მასშტაბურობით. გენერალ-მაიორ უილიამ ჰიქსის განცხადებით, კონფლიქტს დააჩქარებს ავტომატური იარაღებისა და ხელოვნური ინელექტის მქონე ტექნოლოგიების განვითარება. „სამომავლო კონფლიქტები იქნება ძალიან სწრაფი და ლეტალური. იმ მიღწევებმა, რომლებიც აქვთ რუსეთსა და ჩინეთს, ტექნოლოგიური განვითარების კუთხით, თეთრი სახლი აიძულა, მომზადებულიყო იმ ძალადობისთვის, რომლის მსგავსსაც აშშ არ წასწყდომია კორეის შემდეგ“, — განაცხადა ჰიქსმა ინტერვიუში.**

კონფლიქტის გაჩაღება უდიდეს საფრთხესთანაა დაკავშირებული დედამიწისთვის, რადგან ეს იქნება ბირთვული ომი, იუწყებიან ექსპერტები. ასეთი ომი „გარანტირებულია“, განაცხადა გაერთიანებული შტაბის უფროსმა გენერალმა **მარკ ალექსანდრე მილმა**. დღეს მსოფლიოში სახელმწიფოთა სიძლიერე ფასდება ბირთვული არსენალის კოეფიციენტით. ამ კუთხით ლიდერულ პოზიციებს ინაწილებენ **რუსეთის ფედერაცია, აშშ, საფრანგეთი, ჩინეთი** და **დიდი ბრიტანეთი** (ბირთვული არსენალი, აგრეთვე, აქვს **პაკისტანს, ინდოეთს, ისრაელს, ჩრდილოეთ კორეას**). აშშ-ის გენერლების განცხადებების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თეთრი სახლი საგულდაგულოდ ემზადება ომისთვის. მათ ხაზი გაუსვეს სირთულეებს, რომლებმაც, შესაძლოა, კონფლიქტის მიმდინარეობისას იჩინოს თავი. ერთ-ერთ ასეთ საფრთხედ ასახელებენ კიბერომს, თუმცა გენერლები ამბობენ, რომ ამ შემთხვევაშიც შემუშავებული აქვთ სამოქმედო გეგმა.

# ვინ უჭერს მხარს კლინტონს საპრეზიდენტო არჩევნებში?




**ამერიკაში წინასაარჩევნო კამპანიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი სწორედ პოპულარული ადამიანების ე.წ. სელებრითების მხარდაჭერის ფაქტორია. ამერიკაში შოუბიზნესი ყვავის. დიდი პოპულარობით სარგებლობენ პოპშემსრულებლები, მსახიობები და მათ მოწოდებებს დიდი გავლენა აქვს ამომრჩეველზე. ეს კანდიდატებმაც კარგად იციან.**

ჰილარი კლინტონის ყველაზე გულმხურვალე მხარდამჭერი გახლავთ ამერიკის პირველი ლედი **მიშელ ობამა.** კლინტონის წინასაარჩევნო კამპანიაში დიდი ადგილი ეთმობა პირველი ლედის აგიტაციურ განცხადებებს. კლინტონს ბევრი მხარდამჭერი ჰყავს შოუბიზნესშიც. ბრიტანელმა პოპ შემსურებელმა **ადელმა** განაცხადა, რომ ის ტექნიკურად ვერ ახერხებს, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში, მაგრამ თავის ფანებს განუცხადა, რომ ის კლინტონის მხარესაა. მაიამიში გამართულ კონცერტზე ადელმა მიმართა თავის გულშემატკივრებს, „მხარი არ დაუჭიროთ მას (ტრამპს), მე ინგლისელი ვარ, მაგრამ ის, რაც ხდება ამერიკაში, მეც მეხება. მე მხარს ვუჭერ კლინტონს 100%-ით, რადგან ის შესანიშნავი კანდიდატია, მე მიყვარს ის“. მსახიობმა **ემი შუმერმა** მხარდაჭერა კლინტონს დაანახა თავისი პოსტით „ტვიტერში“: „მე მის გვერდით ვარ (კლინტონის). არ დაივიწყოთ ის, რაც ტრამპმა უთხრა ამერიკელებს. მან მიგვანიშნა, რომ, თუ კარგის თქმას არ აპირებთ მასზე, მაშინ სჯობს, საერთოდ დადუმდეთ“. კლინტონს გულმხურვალე მხარდაჭერას უცხადებენ **ლედი გაგა,** რომელიც ავრცელებს სოციალურ ქსელში მხარდასაჭერ ფოტოს და ასევე **მაილი საირუსი**, რომელიც ყველგან სოციალურ ქსელში, სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაზე და გასართობ შოუებში თამამად აჟღერებს თავის სიმპათიებს. კლინტონის მხარდამჭერთა რიგებს უერთდება ასევე პოპულარული ტელეწამყვანი და მსახიობი **ელენ დეჯენერესი.** მან თავის საავტორო შოუში პირადად განუცხადა კლინტონს ამის თაობაზე. წერილი გამოაქვეყნა, ასევე, **ჯორჯ კლუნიმ**, ის მხარს უჭერს ჰილარი კლინტონს და აცხადებს, რომ სწორედ მას ირჩევს ამერიკის პრეზიდენტად. ჰილარის უჭერს მხარს, ასევე, ცნობილი ამერიკული რეალითი შოუს მონაწილე **ქლოე კარდაშიანი.** მის აზრს იზიარებენ მისი ოჯახის დანარჩენი წევრებიც (პოზიციის გაჟღერების შემდგომ მას ტრამპმა მსუქანი უწოდა, რაზეც ქლოე განრისხდა). მხარდაჭერას გამოხატავს, ასევე, მსახიობი **კერი ვაშინგტონი**. მან განაცხადა, რომ დარწმუნებულია, ჰილარი გახდება პრეზიდენტი. მომღერალმა **ბრიტნი სპირსმა** ემოციური პოსტი მიუძღვა ინსტაგრამზე კლინტონს და განაცხადა, რომ მისთვის დიდი პატივი იყო ასეთი ქალის გაცნობა, ის აღფრთოვანებულია მისით. მომღერალმა **დემი ლოვატომ** პრესას განუცხადა, რომ ის, გარდა ჰილარი კლინტონისა, ვერ ხედავს სხვას ამ ამპლუაში და დარწმუნებულია, კლინტონი ღირსეულად უხელმძღვანელებს თავის ქვეყანას.



# ჩრდილოეთი კორეა აშშ-სა და იაპონიას ბირთვული შეტევით ემუქრება

**კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ იაპონიას მოუწოდა, მხარი არ დაუჭიროს მის წინააღმდეგ სანქციების დაწესებას, წინააღმდეგ შემთხვევაში მომხდარზე პასუხისმგებლობას იაპონიის „რეაქციულ ძალებს“ აკისრებს. ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ აშშ და იაპონია გააფრთხილა, რომ მზად არის, პროვოკაციის შემთხვევაში პრევენციული დარტყმა მიაყენოს, — იუწყება Sputnik-tj.com ჩრდილოეთ კორეის მედიასაშუალებებზე დაყრდნობით.**

„ჩვენი რევოლუციური შეიარაღებული ძალები მზად არიან გამაფრთხილებელი დარტყმის მისაყენებლად მტრებისთვის (ჩრდილოეთ კორეის) მათი მხრიდან უმცირესი პროვოკაციების შემთხვევაში“, — მოჰყავს ციტატა ჩრდილოკორეულ მედიას სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტოს განცხადებიდან. იაპონია ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ ახალ სანქციებს მოითხოვს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ჩრდილოეთ კორეის პრესამ აქტიური პროპაგანდა წამოიწყო იაპონიის მთავრობის წინააღმდეგ, რომლის საგარეო საქმეთა სამინისტრო ცოტა ხნის წინათ გამოვიდა ინიციატივით, დაუწესდეს სანქციები იმ ქვეყნებს, რომლებსაც ჩრდილოეთ კორეასთან საქმიანი ურთიერთობა აქვთ. აშშ-ის, იაპონიისა და სამხრეთ კორეის ხელისუფლებებმა მანამდე განაცხადეს, რომ განზრახული აქვთ, გაზარდონ ზემოქმედება ჩრდილოეთ კორეაზე, ვინაიდან ქვეყანამ ძალზე გაახშირა ბალისტიკური რაკეტების გამოცდა. სექტემბრის დასაწყისში ჩრდილოეთ კორეამ წარმატებით გამოსცადა სამი ბალისტიკური რაკეტა, რომლებმაც იაპონიის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების ზონამდე მიაღწია. ამის შემდეგ, 9 სექტემბერს ფხენიანმა, 2006 წლიდან დღემდე, მეხუთე ბირთვული ცდა ჩაატარა, მიუხედავად გაეროს უსაფრთხოების საბჭოს აკრძალვებისა.

საქართველო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უსუფაშვილმა, შესაძლოა, ჩათვალა, რომ გაფანტული პროდასავლელი ამომრჩევლების კონსოლიდირებას, ცალკე და სხვა ლიდერებთან კოორდინაციის რეჟიმში (მარგველაშვილი იქნება თუ ალასანია) გაცილებით უკეთ მოახერხებს, ვიდრე ბერძენიშვილებთან ერთად, რომელთა ხელში რესპუბლიკური პარტია ახლო მომავალში შეიძლება გადაიქცეს პოლიტიკური პენსიონერების სადისკუსიო კლუბად – გარკვეული თვალსაზრისით, ის, რაც პარტიაში მოხდა შეიძლება შეფასდეს როგორც პოლიტიკოსთა ორი თაობის წარმომადგენელთა კონფლიქტი.**

# ერთიანი ნაციონალური მარცხი

## ივანიშვილის «საოცნებო პარლამენტი» და უსუფაშვილის «დიდი გაქცევა»

**არჩევნების მეორე ტური, როგორც მოსალოდნელი იყო, განსაკუთრებული სიურპრიზების გარეშე დასრულდა. „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა, საერთო ჯამში, 115 მანდატი და, შესაბამისად, საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა. არჩევნებმა ნათლად აჩვენა, რომ ამ ეტაპზე ბიძინა ივანიშვილს ქართულ პოლიტიკაში რეალური კონკურენტი არ ჰყავს, მისი გავლენა ახლო მომავალში, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გაიზრდება.**






### ერთიანი ნაციონალური მარცხი

მეორე ტურში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სასტიკი მარცხი იწვნია და პარლამენტში თუნდაც ერთი მაჟორიტარის გაყვანაც ვერ მოახერხა. ნაციონალები უკლებრივ ყველა ოლქში დიდი სხვაობით დამარცხდნენ — დაძაბული ორთაბრძოლა, როდესაც მნიშვნელობა პროცენტის მეათედებს ენიჭება, არსად ყოფილა. **მიხეილ სააკაშვილი,** შესაძლოა, ხვდებოდა, რომ მისი პარტიის მონაწილეობა მეორე ტურში ასეთი შედეგით დასრულდებოდა და სწორედ ამიტომ მოუწოდებდა „ნაცმოძრაობის“ ლიდერებს, ბოიკოტი გამოეცხადებინათ, თუმცა მოგვიანებით პოზიცია შეცვალა. ასეთი შედეგი, აგრეთვე, ლიდერების დაპირისპირება, დიდი ალბათობით, ხელს შეუწყობს შიდაპარტიული კრიზისის განვითარებას. „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერთა დიდი ნაწილისთვის აშკარაა, რომ არსებული რესურსით ხელისუფლებაში დაბრუნება გამორიცხულია.

მეორე ტურში მოხდა საინტერესო, სხვა ქვეყნების პრაქტიკაში იშვიათი რამ: ოპოზიციური ძალების მხარდამჭერთა უმრავლესობა არა ოპოზიციის, არამედ ხელისუფლების კანდიდატების გარშემო გაერთიანდა ან ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „ნაცმოძრაობა“ კვლავინდებურად იზოლაციაში რჩება და მასთან თანამშრომლობას არავინ ჩქარობს.

არჩევნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი არის ის, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ვერც ერთ რეგიონში ვერ მოახერხა „საყრდენი პუნქტის“ შექმნა, იქაც კი, სადაც უამრავი რესურსი დახარჯა — ვერც სამეგრელოში, ვერც აჭარაში, სადაც ყველა მაჟორიტარული ოლქი „ოცნებამ“ მოიგო, ხოლო ადგილები ავტონომიის უმაღლეს საბჭოში შემდეგნაირად განაწილდა: „ქართული ოცნება“ — 14 დეპუტატი, „ნაცმოძრაობა“ — 5, „პატრიოტთა ალიანსი“ და ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა“ — თითო-თითო. შესაბამისად, შემცირდა საქართველოს რომელიმე რეგიონის ან რაიონის „ცხელ წერტილად“ გადაქცევის საფრთხე იმ რევოლუციური სცენარების ფარგლებში, რომელსაც სააკაშვილი თავის თანამოაზრეებთან ერთად განიხილავდა.

### რა მოხდება შემდეგ?

მეორე ტურის წინ ნაციონალები ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ საზოგადოება, რომ „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ქვეყანას უდიდეს პრობლემას შეუქმნის. ამ დროს მათ არ უხსენებიათ „კონსტიტუციის გაუპატიურება“ — ეს ტერმინი სააკაშვილის მმართველობის წლებში დამკვიდრდა, როდესაც საკონსტიტუციო უმრავლესობა „ნაცმოძრაობას“ ჰქონდა. „ნაციონალების“ პროპაგანდამ განსაკუთრებული შედეგი ვერ გამოიღო, მაგრამ აშკარაა, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი ძალთა ახალ ბალანსს შიშითა და უნდობლობით უყურებს, რადგან ყველა მმართველმა პარტიამ, რომელმაც ქართულ პოლიტიკაში ასეთ შთამბეჭდავ უპირატესობას მიაღწია, ცუდად დაამთავრა. აღმოჩნდა, რომ ყველაზე სწრაფად ქართველ პოლიტიკოსებს პროცესებზე აბსოლუტური კონტროლის ილუზია რყვნის.

პრემიერმინისტრმა **კვირიკაშვილმა**, როგორც ჩანს, სწორედ ამ კატეგორიის ამომრჩეველთა დამშვიდება სცადა: „ჩვენ არ ვაპირებთ, შევვარდეთ პარლამენტში და გამოვცვალოთ კონსტიტუცია. ეს არ არის ჩვენი მთავარი მიზანი. ვფიქრობ, ეს არის განხილვების დაახლოებით ერთწლიანი პროცესი. პარლამენტში არსებობს პროცედურა, რომელიც ითვალისწინებს, რომ ეს არ მოხდეს ჩქარა“ („ინტერპრესნიუსი“). მან, აგრეთვე, თქვა, რომ „პარლამენტის გადმოტანა არ დგას დღის წესრიგში. სულ ცოტა, უახლოესი პერიოდის განმავლობაში, მე რამდენიმე წელი მაქვს მხედველობაში“ და დასძინა, რომ „აუცილებლად უნდა იქნას ქუთაისის მოსახლეობასთან ერთად ეს საკითხი აქტიურად განხილული და მიღებული მათგან თანხმობა“.

აშკარაა, რომ ორივე შემთხვევაში პრემიერმინისტრი საკითხის გადაწყვეტის გადადებაზე, პროცედურების გახანგრძლივებაზე საუბრობს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება საკონსტიტუციო ცვლილებებზე უარს ამბობს. თუ პარლამენტის დედაქალაქში გადმოტანის საკითხი მეტწილად სიმბოლურ ხასიათს ატარებს და ადგილობრივი არჩევნების წინ განხილული იქნება, როგორც სახელისუფლო პარტიის რეიტინგის კორექტირების ინსტრუმენტი თბილისსა და ქუთაისში, პრეზიდენტის არჩევის წესის შეცვლას გაცილებით სერიოზული პოლიტიკური შედეგები მოჰყვება.

### მთავარი სამიზნე პრეზიდენტია

საპარლამენტო რესპუბლიკებში პრეზიდენტს მთელი ერი არ ირჩევს (ავსტრია ამ მხრივ იშვიათი გამონაკლისია). ვენეციის კომისია ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სააკაშვილი კონსტიტუციას ცვლიდა, მიუთითებდა, რომ პრეზიდენტის საყოველთაო არჩევა მომავალში შეიძლება სერიოზული კრიზისის წინაპირობა შეიქნეს. საკითხი რომ გადასაწყვეტია, ეჭვი არც ერთი კონსტიტუციონალისტს ეპარება — საქართველომ ან საპარლამენტო რესპუბლიკად ჩამოყალიბება უნდა დაასრულოს, ან საპრეზიდენტო მოდელს დაუბრუნდეს, მიუღებელია მხოლოდ დღევანდელი, გაურკვეველი შუალედური მდგომარეობის შენარჩუნება, მაგრამ ხელისუფლებას ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება რთული პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით მოუწევს.

ცხადია, ივანიშვილის ოპონენტები პრეზიდენტის არჩევის უფლების პარლამენტისთვის გადაცემას წარმოაჩენენ, როგორც დემოკრატიის შეზღუდვას და იმისთვის, რომ თავის გადაწყვეტილებას ლეგიტიმურობა (ფართო და არა ვიწრო იურიდიული გაგებით) შესძინოს, მას ან პარლამენტის რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა, ან მოქმედი პრეზიდენტის მიმართ ხელოვნური კრიზისის პროვოცირება მოუწევს. თუ ხელისუფლება იპოვის სერიოზულ საბაბს **გიორგი მარგველაშვილის** იმპიჩმენტისთვის, ამას მისი არჩევის წესის შეცვლა, უხეშად რომ ვთქვათ, „პრიცეპად“ მიებმება. მარგველაშვილს, თავის მხრივ, შესაძლებლობა მიეცემა, უკმაყოფილოთა ჯგუფების მობილიზება და კონსტრუქციული პროდასავლური ოპოზიციის ფორმირება დაიწყოს, რაც არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი პროცესი ხელისუფლებისთვის, რადგან დღეს „თავისუფალი დემოკრატებისა“ და რესპუბლიკური პარტიის რღვევის ფონზე პროდასავლელი ამომრჩევლების ნაწილი დაბნეულია და მისი ნაწილი მომავალში შეიძლება „ნაცმოძრაობას“ ან მისი დაშლის შედეგად წარმოქმნილ ჯგუფებს მიემხროს, თუ მიმზიდველ ალტერნატივას არ შესთავაზებენ. გიორგი მარგველაშვილი, **დავით უსუფაშვილი** და **ირაკლი ალასანია** გარკვეულ პირობებში შეიძლება ასეთი ძალის დამფუძნებლებად მოგვევლინონ. საინტერესოა, ურჩევენ თუ არა დასავლელი მეგობრები ერთობლივად იმოქმედონ? წინააღმდეგ შემთხვევაში ამბიციების შეჯახება და კონკურენტებს შორის კონფლიქტის წარმოქმნა თითქმის გარდაუვალი ჩანს.

### რესპუბლიკელების კრახი

ქართული პოლიტიკის პროდასავლურ ფლანგზე ცხრაბალიანი მიწისძვრაა, პარტიები ერთიმეორის მიყოლებით იშლებიან. თავისუფალი დემოკრატების დაშლის შემდეგ რესპუბლიკური პარტია დავით უსუფაშვილმა დატოვა, მას ზოგიერთი სხვა თანაპარტიელიც მიჰყვა და ეს პროცესი, სავარაუდოდ, მომავალშიც გაგრძელდება. ამის მიზეზი არა მხოლოდ არჩევნებში დამარცხება, არამედ, თვეების თუ არა, წლების განმავლობაში დაგროვილი პრობლემებია. ერთ-ერთი ფაქტორი არის ის, რომ დავით უსუფაშვილისა და **თინა ხიდაშელის** კონფლიქტმა **დავით** და **ლევან ბერძენიშვილებთან** პარტია ჩიხში შეიყვანა.

2012 წლის შემდეგ რესპუბლიკელებს ჰქონდათ შესაძლებლობა ივანიშვილის კეთილგანწყობის პირობებში, გაზრდილი რესურსების გამოყენებით, პარტიის რეფორმირება და მისი გაძლიერება მოეხერხებინათ, მაგრამ ბრძოლამ გავლენისთვის პარტიის შიგნით ეს შეუძლებელი გახადა. ივანიშვილი ყოველთვის ამბობდა, რომ მისი ფავორიტი უსუფაშვილია, რაც შეეხება სხვებს, მან, სავარაუდოდ, არ დაივიწყა დავით ბერძენიშვილის 2012 წლის 15 ივნისის განცხადება, რომელსაც შანტაჟის ელფერი დაჰკრავდა. რესპუბლიკელებმა მაშინ თბილისის ზოგიერთ უბანში მაჟორიტარებად თავიანთი წარმომადგენლების დასახელება მოითხოვეს. ივანიშვილმა, სავარაუდოდ, შეაფასა ეს, როგორც ღალატი შუა ბრძოლაში და, დიდი ალბათობით, დღემდე არ დაივიწყა. ასე იყო თუ ისე, კოალიციაში ყოფნის პერიოდში უსუფაშვილი, მეუღლესთან ერთად, ივანიშვილთან მჭიდრო თანამშრომლობის (და თანამდებობის დაკავების) სურვილს გამოხატავდა, ბერძენიშვილები კი მკვეთრ ოპოზიციურ განცხადებებს აკეთებდნენ. მათი თანამოაზრეები დღეს ადანაშაულებენ უსუფაშვილსა და ხიდაშელს იმის გამო, რომ პარტიის გადასვლა ოპოზიციაში ძალიან გვიან, უშუალოდ არჩევნების წინ მოხდა და ამის გამო ვერ მოახერხა, თავი მთავრობის სრულფასოვან ოპონენტად წარმოეჩინა. უმძიმესი მარცხის შემდეგ უსუფაშვილმა, როგორც ჩანს, ბერძენიშვილებთან შემდგომი პოლიტიკური თანაცხოვრების აზრი ვერ დაინახა და „პროცენტნახევრიანი პარტია“ დატოვა (ივანიშვილი ამ ნაბიჯს, სავარაუდოდ, მოწონებით შეხვდა). უსუფაშვილმა, შესაძლოა, ჩათვალა, რომ გაფანტული პროდასავლელი ამომრჩევლების კონსოლიდირებას ცალკე და სხვა ლიდერებთან კოორდინაციის რეჟიმში (მარგველაშვილი იქნება თუ ალასანია) გაცილებით უკეთ მოახერხებს, ვიდრე ბერძენიშვილებთან ერთად, რომელთა ხელში რესპუბლიკური პარტია ახლო მომავალში შეიძლება გადაიქცეს პოლიტიკური პენსიონერების სადისკუსიო კლუბად – გარკვეული თვალსაზრისით, ის, რაც პარტიაში მოხდა, შეიძლება შეფასდეს, როგორც პოლიტიკოსთა ორი თაობის წარმომადგენელთა კონფლიქტი.

2017 წლის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური პროცესი იქნება გაფანტული პროდასავლური ელექტორატის კონსოლიდაციის მცდელობა, რომელსაც სხვადასხვა პოლიტიკოსი მიმართავს და ის მნიშვნელოვან გავლენას არა მხოლოდ ცალკე აღებული უსუფაშვილის, ალასანიას ან მარგველაშვილის, არამედ „ნაციონალური მოძრაობისა“ და მისგან გამოყოფილი ჯგუფების მომავალზეც იქონიებს.

**ლუკა ნემსაძე**

**მეორე ტურში მოხდა საინტერესო, სხვა ქვეყნების პრაქტიკაში იშვიათი რამ: ოპოზიციური ძალების მხარდამჭერთა უმრავლესობა არა ოპოზიციის, არამედ ხელისუფლების კანდიდატების გარშემო გაერთიანდა ან ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა ის, რომ «ნაცმოძრაობა» კვლავინდებურად იზოლაციაში რჩება და მასთან თანამშრომლობას არავინ ჩქარობს. არჩევნების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი არის ის, რომ «ნაციონალურმა მოძრაობამ» ვერც ერთ რეგიონში ვერ მოახერხა «საყრდენი პუნქტის» შექმნა, იქაც კი, სადაც უამრავი რესურსი დახარჯა — ვერც სამეგრელოში, ვერც აჭარაში**




**ბოლო წლებში საქართველოში ერაყიდან, სირიიდან და სხვა ქვეყნებიდან ბევრი მუსლიმი ჩამოვიდა, მნიშვნელოვანი როლი ამაში სააკაშვილის ხელისუფლების „ღია კარის“ პოლიტიკამ შეასრულა. ადგილობრივი მუსლიმებისგან განსხვავებით, ამ ადამიანების უმრავლესობა არ არის ინტეგრირებული საზოგადოებაში და მასთან საერთო ინტერესები არ აქვს, შესაბამისად, მაღალია იმის ალბათობა, რომ აქ, ისევე, როგორც საფრანგეთში, საკუთარი დახურული მინისამყარო შექმნან, რომელშიც საკმაოდ მაღალი იქნება რადიკალური იდეების გავრცელების საფრთხე.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საფრანგეთის ისლამიზაცია: საფრთხე იზრდება

**საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის მოქმედებით კმაყოფილია გამოკითხულთა მხოლოდ 4%, ხოლო უკმაყოფილო — 70%. ეს შედეგები, რომელიც ანალიტიკურმა ცენტრმა ,,ცევიპოფმა“ ახლახან გამოაქვეყნა, ოლანდისთვის საკმაოდ საგანგაშო სიგნალია, მით უმეტეს, რომ 2017 წლის 23 აპრილამდე, როდესაც საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება, არც ისე ბევრი დრო რჩება. რა არის ოლანდის რეიტინგის კატასტროფული ვარდნის მიზეზი?**

## ახალგაზრდები მომავლის გარეშე

ოლანდის პოპულარობის შემცირებას ფრანგი ექსპერტები, უპირველესად, მის არათანმიმდევრულ სოციალურ პოლიტიკას უკავშირებენ. მან დააფრთხო მემარცხენეები, მაგრამ ვერ მოხიბლა მემარჯვენეები. თუმცა არის კიდევ ერთი პრობლემა, რომელზეც ყველა ექსპერტი საჯაროდ არ საუბრობს და მხოლოდ მინიშნებებით შემოიფარგლება. პრეზიდენტობის კანდიდატებიდან ყურადღებას მასზე მხოლოდ „ეროვნული ფრონტის“ ლიდერი **მარინ ლე პენი** ამახვილებს. აშკარაა, რომ ფრანგ საზოგადოებაში მიგრანტების ინტეგრაციის პროცესი ჩიხში შევიდა, ფაქტობრივად, შეჩერდა. მთელ რიგ რაიონებში უკონტროლო ისლამისტური ანკლავები, ერთგვარი მინისახელმწიფოები ყალიბდება, ხელისუფლების წარმომადგენლები კი ამ თემაზე საუბარს გაურბიან.

**სორენ კერნი**, ექსპერტი, რომელიც საფრანგეთის ისლამიზაციის პროცესს სწავლობს, სიტუაციას ასე აღწერს: „უამრავი ახალგაზრდა მუსლიმი გაუცხოებას გრძნობს. მიუხედავად იმისა, რომ ისინი საფრანგეთის მოქალაქეები არიან, საფრანგეთში რეალური მომავალი არ აქვთ. რადიკალური ისლამი მათთვის ასეთი მიმზიდველი იმიტომაა, რომ ცხოვრების აზრს უბრუნებს“.

გასულ წელს „ფიგარომ“ გამოაქვეყნა ნაწყვეტები ფრანგული სპეცსამსახურების საიდუმლო მოხსენებიდან. მასში ერთ-ერთ სერიოზულ საფრთხედ განიხილებოდა ისლამისტების მიერ განათლების „პარალელური“ სისტემის შექმნა, მას საფრანგეთის განათლების სისტემასთან და მის ღირებულებებთან საერთო არაფერი აქვს, მაგრამ ფართო დისკუსია ამ თემაზე არ დაწყებულა, თემა ტაბუდადებულია, სერიოზული სირთულეები იმ სოციოლოგებსაც ექმნებათ, რომლებიც საკითხის შესწავლას ცდილობენ.

## აკრძალული სოციოლოგია

ახლახან გამოქვეყნდა ორი საინტერესო კვლევის შედეგი, რომლებიც საფრანგეთში მცხოვრები მუსლიმების მდგომარეობასა და განწყობას ასახავს. ერთი ჩაატარა დამოუკიდებელმა საექსპერტო ორგანიზაცია „მონტენის ინსტიტუტმა“, ხოლო მეორე — „რანდსტადის ინსტიტუტმა“ (კადრების სააგენტო) და კვლევითმა ორგანიზაციამ „რელიგიური გამოცდილების ლაბორატორია“. საფრანგეთი, სოციოლოგიის განვითარების თვალსაზრისით, მოწინავე ქვეყანაა, მაგრამ საქმე ის არის, რომ სტატისტიკა, რომელიც რასობრივ, ეროვნულ თუ რელიგიურ სხვაობას ასახავს, ხშირად ფორმალური აკრძალვების ქვეშ ექცევა. ის, აგრეთვე, შეიძლება გააკრიტიკონ, როგორც არატოლერანტული, ამიტომ მსგავსი კვლევები, განსაკუთრებით ავტორიტეტული ორგანიზაციების მონაწილეობით, არც ისე ხშირად ტარდება. ოფიციალური სტატისტიკის გამოყენებით შეუძლებელია იმის დადგენა, რამდენი მუსლიმი ან კათოლიკე, შავკანიანი თუ თეთრკანიანი და ა. შ. ცხოვრობს საფრანგეთში, რადგან შესაბამისი კითხვები ანკეტებიდან ამოღებულია. ეს მიდგომა წარსულიდან, იმ პერიოდიდან მოდის, როდესაც ხდებოდა იმიგრანტების აქტიური ასიმილირება და ინტეგრაცია ფრანგულ საზოგადოებაში. იმხანად ფრანგული სახელმწიფო საჭიროდ არ თვლიდა მათ წარმომავლობაზე ყურადღების გამახვილებას, მაგრამ, როდესაც ეს პროცესი შეწყდა და საფრანგეთის შიგნით ისლამისტური ანკლავების შექმნა დაიწყო, მკვლევარები სერიოზული სირთულეების წინაშე აღმოჩნდნენ, მათ პრობლემის მასშტაბის დადგენა უჭირთ.

„მონტენის ინსტიტუტი“ მიიჩნევს, რომ მუსლიმთა რაოდენობა საფრანგეთის მოსახლეობის 5,6%-ს, დაახლოებით სამ მილიონ ადამიანს შეადგენს (66,6 მილიონიდან). სხვა მეცნიერიებისა და კვლევითი ორგანიზაციების შეფასებები 5-დან 15 მილიონამდე მერყეობს. ეს მართლაც უპრეცედენტო შემთხვევაა — ისლამისტური ტერორიზმის საფრთხის წინაშე მდგომმა სახელმწიფომ არ იცის, მოსახლეობის რა ნაწილს განიხილავენ ტერორისტები თავიანთი პროპაგანდის სამიზნედ — ხუთ მილიონს თუ თხუთმეტს.

## ჰიჯაბი, როგორც იდენტობის სიმბოლო

„მონტენის ინსტიტუტის“ ნაშრომის მნიშვნელოვანი ნაწილი ეფუძნება გამოკითხვას, რომელიც საფრანგეთის „საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტმა“ ჩაატარა. მისი შედეგები პრემიერმინისტრ **ჟან-პიერ რაფარენის** (2002-05) ყოფილმა მრჩეველმა **ჰაკიმ ელ-კარუმ** შეაჯამა. მასში აღწერილია საფრანგეთში მცხოვრები მუსლიმების სამი „პროფილი“. უმრავლესობა, 46%, საკუთარ თავს „სრულიად საერო“ ადამიანად განიხილავს და თვლის, რომ რელიგია მათ ცხოვრებაზე განმსაზღვრელ ზეგავლენას არ ახდენს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენელთა უმრავლესობა მომხრეა, ქალებმა ჰიჯაბი ატარონ, მათ შორის, სკოლებში. საზოგადოდ, ჰიჯაბის ტარებას მხარს უჭერს კვლევის ფარგლებში გამოკითხული მუსლიმი მამაკაცების 58% და ქალების 70%, ხოლო 60% ემხრობა მის ტარებას სკოლებში. გამოკითხულთა 70% პროცენტი ე.წ. ჰალალ საკვებს ყიდულობს (არასოდეს ყიდულობს მხოლოდ 6%).



საფრანგეთში მცხოვრები მუსლიმების მეორე ნაწილს ელ-კარუმ „ისლამური სიამაყის ჯგუფი“ უწოდა, რომელსაც გამოკითხულთა 25% მიაკუთვნა. ისინი მხარს უჭერენ ჰიჯაბს და „ჰალალს“ და ამაყობენ თავიანთი კულტურული ტრადიციებით, თუმცა, ამასთანავე, მზად არ არიან, მიიღონ მრავალცოლიანობა და ქალების მიერ ე.წ. ნიკაბის ტარება.

28% კი განწყობილია რადიკალურად და აცხადებს, რომ საფრანგეთის რესპუბლიკის ღირებულებები მათთვის უცხოა. ისინი მხარს უჭერენ შარიათის ნორმების დამკვიდრებას, მრავალცოლიანობას, ნიკაბს, ფარანჯას და ყველა ძველი ტრადიციის საყოველთაო დანერგვას. საგულისხმოა, ამ რადიკალების ნახევარი 25 წლამდე ახალგაზრდაა.

რაც შეეხება მეორე კვლევას, ის აღწერს რელიგიური გრძნობების გამოვლენას ოფისებსა და საწარმოებში, მათ შორის, სამსახურის გაცდენას რელიგიური დღესასწაულების გამო, ლოცვას შესვენებაზე, რელიგიური სიმბოლოების გამოყენებას, აგრეთვე, უარს ამბობენ ქალებთან და სხვა რელიგიის მიმდევრებთან ერთობლივ მუშაობაზე. ასეთი ინციდენტების რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაორმაგდა, ხოლო 2013 წელთან შედარებით თითქმის გაოთხმაგდა. გამოკითხული მენეჯერების ორი მესამედი მიიჩნევს, რომ „რელიგიურმა დემონსტრაციებმა“ მნიშვნელოვნად იმატა. კონფლიქტების 6% დაიწყო სამუშაო ადგილზე რელიგიური ქადაგების გამო, 6% — ქალთან მუშაობაზე უარის თქმის გამო, 1% — მხოლოდ მუსლიმებთან ერთად მუშაობის მოთხოვნის გამო და ა.შ.

## „შერშე ლა ფამ“

თავისი კომენტარის დასკვნით ნაწილში ელ-კარუ წერს: „საფრანგეთის მუსლიმები მრავალრიცხოვანი კრიზისების შუაგულში ცხოვრობენ. სირია, რა თქმა უნდა, სულისშემძვრელია, მაგრამ, ამასთანავე, არსებობს არაბული სამყაროს ტრანსფორმაცია, რომელშიც ქალი ახალ ადგილს იკავებს. სტუდენტი ქალი უფრო მეტია, ვიდრე სტუდენტი მამაკაცი, ეს გოგონები უფრო განათლებულები არიან, ვიდრე მათი მამები. რელიგია, მის ავტორიტარულ ვერსიაში, ასეთი ევოლუციის წინააღმდეგ მიმართული რეაქციის იარაღია“.

აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალთა განათლებასა და საზოგადოების განვითარებას უკავშირდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა — დემოგრაფიული. ისლამურ სამყაროს „დემოგრაფიული ზამთარი“, შობადობის მკვეთრი შემცირება უახლოვდება და, დასავლეთის ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც ის დაახლოებით ორ საუკუნეს გაგრძელდა, მყისიერი იქნება. დღეს მაჰმადიანურ სამყაროში 20-30 წლის ადამიანებს 5-6 და-ძმა ჰყავთ, მაგრამ ისინი არ აპირებენ, 1-2 შვილზე მეტი გააჩინონ. ირანელი ქალი აჩენს ექვსი შვილით ნაკლებს, ვიდრე 50 წლის წინათ, თურქი — ხუთით, ეგვიპტელი და ინდონეზიელი — ოთხით. ახლო მომავალში ეს მნიშვნელოვან ეკონომიკურ შედეგს მოიტანს — პენსიონერთა უზარმაზარი არმია დამოკიდებული იქნება შეზღუდული რაოდენობის შრომისუნარიან მოქალაქეებზე, თანაც იმ ქვეყნებში, რომლებშიც, დასავლეთისგან განსხვავებით, არ არსებობს განვითარებული საპენსიო სისტემა და ასწლეულების განმავლობაში დაგროვებული სიმდიდრე, რომელსაც ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის შერბილება შეუძლია. „არაბულმა გაზაფხულმა“ იმედგაცრუებული ახალგაზრდების ენერგია გამოიყენა და მთელი რეგიონი ქაოსში ჩაძირა. როგორი იქნება „არაბული ზამთარი“, როდესაც, კომპლექსური ეკონომიკურ-დემოგრაფიული პრობლემის გამო, ისლამური ქვეყნები გარანტირებული კრიზისის წინაშე აღმოჩნდებიან? საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, რომ „ქაოსის ზონა“ კიდევ უფრო გაფართოვდება და ლტოლვილები ისევ ევროპას მიაწყდებიან.

ისლამურ სამყაროში ორი ტენდენციაა გამოკვეთა, რომლებიც ქალთა ემანსიპაციასა და მათი ხელახალი დამონების მცდელობებს უკავშირდება. ფსონი მაღალია — დემოგრაფიული უპირატესობა, რომელიც ბოლო პერიოდამდე ითვლებოდა აღმოსავლეთის მძლავრ იარაღად დასავლეთთან ბრძოლაში.



## იმპერიის მემკვიდრეობა

როდესაც საფრანგეთში რადიკალი ისლამისტი სასულიერო ლიდერების მზარდ გავლენაზე საუბრობთ, არ უნდა დაგავიწყდეს, რომ პროცესის სათავეებთან არა არაბები, არამედ ფრანგები იდგნენ. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მათ ჩაიყვანეს საფრანგეთში ალჟირელი ჯარისკაცებისა და მუშების „პირველი ტალღა“. საწარმოთა მეპატრონეები ალჟირელი მუშებისთვის სამლოცველოებს ხსნიდნენ და სასულიერო პირები ჩამოჰყავდათ, რადგან ისინი ხელს უწყობდნენ დისციპლინის შენარჩუნებას და ანეიტრალებდნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელ და კომუნისტურ პროპაგანდას. საგულისხმოა, რომ პარიზის დიდი მეჩეთის აგება 1926-ში არა მუსლიმური საზოგადოების, არამედ საფრანგეთის ხელისუფლების ინიციატივით მოხდა. იმ წლებში ფრანგული ელიტა აღიქვამდა მუსლიმ სასულიერო პირებს, როგორც მნიშვნელოვან დასაყრდენს კოლონიების დამორჩილების საქმეში. ისინი ხელისუფლების მიმართ ლოიალურები დღესაც არიან, მაგრამ აღარ შეუძლიათ რადიკალი მქადაგებლების გავლენის შეზღუდვა და შედეგიც აშკარაა – ფრანგი ძალოვანების შეფასებით, სირიაში საფრანგეთიდან დაახლოებით 5 ათასი მებრძოლი გაემგზავრა, კიდევ 15 ათასი მზადაა, მათ შეუერთდეს. ექსპერტები საუბრობენ იმაზე, რომ მათი აქტიური გულშემატკივრების რიცხვი ძალიან დიდია, თუმცა ზუსტ ციფრებს ამ შემთხვევაშიც ვერ ასახელებენ.

## დასკვნები საქართველოსთვის

საქართველოში ქრისტიანებისა და მუსლიმების მშვიდობიანი თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია არსებობს. აქ, საფრანგეთთან შედარებით, დაძაბულობა გაცილებით მცირეა, მაგრამ არის ერთი ფაქტორი, რომელიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ. ბოლო წლებში საქართველოში ერაყიდან, სირიიდან და სხვა ქვეყნებიდან ბევრი მუსლიმი ჩამოვიდა, მნიშვნელოვანი როლი ამაში სააკაშვილის ხელისუფლების „ღია კარის“ პოლიტიკამ შეასრულა. ადგილობრივი მუსლიმებისგან განსხვავებით, ამ ადამიანების უმრავლესობა არ არის ინტეგრირებული საზოგადოებაში და მასთან საერთო ინტერესები არ აქვს, შესაბამისად, მაღალია იმის ალბათობა, რომ აქ, ისევე, როგორც საფრანგეთში, საკუთარი დახურული მინისამყარო შექმნან, რომელშიც საკმაოდ მაღალი იქნება რადიკალური იდეების გავრცელების საფრთხე. ამიტომ სასურველია, ქართველებმა არ გაიმეორონ ფრანგების შეცდომა და მკვლევარებს ხელოვნური შეზღუდვები არ დაუწესონ — მათ აქტიური უნდა შეისწავლონ მიგრანტების მდგომარეობა და მათი განწყობა, რათა ხელისუფლებას შესაძლებლობა მიეცეს, პოლიტიკა ამ სფეროში ზუსტ სოციოლოგიურ მონაცემებზე დააფუძნოს.

**ლუკა ნემსაძე**

ნახევარდაშლის პერიოდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როდესაც ბურჯანაძე უბლოკო სტატუსს მოითხოვდა, უსუფაშვილი საქართველოში (აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გამოკლებით) ამერიკული ჯარის ჩაყენების ინიციატივით გამოდიოდა. ისე, ევროპის საწინააღმდეგო არც ბურჯანაძეს აქვს რაიმე, ხოლო ისეთი გამოცდილი პოლიტიკოსი, როგორიც უსუფაშვილია, შემთხვევით არ უნდა ახსენებდეს მხოლოდ ევროპას და არა ევროატლანტიკურ სივრცეს.**

# წამო, თინა, ბუტკაში!

**პარტიების დატოვების დიდი მარათონი, ის-ის იყო, ილეოდა, რომ მორიგმა სკანდალმა არ დაახანა — რესპუბლიკური პარტია პარლამენტის ჯერ კიდევ მოქმედმა თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა დატოვა. თემა ჟურნალისტებმა განაგრძეს და კითხვა მეუღლეზე დაუსვეს. პასუხი ასეთი იყო: „თინა არ დამტოვებს და არ მიმატოვებს“!**



**კრიტიკულ სიტუაციაში ლევან ბერძენიშვილი რომ აგრესიული ხდება, ამის მოწმე არაერთხელ გავმხდარვართ. ეს თვისება ანათესავებს მას სააკაშვილთან, მაგრამ, მისგან განსხვავებით, არც ქარიზმა ჰქონია ოდესმე და არც არანაირი მხარდაჭერა, თორემ მასზე არანაკლებ სადისტურ რეჟიმს ჩაუდგებოდა სათავეში!**

მართლაც, **დავით უსუფაშვილის** შემდეგ რესპუბლიკური პარტია მისმა მეუღლემ თინა ხიდაშელმაც დატოვა, მას მიჰყვნენ **ვახტანგ ხმალაძე, პაატა ზაქარეიშვილი, ფრიდონ საყვარელიძე, თენგიზ შერგელაშვილი** (რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე). ოფიციალურ მიზეზად პარტიის ლიდერებთან სტრატეგიული შეუთავსებლობა დასახელდა. არაოფიციალურად კი ძმებ **ბერძენიშვილებთან** ურთიერთობაზე საუბრობენ. გასაკვირია, მაგრამ განათლებული და ზრდილი კაცის რეპუტაციის პრეტენზიის მქონე **ლევან ბერძენიშვილმა** რესპუბლიკური პარტიიდან წასული ძველი მეგობრები ფეისბუქმეგობრებიდანაც კი წაშალა.

ჟურნალისტები ქილიკობენ: „ახლა რესპუბლიკურ პარტიაში მხოლოდ ძმები ბერძენიშვილები დარჩნენო“.

არა, ბატონო, იქ **ხათუნა სამნიძეც** დარჩა, რომლის სახელსაც უკავშირდებოდა წინასაარჩევნო სკანდალი: როგორც პარტიიდან გამოჟონა, **დავით ბერძენიშვილი** დაჟინებით მოითხოვდა, რომ რესპუბლიკელების საარჩევნო სიის პირველი ნომერი სწორედ ხათუნა სამნიძე ყოფილიყო და არა პარლამენტის თავმჯდომარე.

ლევან ბერძენიშვილი ახლაც იმაზე აპელირებს, რომ „პარტიის სურვილია, ჰყავდეს თავმჯდომარე, რომელიც პარტიას ამჟამად ხელმძღვანელობს, ხოლო შემდგომი თავმჯდომარე ახალი თაობის რესპუბლიკელი იყოს... უსუფაშვილმა თავად უნდა განმარტოს, იყო თუ არა ეს ის საკითხი, რომელიც მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა“.

ანუ, თუ ლევან ბერძენიშვილს დავეყრდნობით, **უსუფაშვილს პარლამენტის თავმჯდომარეობის შემდეგ რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარეობა მოუნდა და ამაზე სწორედ ძმებმა ბერძენიშვილებმა უთხრეს უარი.**

ისე, სულმდაბლობასაც ხომ აქვს საზღვარი?

ლევან ბერძენიშვილის სიტყვებით, დავით უსუფაშვილმა პარტია ისე დატოვა, რომ არავისთვის არაფერი აუხსნია. მისი გადაწყვეტილების თაობაზე მათ პარტიის სამდივნოში გაგზავნილი წერილიდან შეიტყვეს, „რომელშიც დაახლოებით ასეთი რამ წერია: კამათს აზრი არა აქვს, წავედი“.

„პარტიაში აზრთა სხვადასხვაობა იყო არა მხოლოდ დავით უსუფაშვილსა და სხვებს შორის, არამედ არიან სხვებიც, რომელთაც თავისი მოსაზრებები აქვთ. ამ მოსაზრებათაგან მთავარია, რომ ნაწილი არის მკვეთრი პოლიტიკის, ხოლო ნაწილი დიპლომატიური მიდი-მოდი პოლიტიკის მომხრე. ეს არის მნიშვნელოვანი განსხვავება. ამაზე არ ვდავობ, მაგრამ ყველა წამსვლელმა უნდა განმარტოს, თუ რატომ მიდის“, — ამბობს ლევან ბერძენიშვილი.

ისე, **ვინც გადაწყვეტილებების მიმღები იყო, ყველა უსუფაშვილს გაჰყვა და პარტიის თავმჯდომარის შენარჩუნებაზე უკიდურესი უმცირესობა – ძმები ბერძენიშვილები იღებენ გადაწყვეტილებას? ესაა, ბატონებო, შიდაპარტიული დემოკრატია, რომლითაც ასე მოგწონდათ თავი?**

**კრიტიკულ სიტუაციაში ლევან ბერძენიშვილი რომ აგრესიული ხდება, ამის მოწმე არაერთხელ გავმხდარვართ. ეს თვისება ანათესავებს მას სააკაშვილთან, მაგრამ, მისგან განსხვავებით, არც ქარიზმა ჰქონია ოდესმე და არც არანაირი მხარდაჭერა, თორემ მასზე არანაკლებ სადისტურ რეჟიმს ჩაუდგებოდა სათავეში! ახლა იგი სააკაშვილის მსგავს სცენარს ავითარებს:**

„გვინდა, წინ წამოვწიოთ ახალი თაობა, ახალგაზრდა პოლიტიკოსები, ძველები დარჩეს პარტიაში და ახლებს დავეხმაროთ იდეების განხორციელებაში, პარტიაში მოვიზიდოთ ახალგაზრდობა და არასდროს დავაბეროთ პარტია იმის გამო, რომ მისი წევრები შეიძლება გამოცდილი და წარსულში დიდი ადამიანები იყვნენ. შესაბამისად, ჩვენ პარტიის ლიდერად ვხედავთ მას, ვინც ახლა გვყავს — ხათუნა სამნიძეს. ის ახალი თაობის რესპუბლიკელია, რომელიც პარტიის ხნისაა. გვექნება ყრილობა, რომელზეც ავირჩევთ ან მას ან სხვას, მაგრამ ახალი თაობიდან და არ დაბრუნდება ერთმმართველობა არც ერთი ყოფილი თავმჯდომარის ხელში“.

ერთი სიტყვით, **მე და ჩემი ძმა წარსულში დიდი ადამიანები ვიყავით და ახლაც ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, ვინ იქნება რესპუბლიკური პარტიის ლიდერიო. „ერთმმართველი“ უსუფაშვილის წარმოდგენა მის ყველაზე შეურიგებელ ოპონენტებსაც კი გაუჭირდებათ, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს ლევან ბერძენიშვილს, დააბრალოს ის, რასაც თვითონ სჩადის „დიდ“ ძმასთან ერთად.**

არადა, დავით უსუფაშვილმა იმ „დიდ“ ძმას და ყოფილ თანაგუნდელებს განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა. არც ის დაუვიწყა, რომ ის პოლიტიკოსად სწორედ დავით ბერძენიშვილმა აქცია.

რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ ხათუნა სამნიძემ სიტყვასიტყვით გაიმეორა უფროსი მეგობრის მოსაზრება: „შედეგებმა და ჩვენმა წინასაარჩევნო კამპანიამ ცხადყო, რომ დაბალანსების პოლიტიკა და მთავარი პარტნიორის, მთავარი მრჩევლის პოლიტიკა იყო მცდარი გზა. ასევე, ჩვენ დრო არ გვეყო იმისთვის, რომ ჩვენს ამომრჩევლებს დავვენახეთ ოპოზიციაში. ამ შედეგების განხილვამ მიგვიყვანა დასკვნებამდე, ახლაც ვსაუბრობთ პარტიაში და მიმდინარეობს ანალიზი, რომ ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ახალი ძალები პარტიაში, უნდა ვიყოთ მკვეთრად ორიენტირებული იდეოლოგიაზე, ღირებულებებზე და სწორედ ეს იყო საკითხი, რის გამოც დავით უსუფაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება და დატოვა პარტია“.

არადა, თვითონ უსუფაშვილმა კორექტულობით გამორჩეული განცხადება გააკეთა და ღირებულებებზეც ისე ისაუბრა, რომ ყოფილი თანაგუნდელებისთვის ზიანი არ მიეყენებინა: „რესპუბლიკური პარტია დღიდან დაარსებისა იყო ერთგული თავისი პრინციპების და ღირებულებების. ეს ღირებულებები ხშირად საზოგადოებისთვის იყო ან ახალი, ან მიუღებელი. ჩვენ ამის არასდროს შეგვშინებია, მაგრამ, ამასთანავე, აუცილებელია, რომ პოლიტიკურმა პარტიამ შეძლოს სათანადო ელექტორალური ბაზის ფორმირება იმისთვის, რომ მან დამოუკიდებელი პოლიტიკური კვალი დაამჩნიოს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს. ამიტომ უფრო მკვეთრი და მკაფიო, მაგრამ ამავე დროს ვიწრო ღირებულებითი არჩევანი, რომელსაც, შესაძლოა, მოსახლეობის ნაწილი ეხმიანება, არ არის ადეკვატური იმ პრობლემებთან, რაც ჩვენ გვაქვს დღეს ქვეყანაში“.

**რა არის ეს „ვიწრო ღირებულებითი“ არჩევანი, ჩვენი საზოგადოებისთვის სრულიად გასაგებია; ეს არის არაადეკვატური ყურადღება ისეთი საკითხებისადმი, როგორიცაა, მაგალითად, ერთნაირსქესიანთა ქორწინება, რაზეც ხშირად საუბრობდნენ ლევან ბერძენიშვილის მიერ მოწონებული „ახალგაზრდები“.**

როგორც ჩანს, სწორედ ამან ათქმევინა უსუფაშვილს: „მივილე ადამიანურად მტკივნეული, მაგრამ პოლიტიკურად აუცილებელი გადაწყვეტილება რესპუბლიკური პარტიის დატოვების შესახებ. პარტიის თავმჯდომარეს, პარტიის დამფუძნებლებს, სხვა ლიდერებს აქვთ შემდგომი საქმიანობის თაობაზე პოლიტიკური, ტაქტიკური და ღირებულებითი ხედვები, რომლებსაც მე არ ვიზიარებ, მაგრამ რომელთა რეალიზებასაც მე ხელს არ შევუშლი.

ამ ხედვებს არ ვიზიარებ იმიტომ, რომ, ჩემი აზრით, ამ გზით კიდევ უფრო შესუსტდება პარტიის გავლენა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე. პარტიის მიერ მათ რეალიზებას კი ხელს არ შევუშლი იმიტომ, რომ პატივს ვცემ პარტიის დამფუძნებლების სრულიად გამორჩეულ ღვაწლს ქართულ პოლიტიკაში და ვაღიარებ მათი ხედვების პრიმატს რესპუბლიკური პარტიის მომავლის განსაზღვრაში“.

უსუფაშვილმა იმაზეც ილაპარაკა, რომ პარტიის დატოვების თაობაზე ბევრი ჯერ კიდევ არჩევნებამდე უკიჟინებდა. როგორც ჩანს, აქ მხოლოდ **ბიძინა ივანიშვილის** შეთავაზება არ იგულისხმებოდა და პარტიაშიც მოითხოვდნენ (უკვე მერამდენედ!) მმართველ კოალიციასთან დაპირისპირებას! „ამას არ გავაკეთებდი არავითარ შემთხვევაში“, — განაცხადა უსუფაშვილმა და, რაკი ჩვენი საზოგადოება უკვე მიეჩვია პოლიტიკოსების ღალატს, საკუთარი თავისა და პარტნიორების გაყიდვას (სამშობლოზე რომ არაფერი ვთქვათ!), დაამატა: **„ორი კვირის განმავლობაში საზოგადოება ჯერ კიდევ პარლამენტის შენობაში მიხილავს, როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს, ხოლო ორი კვირის შემდეგ საზოგადოება ვერ მიხილავს ვერც ერთ სახელმწიფო, სამთავრობო თუ სასამართლო თანამდებობაზე.**

ძალიან მკაფიოდ ვაცხადებ, რომ ვაგრძელებ საქმიანობას ოპოზიციურ პოლიტიკურ ველზე. მზად ვარ, ყველასთან მქონდეს დიალოგი, ვისაც საქართველო ევროპის ნაწილად წარმოუდგენია, ვისაც საქართველო წარმოუდგენია თავისუფალ ქვეყნად, ვისაც ლიბერალური დემოკრატია წარმოუდგენია იმ ფუნდამენტად, რომელზეც უნდა დაშენდეს ისეთი სახელმწიფო, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობას უზრუნველყოფს“.

მაინც, **ვისთან ერთად წარმოუდგენია უსუფაშვილს პარტნიორობა?** თუ იმ ფრაგმენტს დავეყრდნობით, რომელშიც იგი საუბრობს, რომ „უახლოეს 2-3 თვეში ექნება ინტენსიური დიალოგი ყველასთან, ვინც არათუ დაიღალა თავისუფალი, მრავალპარტიული, დემოკრატიული, ევროპული საქართველოს მშენებლობის პრობლემებით, არამედ პირიქით — მეტი პრობლემის გამო მეტად არის შემართული შრომისთვის და ახალი, უფრო ეფექტიანი გზების ძიებისთვის“, ხოლო ისეთი გამოცდილი პოლიტიკოსი, როგორიც უსუფაშვილია, შემთხვევით არ უნდა ახსენებდეს მხოლოდ ევროპას და არა ევროატლანტიკურ სივრცეს.

ამგვარ არასაპარლამენტო გაერთიანებაზე საუბარი მით უფრო შესაძლებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ გაისად ადგილობრივი არჩევნები გველის, რომელშიც საგარეო ორიენტირები არანაირ როლს არ ასრულებს.

არის კიდევ ერთი — კონსპიროლოგიური ვერსია, რომ ჩვენმა მეგობარმა ამერიკელებმა დაშლილ-განადგურებული პროდასავლური ფლანგის უპატრონოდ დატოვება არ ისურვა და ახლა მის „მაყურებლად“ სწორედ გაცილებით ავტორიტეტული უსუფაშვილი გაამწესა, ვიდრე მისი მიმოფანტული ადრინდელი ლიდერები. თუმცა ამ შემთხვევაში უსუფაშვილს მოუწევს „პროდასავლურ“ ნაციონალებთან, „რუსთავი 2“-თან თავისუფალი დემოკრატებთან, „გირჩებსა“ და სხვა მისთანებთან გაიგივება. ამას კი, სავარაუდოდ, უსუფაშვილი არ გააკეთებს — „კალაბოკისა“ არ იყოს, რესპუბლიკელებისგან წავიდა და მათგან ხომ მით უფრო წავა?!

ყველაზე სუსტი წერტილი კი უსუფაშვილისთვის კვლავ თინას ფაქტორია. ქმრისგან განსხვავებით, მის მიმართ ისეთივე აგრესიული დამოკიდებულებაა, როგორც რესპუბლიკურ პარტიაში დარჩენილი „ვიწრო ღირებულებების“ ერთგული ახალგაზრდებისადმი.

**მიტოვების თემას თავი რომ დავანებოთ, ახლა საკითხავი მხოლოდ ის რჩება, შეძლებს თუ არა უსუფაშვილი მისი ჰიპერაქტიური მეუღლისთვის კარგად ცნობილი ფრაზის თქმას: „შედი, ქალო, ბუტკაში“!**

**თამარ დავითულიანი**

**აშშ-ს, რომლის ელჩიც ბრძანდებით საქართველოში, თამამად შეიძლება ვუწოდოთ ხელეჩო-პროტექტორი, რომელიც, თუკი შეერთებული შტატების აბორიგენი ინდიელების ბედს გავიხსენებთ, თავისი რეზერვაციებით სულაც არ გაგვიკვირდება გურჯისტანელებს.**

ახალი მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სანამ აშშ საქართველოს სტრატეგიული „მოკავშირე“ და „მეგობარი“ ქვეყანა გახდებოდა, სოციალისტური საქართველო ერთ-ერთი განვითარებული და ცხოვრების მაღალი დონის მქონე რესპუბლიკა იყო საბჭოთა კავშირში და, როგორც ფორმალური, ასევე დე ფაქტო სუვერენიტეტის ხარისხიც გაცილებით მაღალი ჰქონდა, ვიდრე დღეს აქვს. მარტივად რომ გითხრათ, მაგალითად, ცენტრიდან დანიშნულ ცეკას მეორე მდივან გენადი კოლბინს იმის მეათედი ძალაუფლება, უფლებამოსილება და გავლენა არ ჰქონდა „აბორიგენ“ პოლიტელიტაზე, როგორიც თქვენ გაქვთ დღეს.**

# ღია წერილი აშშ-ის ელჩს, ბატონ იან კელის



**რონალდ რეიგანის** პრეზიდენტობის ჟამს საბჭოთა საქართველოს ტელევიზიაში მოღვაწეობდა კოლორიტული პოლიტმიმომხილველი, აწ განსვენებული **აბონ ციციაშვილი**, რომელმაც გახურებული ცივი ომის პერიოდში მუქარის ტონით ბრძანა: „ეტყობა, რეიგანს დაავიწყდა ძველი ქართული ანდაზა: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. მისი ეს ფრაზა დღემდე კარგი ანეკდოტივით ახსოვთ საქართველოში და ამიტომ ყოველთვის ღიმილით იგონებენ ცხონებულ აბონ ციციაშვილს...

ბატონო კელი!

ის ანდაზა, რომელიც მისტერ რეიგანს „დაავიწყდა“, ალბათ, არც თქვენ იცით, მაგრამ, ბატონი აბონის ლამის 40 წლის წინათ ნათქვამისგან განსხვავებით, დღევანდელ ვითარებაში ანდაზის შინაარსი ერთობ აქტუალურია აშშ-საქართველოს ურთიერთობების კონტექსტში.

თუ რატომ, ამაზე — ქვემოთ.

მანამდე კი ანდაზებს თავი დავანებოთ და ორ ქართულ ფენომენს, გნებავთ, იგავი ვუწოდოთ, თქვენს საყურადღებოდ გავიხსენებ, ბატონო ელჩო:

**ნაჯახივით კაციაო**, — იტყვიან ქართველები გულუხვ, მოყვასისთვის დამხმარე ადამიანზე, რადგანაც ნაჯახის გამოყენებისას ნაფოტები აქეთ-იქეთ ცვივა და ეს მეტაფორაც აქედან არის შობილი.

**ხელეჩო** — არის ასეთი დასახელების სადურგლო იარაღი, რომლის გამოყენების წესი ისეთია, რომ ზევიდან ქვევით, ანუ შენკენ მოძრაობს და **ხელეჩოსავით კაციაო** ქართველები იმ ადამიანზე იტყვიან, რომელიც ხელეჩოსავით საკუთარი თავისკენ მიითლიან, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ, სხვებისთვის კი თუნდაც ქვას უთოვია.

ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ ჩემი ბედკრული ქვეყნის ისტორიაში მსგავი თვისებების არათუ მეფისნაცვალი, პროტექტორი სახელმწიფოც არაერთი გვახსოვს და მათი უმრავლესობა, ძირითადად, ხელეჩოს პრინციპით გვიდგებოდა. მაგალითად, **აშშ-ს, რომლის ელჩიც ბრძანდებით საქართველოში, თამამად შეიძლება ვუწოდოთ ხელეჩო-პროტექტორი, რომელიც, თუკი შეერთებული შტატების აბორიგენი ინდიელების ბედს გავიხსენებთ, თავისი რეზერვაციებით, სულაც არ გაგვიკვირდება გურჯისტანელებს.**

მოკლედ, კონტინენტზე რაც მისათლელი იყო, ხელეჩოსავით მიითალეთ, მერე ახლომახლოზე გადახვედით, ხოლო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როდესაც ევროპა მიითალეს ხელეჩო-ფაშისტებმა და, პრაქტიკულად, მხოლოდ სტალინის სსრკ ებრძოდა ფაშისტურ გერმანიას, რომელთან შედარებითაც მოსკოვის, სტალინგრადისა და კურსკის სისხლიანი ეპოპეების ფონზე ამერიკელების ბრძოლა იაპონიასთან ომობანას თამაში უფრო იყო, ვიდრე ნამდვილი ომი. ამ ომის შემდეგ კი ევროპისა და აზიის მსუყე ნაჭრებიც ჩაბღუჯეთ – ღმერთმა შეგარგოთ, მაგრამ სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ სწორედ სტალინგრადთან და, განსაკუთრებით — 1943 წლის ზაფხულში კურსკთან სსრკ-ის დიადი გამარჯვების შემდეგ, როდესაც ყველასთვის ცხადი შეიქნა, რომ სტალინი სხვათა დახმარების გარეშეც მოუგრეხდა კისერს ჰიტლერს, მხოლოდ მაშინ დაინტერესდა სერიოზულად აშშ ევროპის სამხედრო თეატრონით და 1943 წლის ნოემბრის ბოლოს გაიმართა თეირანის ცნობილი კონფერენცია რუზველტის, ჩერჩილისა და სტალინის მონაწილეობით, სადაც მოკავშირეები სერიოზულად ალაპარაკდნენ ე.წ. მეორე ფრონტის გახსნაზე.

თეირანში კონფერენცია კი არ იყო, არამედ პრაქტიკულად დიპლომატიური ომი ორი ერთის წინააღმდეგ, რომელიც სტალინის ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა.

თუმცა ე.წ. მოკავშირეებმა, რაც შეეძლოთ, გააჭიანურეს და მეორე ფრონტი ანგლო-საქსებმა მხოლოდ 1944 წელს გახსნეს საფრანგეთში დესანტის გადასხმით.

**დიახაც, ე.წ. მოკავშირეებმა, რადგანაც უკვე ლამის ბერლინთან მდგარი წითელი არმიისა და სტალინის ზურგს უკან ალენ დალესის უწყება მოლაპარაკებებს აწარმოებდა ფაშისტებთან.**

ასე იყო თუ ისე, ომი დამთავრდა და ხელეჩოებმა თავისი მიითალეს. ოღონდ სტალინის დაჟინებული მოთხოვნით, საფრანგეთსაც მისცეს თავისი წილი (რაც, წესით, არ ეკუთვნოდა) საოკუპაციო ზონისა და ეს სულაც არ იყო ქველმოქმედება. ეს იყო შორსმჭვრეტელი სტალინის პრაგმატული ნაბიჯი, რომელიც მან 1944 წლის ზამთარში მოსკოვში **დე გოლის** ხანგრძლივი სტუმრობისას, სავარაუდოდ, სტუმრის შეთავაზებით გადადგა — ომის შემდგომ ევროპაში აშშ ინგლისთან ერთად ჰეგემონობას შეეცდებოდა და აშშ-ინგლისის ხაზს სსრკ-საფრანგეთის ხაზი დაუპირისპირდა.

მისტერ კელი, საიდუმლო არ იქნება თქვენთვის, სტალინის სიკვდილის შემდეგ სწორედ ის არ აპატიეს დე გოლს, რომ **საფრანგეთს ანგლო-საქსებთან შეუთანხმებელი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკა მიჰყავდა და სწორედ აშშ-ის მიერ ინსპირირებული სტუდენტური ბუნტის მეშვეობით მოიცილეს ყველაზე დიდი ფრანგი პოლიტიკიდან.**

სწორედ 1960-იანი წლებიდან დაიწყო ამერიკის მსოფლიო იმპერიად ჩამოყალიბების პროცესი დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვის დროშით.

თუმცა ეს ის პერიოდია, როდესაც „დემოკრატიულ ამერიკაში“ რასიზმი, სეგრეგაცია მძვინვარებდა და კუ-კლუქს-კლანი ცოცხლად წვავდა ზანგებს; ეს ის პერიოდია, როდესაც ავტობუსებში შავკანიანებისთვის ზონები იყო გამოყოფილი და რესტორნებისა და სასტუმროების შესასვლელებს „ამშვენებდა“ წარწერები — **„ზანგებისა და ძაღლების შესვლა აკრძალულია!“.**

**და დღეს ამერიკელებს ჰყოფნით თავხედობა, გამოუშვან კანონი (მათი სატელიტი ევროპისთვისაც სავალდებულო), რომლის მიხედვით, სიტყვა „ზანგის“ გამოყენება უნდა დაისაჯოს, როგორც სიძულვილის ენით საუბარი.**

აფროამერიკელი — აი რა უნდა თქვა „ზანგის“ მაგივრად! ისეთი აზრიც კი არსებობს, რომ ის ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც სიტყვა ზანგია ნახსენები, აიკრძალოს — ე.ი. დავწვათ **ერნესტ ჰემინგუეის, მარკ ტვენის, ჯეკ ლონდონის, ო. ჰენრისა** და სხვათა ქმნილებები.

ასევე სიძულვილის ენას ნიშნავს და შესაბამისად ისჯება, თუ ჰომოსექსუალს უწოდებ პედერასტს, რადგანაც დასავლური (წაიკითხე — აშშ) დემოკრატიის დროშა ლგბტ-სექტის ბაირაღია, რომლის მსოფლიოს თავზე აფრიალებასაც დაგვპირდა აშშ-ის სახელმწიფო მდივანი **ჯონ კერი.**

ეს ისე, მცირე ლირიკული გადახვევა...

სსრკ-ის დაშლის შემდეგ აშშ ხელეჩო-იმპერიაა, რომელმაც მისათლელი მიითალა და რომელსაც დეკლარირებული აქვს, რომ საქართველოს სტრატეგიული მოკავშირე და მეგობარი ქვეყანაა.

**ჰოდა, მისტერ კელი, აშშ-ის საკონსულოში იმის საკითხავად, მისცემთ თუ არა ვიზას ამერიკაში წასასვლელად, თქვენი სტრატეგიული მოკავშირისა და მეგობარი ქვეყნის — საქართველოს მოქალაქემ 160 დოლარის ეკვივალენტის თანხა უნდა გადაიხადოს, თანაც ამ ვიზის მსურველი ქართველი მოქალაქეების მხოლოდ 15-20 %-ს თუ აკმაყოფილებს. დანარჩენს უარით ისტუმრებენ ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. ჰოდა, გაუფრინდა ისედაც გაჭირვებულ ქართველს 160 დოლარი! ეს არის მეგობრობა?**

**ნუთუ არ შეიძლება, რომ მეგობარს კითხვა უფასოდ დაასმევინოთ და უარი ახსნა-განმარტების გარეშე არ სტკიცოთ?**

მით უმეტეს, **უარის მიზეზი ყველამ იცის — კიდევ ერთი ქართველი არ დარჩეს მეგობარ ამერიკაში და არ შეემატოს ქვეშაფსია ბებერი ამერიკელებისთვის პამპერსების არალეგალურად გამომცვლელთა რიგებს!**

მაგრამ იმას, რაც მე შემეხო, თვით თქვენგანაც კი, ხელეჩოებისგანაც, არ მოველოდი:

ჩემი პირველი მეუღლე **თამარ მახარობლიძე,** რომელთანაც საერთო აღარაფერი მაქვს, გარდა იმისა, რომ ერთადერთი საერთო შვილი გვყავს, 1996 წელს ვაჟთან ერთად აშშ-ში გაემგზავრა, სადაც ჩვენმა საერთო შვილმა **ნუგზარ მხეიძემ** კოლეჯი დაამთავრა და 2000 წელს საქართველოში დაბრუნდა. 2001 წელსაც წავიდა შვილი დედის მოსანახულებლად და კვლავ დაბრუნდა სამშობლოში. ჩემი ყოფილი მეუღლე, აწ უკვე **თამარ ონილი,** დიდი ხანია, აშშ-ის მოქალაქეა.

2007 წელს აშშ-ის მოქალაქე თამარ ონილი საქართველოში ჩამოვიდა მცირე ხნით და უკან გაბრუნდა. იგივე განმეორდა 2014 წელსაც — ანუ მას, როგორც ამერიკის მოქალაქეს, პრობლემა არ ჰქონია საემიგრაციო სამსახურთან. და, საზოგადოდ, მისი ყველა გასვლა შეერთებული შტატებიდან იყო ლეგალური, კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით.

წელს თამარ ონილს ფილტვის ავთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა, მას 10 ოქტომბერს ურთულესი ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა და ამჟამად უმძიმეს მდგომარეობაშია.

ჰოდა, **ა.წ. 17 ოქტომბერს ჩვენი შვილი, ნუგზარ მხეიძე, რომელსაც, რა თქმა უნდა, წინასწარ 160 დოლარი გადაახდევინეს, აშშ-ის საკონსულოს ეწვია თხოვნით, მომაკვდავი დედის მოსანახულებლად გაეშვათ, მაგრამ ვიზაზე უარი უთხრეს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე(!).**

ვიმეორებ: ჩემი შვილის დედა აშშ-ის მოქალაქეა.

**რა ჰქვია ამას, ბატონო ელჩო, მეგობრობა? ბატონო კელი, როდესაც აშშ-ის მოქალაქესთან, მომაკვდავ დედასთან, გამოსამშვიდობებლად შვილს ვიზას არ აძლევთ, ჩემი აზრით, ამას სტრატეგიული პარტნიორობა არ ჰქვია, ამას სახელი არ აქვს!**

**მერე თქვენც და თქვენს აქაურ ყურმოჭრილ ენჯეოებს გიკვირთ, — მოსახლეობაში დასავლეთის მიმართ უნდობლობა იმატებს და რუსეთის მიმართ ლოიალურობა ძლიერდებაო, ამ ყველაფერს კი ეფემერულ „კრემლის პროპაგანდას“ აბრალებთ. არადა, კრემლი არაფერ შუაშია! იცოდეთ, ავანგარდში ანტიდასავლური პროპაგანდისა, თუკი ასეთი არსებობს, სწორედ აშშ-ის საელჩო დგას და მისი უგულო დამოკიდებულება.** როგორც საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ითვალისწინებთ ქართველი კაცის გულისხმას და ყველაზე ოდიოზური დამქაშები გყავთ ფავორიტებად, ისევე უგულოდ ეპყრობით რიგით ქართველს. არადა, ამ რიგითმა ქართველმა იცის, მას ჯერ კიდევ ახსოვს, რომ არათუ თანამედროვე რუსეთში, არამედ თქვენ მიერ ბოროტების იმპერიად შერაცხილ სსრკ-შიც კი, არათუ საქართველოს ან ყირგიზეთის მოქალაქეს აუკრძალავდნენ რუსეთში მყოფ მომაკვდავ დედასთან ან შვილთან გამომშვიდობებას, არამედ პატიმარსაც გამოიყვანდნენ ციხიდან სისხლხორცთან დასამშვიდობებლად!

თქვენ კი რას აკეთებთ, ბატონო იან?!

არც ერთი სერიოზული ინვესტიცია — თქვენ საქართველო „ტრუბების“ გამტარ ტერიტორიად, ხოლო ქართველი ხალხი რუსოფობიური განწყობების გასაღვივებლად გჭირდებათ, რადგანაც ჩვენი ხელეჩო „სტრატეგიული მოკავშირისა და მეგობრის“ ღმერთი მარადმწვანე მამონა იყო, რომელსაც ახლახან მოციქულად დაემატა ლგბტ-პედერასტების ჭრელი ბაირაღი!

ქართველი ხალხი ბრიყვი არ არის და ხვდება, რომ სწორედ თქვენმა ხელეჩობამ წაგვკიდა მტრად ერთმორწმუნე რუსეთი; თქვენ მფარველობთ ქართველთა სისხლსა და ცრემლში განბანილ „ნაცმოძრაობას“ და მის სადისტ ლიდერ **მიხეილ სააკაშვილს;** ჩვენ ვხედავთ, რა დამართეთ უკრაინას, როგორ „ებრძვით“ თქვენსავე შექმნილ ტერორისტულ დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოს“.

ვეღარ ვხედავთ, მაგრამ გვახსოვს, ნაჯახი საბჭოთა „იმპერია“, რომელიც აჭმევასმევდა 15 რესპუბლიკას, განსაკუთრებით — საქართველოს.

ამიტომ, ბატონო ელჩო, საქართველოში სულ უფრო მატულობს ანტიამერიკული განწყობები — აი, ამას ნიშნავს, ბატონო კელი, „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“. საქართველოში, რომელიც საბჭოეთშიც კი ყველაზე პროამერიკულად განწყობილ რესპუბლიკად ითვლებოდა, სანამ მანიაკ სააკაშვილს თავზე დაგვასვამდით, სულ უფრო მატულობს ანტიამერიკული განწყობა.

მივმართავ, აგრეთვე, **საქართველოს სახალხო დამცველსა და აშშ-ის მიერ დაფინანსებულ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს — ლგბტ-სექტისა და იეღოველების უფლებებს თავგამოდებით რომ იცავთ, შვილს მომაკვდავი დედის ნახვის უფლებას რომ არ აძლევენ, ხმას რატომ არ იღებთ?**

ნუ გეშინიათ, ნუგზარ მხეიძე იქ არ დარჩება, თუნდაც იმიტომ, რომ აქ ცოლი და ქალ-ვაჟი ჰყავს!

**პატივისცემით,**

**დავით მხეიძე**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„პრემიერმინისტრი შეგვპირდა აგუგუნებულ საქართველოს და მოგვიწოდა, გვიყვარდეს ერთმანეთი, მაგრამ სიყვარულსა და აგუგუნებას მაინცდამაინც არ ველოდებით, ამიტომ იქნება მინიკრიზისები, რომლებიც შეიძლება, საბოლოო ჯამში, სერიოზულ პრობლემებად ჩამოყალიბდეს“.

გია ხუხაშვილი:

# სამყარო იცვლება — დაველოდოთ შეერთებულ შტატებში არჩევნების შედეგებს, დაველოდოთ არჩევნებს გერმანიასა და საფრანგეთში და შესაბამისად წარვმართოთ საგარეო პოლიტიკა

**საქართველოში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური დასრულდა. „ქართულმა ოცნებამ“ საკანონმდებლო ორგანოში საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა. „ნაციონალური მოძრაობა“ კი, რომელსაც მოქმედი ხელისუფლება პოლიტიკური ველიდან გაძევებას ჰპირდებოდა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ადანაშაულებდა, მეორე ძალად დარჩა. არჩევნების შედეგად კრახი განიცადეს „ნაცმოძრაობის“ სატელიტმა პარტიებმა. ეს პოლიტიკური სუბიექტები, რომელთა წარმომადგენლებიც ამბობდნენ, რომ საქართველოს პროდასავლური პოლიტიკური კურსის გარანტები არიან, დაიშალნენ, მათი ლიდერები კი პარტიებიდან გაიქცნენ.**
**როგორ აისახება ეს პოლიტიკური პროცესები ქვეყნის კეთილდღეობაზე და რა საფრთხეების შემცველი შეიძლება იყოს „ოცნების“ ხელში საკონსტიტუციო უმრავლესობა? — ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრა ექსპერტი გია ხუხაშვილი.**

**— ბატონო გია, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტუტიციო უმრავლესობა მოიპოვა და პარლამენტში 115 მანდატით შევიდა. ეს ქვეყნისთვის საფრთხეის შემცველი ხომ არ არის?**

— საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ნიშნავს აუცილებლად ძალაუფლების უზურპაციას, თუმცა ასეთი ვითარება შეიცავს რისკს, განვითარდეს ეგრეთ წოდებული გარყვნილების ტენდენდენცია ხელისუფლებაში. ამის მაგალითი, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანის უახლეს ისტორიაში, ბევრია. არ მინდა, ხელისუფლებას ბრალი წინასწარ დავდო, იმედი მაქვს, ძალაუფლებას სახელმწიფო ინტერესებისთვის გამოიყენებენ. ჯერჯერობით წინასწარი პანიკა და სპეკულაცია ქვეყნის დაღუპვის თაობაზე მიზანშეუწონლად მიმაჩნია.

**— ბატონო გია, რით ახსნით დავით უსუფაშვილის მიერ რესპუბლიკური პარტიის დატოვებას იმ მომენტში, როცა პარტიას ყველაზე მეტად სჭირდებოდა მხარდაჭერა?**

— ვფიქრობ, **უსუფაშვილისთვის** რესპუბლიკური პარტია, დიდი ხანია, მუხრუჭად იქცა პოლიტიკური კარიერის განვითარების თვალსაზრისით. რესპუბლიკური პარტია არასოდეს გამოირჩეოდა პოპულარობით.



**— საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალური მოძრაობა“ მეორე ადგილზე გავიდა და პარლამენტში 27 მანდატი მოიპოვა. რა შედეგის მომტანი შეიძლება იყოს იმ პარტიის ყოფნა პარლამენტში, რომელსაც მოქმედი ხელისუფლება სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში ადანაშაულებდა?**

— „ნაციონალურ მოძრაობას“ არაფერი წაუგია, მეტიც — ეს პოლიტიკური ორგანიზაცია უკეთეს მდგომარეობაშია ორი მიზეზის გამო: უწინარესად, სახალხო ლეგიტიმაციის თვალსაზრისით გაიმყარა პოზიციები. თუ წინა არჩევნებზე „ნაციონალურ მოძრაობას“ დაახლოებით სამასი ათასმა ამომრჩეველმა დაუჭირა მხარი, დღეს მას ხმა ნახევარ მილიონამდე ადამიანმა მისცა. მეორე მიზეზია ის, რომ ოპოზიციურ ფლანგზე „ქართულმა ოცნებამ“, ფაქტობრივად, მთლიანად მოასუფთავა ველი — „ნაციონალური მოძრაობას“ კონკურენტი აღარ დაუტოვა და ეს პოლიტიკური ორგანიზაცია დანიშნა თავის ერთადერთ და განუმეორებელ ალტერნატივად. ამით „ნაცმოძრაობას“ შეუქმნა მაქსიმალური კომფორტი, რომელსაც ნაციონალები მაქსიმალურად გამოიყენებენ, მით უმეტეს მაშინ, როცა რიტორიკა სისხლიან ცხრა წელზე უკვე აზრს კარგავს. ამის ფონზე „ქართულ ოცნებას“ მაინცდამაინც კარგად არ უნდა ჰქონდეს საქმე.

**— „ნაციონალური მოძრაობა“ გვპირდებოდა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, მაგრამ დავკარგთ ახალი ტერიტორიები. „ქართული ოცნება“, სხვა მრავალ დაპირებასთან ერთად, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას გვიქადდა, მაგრამ ამ უზარმაზარ სახელმწიფოსთან ურთიერთობა კვლავაც მოუგვარებელია. როგორია თქვენი თვალსაზრისი საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ კურსზე?**

— პატარა ქვეყნების საგარეო-პოლიტიკური კურსი არ განისაზღვრება ხისტი პოზიციებით. დღეს ძნელი სათქმელია, როგორი პოლიტიკის გატარება დაგვჭირდება ჩვენი ადგილის საპოვნელად. დავიცადოთ, დაველოდოთ შეერთებულ შტატებში არჩევნების შედეგებს, დაველოდოთ არჩევნებს გერმანიასა და საფრანგეთში. სამყარო იცვლება, ტრანსფორმირდება და ჩვენც შესაბამისად უნდა წარვმართოთ საგარეო პოლიტიკა.

**— ბატონო გია, როგორ შეაფასებთ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს?**

— არჩევნების შედეგებს ნეგატიურად ვაფასებ. „ქართულმა ოცნებამ“ მთავარი დაპირება, რომ დაასუსტებდა და გაიყვანდა „ნაციონალურ მოძრაობას“ პოლიტიკური ასპარეზიდან, არ შეასრულა. ამის ნაცვლად გააძლიერა ეს პოლიტიკური მოძრაობა. პრემიერმინისტრი შეგვპირდა აგუგუნებულ საქართველოს და მოგვიწოდა, რომ გვიყვარდეს ერთმანეთი, მაგრამ სიყვარულსა და აგუგუნებას მაინცდამაინც არ ველოდებით, ამიტომ იქნება მინიკრიზისები, რომლებიც შეიძლება, საბოლოო ჯამში, სერიოზულ პრობლემებად ჩამოყალიბდეს.

ესაუბრა **ეკა ზარნაძე**

# სოფელ გომბორში მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალის მიმდებარე ტერიტორია მოხალისეებმა დაასუფთავეს

**„ევრაზიის ინსტიტუტის“ ინიციატივით, თბილისიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდან ჩასულმა მოხალისეებმა სოფელ გომბორში სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავეს. აქციის ორგანიზატორების განცხადებით, ტერიტორიის დასუფთავება მხოლოდ პირველი ნაბიჯია, დაგეგმილია დამტვრეული მემორიალისა და დანგრეული გალავნის შეკეთება. მსგავსი აქციები მომავალშიც გაგრძელდება და მოხალისეები საქართველოს სხვა ქალაქებსა თუ სოფლებში არსებულ მემორიალებსაც დაასუფთავებენ და აღადგენენ. ნებისმიერი ასეთი ძეგლი ჩვენი ისტორიაა, ჩვენი წარსული და იმ ადამიანების ხსოვნას უკვდავყოფს, რომლებმაც, სრულიად ახალგაზრდებმა, სხვების გადასარჩენად თავი გაწირეს.**
**მემორიალის აღდგენის იდეა, „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელს — გულბაათ რცხილაძეს ეკუთვნის, სწორედ მისი ინიციატივით ჩავიდნენ მოხალისეები სოფელ გომბორში.**

**გულბაათ რცხილაძე:**

— საქართველოში სამამულო ომისადმი მიძღვნილი ბევრი ძეგლი და მონუმენტია მიმოფანტული და ზოგჯერ მათ მიმდებარე ტერიტორიაზევეა საძმო სასაფლაოები. ბევრი დაზიანებული და თითქმის განადგურებულია, ამიტომ გადავწყვიტეთ, მსგავსი აქცია სხვა ქალაქებსა და სოფლებშიც მოვაწყოთ. ამ მიზნით მალე სოფელ კოჭბაანში ჩასვლას ვაპირებთ.

აუცილებელია მარმარილოს გაკეთება, ქვაზე გვარები ხელახლა უნდა ამოიტვიფროს. სამწუხაროდ, ქართველი ბიზნესმენები დახმარებისთვის თავს არ იწუხებენ და სრულ ინერტულობას იჩენენ. ერთმა ქართველმა ბიზნესმენმა, რომლის ვინაობასაც არ გავამხელ, უარი მითხრა მხარში ამოდგომაზე. ისევ რუსი მეგობრები დამეხმარნენ. ვფიქრობ, ის ფაქტი, რომ სოფელ გომბორში მემორიალი და ფოტოები დაზიანებული და დამტვრეული დაგვხვდა, ორი ფაქტორითაა განპირობებული — მოუვლელობითა და განზრახ დაზიანებით. არ ვიცი, ვის რას უშავებდა ეს მონუმენტი, რომელიც მათი წინაპრების ხსოვნას ეძღვნება, მაგრამ ამ ახალმა დროებამ ბევრს პატრიოტიზმის განცდა დააკარგვინა. ამიტომ გადავწყვიტე, ჩვენი ახალგაზრდები უახლესი ისტორიის პრაქტიკულ შესწავლაში ჩამერთო. ჩემი იდეა აიტაცეს ახალგაზრდული ორგანიზაცია „9 მაისის“ წევრებმა, მისმა ხელმძღვანელმა **მიხეილ აფციაურმა**. ახალგაზრდა ენთუზიასტებმა სხვადასხვა ქალაქიდან. და, როდესაც ადგილობრივმა მოსახლეობამ ეს ერთსულოვნება დაინახა, გამოვიდა და მოგვეხმარა დასუფთავებაში. ხალხი მონდომებულია. მათ, უბრალოდ, უნდათ, მაგალითი დაინახონ. როდესაც ადამიანები ხედავენ, რომ მათზე არც სახელმწიფო ზრუნავს და არც არავინ, ნიჰილისტურად არიან განწყობილნი.

**მიხეილ აფციაური, ორგანიზაცია „9 მაისის“ ხელმძღვანელი:**

— საქართველოში ახალგაზრდებმა რატომღაც დაივიწყეს ისტორია. დაივიწყეს, რომ ჩვენმა წინაპრებმა სიცოცხლის ფასად დაამარცხეს ფაშიზმი, ამიტომ გადავწყვიტეთ, მაგალითი მივცეთ ახალგაზრდებს, რათა ისინი მომავალშიც მოვიდნენ, დაასუფთავონ მემორიალის მიმდებარე ტერიტორია და პატივი მიაგონ გმირებს. ეს აქცია მომავალშიც გაგრძელდება.

**ირაკლი წიგნაძე, თელავის მკვიდრი:**

— როდესაც მეგობრისგან შევიტყვე ამ აქციის შესახებ, გადავწყვიტე, წამოვსულიყავი და ჩემი წინაპრებისადმი პატივისცემა გამომეხატა, რადგან მიმაჩნია, რომ ეს ჩემი მოვალეობაა და ჩვენ, ყველანი, ვალდებული ვართ, ასე მოვიქცეთ. მე, როგორც თელაველი, კახელი კაცი, პატივს ვცემ სამამულო ომის გმირებს. სამამულო ომის მონაწილეებმა, რომელთა ხსნოვნის პატივსაცემადაც ეს მემორიალი გაკეთდა, ფაშიზმი შეაჩერეს და ნუთუ ელემენტარული პატივისცემის ღირსნი არ არიან? თვეში ერთხელ მაინც რომ მივიდეს ვინმე, დაასუფთაოს იქაურობა და პატივი მიაგოს გმირებს?! სააკაშვილის ცხრაწლიანმა რეჟიმმა ქართველ ხალხს სამამულო ომის გმირებისა და ისტორიის პატივისცემა საერთოდ დააკარგვინა.

**ელდარ პაპუნაშვილი, თელავის მკვიდრი:**

— როგორც კი შევიტყვე ამ ინიციატიცის შესახებ, გადავწყვიტე, წამოვსულიყავი და ამ დიდ საქმეში პატარა წვლილი შემეტანა. მე, როგორც აფხაზეთის ომის ვეტერანს, აუცილებლად და სავალდებულოდ მიმაჩნია, ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა, რადგან იმ ადამიანებმა, რომლებიც დიდი სამამულო ომიდან ვერ დაბრუნდნენ, საკუთარი სიცოცხლე გაწირეს საქართველოს გადასარჩენად. ეს არ უნდა დაივიწყოს ახალგაზრდობამ. დიდ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნის დაფასება ჩვენი ვალდებულებაა.

**ემზარ შალიკაშვილი, ხელმძღვანელი არასამთავრობო ორგანიზაციისა „სამხრეთი ბუდე“:**

— ჩემს მეგობარ გულბაათ რცხილაძესთან ერთად გადავწყვიტე, აქ ჩამოვსულიყავი და სამამულო ომში დაღუპულთა ხსნოვნისთვის პატივი მიმეგო. ეს ხომ ერთგვარი ინტერნაციონალური სასაფლაოა. სოფელ რუისპირშიც გვაქვს მეორე მსოფლიო ომისადმი მიძღვნილი მემორიალი, წარმოიდგინეთ, ერთი სოფლიდან 150 კაცი ვერ დაბრუნდა ომიდან, ეს ხომ პატარა დანაკარგი არ იყო ერთი სოფლისთვის.

სხვათა შორის, ჩემი ინიციატივით თელავში მოვძებნე და აღვადგინე ჩეხი და რუსი მფრინავების საფლავები. მინდა აღვნიშნო, რომ ამ ყველაფერს „გეორგიევსკის ორდენის“ სახელით ვაკეთებ, ვინაიდან მიმაჩნია, რომ დროა, თელავში იყოს სამხრეთი ბუდე „გეორგიევსკის ორდენისა“.







მოამზადა **შორენა ციქარაშვილმა**

„ჩემი საქმის პროკურორი, კაცი, რომელიც შვილების დაჭერით მემუქრებოდა, ჩემ წინააღმდეგ მთელი ეს ცილისწამება შეთხზა და მისი დამსახურებით 12 წელი მომისაჯეს, როგორც აღმოჩნდა, დღესაც პროკურატურაში მუშაობს და თავს მშვენივრად გრძნობს“.

ხანდაზმულობის ვადის გარეშე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

შაქრო ზურაშვილი:

# ეგონათ, მოვკვდი, სასწრაფო დახმარება გამოიძახეს და უთხრეს, მორგში წაიყვანეთო



**საზოგადოებამ საქართველოს ციხეებში პატიმრებისადმი არნახული სისასტიკით მოპყრობის შესახებ რამდენიმე წლის წინათ შეიტყო და ყოფილი ხელისუფლების მმართველობას წერტილი დაუსვა. მსოფლიომ შეიტყო, როგორი სისასტიკით უსწორდებოდნენ უდანაშაულო ადამიანებს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ წინააღმდეგ ხელისუფლებას პირადი მიზნები ამოძრავებდა, ამ ყველაფერს კი თავისუფლებისა და დემოკრატიის სახელით ახორციელებდა.**

**ციხეში წამების ფაქტებზე, მართალია, დრო და დრო ვრცელდებოდა ინფორმაცია, მაგრამ მათზე რატომღაც ყველა თვალს ხუჭავდა და ყოფილი პრეზიდენტიც ამერიკელებისთვის კვლავ „დემოკრატიის შუქურად“ რჩებოდა, მსოფლიოს საზოგადოებრიობისთვის კი — თავისუფლებისა და სამართლიანობის მედროშედ... როგორც ყოფილი პატიმრები ამბობენ, დამნაშავეები არც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დასჯილან და არც ყოფილი პოლიტიკური პატიმრების რეაბილიტაცია განხორციელებულა. მეტიც, როგორც ჩანს, ქართველი საზოგადოების ნაწილს პოლიტიკური ამნეზია დაემართა, ვინაიდან ახლახან გამართულ საპარლამენტო არჩევნებში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხმების 27% მოიპოვა... არასოდეს რომ არ დავივიწყოთ ის სისასტიკე და უკანონობა, რომელიც ახლო წარსულში ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა, „საქართველო და მსოფლიო“ რუბრიკით „ხანდაზმულობის ვადის გარეშე“ ამჯერად გთავაზობთ ინტერვიუს ყოფილ პოლიტპატიმარ შაქრო ზურაშვილთან, რომელიც 2011 წლის 26 მაისს, საპროტესტო აქციის დარბევისას, ნინო ბურჯანაძის ავტომანქანას მართავდა. მიუხედავად იმისა, რომ არც ბრალი უღიარებია და არც სათანადო მტკიცებულები წარუდგენიათ მის წინააღმდეგ, ორი პოლიციელის მკვლელობაში ბრალდებულ შაქრო ზურაშვილს 12 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.**

— აქციის ღამესვე დამიჭირეს, უკვე ჩუბინაშვილის ქუჩაზე ვიმყოფებოდი, როცა მოვიდნენ და ეზოდან წამიყვანეს დიღომში, პოლიციის მთავარ სამმართველოში, სადაც სასტიკად მცემეს. წარმოიდგინეთ, მთელი ეზო სავსე იყო პოლიციელებითა და სპეცრაზმელებით და ყველა მე მცემდა. მცემდნენ ფეხებით, ხელკეტებით, იარაღის კონდახით, ბეისბოლის ჯოხებით. განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინეს, ყველას გამოუცხადეს, ეს ის კაცია, რომელმაც უდანაშაულო პოლიციელები დახოცა და პატარა ბავშვები დააობლაო. ამდენი ცემისგან მხედველობაც დავკარგე — ველარაფერს ვხედავდი, მხოლოდ ხანდახან, როდესაც გონს მოვდიოდი, ხმები ჩამესმოდა. **მახსოვს, როდესაც ეგონათ, ცოცხალი აღარ ვიყავი, სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახეს და ექიმმა თქვა, — ხელის ამპუტაცია დასჭირდებაო, რადგან ხელები ცემისგან სულ გაშავებული მქონდა. ჩვენი ორი თანაპარტიელი ყოფილა პოლიციის შენობაში მეექვსე სართულზე და, როდესაც იქ ამიყვანეს, მითხრეს, უკვე მკვდარი გვეგონეო.**

ეგონათ, მოვკვდი. სასწრაფო დახმარება გამოიძახეს და უთხრეს, მორგში წაიყვანეთო, მაგრამ, რაკი ცოცხალი ვიყავი, სასწრაფოს ექიმმა ჩაფიძის კლინიკაში გადამიყვანა. 26 მაისს, დილის ექვსის ნახევარზე მიმიყვანეს საავადმყოფოში და მხოლოდ დღის ორ საათზე მოვედი გონს. როგორც კი თვალი გავახილე, მაშინვე ისევ დიღომში, პოლიციის სამმართველოში წამიყვანეს.

პოლიციის სამმართველოში გამუდმებით მაყურებინებდნენ ტელევიზორს, როგორ აცხადებდნენ, რომ მე მოვკალი ორი პოლიციელი — **ვლადიმერ მანსურაშვილი** და **ნოდარ ცხადაძე.** როცა, ვთქვი, რაღაც გაუგებრობაა, არავინ მომიკლავს-მეთქი, პოლიციის თანამშრომელმა ტელეფონის კაბელი ჩამარტყა თავში, თან მეუბნებოდა, როცა კაცს კლავდი, მაშინ არ იყავი ცუდადო?! ვამტკიცებდი, კადრებში ნაჩვენებია „ემ-ელის“ ჯიპი, ჩემი ავტომობილი კი „ტოიოტა პრადოა“-მეთქი. ამის შემდეგ ბრალდება შეცვალეს, ვითომ არავინ მომიკლავს, მაგრამ ვაკის რაიონის სოდის თანამშრომელს, ვინმე **ლევან ნინოშვილს**, წაქცეულს მანქანით გადაუარაო. ესეც აბსურდი იყო. ამის შემდეგ დამიმატეს 353-ე მუხლი და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევაც დამაბრალეს. გააყალბეს ჩემი ხელმოწერა — თითქოს შინ მომივიდა უწყება და მასზე ხელი მოვაწერე.

მათ ჰქონდათ ვილაცის ტელეფონით გადაღებული იმლამინდელი კადრები, რომლითაც მიმტკიცებდნენ, რომ დამნაშავე ვიყავი. ეს კადრები ჩემმა ადვოკატმა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში წაიღო. დასკვნის თანახმად, ნინო ბურჯანაძის კორტეჟის მანქანების ვინმესთან ან რაიმესთან შეჯახება გამოირიცხა. **ჩემი გარეთ გამოშვება უკვე აღარ აძლევდათ ხელს, რადგან სასტიკად ნაცემი ვიყავი. ცემისგან სულ გავშავდი, კბილები აღარ მქონდა, დამემართა ამნეზია, კანტუზია, რა აღარ მჭირდა. თან ქალბატონი ნინო ბურჯანაძის ეშინოდათ, იცოდნენ, მსოფლიოს აჩვენებდა ამ კადრებს. ამიტომ, როგორც აღვნიშნე, ერთი თვის შემდეგ ბრალი დამიმძიმეს და, მიუხედავად იმისა, რომ არანაირი მტკიცებულება ჩემ წინააღმდეგ არ ჰქონდათ, 12 წელი მომისაჯეს.**

**— დაღუპული პოლიციელების ოჯახები თუ დაგიკავშირდნენ?**

— დიახ, ჩვენი პარტიის ოფისშიც მოვიდნენ გარდაცვლილი პოლიციელის — ვლადიმერ მანსურაშვილის და და სიძე, ქალბატონმა ნინომ შესთავაზა მათ, ყველაფერს გამოვიძიებ და გავარკვევ, ვინ არის თქვენი ძმის მკვლელიო, რაზეც უარი განაცხადეს, რადგან ემუქრებოდნენ და ეშინოდათ, რომ უარესს დამართებდნენ. მათ იცოდნენ, რა მოხდა სინამდვილეში.

**— ფიქრობთ, რომ ის პოლიციელები იქ არ დაღუპულან და შემდეგ მიიტანეს ცხედრები?**

— დიახ, წინა დღეს მანსურაშვილს სახლში უთქვამს, ისეთი რაღაც ვიცი, რაც არ უნდა ვიცოდე, და ვიცი, მომკლავენ, არ დამინდობენო.

**— ციხეში რა ვითარება დაგხვდათ?**

— ციხეში ძალიან დაძაბული ვითარება დამხვდა, არა მგონია, მსოფლიოს რომელიმე ციხეში ანალოგიური ვითარება იყოს. პატიმრის საცემად მიზეზი არც სჭირდებოდათ. მაგალითად, **შემოიხედავდა ციხის ზედამხედველი, დაგინახავდა, იჯექი და აგიშარდებოდა, — რატომ ზიხარო ან რატომ ლაპარაკობო და ამის გამო შეიძლებოდა, სასტიკად ეცემე. ან გაალებდნენ კარს და გიბრძანებდნენ, — გამოდიო და შემდეგ შარს მოგდებდნენ, ნელა გამოხვედიო და გცემდნენ.** განსაკუთრებული ზეწოლა იმ პატიმრებზე მიმდინარეობდა, რომლებიც აღიარებით ჩვენებაზე უარს ამბობდნენ. მართალია, ციხეში უკვე აღარ მცემდნენ, მაგრამ საშინელი ფსიქოლოგიური ზეწოლა იყო ჩემზე. ზოგჯერ მთელ საკანს სცემდნენ ჩემ გამო, პატიმრები რომ გადამმტერებოდნენ.

ჩემი საქმის პროკურორმა კი პირდაპირ მითხრა, **ანზორ ბიწაძეს** დაადე ხელი, ვითომ იმ ღამეს ის იჯდა საჭესთანო. არადა, ანზორ ბიწაძე საერთოდ არ ყოფილა ჩემს მანქანაში. მეუბნებოდა, რა გინდა, შენ თქვი და ჩვენ მოვაგვარებთ საქმესო. **თუ დანაშაულს ანზორ ბიწაძეს არ დააბრალებდი, შვილების დაჭერით მემუქრებოდნენ.** ორი ვაჟი მყავს: ერთი სტუდენტი იყო, მეორე — მე-11 კლასელი და მითხრეს, იარაღს და ნარკოტიკს ჩავუდებთო. ჩემი გოგონა კი, რომელიც აღსრულების ეროვნულ ბიუროში მუშაობდა, ჩემ გამო სამსახურიდან გააგდეს. **ნიკა მელია, დღეს რომ თავი „ანგელოზად“ მოაქვს, აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსი იყო და სწორედ მან გააგდო ჩემი შვილი სამსახურიდან. გასაგებია, რომ ეს მისი სურვილით არ მომხდარა, დავალება მიიღო, მაგრამ ეს უკანონო და სამარცხვინო დავალება პირნათლად შეასრულა.**

როდესაც ანზორ ბიწაძისთვის დანაშაულის დაბრალებაზე უარი განვაცხადე, ორი კვირის განმავლობაში ვილაცას ხმამაღლა აგინებდნენ, სცემდნენ და აწამებდნენ, თან ჩემს გვარს იმეორებდნენ, რათა მეფიქრა, რომ ჩემი შვილი დაიჭირეს და აწამებენ.

**როდესაც ერთმა პატიმარმა შიმშილობა გამოაცხადა, აბანოში გაიყვანეს და იქ ძირს დაგდებული, ვილაცის ნახმარი საპონი აჭამეს.** ყველაფერი ხდებოდა — პატიმრების წამება, ცემა, გაუპატიურება. ამას ბევრი ვერ უძლებდა. ჩვენი **საკნის ფანჯრებიდან ციხის საავადმყოფო ჩანდა, პატიმრები „წითელ პარასკევს“ ეძახდნენ იმ დღეს, როდესაც კარანტინს შლიან და პატიმრებს სასტიკად სცემენ.** ასეთ შემთხვევაში, სულ ცოტა, 7-8 დასისხლიანებული კაცი მაინც შეჰყავდათ საკაცით საავადმყოფოში. ღამით კი 3-4 მიცვალებული გაჰყავდათ...

**— ასეთი სისასტიკის მიზანი რა იყო?**

— ხალხში შიშის დანერგვა სურდათ. თითოეული პატიმრის უკან ოჯახი, ნათესავები, ახლობლები იდგნენ და ყველას უნდა სცოდნოდა, რა დაემართებოდა წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, თუ ხელისუფლების სურვილს წინ აღუდგებოდნენ.

# «როდესაც ერთმა პატიმარმა შიმშილობა გამოაცხადა, აბანოში გაიყვანეს და იქ ძირს დაგდებული, ვილაცის ნახმარი საპონი აჭამეს»

**— ხერხემალი დაგიზიანდათ, ყავარჯნების გარეშე კარგა ხანს გადაადგილება გიჭირდათ, კომპენსაცია თუ მიიღეთ?**

— არავითარი კომპენსაცია არ მიმიღია. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას ველოდები. მაგრამ**, ვინაიდან საქმე სტრაზბურგის სასამართლოში განიხილება და, როგორც ჩანს, სახელმწიფოს მიმართ შეკითხვები გაჩნდა, იუსტიციის სამინისტროდან შემომთავაზეს, — 6 ათას ევროს გაძლევთ, ოღონდ გამოიტანე საჩივარიო. მუქარისა და ულტიმატუმის ტონიც დაჰკრავდა ამ შემოთავაზებას — აიღე ეს თანხა, თორემ, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანს, ამ თანხასაც აღარ შემოგთავაზებთო.** ცოტა ხანში 5 ათასი ევრო შემომთავაზეს და ბოლოს, დაახლოებით ორიოდე თვის წინათ, მითხრეს 15 ათას ევროს გადაგიხდით, წამებულადაც გაღიარებთ, ოღონდ საჩივარი გამოიტანეო.

**— ამ შემოთავაზებაზეც უარი განაცხადეთ?**

— დიახ, რადგან ეს არის დაცინვა. ეს თანხა ჩემი ხერხემლის ოპერაციას არ ეყოფა. ხერხემლის მე-5 მალა მაქვს დაზიანებული, ფეხი დღესაც მიჩერდება. უამრავი დაზიანება მივიღე. **ეს თანხა ვერ აანაზღაურებს იმ ოც თვეს, რომელიც მე ციხეში უსამართლოდ გავატარე და ხელფასი არ ამიღია. 45 ათასი დოლარის ღირებულების მანქანა წამართვეს, რომელიც ჯერაც არ დაუბრუნებიათ.** მართალია, ეს მანქანა ბადრი ბიწაძეზე იყო გაფორმებული, მაგრამ მე ჩამომართვეს, როგორც დანაშაულის იარაღი, და დღემდე არ დაუბრუნებიათ.

**ციხეში იქით მთხოვდნენ ფულს, 45 ათასი ევრო მოიტანე სოდის თანამშრომლის — ნინოშვილის სამკურნალოდო, რომელსაც ვითომ მანქანით გადავუარე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბინის გაყიდვით მემუქრებოდნენ. ქირით ვცხოვრობდი და რას გამიყიდდნენ. ამის შემდეგ თავი დამანებეს.**

როდესაც გათავისუფლების შემდეგ პირველად დამიბარეს პროკურატურაში, შევიტყვე, რომ ჩემი საქმის პროკურორი **პროკოფი ჭანკვეტაძე** ძველებურად განაგრძობდა მუშაობას. პროკურატურაშივე განვაცხადე, — არც მაგ კაცს და არც მის მისამართს არ ვეძებ, მაგრამ, თუ ახლა აქედან გასვლისას ამ შენობაში სადმე შემთხვევით გადამეყრება, პასუხისმგებლობას ვიხსნი და ვერ მოგცემთ გარანტიას, რომ ცოცხალს დავტოვებ და, გინდათ, ისევ დამიჭირეთ-მეთქი. **ჩემი საქმის პროკურორი, კაცი, რომელიც შვილების დაჭერით მემუქრებოდა, ჩემ წინააღმდეგ მთელი ეს ცილისწამება შეთხზა და მისი დამსახურებით 12 წელი მომისაჯეს, როგორც აღმოჩნდა, დღესაც პროკურატურაში მუშაობს და თავს მშვენივრად გრძნობს.** არადა, სამჯერ შევიტანე საჩივარი და გენერალური პროკურატურიდან არავითარი გამოხმაურება ჩემს საჩივრებს არ მოჰყოლია.

ესაუბრა **შორენა ციბქარაშვილი**

**ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**რომელი სჯობდა ჩვენი ქვეყნისთვის — „ნაციონალური მოძრაობა“ უკვე საბოლოოდ ნიღაბჩამოხსნილი, დამნაშავედ გამოცხადებული, დაშლილი და გაუქმებული ორგანიზაცია ყოფილიყო და ხალხს ამაში ივანიშვილის დამსახურება სათანადოდ ვერ დაენახა, ვერ დაეფასებინა თუ ის, რაც ახლა ხდება — ხალხი აღიარებს ბელადი ბიძინას დამსახურებებს, მაგრამ ეს ხდება იმის ფონზე, რომ მანიაკებისა და დამნაშავეების ბანდა ამ ბელადის ხელშეწყობით 28 პროცენტით შედის ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში?**

# 27 სისხლისფერი კომისარი

**მიხვდებოდით, რომ ამ სათაურის შთაგონების წყარო ელექტრონული მედიით გავრცელებული საქართველოს 2016 წლის პარლამენტის გრაფიკული გამოსახულებაა. ამ გრაფიკულ გამოსახულებაზე ლურჯი ფერით არის მოცემული „ქართული ოცნების“ ადგილები საქართველოს ახალ პარლამენტში, ყვითლით — „პატრიოტთა ალიანსისა“, ხოლო 27 წითელი (სისხლისფერი) წერტილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ადგილებს აღნიშნავს. ეს მხოლოდ ვიზუალური ასოციაციაა, თუმცა შინაარსობრივადაც ნაცებმა თავიანთი 9-წლიანი მანიაკური მმართველობის განმავლობაშიც არაერთხელ მოგვაგონეს 26 ბაქოელი წითელი კომისარი, რომლებიც ბოლშევიზმის საქმეს შეეწირნენ და რომელთა ძეგლიც მრავალი წელი ამშვენებდა თბილისში ავლაბრის მოედანს.**




26 წითელი ბაქოელი კომისარი შეუბრალებლად დახვრიტესო — ისე გვიჩუყებდნენ გულს ბავშვობაში მასწავლებლები, გეგონებოდა, ეს კომისრები, ვიდრე მოწინააღმდეგე კლასობრივი ძალის რისხვა მათ მოუბრუნდებოდათ, მინდორში პეპლების ჭერით იყვნენ დაკავებულნი.

ისე, ამითაც გვაგონებენ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები წითელ კომისრებს. **ნაცები ისე მოთქმითა და ვაი-ვიშით საუბრობენ „არჩევნების გაყალბებასა“ და „ქვეყანაში გამეფებულ ძალადობაზე“, გეგონება, სათოფეზეც არ გაჰკარებიან წინაწარ შემოხაზულ საარჩევნო ბიულეტენებს, ყალბ პირადობის მოწმობებს ან სულაც იღლიაში ამოდებული არასოდეს ურბენინებიათ აქეთ-იქით საარჩევნო ურნები, ძალადობასა და ადამიანების ქუჩა-ქუჩა დახვრეტაზე აღარაფერს ვამბობ.**

რაღა თქმა უნდა, ღვთის მადლით, გამორიცხულია, 27 წითელმა ქართველმა პარლამენტარმა ბოლომდე გაიზიაროს 26 წითელი ბაქოელი კომისრის ბედი, ანუ ამათ ნამდვილად არავინ დახვრეტს, მაგრამ კარგია, თუ ისიც გამორიცხული იქნება ჩვენს ქვეყანაში, რომ მოგვიანებით მათი მომხრეები და თანამოზარეები ისევ მობრუნდნენ ამ ხელისუფლებაში, როგორც ეს XX საუკუნის 20-ან წლებში აზერბაიჯანში მოხდა.

თუმცა, თუკი კარგად დავაკვირდებით, საქართველოს 2016 წლის მოდიფიკაციის პარლამენტში ნაცები, თუ საკონსტიტუციო უმრავლესობით არა, უბრალო უმრავლესობით ისედაც არიან.

აბა, დააკვირდით: **27 ნაციონალი „ნაციონალური მოძრაობის“ სიით მოხვდა პარლამენტში, სულ ცოტა, ამდენივე კი — „ოცნების“ სიით, ანუ ვგულისხმობ იმ ლურჯად „გადაღებილ“ ყოფილ წითლებს, რომლებიც ამჯერად „ოცნების“ პარტიულ სიაში იღერებენ ყელს ან № 41 მაჟორიტარად მოევლინენ ამომრჩეველს. მერწმუნეთ, თუმცა ვფიქრობ, საზოგადოებას დიდი დარწმუნება არც სჭირდება, რომ პარლამენტში შესული „ლურჯების“, ნახევარი თუ არა, მესამედი მაინც, კარგად რომ გადავფხიკოთ, აუცილებლად გამოჩნდება ჯერაც კვასკვასა წითელი საღებავი...**

ასე რომ, საბოლოოდ წითლები პარლამენტში 50 კაცზე მეტი მაინც გამოდიან და ეს რიცხვი უკვე კატასტროფულად უახლოვდება უბრალო უმრავლესობის ზღვარს!

ასეთ ფონზე, რა თქმა უნდა, სრულიად გაუგებარია „ლურჯების“ მხარდამჭერთა ყიჟინა და ბელადის სახოტბო რიტორიკა — „აი, ხომ დაასამარა ბიძინამ ნაცები?!“, „ნაცების პოლიტიკური ქელეხი როდის არის?“, „მორჩა, დაიმარხა „ნაციონალური მოძრაობა“, „ბრავო გროსმაისტერ ბიძინას“ და სხვ. ლოგიკისგან სრულიად მოწყვეტილი და რეალობისგან ძალიან შორს მდგომი ფრაზები.

**ჩემი ზემოთ მოტანილი შეფასება ცოტა გადაჭარბებულადაც რომ მიიჩნიოთ და ნაცებს საქართველოს მეცხრე მოწვევის პარლამენტში მხოლოდ 27 რეალური ადგილი არგუნოთ, 150-ადგილიან უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში 27 ადგილის მიღება მაინც არ არის „დასამარება“, „დამარხვა“, „მოსპობა“ და „არგადარჩენა“!**

მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს სწორედ ის პოლიტიკური ძალაა, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დამნაშავეებად, მკვლელებად, მწამებლებად აღიქვამს და, წესითა და რიგით, მათ არათუ ადგილები უნდა მიეღოთ პარლამენტში, არამედ, საერთოდ, უნდა შეეწყვიტათ არსებობა, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეთა გაერთიანებას.

მაშ, **სად არის ბატონი მილიარდერის „გროსმაისტერობა“ და რაში გამოიხატება ის? მოწინააღმდეგე, რომელიც ბატონ „გროსმაისტერს“ შეეძლო აღეგავა პირისაგან მიწისა, აგერ სერიოზულ გავლენას ახდენს პოლიტიკურ პროცესებზე და საკანონმდებლო ორგანოში ოფიციალურად იფორმებს „მეორე ძალის“, ანუ ყველაზე დიდი ოპოზიციური გაერთიანების სტატუსს(!).**

2012 წელს ნაცების მიერ მოპოვებულ 60-მდე ადგილს წონითა და მნიშვნელობით გაცილებით სჯობს 2016 წელს მოპოვებული 27 ადგილი. რატომ? იმიტომ, რომ, თუკი წინა პარლამენტში ვინმეს შეეძლო ნაცებისთვის ეთქვა, 2012 წელს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას თქვენ აკონტროლებდით და 40 პროცენტი ტოტალური გაყალბების შედეგად მიიღეთო, ამჯერად, ანუ 2016 წელს, ნაცები უკვე სრულიად დაუყვედრებელ, ოფიციალურ, კანონიერ, სამართლიან და „გაპრავებულ“ 27 ადგილს ფლობენ.

ჩნდება კითხვა — იქნებ ბელადმა „გროსმაისტერმა“ განგებ დაუშვა ეს? აკი მაშინაც, 2012 წელსაც, ხალხის დიდი ნაწილი გაიძახოდა, — ნაცებს რომ არ გაეყალბებინათ, ეგენი 10 პროცენტსაც ვერ აიღებდნენ არჩევნებზე მისული ამომრჩევლის ხმებიდან, ხოლო, თუ არჩევნებზე ყველა მოვიდოდა, ანუ აქტივობა მაღალი იქნებოდა, ნაცების მხარდამჭერთა ხმები 5-პროცენტიან ნიშნულსაც ვერ ასცდებოდაო....

რატომღაც, დაახლოებით ასეთივე მოლოდინი იყო საზოგადოების არც ისე მცირე ნაწილში ამ არჩევნებზეც.

სიმართლე ითქვას, მე და არაერთი ჩემი კოლეგა და მეგობარი რეალობას ზუსტად ვაფასებდით და ყოველთვის ვამბობდით, რომ ნაციონალების მხარდამჭერთა საერთო რაოდენობა ამ ქვეყანაში, სულ ცოტა, 15 პროცენტია, რაც გამართლდა კიდეც, რადგან მათ, როგორც წესი, მხარდამჭერების 100-ვე პროცენტის მობილიზება შეძლეს და 48-პროცენტიან აქტივობაში 28 პროცენტი მოიპოვეს. ეს კი, სწორედ იმას ნიშნავს, რომ მაღალი აქტივობის პირობებში, მათი მხარდაჭერა 14 პროცენტს გაუტოლდებოდა, ანუ **ნაცებს საქართველოს მოსახლეობის 14 პროცენტი უჭერს მხარს.**

ეს უკვე ფაქტია, მაგრამ, ალბათ, ყველას გვახსოვს, რა პროპაგანდა მიმდინარეობდა არჩევნებამდე: რომ „ნაციონალური მოძრაობა“ თურმე „რადარებიდან არის გამქრალი“, რომ მათ „გაუჭირდებათ 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვა“ და ა. შ.

ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთი სვლებით ბიძინა ივანიშვილმა ისევ და ისევ ჩვეული ეგოიზმით ხალხს დაანახვა, რა საჭიროა მისი პერსონა ნაცების წინააღმდეგ საბრძოლველად? ანუ უფრო გასაგებად რომ ვთქვათ — ბიძინა ივანიშვილს რომ გამოეყენებინა ყველა სახელისუფლო კანონიერი ბერკეტი და „ნაციონალური მოძრაობისთვის“ საერთოდ აეკრძალათ არჩევნებში მონაწილეობა და ის სულაც გაუქმებულიყო, როგორც პოლიტიკური პარტია, განა ვინმე დაუფასებდა ამას?

განა ხალხი არ იტყოდა, — დიდი რამე! თუ აკრძალეს ეს პარტია და დიდი საქმეც ეგ არის, რა, თუ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად არ დაუშვეს, ეგენი ხომ ისედაც გაფარჩაკებულები იყვნენ და, რომც მიეღოთ არჩევნებში მონაწილეობა, მაგათ ხალხის 2 პროცენტიც არ მისცემდა ხმასო.

ასე და ამგვარად, ივანიშვილსა და დღევანდელ ხელისუფლებას „ნაცების“ საწინააღმდეგო მეცადინეობა ფუჭად ჩაუვლიდა.

ახლა კი **საზოგადოებამ აშკარად დაინახა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ჯერაც ფეხზე მდგარი, წელში გამართული ძალაა და მას მოსახლეობის, სულ ცოტა, 14 პროცენტი უჭერს მხარს, რაც არც ისე ცოტაა და მაშასადამე, ეს ძალა ჯერ ისევ საფრთხეა ჩვენი ქვეყნისთვის. ხოლო ამ საფრთხისთვის რეალური წინააღმდეგობის გამწევი და იმის გარანტი, რომ ისინი ხელისუფლებაში კვლავ უმრავლესობით ვეღარ დაბრუნდებიან — მხოლოდ და მხოლოდ ბიძინა ივანიშვილია!**

ხომ არ ფიქრობთ, რომ სწორედ ამ მიზნის მისაღწევად იღვაწა ივანიშვილმა და ყველას აშკარად და თვალნათლივ დაგვანახვა ეს, რომ აღარავის ხმა არ ამოეღო ისედაც, უივანიშვილოდაც, მიფარჩაკებული „ნაციონალური მოძრაობის“ შესახებ?

ბელადით აღფრთოვანებული ბევრი თაყვანისმცემელი მილიარდერის ასეთ საქციელს აფასებს, როგორც მის ნიჭს, გონიერებას და დადებით თვისებას — **„ნახეთ, რა მაგრად გათვალა ყველაფერი?!“ „ვაჰ, რა შებერტყილია, კაცო, დედა უტირა ყველას!“** და მსგავსი შეძახილებით სავსეა სოციალური ქსელებიცა და საზოგადოებრივი ტრანსპორტიც. სინამდვილეში კი, **ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, „ჭკვიანობა“ კი არა, ამომრჩევლის, მოსახლეობის კეთილსინდიერებისა და სამოქალაქო შეგნების ბოროტად გამოყენებაა ბიძინა ივანიშვილის მხრიდან.** დღევანდელ საქართველოში უკადრებლის კადრება რატომღაც „ჭკვიანობის“ სინონიმად არის მიჩნეული. თორემ გათვლით ბევრი რამ შეიძლება გათვალო ადამიანმა და მიხვდე, რა როგორ შეიძლება განვითარდეს, როდის შეიძლება მიიღო დაფასება და როდის შეიძლება შენთვის ფუჭად ჩაიაროს რაიმე მეცადინეობამ, მაგრამ ის კარგი და დადებით იყოს ქვეყნისთვის.

აი, სწორედ ეს არის ივანიშვილის დამახასიათებელი შტრიხი — **ის არაფრის დიდებით არ გააკეთებს არაფერს, არაფრის დიდებით არ გადადგამს ქვეყნისთვის, სახელმწიფოსთვის დადებით ნაბიჯს, თუკი ბოლომდე არ არის დარწმუნებული, რომ ამაში მისი მონაწილეობა და დამსახურება სათანადოდ იქნება დაფასებული!**

**არადა, რეალური მოღვაწენი, რეალური მამულიშვილები, არასოდეს ფიქრობენ, დაუფასებს თუ არა მათ რაიმეს „უმადური“ ერი. ეს სამშობლოსთვის ასეა საჭირო და ისინი ამას აკეთებენ არა იმიტომ, რომ „ბელადის“ დიდება მოიპოვონ, არამედ იმიტომ, რომ „აქა დგანან და სხვაგვარად არ ძალუძთ“!**

აი, სწორედ ამ უანგარობას არის დაშორებული ივანიშვილი და სწორედ მისი ზნეობისაგან ძალიან შორს მდგარი ხასიათის შედეგია ის ყბადაღებული კოაბიტაციაც, როდესაც ზოგიერთი ნაცი მიუტევებელი დამნაშავეა, ზოგიერთი კი — „სისტემის მსხვერპლი“ და მაღალ სახელმწიფოებრივ თანამდებობასაც კი იმსახურებს, ბიძინას ხასიათისა და ბიძინასთან მისი „ვაზელინური“ დამოკიდებულების მიხედვით...

თუ არადა, მაშინ მიპასუხეთ **— რომელი სჯობდა ჩვენი ქვეყნისთვის — „ნაციონალური მოძრაობა“ უკვე საბოლოოდ ნიღაბჩამოხსნილი, დამნაშავედ გამოცხადებული, დაშლილი და გაუქმებული ორგანიზაცია ყოფილიყო და ხალხს ამაში ივანიშვილის დამსახურება სათანადოდ ვერ დაენახა, ვერ დაეფასებინა თუ ის, რაც ახლა ხდება — ხალხი აღიარებს ბელად ბიძინას დამსახურებებს, მაგრამ ეს ხდება იმის ფონზე, რომ მანიაკებისა და დამნაშავეების ბანდა, ამ ბელადის ხელშეწყობით, 28 პროცენტით შედის ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში?**

ჩემი აზრით, პირველი ვარიანტი გაცილებით უფრო შეშვენის ჭეშმარიტი პატრიოტის საქციელს და სულაც არ მიმაჩნია, რომ მეორე ვარიანტის განმახორციელებელი უფრო „ჭკვიანია“. უბრალოდ, პირველი ვარიანტის მომხრეს მეტი ზნეობა აქვს. ხოლო **სახელმწიფოსთვის, შორეულ პერსპექტივაში, მაღალი ზნეობის ლიდერი გაცილებით მეტი დადებითი შედეგის მომტანია, ვიდრე უზნეო „ჭკვიანი“.**

ძველი ლათინური გამოთქმაა: „ის, ვინც წარმატებულია საქმეში, ხოლო ჩამორჩენილია ზნეობაში, უფრო ჩამორჩენილად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე წარმატებულად“.

მოკლედ, **ამ ქვეყანაში ყველაფერი ისე ხდება, როგორც ბიძინას სურს, და მეც ვაღიარებ — არჩევნების მეორე ტურში საკუთარი ხელით შემოვხაზე 41! ჰოდა, როგორც მოქალაქე, სწორედ ამას, ქვეყანაში ასეთი ამაზრზენი სიტუაციის შექმნას, ვერასოდეს ვაპატიებ ბატონ მილიარდერს.**

დასკვნისთვის კი, მინდა მივმართო ისევ და ისევ „ოცნების“ გულამომჯდარ და გამარჯვებით მოყიჟინე აქტიურ მხარდამჭერებს, რომლებიც თავიანთ მაჟორიტარებს მლიქვნელურად მიმართავენ — გილოცავთ! თქვენ ამომრჩევლის 75-პროცენტიანი ნდობა მოიპოვეთო! უკაცრავად, მეგობრებო, მაგრამ **არჩევნების მეორე ტურში საარჩევნო ურნებთან მოსახლეობის საერთო რაოდენობის მხოლოდ 38 პროცენტი მივიდა. 38 პროცენტის 75 პროცენტი კი 29 პროცენტია. ასე რომ, თქვენმა მაჟორიტარებმა საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 29 პროცენტის ნდობა დაიმსახურეს...**

ხოლო როდესაც მთავრობაში ანაცვლებ ხალხისთვის საძულველ, მართლა გაფარჩაკებულ მანიაკებს და, ამხელა კარტ-ბლანშის პირობებში, **ხელისუფლებაში მოსვლიდან 4 წლის შემდეგ მოსახლეობის მხოლოდ და მხოლოდ 29 პროცენტი გიცხადებს ნდობას, ეს, დამიჯერეთ, დიდი ვერაფერი საამაყო და სატრაბახოა!**

როგორც გაირკვა, ძველი პარლამენტითა და მთავრობით ასეთ ელემენტარულ კითხვებსაც კი ვერ ვპასუხობდით — რა არის იზიარდი? ან ვინ არის თალიბანი? მეტიც, თურმე სოსო ჯაჭველიანს, როგორც კი „რა? სად? როდის“-ის მაგიდასთან დასვამდნენ, ჩამოურბენდა ყველა მონაწილეს და მკლავჭიდში ეჯიბრებოდა და, ვინც ამაზე არ დათანხმდებოდა, ყველას „წადი, შე იზიარდო“-ს ეძახდა!

სატირა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს პარლამენტი ყველას მოუგებს!

**სულელი ექსპერტები, როგორც ყოველთვის, ახლაც ვერ ხვდებიან, სინამდვილეში რა ჩაიფიქრა ბრძენთაბრძენმა ბიძინამ! კერძოდ, ისინი სვამენ სრულიად გულუბრყვილო კითხვას — თუკი კონსტიტუციის შეცვლა სურდა, მაშინ რატომ შეიყვანა ივანიშვილმა პარლამენტში ფეხბურთელები, მორაგბეები, „რა? სად? როდის?“-ის მოთამაშეები?**



ასეთ შემთხვევაში, ხომ ჯობდა, ბიძინას პარლამენტში იურისტები, კონსტიტუციონალისტები, ეკონომისტები და სხვა მონათესავე პროფესიების ადამიანები შეეყვანა?

ამ უაზრო კითხვებს, მხოლოდ სულელი თუ დასვამს და მალე გაიგებთ, რატომ.

არც ის მოსაზრებაა სწორი, თითქოს ბიძინას ეს ხალხი პარლამენტში მხოლოდ პულტზე თითის დამჭერებად სჭირდებოდა. აბა, ეგრე რომ იყოს, რა აუცილებელი იქნებოდა სპორტსმენები და ე.წ ინტელექტუალები? პულტზე თითს მეეზოვეები, ოფიციანტები და სხვა „არაპრესტიჟული“ პროფესიების წარმომადგენლებიც შესანიშნავად დააჭერენ, არა?

სიმართლე და ჭეშმარიტება სულ სხვაგანაა და, რაღა თქმა უნდა, ამ ჭეშმარიტებისა და სიბრძნის უშუალო განმახორციელებელი ჩვენი დიადი ბიძინა გახლავთ!

საქმე ის არის, რმ ჩვენმა ახირებულმა კორესპონდენტმა ქექა, ქექა და ამოქექა სტატისტიკა იმის შესახებ, რა შედეგები ჰქონდათ ქართველ პარლამენტარებს სხვადასხვა ქვეყნის კოლეგებთან გამართულ სახალისო სპორტულ-კულტურულ ღონისძიებებში.

როდესაც სხვადასხვა ქვეყნის საპარლამენტო დელეგაციები ერთმანეთს სტუმრობენ ხოლმე, საქმიანი მოლაპარაკებების შემდეგ, სტუმრები და მასპინძლები ხან ფეხბურთის მატჩს მართავენ, ხან — რაგბის და ხან — სხვადასხვა თამაშობისა. მათ შორის, ზოგჯერ ერთმანეთს „რა? სად? როდის?“-შიც ეჯიბრებიან ხოლმე! აი, სწორედ ამაზეა საუბარი.

ჰოდა, ჩვენმა ახირებულმა კორესპონდენტმა მოიპოვა მონაცემები, რომელთა მიხედვითაც საქართველოს პარლამენტს ამ მხრივ მეტად სავალალო შედეგები აქვს. კერძოდ, **ქართველმა დეპუტატებმა სხვადასხვა ქვეყნების პარლამენტის წევრებთან გამართული 38 საფეხბურთო შეხვედრიდან 34 წააგეს, ხოლო 24 სარაგბო მატჩიდან, მხოლოდ 18-ში მოიპოვეს გამარჯვება.**

ნუ, ფეხბურთში, კიდევ არა უშავს, მაგრამ რაგბიში 6 თამაშის წაგება ნამდვილად არ ჯდება ქართულ სარაგბო სინამდვილეშიო, — ასკვნის ჩვენი კორესპონდენტი.

რაც შეეხება „რა? სად? როდის?“-ს აქ ყველაზე ცუდად გვქონია საქმე. როგორც გაირკვა, ძველი პარლამენტითა და მთავრობით ასეთ ელემენტარულ კითხვებსაც კი ვერ ვპასუხობდით — **რა არის იზიარდი? ან ვინ არის თალიბანი?**

მეტიც, თურმე **სოსო ჯაჭველიანს**, როგორც კი „რა“? სად? როდის“-ის მაგიდასთან დასვამდნენ, ჩამოურბენდა ყველა მონაწილეს და მკლავჭიდში ეჯიბრებოდა და, ვინც ამაზე არ დათანხმდებოდა, ყველას **„წადი, შე იზიარდო“**-ს ეძახდა.

**ჩვენმა დიდმა ბელადმა ბიძინამ იზრუნა და, უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, 2016 წლის მოდიფიკაციის პარლამენტი იდეალურია იმისთვის, რომ სხვა ქვეყნის პარლამენტარებს სპორტის ნებისმიერ სახეობაში დამაჯერებლად მოუგოს**

მოკლედ, აი, **ჩვენმა დიდმა ბელადმა ბიძინამ ამაზეც იზრუნა და უკვე გადაჭრით შეიძლება ითქვას, 2016 წლის მოდიფიკაციის პარლამენტი იდეალურია იმისთვის, რომ სხვა ქვეყნის პარლამენტარებს სპორტის ნებისმიერ სახეობაში დამაჯერებლად მოუგოს.**

რაც შეეხება კონსტიტუციას, მაგ უმნიშვნელო საკითხს მარტოც გადასარევად მოვაგვარებო, — უთქვამს ბიძინას და, აბა, ვინმე დედიმისის შვილია, არ დაეთანხმოს ჩვენს დიად, საყვარელ, ჭკვიან, გენიოს, გადამრჩენელ და „ცოცხების გამომღებ“ ბელადს.

ერთი ეგაა, ძველ პარლამენტარებს ფეხბურთის შესახებ კი გამოუთქვამთ ერთი სამართლიანი პრეტენზია — რა გინდათ, კაცო, მართალია, 38-დან 34 თამაში წავაგეთ, მაგრამ საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების შედეგი ხომ მაინც გავაუმჯობესეთ, ახლა ესენი რომ შემორეკეთ პარლამენტში, 38-დან 37-ის წაგებას და 1-ის ფრედ დამთავრებას რომ არიან მიჩვეული, უარესი არ არის? — აცხადებენ ძველი პარლამენტარები.

**მახე აბარავა**

# ოდესური ოპერაციის დასასრული

**როგორც გახსოვთ, ირინეს, მეგისა და „იმის“ ოდესური ოდისეა იმით დასრულდა, რომ სამეულმა გაბრაზებული და უხასიათო ექსპრეზიდენტის უკრაინული რეზიდენციიდან გაპარვა მოიწადინა და პრეზიდენტის სეიფის გატეხვა გადაწყვიტა, რათა თვითმფრინავის ბილეთების შესაძენი ფული ჩაეგდოთ ხელში. ვნახოთ, რით დასრულდა ყოველივე.**

მოსაღამოვდა, ირინე, მეგი და „ის“ მიხეილის საგუბერნატოროში ბრუნდებიან. გარეთ თოვს, ქარი ზუზუნებს.

— გოგო, ძალიან ვნერვიულობ, რა გეგმა გაქვს, არ გადამრიო, როგორ აპირებ მაგის სეიფში შეძრომას, იქნებ სიგნალიზაცია აქვს დაყენებული ან კამერა? მერე ხომ იცი, რომ ცოცხლები ვერ გამოვალთ იქიდან“, — უთხრა ირინეს შეწუხებულმა მეგიმ.

— დაწყნარდი მეგული, მენდე, — მიუგო ირინემ და თავდაჯერებული გამომეტყველებით გააბოლა.

გოგონები შენობაში შევიდნენ, კიბეზე ფეხი არ ჰქონდათ დადგმული, რომ მიხეილის ოთახიდან საშინელი ღრიალი შემოესმათ, ისმოდა გინება, ლანძღვა და ათასი უშვერი სიტყვა.

— ვაიმე, გოგო, მგონი, დაგვერხა, არ გინდა ახლა იქ შეხვიდე? — თქვა მეგიმ და ტუჩზე იკბინა.

შეეცადნენ, ჩუმად შეეღოთ კარი, მაგრამ დასაზეთი იყო და ანჯამებმა გაიჭრიალა, თავჩაქინდრულები შეიპარნენ და სწრაფად ჩავიდნენ სარდაფში. მიხეილმა თვალი გააყოლა შემოპარულ ქალბატონებს და დამცინავად შეხედა.

— უჰ, ამოვისუნთქე. სანამ შემოვიდოდი, მგონი, 5 კილო დავიკელი, — თქვა მეგიმ.

— ახლა ცოტა მივალაგოთ აქაურობა და ღამის ოპერაციისთვის მოვემზადოთ, თქვენი დახმარება დამჭირდება, დანარჩენს მე გავაკეთებ, — თქვა ირინემ და კარის ჭუჭრუტანას შეხედა, საიდანაც მიხეილის ოთახი მოჩანდა.

— მეგი! — დაიძახა მიხეილმა. მეგი უმალ წამოდგა და მისკენ გაეშურა.

— დიახ, ბატონო პრეზიდენტო!

— ყავა მომიდუღე.

— ახლავე, — თქვა მეგიმ და სამზარეულოსკენ გაემართა.

— საძინებელში ამომიტანე, იქ ვიქნები, — თქვა მიხეილმა და ზევით ოთახისკენ გაეშურა. მეგი სწრაფად ცდილობდა ყავის ადუღებას, თან ნერვიულობდა, წინ დიდი ოპერაცია ელოდათ.

— ბატონო პრეზიდენტო, თქვენი ყავა!

— მანდ დადე და, ვინც უნდა მიკითხოს, არ ვარ.

მეგიმ ელვის სისწრაფით ჩაირბინა კიბეზე და სარდაფში ჩავიდა.

— დაწვა? — იკითხა ირინემ.

— კი, დაწვა, ყავა ლოგინში მივართვი, არა მგონია, დაბლა ჩამოვიდეს.

— ჰოდა, ძალიანაც კარგი. ახლა შენ დადგები მისი საძინებლის კართან, „ის“ შემოსასვლელ კართან დადგეს და მე სეიფს გავხსნი.

— ვაიმე, ირინე, ფრთხილად, ჭირიმე, ნამეტანი მეშინია.

— ზატკნის! მოკლედ, თუ გამოსვლა დააპირა, ეს შეასხი სახეში და განგაშის ნიშნად დამისტვინე, — ირინემ მეგის რაღაც სითხე მიაწოდა.

ოპერაცია დაიწყო, მეგი საძინებლის კართან დადგა და სახელურს ჩაეჭიდა. ირინე სეიფს მიადგა და რაღაც ჩაიბუტბუტა.

„ის“ შემოსასვლელ კართან იდგა და სახელურს იყო ჩაფრენილი.

— აილე-მაილე, სეიფო გაილე! — ჩაიბუტბუტა ირინემ და სეიფიც გაიღო. ირინეს თვალები შუბლზე აუვიდა და თმა ყალყზე აიყოლა, როცა ფულით სავსე ყუთი დაინახა.

ლილოს დიდი პარკი ჰქონდა თან, მოხვეტა მთელი ფული და სწრაფად ჩაალაგა შიგ.

სეიფის კარი კი ჯადოსნური სიტყვებით დახურა.

— აიხურე-მაიხურე, სეიფის კარო, დაიხურე! — ამის თქმა და სეიფის კარის დახურვა ერთი იყო.

ირინემ დაუსტვინა, ნიშნად იმისა, რომ ოპერაცია დასრულებული იყო. მეგი ფეხაკრეფით ჩამოვიდა კიბეზე და ამ დროს მიხეილის ოთახის კარი გაიღო, გუბერნატორი საპირფარეშოში გამოვიდა.

ამის დანახვაზე ქალები უკანმოუხედავად გაიქცნენ, ქუჩაში გამოსულებს შავმა „ვოლგამ“ მოაკითხათ, სასწრაფოდ ჩასხდნენ და გაუჩინარდნენ.

**— აილე-მაილე, სეიფო, გაილე! — ჩაიბუტბუტა ირინემ და სეიფიც გაიღო. ირინეს თვალები შუბლზე აუვიდა და თმა ყალყზე აიყოლა, როცა ფულით სავსე ყუთი დაინახა. ლილოს დიდი პარკი ჰქონდა თან, მოხვეტა მთელი ფული და სწრაფად ჩაალაგა შიგ. სეიფის კარი კი ჯადოსნური სიტყვებით დახურა. — აიხურე-მაიხურე, სეიფის კარო, დაიხურე! — ამის თქმა და სეიფის კარის დახურვა ერთი იყო.**

(გაგრძელება აღარ უნდა იყოს)

**გრიგოლ ინგაძე**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვინაიდან გალავანმორღვეული და სუსტად დაცული ქალაქი, ადრე თუ გვიან, მაინც დაეცემოდა, ქართველებმა ტაქტიკურ ხერხს მიმართეს, რათა მტრისთვის დიდი ზიანი მიეყენებინათ. ფარსმან თმოგველმა ორი მოციქული გაგზავნა სულთანთან და მორჩილება გამოუცხადა. როგორც ჩანს, ბოლომდე არ ენდნენ ქალაქის დამცველებს და ალფ-არსლანმა ქალაქის ჩასაბარებლად არცთუ დიდი ჯარით ემირ იბნ მუჯაჰიდი და ებუ სუმრე გაგზავნა. ქართველებმა სელჩუკებს კარი გაუღეს და ქალაქში შეუშვეს. ქალაქის დამცველებმა ალყაში მოაქციეს თურქები და, სანამ ალფ-არსლანი ძირითადი ლაშქრით მიეშველებოდათ, ერთიანად გაჟუჟეს.**

# ქართველ პოლიტიკოსებს «თურქული» შეეყარათ

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №39 (368)

# როგორ შეიძლება, მგელი და კრავი «სტრატეგიული პარტნიორები» იყვნენ?!

**სანამ სელჩუკებზე განვაგრძობთ თხრობას, მცირე განმარტება მკითხველისთვის: თურქი ერის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს და არც ე.წ. თურქოფობია გვაწუხებს, უბრალოდ, ვწერთ ისტორიულ სიმართლეს, რათა ისტორიული წარსულიდან მოხმობილ ფაქტებზე დაყრდნობით სწორი დასკვნები გავაკეთოთ. როგორც ბალზაკი წერდა: „სიმართლე მწარე წამალია, არ გესიამოვნება, მაგრამ მოგარჩენს“.**

არც ჩვენი ჰეროიკული წარსულის განდიდება არის ამ წერილის მიზანი, ეს არაფერში წაგვადგება. უბრალოდ, **ისტორიული ფაქტები მოგვყავს მხოლოდ და მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ, მომავალში რა საშინელება ელოდება სამმილიონიან საქართველოს, თუ ის მარტოდმარტო, ძლიერი მოკავშირის გარეშე, პირისპირ დარჩება 80-მილიონიან აგრესიულ თურქეთთან.**

რაც შეეხება სელჩუკებს, მათი თავდასხმები კიდევ უფრო ინტენსიური გახდა მას შემდეგ, რაც მათი სულთანი **ალფ-არსლანი** (1063-1072) გახდა. თუ მანამდე სელჩუკების შეტევის ძირითადი ობიექტები სომხეთი და აზერბაიჯანი იყო, ალფ-არსლანმა მთავარ ამოცანად ამიერკავკასიის ერთადერთი დამოუკიდებელი სახელმწიფოს — საქართველოს, დახარკვა-დამორჩილება დაისახა. ამ მიზნით ორჯერ დალაშქრა საქართველო 1064 და 1068 წლებში. დიდი მცდელობის მიუხედავად, ალფ-არსლანმა მაინც ვერ გადაწყვიტა ეს ამოცანა, საბოლოოდ ისე დატოვა საქართველო, რომ ბაგრატისგან ხარკის გადახდას ვერ ეღირსა, თუმცა დიდად კი დაგვაზარალა.

1064 წელს ალფ-არსლანმა სომხური ანისი მიწასთან გაასწორა. მემატიანე წერს: „მთელი ქვეყანა გვამებით აივსო: ნაშენი და უშენი, გზები და უდაბური ადგილები, ქვიანი და კლდოვანი, ტყიანი და გაშიშვლებული და ყველა სამოსახლო ადგილი ცეცხლს მისცეს. გადაწვეს სახლები და ეკლესიები, რომელთა ცეცხლის ალი უფრო მაღლა მიემართებოდა, ვიდრე ბაბილონისა. და ამგვარი მოქმედებით ააოხრეს მთელი ქვეყანა, სანამ სრულიად არ ამოწყდა მოსახლეობა და დადუმდა პირუტყვთა ხმა“. ტყვედ ჩავარდნილ ქრისტიანებს საშინელი ბედი ერგოთ. სულთანმა დიდი ორმო გაათხრევინა, ათასზე მეტი ყელგამოჭრილი ქრისტიანის სისხლით გაავსო და შიგ საბანაოდ გადაეშვა. ამის შემდეგ ქრისტიანთა სისხლით „ცოდვებისგან გაწმენდილი“ სულთანი საქართველოში შემოიჭრა: გადაწვა რუსთავი, აიღო სამშვილდე, თრიალეთი, შავშეთი, კლარჯეთი დაარბია და მოაოხრა, შემდეგ კი ჯავახეთში გადავიდა სათარეშოდ და ნაცარტუტად აქცია ყველაფერი. ვერავინ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა. სელჩუკთა სისასტიკეს მემატიანე ასე აღწერს: **„იქ ნახავდით ყოველი ასაკის ადამიანის გლოვასა და მწუხარებას, რადგანაც დედებს მკერდიდან აგლეჯდნენ ყრმებს და შეუბრალებლად ქვებს ურტყამდნენ, ხოლო დედები სისხლით და ცრემლით ასველებდნენ პირმშოებს. ერთი მახვილი სპობდა მამასა და შვილს. მოხუცებულებმა და ახალგაზრდებმა, მღვდლებმა და დიაკვნებმა ერთი მახვილის სასიკვდილო საკვები მიიღეს. გვამებით აივსო ქალაქი კიდით კიდემდე ისე, რომ გზა მოკლულთა გვამებზე გადიოდა“.**

მხოლოდ ახალქალაქი დაუდგა მედგრად. ახალქალაქს ზღუდე დიდხანს არ ჰქონდა და, სანამ პატარა იყო ქალაქი, ერთი ციხეც ყოფნიდათ დასაცავად. **ბაგრატ მეოთხის** მეფობისას, მოსახლეობის ზრდასთან ერთად, საჭირო შეიქნა რამდენიმე კოშკისა და გალავნის აშენებაც. მეფის ბრძანებით, **ფარსმან თმოგველმა** და **ბეშქენ ჯაყელმა** „იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად, რამეთუ მას ჟამსა უზღუდო იყო“. სამწუხაროდ, ქალაქის დამცავი გალავნისა და კოშკების აგება ბოლომდე არ იყო დასრულებული, ალფ-არსლანი რომ გამოჩნდა. მიუხედავად ამისა, ქალაქის დამცველები თავგანწირული ბრძოლით ახერხებდნენ მტრის მოგერიებას.


სელჩუკების შემოსევა

ვინაიდან გალავანმორღვეული და სუსტად დაცული ქალაქი ადრე თუ გვიან მაინც დაეცემოდა, ქართველებმა ტაქტიკურ ხერხს მიმართეს, რათა მტრისთვის დიდი ზიანი მიეყენებინათ. ფარსმან თმოგველმა ორი მოციქული გაგზავნა სულთანთან და მორჩილება გამოუცხადა. როგორც ჩანს, ბოლომდე არ ენდნენ ქალაქის დამცველებს და ალფ-არსლანმა ქალაქის ჩასაბარებლად არცთუ დიდი ჯარით **ემირ იბნ მუჯაჰიდი** და **ებუ სუმრე** გაგზავნა. ქართველებმა სელჩუკებს კარი გაუღეს და ქალაქში შეუშვეს. ქალაქის დამცველებმა ალყაში მოაქციეს თურქები და, სანამ ალფ-არსლანი ძირითადი ლაშქრით მიეშველებოდა, ერთიანად გაჟუჟეს.

ბოლოს მტრის ლაშქრის სიმრავლემ მაინც თავისი გაიტანა და ალფ-არსლანი ქალაქში შეიჭრა. გადარჩენილ მეომართა მცირე ჯგუფი ერთ-ერთ კოშკში გამაგრდა და იქიდან განაგრძობდა წინააღმდეგობას. სელჩუკებმა კოშკს ცეცხლი წაუკიდეს და ქალაქის უკანასკნელი დამცველები გამოწვეს. „მესხნი აზნაურნი ძლიერად დგეს ახალქალაქს და ჰბრძოდეს სამ დღეს. რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულიყო, ვერღარა დაუდგმიდეს ბრძოლითა ძლიერითა. აღიჭურნეს მყოფნი ქალაქისანი და განახუნეს კარნი და შეებნეს ძლიერად, მოსრნეს პირითა მახვილისაითა. და შევიდეს ქალაქად თურქნი და ტყვე ყვენს ურიცხუნი სულნი ქრისტიანეთანი, აღილეს განძი და ტყუე ძლიერი, და შეილება წყალი ახალქალაქისა ქრისტიანთა სისხლითა“, — წერს მემატიანე.

ფარსმან თმოგველი ბრძოლაში დაილუპა, დაჭრილი ბეშქენ ჯაყელი კი მტერს ჩაუვარდა ხელში. ჯაყელმა მაჰმადიანობა მიიღო და ალფ-არსლანის სამსახურში ჩადგა. კმაყოფილმა სულთანმა რჯულშეცვლილი ჯაყელი ადარბადაგანის (ისტორიული აზერბაიჯანი) მმართველად დანიშნა და ასე დაედო საფუძველი ბეშკენიკთა დინასტიას, რომელიც ას წელზე მეტხანს მართავდა ადარბადაგანს. ბეშკენიკთა გვარს მიეკუთვნებოდა აბუბაქრიც, რომელსაც ქართველებმა 1193 წელს შამქორთან „კუდით ქვა ასროლინეს“, თუმცა ამ საკითხზე უფრო ვრცლად მოგვიანებით ვისაუბრებთ.

მიუხედავად გამარჯვებისა, ახალქალაქთან ალფ-არსლანმა ისეთი დიდი ზარალი განიცადა, რომ იძულებული შეიქნა, საქართველოს გასცლოდა, ხოლო ბაგრატთან დესპანი გაგზავნა დასაზავებლად. სულთანი ქართველთა მეფეს არა მხოლოდ ზავს, არამედ მოყვრობასაც სთავაზობდა — ალფ-არსლანს ბაგრატის დისწულის ცოლად შერთვა ჰქონდა განზრახული. მართალია, ამის წინააღმდეგი წავიდა ბაგრატის სიძე **მიჰატი**, სომხეთა მეფის ძმა, — არ მივათხოვებ ქალიშვილს ურჯულოსო, მაგრამ დიდი სულთნის ნებას წინ ვინ დაუდგებოდა, და ძალით მიჰგვარეს ბაგრატის დისწული „მამაც ლომის“ (ასე ითარგმნება ალფ-არსლანის სახელი).

თუმცა ამ დამოყვრებას ჩვენი ქვეყნისთვის ხეირი მაინც არ მოუტანია. 1065 წლის ივნისში სულთანმა ანისის გამგებელი **მანუჩერ ბენ აბულ-ასვარი** გამოგზავნა „მოყვარე“ ბაგრატის სამფლობელოს ასაოხრებლად და დასარბევად. აბულ-ასვარმაც გაამართლა დიდი სულთნის იმედები — ქვემო ქართლი მოაოხრა და უკან გაბრუნდა.

1065 წლის ოქტომბერში ბაგრატმა თავის ცოლისძმას, ოსთა მეფეს — **დორღოლელს** უხმო და გაერთიანებული ძალებით განძას დაეცა, ვინაიდან იმხანად აბულ-ასვარი განძაში იმყოფებოდა. ანისის გამგებელმა ვერ გაბედა, ბაგრატს შებრძოლებოდა და ქალაქის გალავანს შეაფარა თავი. მართალია, ქართველებმა განძა ვერ აიღეს, მაგრამ ხელთ იგდეს ქალაქი ბარდავი, მთელი არანის ოლქი დაარბიეს და ასე იძიეს შური.

ალფ-არსლანის პასუხმაც არ დააყოვნა და 1068 წელს დიდი ჯარით ისევ მოადგა საქართველოს. ბაგრატი კახეთ-ჰერეთის შემოერთებით იყო დაკავებული. კახეთის ხელისუფალი **აღსართანი** მაშინვე ალფ-არსლანის ბანაკში გაიქცა, სულთანს მორჩილება გამოუცხადა, დიდძალი ძღვენი მიართვა და გამუსლიმანდა. გახარებულმა ალფ-არსლანმა კი აღსართანს კახეთისა და ჰერეთის ყველა ციხე გადასცა.

ბაგრატი ჯერ ქართლში გამაგრდა, შემდეგ კი ქუთაისს შეაფარა თავი. მტერიც ფეხდაფეხ მიჰყვა და აღმოსავლეთი საქართველო თითქმის მთლიანად მოაოხრა. **„სულთანი გამოემართა აფხაზთა მეფე ბაგრატის წინააღმდეგ და თავის ჯარებს მისცა თავისუფლება ამ ვილაიეთებში, რათა ეხოცათ და გაენადგურებინათ. ბოლოს თბილისში ჩამოვიდა. სულთანმა ეს ქალაქიც დაიპყრო. იმდენი სიმდიდრე ჩაიგდო ხელში, რომ მისი აღწერა შეუძლებელია“.** მტრის ხელში გადავიდა ხორნაბუჯი, გაგი, აგარანი, რუსთავი, არადეთი, ქავაზინი. სელჩუკთა ლაშქრობამდე ქართლი ღვინითა და პურით იყო მდიდარი, მაგრამ დამპრობლებმა ექვსი კვირის განმავლობაში ქვეყანა მიწასთან გაასწორეს, ვინც მთაში გახიზვნა მოასწრო, მკაცრი ზამთრისგან დაიღუპა. მემატიანე ამ ამბავს ასე მოგვითხრობს; **„და იყო ქართლსა შინა პური და ღვინოი. და დაყო ექუსი კვირაი, და იწყო ოხრებად და ხოცად კაცისა, და გარდავიდა მარბიელი მისი არგუეთს. მიუწიეს და დაარბიეს ვიდრე სუერის ციხემდე. და მოისრა ურიცხვ სული ქრისტიანეთა და ტყუე იქმნა; და იქმნა საძაგელ ქუეყანაი ქართლისაი სახილველად კაცთა. მოოხრდეს ყოველნი ეკლესიანი და სიმრავლითა მძორისაითა არღარა დაედგმოდეს ქუეყანასა თვალნი. და ცოდვათა ჩუენთა მოსაგებელსა რისხვასა ღმრთისასა ზე-**

## იცით თუ არა, რომ:

უცნაური ბედი ერგო ვინმე **გრიშა ოტროპიევს**. ის 1610 წელს უფლისწული დიმიტრის სახელით აბობღდა რუსეთის სამეფო ტახტზე, რვა თვე „იმეფა“ კიდეც, თუმცა მისი „ცრუ დიმიტრობა“ მალევე შეიტყვეს, შეიპყრეს, ზარბაზანში ჩატენეს და იქით გაისროლეს, საიდანაც მოვიდა.




1399 წელს ინგლისის მეფემ **ჰენრი IV** დაარსა „აბანოს ორდენი“, მისი წევრობა იმხანად დიდი პატივი იყო, ვინაიდან მხოლოდ ამ ორდენის წევრებს ჰქონდათ ყოველდღე ბანაობის პრივილეგია.



ოსმალთა სულთანმა **მეჰმედ მეორემ** (ფათიჰმა) თავის მსახურს მხოლოდ იმიტომ მოჰკვეთა თავი, რომ მისი კისრის კუნთების მოძრაობა ეჩვენებინა იტალიელი მხატვრისთვის ჯენტილე ბელინისთვის, რომელიც სულთნის პორტრეტს ხატავდა.



მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ალფ-არსლანი მემკვიდრემ, სულთანმა მალიქ-შაჰმა (1072 –1093) კიდევ უფრო გააფართოვა სელჩუკთა სახელმწიფოს საზღვრები. ტყუილად როდი ბაქიბუქობდა სულთანი, — შუა აზიიდან წამოსული ცხენი ხმელთაშუა ზღვაში შეიყვანეო. მისი მეფობა განსაკუთრებით სავალალო გამოდგა ჩვენი ქვეყნისთვის. მალიქ-შაჰმა დაასრულა ალფ-არსლანის დაწყებული საქმე — საბოლოოდ გატეხა წელში ქართველთა წინააღმდეგობა და ქვეყანა დაიპყრო.**

**◀ ცით ცაი წამებდა, და სისხლის მწველი ღრუბელი აღმოსავლეთ-ით მოეფინა ქართლსა ზედა. და იქმნა ღამე უკუნი".**

ქართველები სელჩუკებს სვერის ციხესთან დაუხვდნენ. კლდოვან ფერდობზე აგებული სვერის ციხე აუღებელ ციხედ ითვლებოდა. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ვერც ალფ-არსლანმა აიღო ეს ციხე, მაგრამ მიმდებარე ტერიტორია ერთიანად მოსრა და მოაოხრა. სვერის ციხის დამცველთა წინააღმდეგობამ, ცივმა და სუსხიანმა ზამთარმა, სულთანს ხელი ააღებინა ლაშქრობის გაგრძელებაზე. ზავი ბაგრატსაც სურდა და დასაზავებლად სელჩუკთა ბანაკს მეფის დესპანი **ივანე ბაღვაში** ესტუმრა. ალფ-არსლანმა ქართველთა მეფესთან დაზავების მთავარ პირობად ხარკის გადახდა დააყენა, თუმცა არც დალოდებია ბაგრატის პასუხს, სასწრაფოდ გაეცალა საქართველოს.

**ალფ-არსლანი მემკვიდრემ, სულთანმა მალიქ-შაჰმა (1072 –1093) კიდევ უფრო გააფართოვა სელჩუკთა სახელმწიფოს საზღვრები. ტყუილად როდი ბაქიბუქობდა სულთანი, — შუა აზიიდან წამოსული ცხენი ხმელთაშუა ზღვაში შეიყვანეო. მისი მეფობა განსაკუთრებით სავალალო გამოდგა ჩვენი ქვეყნისთვის. მალიქ-შაჰმა დაასრულა ალფ-არსლანის დაწყებული საქმე, საბოლოოდ გატეხა წელში ქართველთა წინააღმდეგობა და ქვეყანა დაიპყრო.**

ტახტზე ასვლისთანავე მალიქ-შაჰმა სამხედრო ბანაკს მიაშურა და დაპყრობითი ომები განაახლა. რამდენიმე წარმატებული ლაშქრობის შემდეგ დიდი სულთანი 1073 წელს ამიერკავკასიას მოადგა. მას პირველი შეეგება მოღალატე ერისთავი კლდეკარისა **ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაში.** მალიქ-შაჰმა შეიწყნარა იგი და საჩუქრებითაც აავსო. ბაღვაშმაც, თავის მხრივ, სულთანს დაუდასტურა მზადყოფნა, თავისი ჯარით ებრძოლა მეფე გიორგის წინააღმდეგ, მაგრამ მეორე დღეს სულთნის ბანაკიდან მოულოდნელად გაიპარა, თუ რატომ — ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს, მაგრამ ფაქტია: განძისაკენ მიმავალი სელჩუკთა ურდო საქართველოსკენ შემობრუნდა. ივანე ბაღვაშის საქციელით გაცოფებულმა სულთანი ფეხდაფეხ მიჰყვა კლდეკარის ერისთავს და მის სამფლობელოს დაესხა თავს. დაარბია სამშვილდე, მოაოხრა ქვემო ქართლი და კლდეკარის საერისთავოდან განძისკენ დაძრა ლაშქარი, მას არ გაჭირვებია კარგად გამაგრებული ქალაქის აღება და ამირა ფადლონის დატყვევება. სულთანმა ფადლონის ნაცვლად განძის მმართველად ერთგული სარანგი დანიშნა, საქართველოს ასაოხრებლად დაუტოვა დიდი გარნიზონი და უკან გაბრუნდა.

**1074 წელს განძის სარანგმა მოიმხრო დვინისა და დმანისის ამირები და საქართველოში შემოიჭრა. ფარცხისთან დაბანაკებული მეფე გიორგი მომზადებული დაუხვდა მას და კახეთის მეფის — აღსართანის დახმარებით მტერი დაამარცხა. ეს იყო უდიდესი, მაგრამ ერთადერთი გამარჯვება, ვინაიდან ამის შემდეგ მეფე გიორგის აღარასოდეს გაუმარჯვია.**







ერთი წლის შემდეგ ამირა ახმედი შემოიჭრა საქართველოში, ცეცხლითა და მახვილით გაიარა ტაო-კლარჯეთი და მიწასთან გაასწორა ეს აყვავებული მხარე. ახმედმა იავარჰყო სამხრეთ საქართველო და დიდი ნადავლით დატვირთული უკან გაბრუნდა.

**XI საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოს ისტორიაში დაიწყო ახალი ეტაპი, რომელიც „დიდი თურქობის" სახელით შევიდა. სელჩუკები განსხვავდებოდნენ სხვა დამპყრობებისგან. სელჩუკების მეჯოგურ-მომთაბარლი მეურნეობა შეუთავსებელი იყო ქართული ფეოდალური მეურნეობისთვის. პრიმიტიული მეურნეობა მკვიდრდებოდა მტკვრის, ალაზნის, ივრისა და არაქსის სანაპირო ჭალებზე. მაღალგანვითარებული კულტურები (ბაღ-ვენახები, პურეული და სხვ.) ადგილს უთმობდა საძოვრებს. თურქ-სელჩუკთა დაპყრობები გაცილებით უფრო დამანგრეველი და დამღუპველი იყო, ვიდრე არაბთა ან ბიზანტიელთა შემოსევები და ბატონობა. „თურქობა" საქართველოს ფეოდალურ მეურნეობას საფუძველს აცლიდა — მიწას, და უმიწაწყლოდ დარჩენილ ქართველობას გადაშენების საფრთხეს უქმნიდა.** ანუ, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, მოხდა არა მხოლოდ ტერიტორიის ოკუპაცია, არამედ გენოციდი და ეთნოწმენდაც.

თურქთა დამანგრეველი ძალა უდაბნოდ გადაქცევას უპირებდა წალკოტს. ქვეყანაც იბრძოდა იმ ხერხებით, რომლებითაც ოდითგანვე იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები. თუ შესაძლებლობა მიეცემოდათ, მტერს ამარცხებდნენ და ერეკებოდნენ საზღვრებს იქით, თუ არა, მაშინ არსებობის შენარჩუნებისა და შესაფერისი ჟამის დადგომის მოლოდინში ხარკს უხდიდნენ ძლიერ მტერს.

**თურქებთან ეს მეთოდი არ ჭრიდა, ყოველი დამარცხება იყო უფსკრულისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი. სელჩუკები, სპარსელების ან ბიზანტიელების მსგავსად, არ იყვნენ მხოლოდ დასაპყრობად მოსულები, თურქთა თითოეული ურდო იყო „მოხეტიალე სახელმწიფო", „ქვეყანა", რომელიც გადაადგილდებოდა სხვა სახელმწიფოების ტერიტორიების მისატაცებლად და სადაც სხვა ერების ადგილი არ იყო.**

**გაჩნდა ნასახლარები, ნასოფლარები. სელჩუკთა ურდოები არავის ინდობდნენ, შეუბრალებლად უსწორდებოდნენ დიდსა და პატარასაც. გადარჩენილები მიუვალ მთებს აფარებდნენ თავს, საუკეთესო მიწებს კი თურქი მომთაბარეები ითვისებდნენ. ასეთი „მცოცავი ანექსიით" თურქებმა დაიკავეს ჰერეთი, კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, ტაო-კლარჯეთი. აივსო მტკვრისა და იორის მიდამოები თურქთა კარვებით, საბარგულ-საზიდრებით, ჩარდახებით (რომლებიც გადაძეძგილი იყო ქალებითა და ბავშვებით), უთვალავი ცხვრით, ცხენით, ჯორით, აქლემით. „აქ ჰქონდათ ცხოვრება სანატრელი, განისუენებდიან და იხარებდიან, ხოლო ჩვენისა ნაპირთა რბევდიან ტყვითა და ალაფითა სავსეთა".**

ქვეყანაში უიმედობამ დაისადგურა, „დიდმა თურქობამ" წელში გატეხა ქართველი კაცი, სულიერად დააბეჩავა. დიდი დაცემისა და უკიდურესი შეჭირვების საუკუნეებმაც კი ვერ შეძლო მისი დემორალიზება, მაგრამ „დიდი თურქობის" ჟამს კატასტროფული ძვრები მოხდა ქართველი კაცის ცნობიერებაში. მან დაკარგა საკუთარი ძალების რწმენა და დაიწყო არა მტრისგან ქვეყნის გამოხსნაზე ფიქრი, არამედ თავშესაფრის ძებნა. ბუნებრივია, მორალურად დაცემული და თავშესაფრის მაძიებელი ხალხი თურქებს ვერ გაუმკლავდებოდა.

ეს კარგად ესმოდათ სამეფო კარზე და შექმნილი ვითარების გამო, მეფე **გიორგი II** (1072–1089) იძულებული შეიქნა, მორჩილების გამოსაცხადებლად სელჩუკთა სულთანს ისფაჰანში ხლებოდა. მან ყოველწლიური ხარკის საფასურად ზავი და მშვიდობა ითხოვა, მალიქ-შაჰიც დაჰპირდა ქართველთა მეფეს, რომ სელჩუკები აღარ შეაწუხებდნენ მის ქვეყანას, მაგრამ დაპირება ცარიელ დაპირებად დარჩა. მიუხედავად დაზავებისა, არ შემწყდარა საქართველოში თურქთა ურდოების უკონტროლო გადაადგილება, პირიქით ამ პროცესმა კიდევ უფრო დამანგეველი ხასიათი შეიძინა. ეს იყო სახელმწიფო დონეზე აყვანილი პოლიტიკა, რომლის უკან სულთნის პირველი ვაზირის — **ნიზამ ალ მულკის** პერსონა იდგა. ნიზამი წარმოშობით ირანელი იყო და, ირანელთა გადარჩენის მიზნით, ყველაფერს აკეთებდა თურქთა ურდოების ირანიდან გასაყრელად. ამიტომაც პირველი ვაზირი ამ „უკონტროლო ურდოებს" ყველანაირად უწყობდა ხელს ბიზანტიისა და საქართველოს მიწების ათვისებაში. ბუნებრივია, ისინი საქართველოს მანამ არ დაეხსნებოდნენ, სანამ ქართველობას მთლიანად არ ამოჟლეტდნენ.

ამას თან ერთვოდა უაზრო ომი კახეთ-ჰერეთის სამეფოსთან. ცბიერმა მალიქ-შაჰმა გიორგის დაუტოვა თავის სამფლობელო და დამატებით კახეთ-ჰერეთიც უფეშქაშა (ანუ მისცა ის, რაც არ ეკუთვნოდა), ჯარიც გამოაყოლა კახეთ-ჰერეთის დასამორჩილებლად და დასახარკად. ამით მან ერთბაშად ორი კურდღელი დაიჭირა: ერთი მხრივ, „მოიმადლიერა" მეფე გიორგი და „აჩუქა" ის, რაც სელჩუკებს არ ეკუთვნოდა; მეორე მხრივ, კიდევ უფრო დასუსტების მიზნით შუღლი ჩამოაგდო ყოფილ მოკავშირეებში და დანასისხლად გადაამტერა ისინი ერთმანეთს.

ქართველთა მეფეც იძულებული შეიქნა, დამორჩილებოდა სულთნის ნებას და წამოიწყო უპერსპექტივო ომი ყოფილი მოკავშირის წინააღმდეგ, მაგრამ გიორგიმ ვერ შეძლო კახელთა მთავარი ციხის — ვეჟინის აღება, ზამთრის დადგომისთანავე ციხეს ალყა მოხსნა და ქუთაისში დაბრუნდა. მეფე გიორგი კი დაბრუნდა ქუთაისში, მაგრამ მის ბანაკში მყოფმა თურქებმა, დრო იხელთეს და, მთელი კახეთი აიკლეს. კახეთ-ჰერეთის ხელისუფალი აღსართანიც მალიქ-შაჰს ეახლა, მორჩილება გამოუცხადა და ხარკის გადახდაც იკისრა.

**(გაგრძელება იქნება)**

**ვანო სულორი**



**კონსტანტინე გამსახურდია**
**(1893–1975)**

სახელი სიკვდილსა ჰგავს, როცა საჭიროა, თავად მოგაკითხავს.

* * *

**როცა ხალხს ამდენი მოღალატე შინა ჰყავს, მაკედონელიც კი ვერ გაამარჯვებინებს.**

* * *

სიყვარული ენგურის თაფლსა ჰგავს, თუ ბევრი ინებე, უთუოდ მოიშხამები.

* * *

**ახალგაზრდობას ცუდი აღზრდა აფუჭებს, კარგ სურათებს — უგემური მიშტერება, კარგ ჩაის — ცუდი ჭურჭელი და კარგ წიგნს... ცუდი მკითხველი.**

* * *

არავის ისე არ უჭირს სიბერე, როგორც პოეტს, რადგან მასში ყველაზე ხანგრძლივად ცხოვრობს ბავშვი და ჭაბუკი.

* * *

**არავინ ისე მამაცად არ იბრძვის სხვის ომში, როგორც სულელი.**

* * *

ფარას თუ ყოჩი წინ არ წარუძღვანე, კბოდეზე გადასცვივა სულელი ცხვარი.

* * *

**ზოგიერი კაცის ცხოვრება უნიჭო მწერლის რომანსა ჰგავს, ბოლომდის ჩაათავებ და ასე იტყვი: ნეტავ, არ წამეკითხაო.**

* * *

ზოგს ენა როდი აბია, თავადაა ენაზე მიბმული, ამიტომაც იღუპება მყრალი ენის მეოხებითა.

* * *

**უბედურება ეკალსა ჰგავს, როგორც კი გვერდს ჩაუვლი, თავად წამოგედება, ხოლო ბედნიერება — ბულბულს; შესაძლოა, ჩვენ გვერდით ჩავუაროთ, იგი გაიტვრინოს და ბოლოს შეუმჩნევლად შორს გაფრინდეს.**

* * *

ეს ცხოვრება ბალღის ნიფხავსა ჰგავს — მასავით მოკლე და დასვრილია.

* * *

**ადამიანი შეკითხვებშიც ისევე ამჟღავნებს თავის რაობას, როგორც პასუხებში.**

* * *

ხელოვნებაა თავად უკვდავება, მხოლოდ ოსტატს ვერ ეწევა სიკვდილი... ათასეული წლები წალეკავენ ირგვლივ ყოველივეს. მხოლოდ სვეტიცხოველი დარჩება, როგორც ღმერთთან და სიკვდილთან მებრძოლი იაკობი.

## იცით თუ არა, რომ:



**გალიის რომაელმა მმართველმა ლიცინიუსმა წელიწადი დაჰყო 14 თვედ, რათა ქვეშევრდომებისგან მეტი გადასახადი აეღო.**

**საიათნოვას მამა ალეპოელი მნათე იყო, დედა — ავლაბრელი სომეხი. იგი ლექსებს ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თხზავდა. სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ლექსებს ქართული ასოებით წერდა.**



**1665–1566 წლებში კემბრიჯში შავი ჭირი მძვინვარებდა. ინგლისელი მეცნიერი ისააკ ნიუტონი იძულებული შეიქნა, ეპიდემიის კერას გასცლოდა და თავისი სოფლისთვის შეეფარებინა თავი. სწორედ აქ დაეცა ნიუტონს თავში ვაშლი, რის შემდეგაც მსოფლიო მიზიდულობის კანონი აღმოაჩინა. ამაზე იტყვიან: „ზოგი ჭირი მარგებელიაო".**



პარა ბელუმ!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რაკეტა „ჰერმესი“ აღჭურვილია დამიზნების კომბინირებული სისტემით, რომელსაც შეუძლია მიზნების აღმოჩენა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებშიც კი. „ჰერმესს“ აქვს მოწყობილობა დამიზნების ინფრაწითელი და ლაზერული არხებით. რაკეტისთვის მიზნის შერჩევა შეიძლება ვერტმფრენით ან თვითმფრინავით, ანუ საჰაერო აპარატი მიზნისკენ მიმართავს ლაზერის სხივს, „ჰერმესის“ თვითდამიზნების კომბინირებული მექანიზმი კი სხივს „დაინახავს“ და რაკეტას ამ მიზნისკენ მიმართავს. სხვა შემთხვევაში ამას გააკეთებს ინფრაწითელი სხივის მოწყობილობა, რომელიც მიზანს გამოყოფილი სითბოს მიხედვით იპოვის.**



## «მფრინავი რადარი» სირიაში

**ვერტმფრენი Ka-31CB, ანუ როგორც მას შეარქვეს, „მფრინავი რადარი“, რომელსაც მიაცილებდნენ Mმ-35M და Mმ-28H, სოციალურ ქსელებში გამოჩნდა და, როგორც ჩანს, ლატაკიის თავზე.**

Ka-31CB-ს, რომელიც ცნობილია, აგრეთვე, აღნიშვნებით Ka-35; Ka-25CB და „ნაკეთობა 23D2“, იყენებენ რუსეთის სამხედრო-კოსმოსური და სახმელეთო ძალები. ეს საფრენი აპარატი საზღვაო ხომალდების რადიოსალოკაციო ვერტმფრენ Ka-31-ის მოდერნიზებული ვერსიაა. მას შეუძლია სხვადასხვა მეტეოპირობებში გააკონტროლოს ვითარება ჰაერსა და ხმელეთზე.

Ka-31CB, დაზვერვის რადიოტექნიკური საშუალებების გარდა, აღჭურვილია ავტომატური მართვის, აგრეთვე, გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებისგან აქტიური დაცვის სისტემებით.



## ამერიკელებმა რუსებს მოუბოდიშეს

**პენტაგონის წარმომადგენელმა, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების გენერალ-ლეიტენანტმა ჯეფ ჰარიგანმა განაცხადა, რომ 17 ოქტომბერს სირიის ცაში რუსეთის სამხედო-კოსმოსური ძალების თვითმფრინავმა ძალიან ახლოს ჩაუფრინა ამერიკულ თვითმფრინავს, რის გამოც ამერიკელი სამხედროები ძალიან ანერვიულდნენ. ამერიკელი გენერლის თქმით, სრულიად შესაძლებელი იყო, რომ თვითმფრინავები ერთმანეთს შეჯახებოდნენ, შეჯახების პროვოცირება რუსული თვითმფრინავის არასწორმა მოქმედებამ გამოიწვია.**

მოგვიანებით, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომ ამერიკელებმა ბოდიში მოიხადეს სირიის ცაში 17 ოქტომბერს მომხდარი ინციდენტის გამო.

17 ოქტომბერს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავმა E-3 AWACS-მა, რომელმაც არად ჩააგდო უსაფრთხო ფრენის წესები, დაკავებული სიმაღლიდან ერთი კილომეტრით გადაინაცვლა და რუსულ Ⴘუ-35-ს 500 მეტრის მანძილზე მიუახლოვდა და ამით შექმნა მასთან შეჯახების საფრთხე.



## სირიაში «ბოევიკებმა» ამერიკული მოიერიშე თვითმფრინავი A-10 ჩამოაგდეს

**ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებმა განაცხადეს, რომ ჩამოაგდეს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების მოიერიშე თვითმფრინავი A-10 „ტანდერბოლტ“ II.**

ტერორისტული დაჯგუფების საინფორმაციო სააგენტომ Al-Amaq-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ამერიკული თვითმფრინავი ჩამოაგდეს სირიის პროვინცია ელ ჰასაკში, დასახლებულ პუნქტ მარკადასთან ახლოს.

მოიერიშე თვითმფრინავ A-10 „ტანდერბოლტ“ II-ს ამერიკელები იყენებენ ტანკების, დაჯავშნილი ტექნიკისა და სხვა მიზნების გასანადგურებლად.

# რაკეტა «ჰერმესი» უნიკალური მონაცემებით

## რუსები სირიაში უახლეს შორსმოქმედ რაკეტას გამოცდიან

**სამხედრო ვერტმფრენები Ka-52-ები, რომლებიც ბაზირებული არიან სირიის ნაპირებისკენ მიმავალ რუსულ მძიმე ავიამზიდ „ადმირალ კუზნეცოვზე“, გამოიყენებენ ახალ შორსმოქმედ ტანკსაწინააღმდეგო სამართავ რაკეტებს სახელწოდებით „ჰერმესი“. ამ რაკეტას შეუძლია 30 კმ-ის მანძილზე დააზიანოს მიზანი და ეს მაშინ, როდესაც აქამდე არსებული ყველაზე ეფექტიანი სამართავი რაკეტების — „ატაკას“, „ვიხრისა“ და ამერიკული „ჰელფაერის“ — მოქმედების სიშორე მხოლოდ 10 კმ-ია.**



ექსპერტთა აზრით, სირიაში „ჰერმესების“ გამოყენება რუს სამხედროებს არა მხოლოდ მისცემს ამ უნიკალური სარაკეტო კომპლექსის ბრძოლაში გამოცდის შესაძლებლობას, არამედ სიახლეს აჩვენებს პოტენციურ მყიდველს, უწინარესად — ეგვიპტეს.

უახლეს ტანკსაწინააღმდეგო სამართავ რაკეტაზე 1990-იანი წლებიდან მუშაობდა ხელსაწყოთმშენებლობის ტულის საკონსტრუქტორო ბიურო. მიუხედავად იმისა, რომ „ჰერმესს“ ოფიციალურად ტანკსაწინააღმდეგო რაკეტას უწოდებენ, ეს არის უნივერსალური საბრძოლო ნაკეთობა, რომელსაც შეუძლია ბევრნაირი მიზანი დააზიანოს, მათ შორის, შენობები, სამხედრო საველე ნაგებობები და მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა.

„ამჟამად მზად არის პატარა პარტია რაკეტებისა, რომლებმაც გამოცდა უნდა გაიაროს ვერტმფრენ Ka-52-ზე, — განაცხადა რუსეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენელმა, — საომარ ვითარებაში გამოცდა დაგვეხმარება სრულყოფაში რაკეტისა, რომლებითაც უნდა შეიარაღდეს ვერტმფრენი „ალიგატორი“.

რაკეტა „ჰერმესი“ აღჭურვილია დამიზნების კომბინირებული სისტემით, რომელსაც შეუძლია მიზნების აღმოჩენა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებშიც კი. „ჰერმესს“ აქვს მოწყობილობა დამიზნების ინფრაწითელი და ლაზერული არხებით.

რაკეტისთვის მიზნის შერჩევა შეიძლება ვერტმფრენით ან თვითმფრინავითაც, ანუ საჰაერო აპარატი მიზნისკენ მიმართავს ლაზერის სხივს, „ჰერმესის“ თვითდამიზნების კომბინირებული მექანიზმი კი სხივს „დაინახავს“ და რაკეტას ამ მიზნისკენ მიმართავს. სხვა შემთხვევაში ამას გააკეთებს ინფრაწითელი სხივის მოწყობილობა, რომელიც მიზანს გამოყოფილი სითბოს მიხედვით იპოვის. მომავალში კი რაკეტა „ჰერმესზე“ დაამონტაჟებენ მინიატურულ რადიოსალოკაციო სადგურს, რომელიც დამიზნების ინფრაწითელ მოწყობილობასთან ერთად უზრუნველყოფს უახლესი რაკეტის უნიკალურ სიზუსტეს.

**რაკეტა „ჰერმესის“ ტექნიკური მახასიათებლები**

***ორსაფეხურიანი რაკეტა „ჰერმესის“ სიჩქარე ჰიპერბგერით სიჩქარეს უახლოვდება — 1900 მ/წმ-ში.**

***სიგრძე 3,5 მ-ია. წონა კი დაახლოებით 90 კგ-ია და შეუძლია 800-1100 მმ სისქის ჯავშანი გახვრიტოს.**

***დამრტყმელი ბირთვი კუმულაციურ-ფუგასურია და 28 კგ-ს იწონის. ბაზირების მიხედვით დამზადებულია „ჰერმესის“ სხვადასხვა მოდიფიკაცია „ჰერმეს-A“, სახომალდე — „ჰერმეს-K“ და სტაციონარული „ჰერმეს-C“ (სანაპირო დაცვისთვის).**



# «სარმატი» — «შენიღბული სატანა» — ბოლო გაფრთხილება დასავლეთს

**ბრიტანულმა გამოცემებმა — Daily Mail-მა, The Sun-მა, აგრეთვე, ამერიკულმა The New York Post-მა რუსულ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტა PC-28 „სარმატზე“ დაწერეს, რომლის გამოსახულებაც პირველად გამოაქვეყნა მაკეევის სახელობის სარაკეტო ცენტრმა.**



Daily Mail-მა თავის მკითხველებს აუწყა, რომ „სარმატს“, რომელიც ბოლო გაფრთხილებაა დასავლეთისთვის რუსეთის პრეზიდენტის — ვლადიმერ პუტინის მხრიდან, შეუძლია პირისაგან მიწისა აღგავოს ინგლისი და უელსი ატომური ბომბით, რომელიც სიმძლავრით 2000-ჯერ აღემატება ჰიროსიმასა და ნაგასაკიში ჩამოგდებულ ბომბებს.

The San-მა კი მკითხველი შეაშინა მასალით სუპერრაკეტაზე, რომელსაც ერთდროულად 12 მიზნის დაზიანებით ტერიტორიით საფრანგეთის ტოლი ქვეყანა შეუძლია გაანადგუროს.



გაზეთმა The New York Post-მა კი რუსეთის ახალ ბირთვულ იარაღს „შენიღბული სატანა“ უწოდა.

სამხედრო კონსტრუქტორების თქმით, რაკეტა „სარმატს“ შეუძლია ერთდროულად გადაიტანოს 16 ქობინი 17 ათას კმ-ზე.

**სერიალი მიზნად არ ისახავს დემონური პონტიფიკოსის პროპაგანდას. იმიტომ, რომ ფილმის პერსონაჟი ანტიქრისტეა. სერიალი მხოლოდ აჩვენებს ტოლერანტულობისა და ყველაფრის დაშვების იდეის ლოგიკურ დასასრულს — ჯერ მსოფლიოში, ახლა უკვე ეკლესიაშიც.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

გლობალიზაცია, რომელიც ახლავს სხვადასხვა კულტურის შერწყმის მცდელობას, ფასეულობების სისტემაში — კონფლიქტებს, ადამიანებს შორის გაუცხოებას იწვევს. ევროპამ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ქადაგებდა სიტყვისა და ადამიანის თავისუფლებას, თანასწორობასა და ტოლერანტობას და რომელმაც, კარგა ხანია, უგულებელყო ქრისტიანობა, დაკარგა ის ფასეულობები, რომლებმაც აქამდე მოიყვანა; სამაგიეროდ, ჩაიძირა სულიერ და ზნეობრივ ქაოსში, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ე.წ. ნეოლიბერალური ფსევდოღირებულებები.

საზოგადოდ კი, დღეს ე.წ. დემოკრატიული ფასეულობები მხოლოდ ძალაუფლებისა და ეკონომიკური უპირატესობის გაძლიერების გამართლებაა, რომელსაც დასავლეთი იყენებს ქვეყნებისა და ხალხების დასამორჩილებლად. დასავლეთის თანამედროვე ფასეულობების სისტემა — ეს არის სისტემა, რომელიც აშშ-მა შექმნა სხვადასხვა ქვეყანაში მისთვის მიუღებელი რეჟიმების დასამხობად დემოკრატიის სახელით. ეს „ფასეულობები“ კი ეწინააღმდეგება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) ტრადიციებს ოჯახის, ერის, განათლების, ზნეობის შესახებ და ეწევა ჰომოსექსუალობის, გარყვნილების, ანტირელიგიური იდეების პროპაგანდას. ამის ნათელი დასტურია აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჯონ კერის მუქარა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე; ამის ნათელი დასტურია ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ ანტიმუსლიმანური კარიკატურები, რომელთა გამოც ტრაგედია დატრიალდა; შვედი ლესბოსელი-მღვდელმსახურის(?!) განცხადება ეკლესიებიდან ქრისტიანობის სიმბოლოს — ჯვრის ჩამოხსნის შესახებ, დანიის ქალაქ ოდენსეს ზოოპარკში შოკისმომგვრელი სანახაობის — ლომის ლეშის გაკვეთის — ჩვენება ბავშვებისთვის; მასობრივი მკვლელობები ამერიკის სასწავლო დაწესებულებებში — სკოლებსა და უნივერსიტეტებში და ა.შ.

რუბრიკაში გთავაზობთ სწორედ ისეთ ფაქტებს, რომლებიც მიუღებელია არა მხოლოდ ქართველი საზოგადოებისთვის, არამედ ყველა ნორმალური ადამიანისთვის. დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის...

## იტალიის თავდაცვის მინისტრმა ლესბოსელები დააქორწინა

**იტალია, მისი ძლიერი კათოლიკური ტრადიციებითურთ, ბოლო ქვეყანა იყო დასავლეთის ძლიერ სახელმწიფოებს შორის, რომელშიც სოდომისტებს ქორწინების რეგისტრაციის ნება დართეს. ქვეყნის პარლამენტმა რამდენიმეთვიანი დისკუსიის შემდეგ, და კათოლიკური ეკლესიისა და საზოგადოების დიდი ნაწილის პროტესტის მიუხედავად, მაინც დააკანონა ერთი და იმავე სქესის წარმომადგენლებს შორის ქორწინება.**

იტალიის თავდაცვის მინისტრმა **რობერტა პინოტიმ** შეასრულა დაპირება, რომელიც მან შეიარაღებულ ძალებსა და პოლიციაში სოდომისტების უფლებების დამცველ ორგანიზაცია Polis Aperta-ს („ღია პოლიცია“) მისცა, რომ პირადად გაატარებდა რეგისტრაციაში ერთნაირსქესიანთა შორის პირველ ქორწინებას. შედეგად, 9 ოქტომბერს რობერტა პინოტი გენუაში ორი ქალის ქორწინებას დაესწრო.

ჰომოსექსუალიზმის დამცველები გაკვირვებას ვერ მალავენ, რომ იტალიაში ერთნაირსქესიანთა ქორწინებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება ჯერ კიდევ ფართოდ არის გავრცელებული. სწორედ ამიტომ გამოთქვა „ღია პოლიციის“ ხელმძღვანელმა **სიმონეტა მორიმ** კმაყოფილება ლესბოსელთა დაქორწინებაში თავდაცვის მინისტრის მონაწილეობის გამო და განაცხადა, რომ ამიერიდან პოლიციელები და სამხედროები თავიანთ სექსუალურ ორიენტაციას აღარ დამალავენ.

იტალიის პარლამენტის მიერ ამა წლის მაისში მიღებული კანონპროექტის მიხედვით, ერთნაირსქესიან წყვილებს უფლება აქვთ, მიიღონ პარტნიორის გვარი, ისარგებლონ „მეუღლის“ პენსიით, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მიიღონ მემკვიდრეობა.



# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## ახალგაზრდა რომის პაპი: სვამს «კოკა-კოლას», ეწევა და არ სწამს ღმერთის



**კომპანიამ HBO (Home Box Office — ამერიკელი საკაბელო და თანამგზავრული სატელევიზიო ქსელი, შედის კომპანია Time Warner-ში), რომელმაც სახელი გაითქვა სერიალებით — „სატახტო თამაშები“ და „ველური დასავლეთის სამყარო“ — ახალი სერიალი გადაიღო — „ახალგაზრდა პაპი“ (The Young Pope). რეჟისორია იტალიელი პაოლო სორენტინო, რომელიც ოსკარით დააჯილდოვეს ფილმისთვის „დიდი სილამაზე“. „ახალგაზრდა პაპის“ პირველი სეზონი 8 ეპიზოდისგან შედგება. ფილმის შემქმნელებმა უკვე მიიღეს ნებართვა მეორე სეზონის სერიალების გადასაღებად.**

ქრისტიანული თვალსაზრისით, ფილმი ღვთის გმობაა, მაგრამ ნახვა აუცილებელია, რადგან აჩვენებს, საით მიექანება განვითარებული დასავლეთი თავისი პოსტმოდერნისტული კულტურითა და კათოლიკური დოგმატების დემოკრატიზაციით.

### ახალგაზრდა პაპი ოცნებობს მასტურბაციაზე, აბორტებსა და სოდომისტურ ქორწილებზე

კათოლიკური კანონების მიხედვით, რომის პაპის ტახტზე შეიძლება ავიდეს ნებისმიერი უცოლო კათოლიკე მამაკაცი. ფილმში რომის პაპის ტახტზე ადის სატანის მოციქული ლენი ბელარდო — 47 წლის სიმპათიური მამაკაცი, რომელიც შესანიშნავად განასახიერა ნიჭიერმა მსახიობმა **ჯუდ ლოუმ.**

პერსონაჟი არაერთგვაროვანია. ერთი მხრივ, გამოგონილ რომის პაპად — პიუს XXIII აირჩიეს ძალაუფლებას მოწყურებული, აბსოლუტურად უპრინციპო, გარყვნილი, რომელიც ძილში შავბნელ სიზმრებს ხედავს. პირველი სერია სწორედ სიზმრით იწყება, რომელშიც ბელარდო მძინარე ახალშობილების პირამიდიდან გამოძვრება აიფონის ზარის ხმაზე.

გულისშემძვრელია ბელარდოს მეორე სიზმარიც, რომელშიც ის წმინდა პეტრეს სახელობის მოედანზე სიტყვას წარმოთქვამს ათასობით მორწმუნის წინაშე:

**„თამაში — ეს სიცოცხლესთან ჰარმონიულად ცხოვრების ერთადერთი ბუნებრივი გზაა. ხოლო ღმერთთან ჰარმონიულად რომ ვიცხოვროთ, უნდა ვიცხოვროთ ჰარმონიულად თვით სიცოცხლესთან. ჩვენ არჩევანი არ გვაქვს. და კიდევ: რა დაგვავიწყდა? ჩვენ დაგვავიწყდა, როგორ უნდა მასტურბირება, კონტრაცეპტივების გამოყენება, აბორტების კეთება, გეების ქორწილებში მხიარულება. დავივიწყეთ იმის შესახებ, რომ ნება დავრთოთ მღვდელმსახურებს, უყვარდეთ ერთმანეთი და დაქორწინდნენ კიდეც. ჩვენ დავივიწყეთ, რომ გვაქვს სიკვდილის უფლება, თუკი მოგვყირჭდა სიცოცხლე“.**

„ერთადერთი გზა, იყო ბედნიერი — ეს არის თავისუფლება“, — გამოაქვს დასკვნა სიტყვის ბოლოს ბელარდოს სიზმარში.

მეორე მხრივ, ფილმში აქცენტი კეთდება მძიმე ბავშვობაზე ბიჭისა, რომელიც მონასტერმა შეიფარა. მონაზონი, რომელიც მასზე ზრუნავდა, ახალგამომცხვარმა პაპმა მთავარ თანაშემწედ დანიშნა და მის მიმართ დიდ სინაზესა და მადლიერებას გამოხატავს. მაგრამ ეს, ალბათ, არ იქნება ფროიდისტული სურათი ფსიქოლოგიური ტრავმაზე, ეს არის სურათი სამომავლოდ ევროპის სავარაუდო მზის ჩასვენებაზე.

### პაპის „ბანქოს სახლი“

ბელარდო პაპის პოსტზე კათოლიკური ეკლესიის კარდინალებმა წარადგინეს, რათა ადვილად ემართათ ახალი პონტიფიკოსი. ფილმში კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირები გამოყვანილი არიან ცივსისხლიან მმართველებად და არა მორწმუნე ქრისტიანებად.

ამონარიდი ვატიკანელი კარდინალების დიალოგიდან:

— სამაგიეროდ მივიღეთ ეს ფოტოგენური პაპი.

— ეს კი ნიშნავს იმას, რომ შეიძლება მისით მანიპულირება. ეს დიპლომატიური ეშმაკობის შედევრია, მაგრამ დიპლომატიური ეშმაკობა არ გამოვიდა, პირიქით — კარდინალებს პირველი დღიდანვე შეექმნათ პრობლემა პონტიფიკოსთან. ტახტის მთავარ პრეტენდენტს, კარდინალ სპენსერს, პაპი ყავის მოტანას ავალებს, შემდეგ ვატნიკანის წევრების სუსტ მხარეებს ავლენს და, საერთოდ, დესპოტივით იქცევა.

პოლიტიკური თამაშის სწორედ ასეთი რთული დასაწყისი იძლევა საფუძველს, „ახალგაზრდა პაპი“ შევადაროთ პოპულარულ სერიალ „ბანქოს სახლს“, რომელშიც ნაჩვენებია, როგორი ცინიკური უნდა იყო, რომ მოიპოვო ამერიკის პრეზიდენტის პოსტი. ამ სერიალის მთავარი გმირი **ფრენკ ანდერვუდიც** თეთრ სახლში სხვების დახმარებით შედის, როგორც მათი ახლობელი, მაგრამ შემდეგ იწყებს რთულ და ამორალურ თამაშს უამრავი მსხვერპლით.

კინოკრიტიკოსთა ბევრ რეცენზიაში აღნიშნულია, რომ ეს ამჟამინდელი პაპის — **ფრანცისკეს** ანტითეზაა, მაგრამ ეს შეფასება მთლად კორექტული არ არის: **რაც უნდა კარგი ინიციატივები ჰქონდეს რეალურ რომის პაპს (მაგალითად, ევთანაზიისა და აბორტის წინააღმდეგ), ის ცდილობს, კათოლიციზმში ანტიდოგმატები დაამკვიდროს, ეს, უწინარესად, არის სოდომისტებისადმი ტოლერანტულობა.**

შეგახსენებთ, რომ 2013 წელს რომის პაპმა ფრანცისკემ განაცხადა შემდეგი: „თუკი ადამიანი გეია, აქვს კეთილი ნება და მიისწრაფვის ღმერთისკენ, მე ვინ ვარ, რომ ის გავკიცხო?“

მან მოიშველია რომის კათოლიკური ეკლესიის კათეხიზმო და განაცხადა, რომ „ჰომოსექსუალები არ უნდა გამარგინალდნენ და საზოგადოებასთან ინტეგრირება მოახერხონ“. ამჟამად პაპი მხარს უჭერს ლიბერალურად განწყობილ არქიეპისკოპოსებს, რომლებსაც დასაშვებად მიაჩნიათ ერთი და იმავე სქესის პირებს შორის ქორწინება. მიმდინარე წელს კი ფრანცისკემ სოდომისტების წინაშე მონანიებისკენ მოუწოდა:

**„რომის კათოლიკურმა ეკლესიამ და რიგითმა ქრისტიანებმა ბოდიში უნდა მოიხადონ გეების წინაშე მათდამი უწინდელი დამოკიდებულების გამო“.**

ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ ეს ანტიგმირი შეიძლება ჩაფიქრებული იყოს, როგორც ფრანცისკეს რადიკალური მიმდევარი.

### ევროპის უახლოესი მომავალი, დაყვანილი აბსურდამდე

აშშ და ევროპის ბევრი ქვეყანა დაადგა დამღუპველ გზას, რომლიდანაც გადახვევა რთულია. ტოლერანტულობის იდეასა და ტრადიციული იერარქიის არარსებობას ადამიანები ჩიხში შეჰყავს: როდესაც ყველაფერი დასაშვებია, კონსტრუქცია იშლება. როგორც კი განაცხადებ სოდომისტების მიმართ მოთმინების გამოჩენაზე, პაპის „ბანქოს სახლი“ ინგრევა.

სერიალი, რა თქმა უნდა, მიზნად არ ისახავს დემონური პონტიფიკოსის პროპაგანდას, იმიტომ, რომ ფილმის პერსონაჟი ანტიქრისტეა. სერიალი მხოლოდ აჩვენებს ტოლერანტულობისა და ყველაფრის დაშვების იდეის ლოგიკურ დასასრულს — ჯერ მსოფლიოში, ახლა უკვე ეკლესიაშიც. ამის დაშვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

**„ცარგრადი“**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**სტალინი მტკიცედ და გადაჭრით იცავდა საბჭოეთის ნაციონალურ ინტერესებს. ისე იცავდა, რომ თავს არ იმძიმებდა, როგორც მას მიაჩნდა, ფარისევლური მორალის ან პირადული ინტერესების ტვირთით. სტალინის სიტყვებში გამოსჭვივის აზრისა და მოქმედების მიზანსწრაფული სისასტიკე, რომელიც კომუნისტური იდეოლოგიის ურყევი ერგულების შედეგია. სტალინი მგზნებარე რევოლუციონერი, გულმშვიდი, აღუშფოთებელი სტრატეგი იყო. მან რუსეთი XX საუკუნეში ზესახელმწიფოდ აქცია, ისე, როგორც რიშელიემ — საფრანგეთი XVII საუკუნეში.**

# სტალინი გამოჩენილი ადამიანების თვალით

**სტალინზე, მას შემდეგ, რაც გარდაიცვალა, უფრო მეტი ჰიპერბოლური გამოთქმაა მისი პიროვნებისა და მის მიერ შექმნილ იმპერიაზე, ვიდრე მის სიცოცხლეში იყო. თითქოს გაცვდა სიტყვები, მაგრამ, როგორც უნდა განვითარდეს კაცობრიობა, წარმოუდგენელია, საზოგადოებამ და ხალხმა არ იცოდეს, ვინ იყვნენ ალექსანდრე მაკედონელი, ნაპოლეონი და სტალინი, ხოლო, თუ ჩერჩილები, რუზველტები, დე გოლები შემორჩებიან მომავალ ცივილიზაციას, ისიც სტალინის დამსახურებით, რადგან თავის დროზე მიტმასნილი იყვნენ სტალინზე, მსოფლიო სივრცის ხომალდის ფსკერზე მიკრული თევზებივით.**



**«ის იყო კაცი, რომელიც თავის მტრებს თავისივე მტრის ხელით ანადგურებდა, და გვაიძულებდა ჩვენ, ვისაც დაუფარავად გვიწოდებდა იმპერიალისტებს, გვებრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ. რაც უნდა თქვან მასზე, ასეთ ადამიანებს ისტორია და ხალხი არ ივიწყებს!»**

იმპერიების დაშლის შემდეგ მსოფლიოში თითქმის არ გამოჩენილა პოლიტიკური თუ სამხედრო გენია, რომელიც იმპერიის შექმნას მოისურვებდა. იმპერიებს მხოლოდ იმპერატორები ქმნიან. XX საუკუნეში იმპერიის შექმნის შანსი ორ პიროვნებას ჰქონდა — სტალინსა და ჰიტლერს, მაგრამ ორი კაცის ადგილი პატარა ევროპაში არ იყო, ამიტომ სტალინი იძულებული შეიქნა, ჰიტლერი მოეშორებინა და ევროპის ერთპიროვნული მმართველი გამხდარიყო.

არც ერთ ეპოქაში არც ერთი იმპერატორის ხელში რუსეთი იმდენ ტერიტორიას არ აკონტროლებდა, რამდენსაც სტალინის სიცოცხლეში. არც ერთი იმპერატორის ხელში რუსეთს ისე სწრაფად არ უვლია წარმოების, ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის, მეცნიერების, სპორტისა და ადამიანის სოციალური სამართლიანობის დაცვის სფეროში, როგორც იარა 30 წლის განმავლობაში სტალინის ხელმძღვანელობით.

დღეს მსოფლიოში პოლიტიკოსები და ექსპერტები ერთმანეთს ეკამათებიან, თქვა თუ არა ჩერჩილმა, რომ: **„სტალინმა ჩაიბარა კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური ბომბით შეიარაღებული“.**

დაუშვათ, ჩერჩილს არ უთქვამს ეს სიტყვები, მაგრამ სინამდვილეში იყო თუ არა ეს სიმართლე, რომელიც ჩერჩილისთვის „მიწერილ“ ფრაზაშია? — თუ ჩერჩილს ეს ფარაზა არ წარმოუთქვამს, ამერიკელმა მეცნიერმა, მწერალმა და სოვეტოლოგმა **ალექს დე ჯონგმა** გასული საუკუნის ბოლოს დაწერა: **„სტალინმა რუსეთი ხის გუთნებით ჩაიბარა და დატოვა ატომური ბომბით“.**

არის რამე აქ სადავო?

ისტორიკოსი, პროფესორი **ვახტანგ გურული** თავის წიგნში „სტალინის დიდი ექსპერიმენტი“ წერს: **„სტალინის ნააზრევისა და ნაღვაწის შეცნობა ჩვეულებრივი მოკვდავის შესაძლებლობებს აღემატება“.**

აწ განსვენებული მეცნიერი, უპირველესად, დიდი ქართველი — **ვახტანგ გოგუაძე** თავის წიგნში „სტალინი — საშინელი სამსჯავრო“ წერს, რომ „სტალინი კაცზე დიდია და ღმერთზე — ნაკლები“.

ერთხელ კიდევ ჩავიკითხოთ, რას ამბობენ სტალინზე მისი თანამედროვენი და თანამებრძოლები, აგრეთვე, სტალინის შემდეგი პერიოდის მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები, მით უმეტეს, რომ პოლიტიკოსების მიერ გამოთქმულ ფრაზებში ხშირად იგრძნობა ეპოქის მაჯისცემა:

*** უინსტონ ჩერჩილი დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი 1940—1945 და 1951—1955 წლებში:**

„მე ჩავედი კრემლში და პირველად შევხვდი დიდ რევოლუციონერ ბელადს, ბრძენ მოღვაწესა და მეომარს... მხნედ და იმედიანად დავაბიჯებ ქვეყანაზე იმ ადამიანთან მეგობრობით გაამაყებული, რომლის დიდებამაც, მხოლოდ რუსეთს კი არა, მსოფლიოს გადაუარ“.

1959 წლის 21 დეკემბერს, სტალინის დაბადების 80 წლისთავზე, ინგლისის პარლამენტის თემთა პალატაში წარმოთქმული სიტყვიდან:

**„ბატონებო! თუ გვინდა, ვიყოთ და დავრჩეთ თავისუფალი სამყარის სათავეში, ჩვენი ვალია, ვიცოდეთ და ჯეროვნად შევაფასოთ ჩვენი მტრები, განსაკუთრებით გამოჩენილ პიროვნებები. დღეს ასეთად მინდა დავასახელო გენერალისიმუსი სტალინი.** რუსეთისთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ ქვეყანას მძიმე განსაცდელის ჟამს სათავეში ჩაუდგა გენიოსი და ურყევი მხედართმთავარი სტალინი. ის იყო ყველაზე გამოჩენილი ადამიანი, რომელიც შეეფერებოდა ჩვენი ცვალებადი და მკაცრი დროის იმ პერიოდს, რომელშიც მას უწევდა ცხოვრება. სტალინი იყო არაჩვეულებრივად ენერგიული და ერუდირებული, უდრეკი ნებისყოფის, სასტიკი, ულმობელი ადამიანი, როგორც საქმეში, ისე საუბრისას, რომელსაც მეც კი, აქ, ბრიტანეთის პარლამენტში აღზრდილი, ვერ ვუწევდი წინააღმდეგობას.

სტალინს, უწინარეს ყოვლისა, იუმორისა და სარკაზმის, აგრეთვე, ნათქვამის ზუსტად აღქმის განსაცვიფრებელი ნიჭი ჰქონდა; თავის სტატიებსა და გამოსვლებს მხოლოდ თვითონ წერდა და მათში ყოველთვის იგრძნობოდა შემსრულებლის ძალა, რომელიც სტალინში ისე დიდი იყო, რომ ყველა ხალხისა და ეპოქის ქვეყნის ხელმძღვანელთა შორის განუმეორებლად წარმოჩნდებოდა. სტალინი ჩვენზე უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენდა. ადამიანებზე მის გავლენას ანალოგი არ ჰქონდა... **როცა იალტის საკონფერენციო დარბაზში შემოდიოდა, ჩვენ, თითქოს გვიბრძანესო, ვდგებოდით და, რა გასაოცრადაც უნდა მოგეჩვენოთ, რატომღაც ხელები შარვლის ნაკერების გასწვრივ გვქონდა გაჭიმული.**

ის იყო ყველაზე რთული, გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნის უბადლო ოსტატი, ყველაზე კრიტიკულ და საზეიმო მომენტებში თანაბრად თავდაჭერილი, არასოდეს ჰყვებოდა ემოციებს და არ ეძლეოდა ილუზიებს, იგი უჩვეულო და რთული პიოროვნება იყო. მან შექმნა და დაიქვემდებარა ვეებერთელა იმპერია. **ის იყო კაცი, რომელიც თავის მტრებს თავისივე მტრის ხელით ანადგურებდა, და გვიაძულებდა ჩვენ, ვისაც დაუფარავად გვიწოდებდა იმპერიალისტებს, გვებრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ.** სტალინი იყო უდიდესი დიქტატორი, რომელსაც მსოფიოში ტოლი არ ჰყოლია, მან მიიღო ხის კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი. **რაც უნდა თქვან მასზე, ასეთ ადამიანებს ისტორია და ხალხი არ ივიწყებს!“**

*** ფრანკლინ დელანო რუზველტი, აშშ-ის პრეზიდენტი 1933—1945 წლებში:**

„მასთან მუშობა დიდი სიამოვნებაა. ის აყალიბებს საკითხს, რომლის განხილვაც სურს, და ამ საკითხიდან არც აქეთ და არც იქით არ იხრება... მომავლისა და აწმყოს საკითხების განსახილველად, სურვილი მაქვს, შევხვდე თანამედროვეობის დიდ ადამიანს — სტალინს, ეს აქამდე ვერ შევძელი, მაგრამ მჯერა, რომ ჩვენ შევხვდებით ერთმანეთს“.

*** შარლ დე გოლი, საფრანგეთის პრეზიდენტი 1959—1969 წლებში:**

„სტალინს კოლოსალური ავტორიტეტი ჰქონდა, და არა მხოლოდ რუსეთში, მას ძალუძდა, ესწავლებინა თავისი მტრებისთვის, გამარჯვებებით არ ენეტარათ, გამარჯვებები კი მას დამარცხებებზე გაცილებით მეტი ჰქონდა. სტალინური რუსეთი მონარქიასთან ერთად დაღუპული წინანდელი რუსეთი არ არის, მაგრამ სტალინური სახელმწიფო სტალინის ღირსეული მემკვიდრის გარეშე განწირულია“.

*** ჩან კაიში, ჩინეთის გომინდანური მთავრობის ხელმძღვანელი:**

„სტალინი მოკავშირეთა კოალიცაში თანასწორთა შორის პირველი იყო... ჩინეთმა სტალინის წყალობითა და სსრ კავშირის დახმარებით გაძლო იაპონიასთან ომის პირველ წლებში, ჩინეთის კომპარტია სტალინისვე წყალობით არა მხოლოდ გადაურჩა განადგურებას, არამედ კონტინენტურ ჩინეთში ძალაუფლებაც კი იგდო ხელთ, იაპონიის კაპიტულაციაც შეუძლებელი იქნებოდა გენერალსიმუს სტალინის მეთაურობით წითელი არმიის გამარჯვებების გარეშე. ასეა თუ ისე, ჩინეთის ისტორია 1930-იანი წლებიდან მრავალმხრივ არის დაკავშირებული სტალინისა და სსრ კავშირის პოლიტიკასთან“.

*** ალექსანდრე კერენსკი, რუსეთის დროებითი მთავრობის პრემიერმინისტრი 1917 წელს:**

„სტალინმა რუსეთი ფერფლიდან აღადგინა, დიდ სახელმწიფოდ აქცია, ჰიტლერი გაანადგურა, რუსეთი და კაცობრიობა გადაარჩინა“.

*** იუჰო კუსტი პაასიკივი, ფინეთის პრეზიდენტი 1946—1956 წლებში:**

„სტალინი ისტორიაში უდიდესი სახელმწიფოს შემოქმედია. სტალინი ფინეთისადმი სიმპათიასა და მეგობრულ დამოკიდებულებას ავლენდა. მისი გარდაცვალება ჩვენი ხალხის გულწრფელ მწუხარებას იწვევს. მე გენერალისიმუს სტალინთან მრავალგზის შეხვედრისა და მოლაპარაკების საშუალება მქონდა. ამ შეხვედრებზე ძალზე სასიამოვნო მოგონებები შემომრჩა“.

**შენიშვნა: იუჰო პაასიკივი ფინელებმა 10 ნომინალის ფინურ მარკაზე გამოსახეს და ეს არ ჩაითვალა კულტად, ხოლო სტალინი, რომელმაც უარი თქვა, საბჭოთა საფოსტო მარკაზე გამოესახათ მისი სახე, აგრეთვე, კომუნისტური პარტიისთვის ეწოდებინათ ლენინურ-სტალინური, ტირანად შერაცხეს და მისი პიროვნების კულტი დაგმეს.**

*** ენტონი იდენი, დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრი 1955—1957 წლებში:**

„სტალინმა თავდაპირველად ჩემზე შთაბეჭდილება თავისი ნიჭიერებით მოახდინა და მასზე აზრი არ შემიცვლია. მას ჰქონდა კარგი, ბუნებრივი, ეტყობა, ქართული წარმომავლობის მანერები, ვიცი, რომ ის იყო შეუბრალებელი, მაგრამ პატივს ვცემ მის გონებას და სიმპათიითაც კი ვარ განწყობილი მის მიმართ, რაც ჩემი თავისთვის ბოლომდე ვერ ამიხსნია. ეს, ალბათ, სტალინის პრაგმატიზმის შედეგი იყო. ჩქარა გავიწყდებიოდა, რომ შენ პარტიულ ლიდერთან ლაპარაკობდი... მე მისი სახით ყოველთვის საინტერესო, მოღუშულ და მკარც მოსაუბრეს ვხედავდი. ხშირად ასეთ განწყობაზე ყოფნას განსახილველი საკითხები ავალდებულებდა. სტალინი ღრმად იყო ჩახედული ყველა საკითხში, რომლებთანაც შეხება ჰქონდა. წინდახედულობითა და ოპერატიულობით გამორჩეოდა, ყოველივე ამის უკან ძალა იდგა“.

*** ჰენრი კისინჯერი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 1973—1977 წლებში:**

„სტალინი, როგორც დემოკრატიული ქვეყნების არც ერთი სხვა ლიდერი, მზად იყო, ნებისმიერ დროს შესდგომოდა ძალთა თანაფარდობის ძირფესვიანდ შესწავლას და რწმენით, რომ ის იყო მსახური ისტორიული სიმართლისა, რომლის გამოხატულებასაც მისი იდეოლოგია წარმოადგენდა, მტკიცედ და გადაჭრით იცავდა საბჭოეთის ნაციონალურ ინტერესებს; ისე იცავდა, რომ თავს არ იმძიმებდა, როგორც მას მიაჩნდა, ფარისევლური მორალის ან პირადული ინტერესების ტვირთით.

**სტალინის სიტყვებში გამოსჭვივის აზრისა და მოქმედების მიზანსწრაფული სისასტიკე, რომელიც კომუნის-** ▶

**«ადამიანების ყოველმხრივ და უსენტიმენტებოდ შემსწავლელ სტალინს შეეძლო, როგორც ჭეშმარიტ ქართველ გმირს, დიდი და კარგი მეგობარიც ყოფილიყო და შეურიგებელი, საშიში მტერიც»**

„გაბედული, მაგრამ ფრთხილი, ადვილად განსარისხებელი და ეჭვიანი, მაგრამ მომთმენი და თავისი მიზნების მიღწევაში დაუოკებელი, შეეძლო ემოქმედა ძალზე შეუპოვრად, მოთმინებით და ფარულად, — გარემოებების შეესაბამისად. გარეგნულად სადა და უბრალო, მაგრამ სახელმწიფოს პრესტიჟისა და ღირსების უმკაცრესი და უბადლო დამცველი. ...პრინციპული და უყოყმანო, როცა საქმე პატიოსნებისა და მორჩილებისადმი მის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს ეხებოდა. ადამიანების ყოველმხრივ და უსენტიმენტებოდ შემსწავლელ სტალინს შეეძლო, როგორც ჭეშმარიტ ქართველ გმირს, დიდი და კარგი მეგობარიც ყოფილიყო და შეურიგებელი, საშიში მტერიც. მისთვის ძნელი იყო, მეგობარსა და მტერს შორის რაღაც შუალედური ყოფილიყო“.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ტური იდეოლოგიის ურყევი ერგულების შედეგია. სტალინი მგზნებარე რევოლუციონერი, გულმშვიდი, აღუშფოთებელი სტრატეგი იყო. მან რუსეთი XX საუკუნეში ზესახელმწიფოდ აქცია, ისე, როგორც რიშელიემ — საფრანგეთი XVII საუკუნეში“.

*** კორდელ ჰალი, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი 1933—1945 წლებში:**

„სტალინი გასაოცარი პიროვნებაა, ის დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი ნიჭითა და გონებით, აგრეთვე, პრაქტიკული საკითხების არსის წვდომის უნარით. ის რუზველტსა და ჩერჩილთან ერთად ერთ-ერთია იმ ლიდერთაგან, რომლებსაც მხრებზე აწვებათ ისეთი პასუხისმგებლობა, რომლის მსგავსიც არც ერთ ადამიანს არ დაეკისრება უახლოეს 500 წელიწადში“.

*** ჰარი ლოიდ ჰოპკინსი, აშშ-ის პრეზიდენტ ფრანკლინ დელანო რუზველტის სპეციალური მრჩეველი:**

„...ძალიან ვარ დარწმუნებული ამ ფრონტის წარმატებაში. აქ სუფევს გამარჯვების მტკიცე რწმენა... სტალინს რომ რამე დამართნოდა, როგორი შედეგები გვექნებოდა?! ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ შეგვეძლო, მივნდობოდით მის გონებას, გრძნობასა და გაგებას, მაგრამ ჩვენი ეს რწმენა არ ვრცელდებოდა იმ გარემოებებსა და მოღვაწეებზე, რომლებიც მის ზურგს უკან იმყოფებოდნენ, იქ, მის ზურგს უკან“.

*** ავერელ ჰარიმანი, აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში 1943—1946 წლებში:**

„ისინი, ვინც სტალინს პირადად არ იცნობდნენ, მასში მხოლოდ ტირანს ხედავენ. მე კი მეორე მხარეც მინახავს — მისი ჭკუა, დეტალების ფანტასტიკური აღქმის ნიჭი, მისი გამჭრიახობა და განსაცვიფრებელი ადამიანური ყურადღება, რისი გამოჩენის უნარიც ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ომის წლებში, ჩემი აზრით, ის უფრო იყო ინფორმირებული, ვიდრე რუზველტი და საქმის ვითარებას უფრო რეალისტურად უყურებდა, ვიდრე ჩერჩილი. ომის ლიდერებს შორის ის ყველაზე მნიშვნელოვან ფიგურა იყო“.

## «იყო სტალინი — ნიშნავს სიცრუის სიძულვილს და ადამიანების დაფასებას, კომუნიზმისთვის საკუთარი სისხლის ბოლო წვეთამდე გაღებას... მასში იყო სახელმწიფო კაცის — იულიუს კეისრის ჭკუა და მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენიალურობა და ციცერონის ორატორული დამარწმუნებლობა და ლაკონურობა, მაგრამ ის მათზე მაღლა დგას, გაცილებით მაღლა, მასში ისინი ყველანი იყვნენ...»



სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი პოტსდამის კონფერენციაზე

*** ჯორჯ ფროსტ კენანი, აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში 1952 წელს:**

„გაბედული, მაგრამ ფრთხილი, ადვილად განსარისხებელი და ეჭვიანი, მაგრამ მომთმენი და თავისი მიზნების მიღწევაში დაუოკებელი, შეეძლო ემოქმედა ძალზე შეუპოვრად, მოთმინებით და ფარულად, გარემოებების შეესაბამისად. გარეგნულად სადა და უბრალო, მაგრამ სახელმწიფოს პრესტიჟისა და ღირსების უმკაცრესი და უბადლო დამცველი. ...პრინციპული და უყოყმანო, როცა საქმე ეხებოდა პატიოსნებისა და მორჩილებისადმი მის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. ადამიანების ყოველმხრივ და უსენტიმენტებოდ შემსწავლელ სტალინს შეეძლო, როგორც ჭეშმარიტ ქართველ გმირს, დიდი და კარგი მეგობარიც ყოფილიყო და შეურიგებელი, საშიში მტერიც. მისთვის ძნელი იყო, მეგობარსა და მტერს შორის რაღაც შუალედური ყოფილიყო“.

*** ჯოზეფ ედვარდ დევისი, აშშ-ის ელჩი საბჭოთა კავშირში 1936—1938 წლებში:**

„სტალინი, როგორც ჭეშმარიტად დიდი ადამიანი, მეტად თავმდაბალი და მოკრძალებულია. ის უარყოფს მისადმი გამოთქმულ ყოველგვარ ქება-დიდებას უდიდესი სამრეწველო ობიექტების აშენებისთვის, რომელთა ნახვაც მე მომიწია, და მიაჩნია, რომ ეს ქვეყნის ათასობით ინჟინერ-ტექნიკოსისა და მუშა-მოსამსახურის დაძაბული შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგია... რომ არა მოვლენათა მისეული განჭვრეტა, კეთილგონიერება და დაუოკებელი ნებისყოფა, შეუძლებელი იქნებოდა მძლავრი საბჭოთა შეიარაღებული ძალების შექმნა და გერმანელებს საბჭოთა საზღვრის გადალახვისას წინ ვერ აღუდგებოდა ტანკებით, ქვემეხებითა და თვითმფრინავებით შეიარაღებული წითელი არმია, რომელმაც შესაძლებლობა არ მისცა ჰიტლერს, საბჭოთა კავშირის დამარცხების შემთხვევაში ბატონობა დაემყარებინა ევრაზიაზე, აფრიკაზე და მათ მიმდებარე ზღვებზე“.

*** ჰენრი არნოლდი, ამერიკელი გენერალი:**

„სტალინმა გამაკვირვა ჩვენი თვითმფრინავების ცოდნით. იგი მათ თავისებურებებს, მათი შეიარაღებისა და ჯავშნის დეტალებს უფრო უკეთ იცნობდა, ვიდრე ჩვენი საჰაერო ძალების ბევრი დაწინაურებული ოფიცერი. სტალინი ჭეშმარიტად ფოლადის ადამიანი იყო, უშიშარი, ბრწყინვალე გონების, სწრაფი აზროვნებისა და რეაქციის, შეუბრალებელი, დიდი ლიდერი და გაბედული“.

*** ალექს დე ჯონგი, ამერიკელი მეცნიერი, პროფესორი:**

„ჰიტლერს საბჭოთა კავშირი რომ დაემარცხებინა, უკვე არ იარსებებდნენ რუსები, მაგრამ მათთან ერთად ფრანგებიც, ინგლისელებიც, ამერიკელებიც აღიგვებოდნენ პირისაგან მიწისა. ის გენიალური პიროვნებაა კიდევ იმიტომ, რომ ბოლო მსოფლიო ომში მოახერხა, თავის მოკავშირეებად ექცია ინგლისელები, ამერიკელები და ფრანგებიც. ყველა დიდ შეცდომას უშვებს მაშინ, როცა ფიქრობენ, რომ პოლიტიკის აგება პირად ურთიერთობებზე შეიძლება. ამის იმედი ჰქონდა ჩერჩილს, რომელიც თავდაჯერებული ფიქრობდა, რომ გაეცნობოდა სტალინს და მას თავის თაყვანისმცემლად გაიხდიდა. სტალინმა კი შეძლო აეძულებინა როგორც ჩერჩილი, ისე რუზველტი, ევლო მის მიერ დასახული გზით. ამდენად, სტალინის სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა ჩვენგანის არსებობა“.“

***ადოლფ ჰიტლერი, გერმანიის ფიურერი 1934—1945 წლებში:**

„უდავოდ გვმართებს, სტალინს ჯეროვანი პატივისცემით მოვეკიდოთ, ის გენიალური ტიპია“.

*** იოახიმ ფონ რიბენტროპი, ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი 1938—1945 წლებში:**

„ჩვენი მთავარი მტერი საბჭოთა კავშირია, სტალინი კი, როგორც სტრატეგი და სახელმწიფო მოღვაწე, უფრო ნიჭიერია, ვიდრე ჩერჩილი და რუზველტი ერთად“.



გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იოახიმ ფონ რიბენტროპი და სტალინი თავდაუსხმელობის პაქტზე ხელმოწერისას კრემლში, 1939 წლის 23 აგვისტო

*** ჰენრიხ მიულერი, ფაშისტური გერმანიის გესტაპოს შეფი 1939—1946 წლებში:**

„მხოლოდ იმაზე დავფიქრდეთ, რისი გადატანა მოუხდა მის (სტალინის) სისტემას ბოლო ორი წლის განმავლობაში, არადა, როგორი ავტორიტეტით სარგებლობს ხალხის თვალში. სტალინი ახლა სულ სხვა მხრივ წარმომიდგება, ის დასავლეთის სახელმწიფოების ყველა ლიდერზე განუზომლად მაღლა დგას“.

*** ბერნარდ შოუ, ინგლისელი მწერალი:**

„ახლა, როცა სტალინი ჩვენს მხარესაა, ომს აუცილებლად მოვიგებთ. სტალინი გიგანტია, დასავლეთის სახელმწიფოების სხვა ლიდერები — პიგმეები.“

*** პაბლო პიკასო, ესპანელი მხატვარი:**

„იყო სტალინი — ჩემი აზრით, მსოფლიოში ძალიან, ძალიან ბევრს ნიშნავს. ის გენიალური ადამიანი გახლდათ და ამაში ეჭვი არავის ეპარება — არც მონმარტელ ქუჩის მხატვარს, არც აკადემიაში მოღვაწე გამოჩენილ მეცნიერს, არც „როლს-როისის“ ინჟინერსა და გალვანობის აღმომჩენს ამერიკაში. ის გენიალურია, არა მხოლოდ უბრალო ადამიანის თვალსაზრისით, არამედ დიდი ხელოვანების თვალსაზრისითაც კი.

იყო სტალინი — ნიშნავს სიცრუის სიძულვილსა და ადამიანების დაფასებას, კომუნიზმისთვის საკუთარი სისხლის ბოლო წვეთამდე გაღებას და იმაში დაურწმუნებლობას, რომ ასეთი გმირობისთვის სხვებიც მზად არიან, ბელადის კულტის ესერული ერესის ნაყოფად მიჩნევას და საკუთარ კულტზე თვალის დახუჭვას.

მასში იყო სახელმწიფო კაცის — იულიუს კეისრის ჭკუა და მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენიალურობა და ციცერონის ორატორული დამარწმუნებლობა და ლაკონურობა, მაგრამ ის მათზე მაღლა დგას, გაცილებით მაღლა, მასში ისინი, ყველანი იყვნენ... და თუ მსოფლიოს ისტორიაში სამი-ოთხი ადამიანი დარჩება, ერთი მათგანი უეჭველად სატლინი იქნება“.

*** პაბლო ნერუდა, ჩილელი პოეტი:**

„მაგრამ იცოდეთ,
ვაშინგტონს, ნიუ იორკს,
თუ ლეგიონებს კვლავ
აასხამთ საომარ ჯავშანს,
დიდი ქვეყანა სინათლისა
რომ დაანგრიოთ;
თუ ჩიკაგოელ მსუქან
ყასაბს საყმოდ გადასცემთ,
რაც გვწამს და გვიყვარს,
ჩვენს სიყვარულს
და ჩვენს სიცოცხლეს, —
მაშინ ამოვალთ
ქვესკნელიდან,
რომ გზა შეგიკრათ
და სასიკვდილოდ
დაგიკოდოთ
ბოროტი გული,
... და ჯოჯოხეთურ
ცეცხლში, ქვეყნად
რომ გააჩაღეთ,
თქვენვე დააგბუგავთ!“




## ყურადღება!

„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სინდისგარეცხილმა პრესამ ყველაფერი იკადრა ტრამპის დემონიზაციისთვის. აშშ-ში არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ უნისონში აყვირდა თითქმის ყველა გაზეთი და ტელევიზია, რადგან მედიამ ყველაზე უკეთ იცის, რომ არჩევნებს აუცილებლად მოიპარავენ, ამიტომ ცდილობს, დაფაროს ეს ქურდობა.**



«ფორინ პოლისი»:

# არჩევნებით მანიპულაცია — ამერიკის ძველი ტრადიცია

**ეს ჟურნალი განიხილავს სკანდალს, რომელიც აგორდა მას შემდეგ, რაც აშშ-ის პრეზიდენტობის რესპუბლიკელმა კანდიდატმა განაცხადა, რომ, შესაძლოა, მან არ აღიაროს 8 ნოემბრის არჩევნების შედეგები.**

ზოგჯერ საკუთარ თავს ვეკითხები: აქვთ ამერიკელებს მეხსიერება? ფაქტია, რომ ოლიგარქიულმა „ერთმა პროცენტმა“ აირჩია ჰილარი კლინტონი აშშ-ის მომდევნო პრეზიდენტად, მისი უამრავი პრობლემის მიუხედავად. გამოჟონა ცნობამ, რომ მასთან დაახლოებული პირები თეთრ სახლში უკვე ირჩევენ სათავისოდ კაბინეტებს. შედეგში ამგვარი დარწმუნება მიგვანიშნებს, რომ ყველაფერი წინასწარაა გადაწყვეტილი.

ტრამპის ზეპირი განცხადებით, მან შეიძლება არ აღიაროს არჩევნების შედეგები, თუ ის გაყალბებული აღმოჩნდება. სინდისგარეცხილმა მასმედიამ დაუყოვნებლივ შეუტია მას „ამერიკული დემოკრატიისა“ და „ხალხის ნების ამერიკული ტრადიციის დარღვევის“ გამო.

**აშკარა მონაჩმახია! არჩევნების მოპარვა ამერიკის ტრადიციაა. არჩევნებს იპარავენ ყველა დონეზე** — სამუნიციპალიტეტო, საშტატო და ფედერალურ დონეებზე. ლეგენდად იქცა ჩიკაგოში ქალაქის მერის — **რიჩარდ დეილის** მიერ ამომრჩევლების ხმების მოპარვის ფაქტი, რომელმაც უზრუნველყო ილინოისში პრეზიდენტ **ჯონ კენედის** გამარჯვება. აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში **ალბერტ გორს** მოპარა ხმები ფლორიდაში ბიულეტენების გადათვლაზე ნებართვის გაცემით. საყოველთაოდაა ცნობილი სერიოზული განსხვავება, რომელიც ყოველთვის ჩანს ეგზიტპოლებსა და ხმების დათვლის შედეგებს შორის.

შავკანიანთა უფლებებისთვის მებრძოლი მოძრაობა ათწლეულების განმავლობაში ამაოდ ცდილობდა აღმოეფხვრა არჩევნების გაყალბების ფაქტები. შავკანიანი ამომრჩევლების ხმების გაყალბება რამდენიმე მეთოდით ხდება. ხშირად აფროამერიკელებს არ შეუძლიათ დარეგისტრირდნენ ხმის მიცემის სიებში. თუ მოახერხებენ ამას, მაშინ მათ საცხოვრებელ რაიონებში მინიმალური ოდენობით იხსნება საარჩევნო უბნები.

„ნაციონალ პაბლიკ რადიოს“ დირექტორი ამბობდა, რომ რუსეთმა არა მხოლოდ გატეხა **ჰილარი კლინტონის** ელექტრონული ფოსტა, არამედ შეცვალა იმგვარად, რომ უწყინარი მიმოწერა მაკომპრომენტირებელ დოკუმენტებად აქცია. ასეთი შეუსაბამო განცხადებები ჰილარი კლინტონის მხარდასაჭერად და ტრამპის წინააღმდეგ ცოტა როდი ქვეყნდება პრესაში.

**სინდისგარეცხილმა პრესამ ყველაფერი იკადრა ტრამპის დემონიზაციისთვის. აშშ-ში არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ უნისონში აყვირდა თითქმის ყველა გაზეთი და ტელევიზია, რადგან მედიამ ყველაზე უკეთ იცის, რომ არჩევნებს აუცილებლად მოიპარავენ, ამიტომ ცდილობს, დაფაროს ეს ქურდობა.**



«ნიუსმაქს.კომ»

# ჰილარი კლინტონმა იცრუა ფიცის დადებისას — უფლებადამცველთა ახალი სამხილები

**ამერიკის უფლებადამცველთა კონსერვატული ჯგუფი „ნიუსმაქს.კომისთვის“ მიწოდებულ მასალაში საეჭვოდ მიიჩნევს ჰილარი კლინტონის ჩვენებებს.**

ბევრი ამერიკელი კვირების განმავლობაში სასოწარკვეთილი აკვირდებოდა გამოძიების ფედერალური ბიუროსა და აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს მიერ გაყალბებული საქმის გამოძიებას, რომელიც აღძრული იყო **ჰილარი კლინტონის** წინააღმდეგ ელექტრონული ფოსტის სერვერის გატეხვის გამო. საბოლოო ინფორმაცია, რომელიც ზემოთ დასახელებულმა უფლებადამცველმა მოძრაობამ საკუთარი გამოძიების შედეგად მოიპოვა, გარანტირებულად საინტერესო იქნება სამართალდამცავი ორგანოების პატიოსანი წარმომადგენლებისთვის.

უწინარეს ყოვლისა, კლინტონის განცხადება, რომ „არ ახსოვს“, ვინმეს თუ უკავშირდებოდა იმ პრობლემის გამო, როდესაც უჭირდა თავისი მობილური მოწყობილობიდან სერვერთან დაკავშირება, სრული სიყალბეა. იგი ამ თემაზე არაერთხელ ესაუბრა სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილ სპეციალისტს — **ბრაიან პალიანოს,** რაც მტკიცდება სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოძიების ფედერალური ბიუროსთვის ბოლო ჯერზე წარდგენილი დოკუმენტებით.

არადა, კლინტონმა, რომელმაც დაიფიცა, რომ სიმართლეს იტყოდა, გამომძიებლებს ოცჯერ უპასუხა **„არ მახსოვს“.**

არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჰილარი კლინტონმა და მისმა ხელქვეითებმა წაშალეს 30 ათასზე მეტი წერილი, რომლებიც ქალბატონის მიერ იყო მიღებული ან გაგზავნილი მისი სახელმწიფო მდივნად ყოფნის პერიოდში. მიმოწერაში არსებული უტყუარი სამხილები ადასტურებს, რომ კლინტონი აშკარად ცრუობდა და შეგნებულად შეჰყავდა შეცდომაში ამერიკის საზოგადოებრიობა.

CBS:

# «ისლამური სახელმწიფო» შეტევას აპირებს



**ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფო“ აპირებს, დასავლეთის ქვეყნებს სირიის ქალაქ რაკადან შეუტიოს. ამის თაობაზე განაცხადა სირიასა და ერაყში ამერიკის ჯარების სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა სტივენ თაუნსენდმა.**

„ვიცით, რომ ისინი რაღაცას გეგმავენ და ეს გეგმა ქვეყნის გარეთაა დამუშავებული, მაგრამ ზუსტად არ ვიცით, სად დაგვარტყამენ; ზუსტად არ ვიცით, — როდის“, — მოჰყავს თაუნსენდის სიტყვები CBS-ს.

გენერლის თქმით, შეტევა განხორციელდება ქალაქ რაკადან, რომლის გათავისუფლებასაც გეგმავს კოალიცია აშშ-ის თაოსნობით.

თაუნსენდმა აღნიშნა, რომ რაკას გასათავისუფლებლად მეტი დრო დასჭირდებათ, ვიდრე — ერაყული მოსულის.

უფრო ადრე აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ეშტონ კარტერმა განაცხადა, რომ საერთაშორისო კოალიცია ემზადება, შეუტიოს „ისლამურ სახელმწიფოს“, რომელიც რაკაშია გამაგრებული.



# «აშშ-ის ხელისუფლება კანონგარეშე ბანდიტების ხროვაა»

**„ასე უკმეხად მოიხსენია ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გავრცელებულ განცხადებაში აშშ-ის ადმინისტრაცია“, — წერს „რია ნოვოსტი“.**

„ობამას დამქაშები, კერის ჩათვლით, არის კანონგარეშე ბანდიტების ხროვა, რადგან ისინი ძალით ამხობენ სუვერენული ქვეყნების კანონიერ მთავრობებს, რომლებითაც უკმაყოფილონი არიან, და უკვე დახოცეს ათასობით უდანაშაულო ადამიანი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში“, — ნათქვამია კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

უწყება აცხადებს, რომ, როგორც უნდა ეცადოს აშშ, ჩამოჰკიდოს ჩრდილოეთ კორეას „არალეგალური რეჟიმის“ იარლიყი, ეს „ვერ შეარყევს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პოზიციას, რომელიც სრულად ამჟღავნებს ერთიანობისა და სიმტკიცის ძალას და სახელმწიფოს უსაზღვროდ დიდ ძლიერებას“.

ასე უპასუხეს ჩრდილოეთ კორეის დიპლომატებმა აშშ-ის სახელმწიფო მდივან **ჯონ კერის**, რომელმაც განაცხადა, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა „არალეგიტიმური რეჟიმიაო“.

**„ობამას დამქაშები, კერის ჩათვლით, არის კანონგარეშე ბანდიტების ხროვა, რადგან ისინი ძალით ამხობენ სუვერენული ქვეყნების კანონიერ მთავრობებს, რომლებითაც უკმაყოფილონი არიან, და უკვე დახოცეს ათასობით უდანაშაულო ადამიანი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში“.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



«ზიუდდოიჩე ცაიტუნგი»:

# შტაინმაიერი ევროკავშირის დაშლას წინასწარმეტყველებს

**„გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი მიიჩნევს, რომ ევროკავშირი „ძლიერი ტურბულენტნობის ზონაში“ იმყოფება. მისი უწყება აპირებს, დაიწყოს ერთგვარი ტური გერმანია-ევროპა, რათა ევროკავშირის მოსახლეობასთან ერთად განიხილოს ამ გაერთიანების მომავალი“, — წერს „ზიუდოიჩე ცაიტუნგი“.**

ამ გაზეთთან ინტერვიუში შტაინმაიერმა აღნიშნა: „გასულმა წელმა დაგვანახვა, რომ საგნები, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში სტაბილური გვეგონა, უცებ კითხვის ნიშნის ქვეშ მოექცა. „საუკუნო მშვიდობა ჩვენს კონტინენტზე, უალტერნატივო ევროპა“ — მსგავს განცხადებებს ველარ მივიჩნევთ ურყევ ჭეშმარიტებად.

ფინანსურმა კრიზისმა, ლტოლვილების მოზღვავებამ ევროპაში, შეშფოთებამ, რომელიც დიდი ბრიტანეთის რეფერენდუმის შედეგად განვიცადეთ, ევროკავშირი ძლიერი ტურბულენტობის ზონაში მოაქცია“, — თქვა შტაინმაიერმა. მისი აზრით, მემარჯვენე პოპულისტები ისარგებლებენ მომენტით და დაიწყებენ იმ ამომრჩევლების ხმებზე ნადირობას, რომლებიც საზოგადოების მემარჯვენე და მემარცხენე ძალებს შორის იმყოფებიან.

„ევროპის ნამდვილ მომხრეებსაც კი ესმით, რომ თავიდან უნდა დავიწყოთ იმათი დარწმუნებით, რომლებიც ევროპის პროფესიონალი მეგობრების სპილოს ძვლის კოშკის მიღმა ცხოვრობენ და მოღვაწეობენ... თუ ვერ შევძლებთ ევროკავშირის მნიშვნელობის ღირსეულად დაფასებას, იგი დაიღუპება“, — თქვა მინისტრმა.

სწორედ ამიტომ გეგმავს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო იმ ტურის ჩატარებას, რომელიც ზემოთ ვახსენეთ. „ეს არ ნიშნავს, რომ ვაპირებთ „ვარდისფერი სათვალეების“ ყველათვის ჩამორიგებას. პირიქით — გვსურს, მოვისმინოთ კრიტიკა და შევიტყოთ, რა ხდება ევროპის თავს, რა არის მისი პრობლემა“, — ხაზი გაუსვა შტაინმაიერმა.

2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის მარტამდე შტაინმაიერის უწყება დისკუსიებს ჩაატარებს გერმანიისა და ევროკავშირის წევრი მეზობელი ქვეყნების ამ პრობლემით დაინტერესებულ მოქალაქეებთან.

«თურქი ტაიმსი»:

# თურქეთს არსებული საზღვრები კეთილი ნებით არ უღიარებია



**ეს განაცხადა თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა თავის მორიგ გამოსვლაში.**

**„თურქეთი 20 მილიონი კვადრატული კილომეტრით შემცირდა დღევანდელ ტერიტორიამდე. საიდან სად? ეს რესპუბლიკა პირველი ჩვენი სახელმწიფო არ არის, უკანასკნელია. ამ ქვეყნის საზღვრები კეთილი ნებით არ მიგვიღია. არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენი მამა-დამფუძნებლების უმეტესობა დაიბადა და გაიზარდა ჩვენი ამჟამინდელი საზღვრების მიღმა. თქვენ იცით, რაზეც გელაპარაკებით, ხომ მართალია? ჩვენ უნდა შევურიგდეთ ამ ფაქტს, რათა შევისვენოთ გაუთავებელ ომებსა და კონფლიქტებს შორის.**

**ყველაზე დიდი შეცდომა იქნებოდა, გვეშენებინა ეს ქვეყანა და ეს საზოგადოება იმ მსხვერპლის საძირკველზე, რომელიც გავიღეთ იმ დროთა საეჭვო ვითარებაში. ამის გაგება არ შეგვიძლია. არავითარ შემთხვევაში. ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ისტორიისა და ცივილიზაციის ამგვარ მცდარ აღქმაზე“,** — განაცხადა ერდოღანმა.

რამდენიმე დღით ადრე ერდოღანმა, აგრეთვე, განაცხადა, რომ ერაყის ქალაქები კირკუკი და მოსული ისტორიულად თურქეთისა იყო. პრემიერმინისტრმა **ბინალი ილდირიმმა,** თავის მხრივ, აღნიშნა, რომ თურქეთი მზად არის, „განახორციელოს ლონისძიებები“ ერაყში.

უფრო ადრე ერდოღანმა გაამართლა თურქეთის შეჭრა ერაყის ტერიტორიაზე ძლიერის უფლებით.




«იუესაი თუდეი»:

# აშშ ერთდროულად ხუთ ომს აწარმოებს, მაგრამ ყველა ლაპარაკობს ტრამპზე, კლინტონსა და სექსზე

**„ჩვენ დიდი დრო დავკარგეთ დონალდ ტრამპზე, ბილ კლინტონსა და სექსზე საუბრებით, წერს მიმომხილველი დეიმონ ლინკერი და დამწუხრებული კითხულობს: „რატომ არავინ აღიარებს, რომ ამერიკა ერთდროულად ხუთ ომში მონაწილეობს? მოკლედ რომ ვთქვათ, პრეზიდენტობის არც ერთ კანდიდატს ხელს არ აძლევს, აღიაროს, რომ თეთრი სახლის მომავალი მასპინძელი მემკვიდრეობად მიიღებს მსოფლიოში არსებულ აბსოლუტურად მახინჯ და საშიშ ვითარებას.**

ბუნებრივია, რომ ტრამპი ლაპარაკობს ძირითადად იმიგრაციაზე, პოლიტკორექტულობასა და სხვა საშინაო საკითხებზე. მისი საგარეო პოლიტიკა, როგორც ჩანს, ამოიწურება იმით, რომ არ ახსენებს იმ ქვეყნებს, რომლებიც არავის აწუხებენ, და დაბომბოს ისინი, რომლებიც ამ წესს არღვევენ. ამ საკითხებზე ხანგრძლივად ლაპარაკი მისთვის უაზრობაა.

**ჰილარი კლინტონს** კი სურვილი არ აქვს, დიდი ყურადღება დაუთმოს ამერიკის სამხედრო და დიპლომატიურ პრობლემებს, რადგან ამ საკითხებში თვითონაა გარეული. მას უყვარს საუბარი სახელმწიფო მდივნად ყოფნისას მიღებულ გამოცდილებაზე, მაგრამ არა მის მიერ მიღწეულ წარმატებებზე, რომლებიც, კაცმა რომ თქვას, პრაქტიკულად არც აქვს.

**სირიაში,** სადაც გავლებულ „წითელ ხაზებზე“ არაერთხელ განგვიცხადებია, რომ ვითარება მრავალგზის გაუარესდა. ასიათასობით ადამიანი დაიღუპა, ლტოლვილების ტალღამ ევროპული ქვეყნების სტაბილირობა შეარყია, ხოლო რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა**, ეტყობა, წარმატებით დაასრულა აშშ-ის დომინირება ამ რეგიონში.

**ირანი** დაუფარავად დაგვცინის, ხელთ იგდებს ჩვენს ხომალდებსა და მეზღვაურებს. **საუდის არაბეთი** აშშ-ის დახმარებით იემენის ომში ჩათრეული აღმოჩნდა, რომელიც (ომი), როგორც ჩანს, არცთუ კარგად მიმდინარეობს. ტერორისტული დაჯგუფება **„ისლამური სახელმწიფო“** კვლავაც რჩება უპირველეს საფრთხედ ერაყისთვის, სირიისა და მთელი მსოფლიოსთვის.

ოდესღაც მშვიდობიან **ლიბიაში** ნამდვილი ჯოჯოხეთია. სწორედ აქ, ამ ქვეყანაში, სახელმწიფო მდივანი კლინტონი სათავეში ჩაუდგა დიქტატორ **მუამარ კადაფის** დასამხობ მოძრაობას, მაგრამ, ნაცვლად იმისა, რომ ლიბია ჩამოყალიბებულიყო, როგორც პროდასავლური სახელმწიფო, მივიღეთ უფრო მეტი პრობლემა ტერორისტული ქსელებითა და ლტოლვილების კიდევ ერთი ტალღა, რომელმაც ევროპას გადაუარა.

ამასთანავე, აზიაში არანაკლებ შემაშფოთებელი ამბები დატრიალდა. **ფილიპინებმა**, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში წყნარ ოკეანეში აშშ-ის ბატონობის მთავარი დასაყრდენი იყო, თანდათან უგანა ამერიკას. ქვეყნის პრეზიდენტი **როდრიგო დუტერტზე** აშშ-ის პრეზიდენტს ხელმოცარულს (და შობელძაღლს) უწოდებს და აპირებს, დაუახლოვდეს ჩინეთს.

იმან, რომ პრეზიდენტ ობამას არ აქვს სტრატეგიული ხედვა და უნარი, გაერკვეს მსოფლიო პოლიტიკის დინამიკაში, კარი გაუხსნა ავტორიტარული ფიგურების ახალ თაობას, რომელიც დაკავშირებულია ჩვენდამი მტრულად განწყობილ დიდ ქვეყნებთან. **ჰილარი კლინტონს არ შეუძლია გაემიჯნოს ობამას. მისი პოლიტიკის მახინჯი შედეგები კლინტონის პოლიტიკის შედეგიც არის. უკეთესია, ილაპარაკო სექსზე, ბილის სასიყვარულო ურთიერთობებზე, ვიდრე ამ ყველაფერზე.**

ჯანსაღ საზოგადოებაში პრესა აიძულებდა კანდიდატებს, ემსჯელათ მნიშვნელოვან პრობლემებზე, სურდათ მათ ეს თუ არა. მაგრამ ამერიკულ მასმედიას არ სურს, გაურთულოს საქმე კლინტონს. ვინც გინდა იყოს მორიგი პრეზიდენტი, იგი დაუპირისპირდება იმაზე გაცილებით უფრო საშიშ და მახინჯ მსოფლიოს, როგორიც 2008 წელს არსებობდა. 2016 წლის საარჩევნო კამპანიამ არაფერი გააკეთა, რათა მოემზადებინა ქვეყანა აუცილებელი გადაწყვეტილებების მისაღებად. გმადლობთ, კანდიდატებო! გმადლობთ, პრესავ!



გვერდები მოამზადა არმაზ სანებლიძემ

ენით დაკოდილი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ბევრს ლაპარაკობენ „ეკონომიკურ მკვლელებზე“, მაგრამ ხმა არავის არ ამოუღია „ზნეობრივი მკვლელების“ შესახებ, რომლებიც, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელობით, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით — კულტურაში, წარმართავენ საღი აზროვნების დეგრადაციის პროცესებს. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ევროპული და საბჭოთა კინემატოგრაფის მაღალხარისხიანი ნაწარმოებების ერთდროული გაქრობა ეკრანებიდან.**

# საკონტროლო სიტყვა

„ადამიანების მიერ მოგონილი ვერავითარი კანონები, ვერავითარი ღონისძიება ვერ აღუდგება წინ ზნეობრივ მკვლელობას სიტყვით. ესაა იმ სამართლის სუსტი ადგილი, რომელსაც საზოგადოებრიობა განახორციელებს“.

ონორე დე ბალზაკი

## აშშ «სიტყვის თავისუფლების» საშუალებით სხვა ხალხებს ანადგურებს

**ცილისწამებით შეიძლება შელახო ავტორიტეტი, ღირსება, სიამაყე წარსულისა და აწმყოს გამო. ნაკადურ სისტემაზე აწყობილი გამიზნული სიცრუე იწვევს როგორც ცალკეული ადამიანების, ასევე, მთელი სახელმწიფოსა და მისი ხალხის მკვლელობას.**



**სწორედ ზნეობრივი მკვლელობა აქვს არჩეული იარაღად აშშ-ს (ანგლოსაქსურ ელიტას და მის ხელისბიჭებს) სახელმწიფოების დასამუშავებლად კოლონიზაციის დაწყების წინ, — თავისებურ საარტილერიო მომზადებად, ომის დროს შეტევამდე რომ განახორციელებენ.**

ასეთია კაცობრიობის კონკურენციისა და მტრობის ისტორიის ახალი ეპოქა.

ე.წ. ფსიქოლოგიური, საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ან იდეოლოგიური ომები, როგორც ჩანს, გლობალურ ოპერაციაში, ხალხთა ზნეობრივ მკვლელობაში ჩართული ჯარის ქვედანაყოფები ან სახეობებია.

**მსხვერპლის ტერიტორიაზე შეჭრისა და ზნეობრივი მკვლელობის დაწყების კეთილშობილური იდეალური საფარი „სიტყვის თავისუფლებაა“.**

ეს დამახინჯებული უფლება ყალბი იდეალებისა და პრინციპების (ამერიკელმა მეცნიერებმა გამოააშკარავეს და სიტყვით მკვლელობა საქმის ცოდნითა და კვალიფიციურად გამიჯნეს სიტყვის ჭეშმარიტი თავისუფლებისგან).

**მსხვერპლი სახელმწიფოები ისე არიან დაშინებული მუდმივი „პროფილაქტიკური“ (უსაფუძვლო) ბრალდებებით „სიტყვის თავისუფლების“ დაკნინების გამო (რომლებიც მოგონილია, როგორც დათრგუნვის მეთოდი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ფსიქოლოგების მიერ), რომ ფიქრსაც ვერ ბედავენ, რეალურად შეზღუდონ ძალადობრივი შეცდენა და სიცრუე. შიში ფობიაში ტრანსფორმირდება და მსხვერპლ სახელმწიფოებს ეკარგებათ თავდაცვის უნარი. ისინი ეჩვევიან ანტიხალხური, ანტისახელმწიფოებრივი მასმედიის პარპაშს თავიანთ ქვეყნებში.**

ამასთანავე, თვით ამერიკაში, ევროპაში და, მით უფრო, დასავლეთის ახალ ქვეყნებში არსებული ცენზურა არა მხოლოდ ცდილობს, შეინარჩუნოს თავისი კულტურა და ზნეობრივი ღირებულებები, არამედ იცავს თავის პროპაგანდას მხილებისგან და ამით ჭეშმარიტებას უმალავს ხალხს.

მაგალითად, **უკრაინაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო სრულად მართავს ლიბერალურ ცენზურას მარიონეტული ხელისუფლების მეშვეობით და, ამასთანავე, არაკომერციული ორგანიზაციების დახმარებით ახერხებს ქვეყანაში „სიტყვის თავისუფლების“ აუტანელი მდგომარეობის იმიტირებას.**

აი რატომ არის, რომ ამერიკული პროპაგანდა მოითხოვს მსოფლიოში სახელმწიფოს როლის შემცირებას მასმედიის საქმიანობასა და ბიზნესში, „სამოქალაქო საზოგადოებებსა“ და საბაზრო ურთიერთობებში, რომლებსაც (ყველაფერს ერთად) აკონტროლებს აშშ. ამ მეთოდით იოლია ქვეყნების კოლონიზაცია. თუმცა ისიც არის, რომ მითი „დამოუკიდებელი ბიზნესისა“ და „თავისუფალი ბაზრის“ შესახებ არაერთხელ გაუქარწყლებია თვით თეთრ სახლს, რომელსაც, მაგალითად, საჯაროდ აუკრძალავს კომპანიებისთვის გარკვეულ გაერთიანებებში მონაწილეობა. და არავითარ ე.წ. თავისუფალ მედიას არ დაუცავს „კერძო“ საშეწარმეო საქმიანობის თავისუფლება.

**დღეს ბევრს ლაპარაკობენ „ეკონომიკურ მკვლელებზე“, მაგრამ ხმა არავის არ ამოუღია „ზნეობრივი მკვლელების“ შესახებ, რომლებიც, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელობით, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით — კულტურაში, წარმართავენ საღი აზროვნების დეგრადაციის პროცესებს. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ევროპული და საბჭოთა კინემატოგრაფის მაღალხარისხიანი ნაწარმოებების ერთდროული გაქრობა ეკრანებიდან.**

სანამ არსებობდა დიდი საბჭოთა კინემატოგრაფი, მის საპირწონედ აშშ ნებას რთავდა ევროპას, ჰქონოდა თავისი დიდი კინემატოგრაფი, რომელიც გენიოსების თაობების მიერ იყო შექმნილი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საპირწონის საჭიროება მოიხსნა. კარგად გათვლილმა ბიზნესსქემებმა, რეკლამირებისა და სპონსორობის პრინციპებმა და, რაც მთავარია, „კრეატიული“ უნიჭობის პიარმა, შავი საქმე წარმატებით გააკეთა — იტალიამ, საფრანგეთმა, გერმანიამ, შვედეთმა, პოლონეთმა და ა.შ., დაკარგა ეროვნული კინემატოგრაფი.

**ევროპული დიდი კინემატოგრაფის სკოლების დეგრადირება ერთდროულად, მოკლე ისტორიულ მონაკვეთში გარე ძალების ჩარევის გარეშე ვერ მოხდებოდა.**

იმისთვის, რომ ევროპას ეს ვერ შეემჩნია და, ბოლოს და ბოლოს, შეჩვეოდა აზრს, რომ უნარი არ შესწევს, აწარმოოს ხარისხიანი კულტურული პროდუქტი, მისი ყურადღება გადაიტანეს გამოგონილ საფრთხეებზე: ჩრდილოეთი კორეა, ირანის ბირთვული პროგრამა, რუსეთის „შესაძლო აგრესია“ ყველგან და ყველაფერში, ლიბიისა და სირიის „სისხლიანი რეჟიმები“, ჩინური ექსპანსია და ა.შ.

ხარისხიანი ევროპული ფილმები, რომელთა ხილვა დღეს შეგვიძლია, ეკრანზე გამოჩენას უნდა უმადლოდეს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ დაწესებულ კვოტებს ან პირიქით — მის უყურადღებობას. რუსეთისთვის ასეთი კვოტები არ არსებობს, მხოლოდ — „ჩერნუხა“, მხოლოდ შავი პიარი. არ დაზარალებულა ერთადერთი კინოინდუსტრია — ანგლოსაქსური.

**ამერიკული „სიტყვის თავისუფლება“ კოლონიების დასაპყრობად მიმართული მრავალფუნქციური იარაღია:**

**1. ბოროტი განზრახვის კეთილგანმზრახველი საფარველი.**

**2. ხელისუფლებებისთვის ძალის გამოცლა საკუთარი ხალხის იმ სიცრუისგან დასაცავად, რომელიც ამახინჯებს ისტორიასა და თანამედროვეობას, ლიტერატურისა და კინემატოგრაფიის კლასიკას...**

**3. სოციალური დეგრადაციის საინფორმაციო მხარდაჭერა.**

**4. გავლენის შესაძლებლობა აღმზრდელობითი შეცდომებით დამახინჯებულ ხასიათებზე და (ამ ადამიანების) საკუთარი ხალხის მტრებად (კოლაბორაციონისტებად) გარდასაქმნელად.**

**5. ხელისუფლების მიერ ქვეყანაში მყოფი მტრებისა და უცხოეთის აგენტების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი მეთოდების გამოყენების თავიდან აცილება და არიდება.**

ეს მხოლოდ მოკლე ნუსხაა, ამერიკული გაგებით, სიტყვის თავისუფლების ანტიჰუმანური ფუნქციებისა.

ბოლო პუნქტი „სიტყვის თავისუფლების“, როგორც დღევანდელ პირობებში ეფექტიანი იარაღის, წარმოშობის მიზეზი შეიქნა, მას შემდეგ, რაც აშშ-ის სპეცსამსახურებმა გამოწვლილვით შეისწავლეს სტალინის წარმატებული ბრძოლის ასპექტები საზოგადოებრივი აზროვნების მანიპულაციის დასავლური მცდელობის წინააღმდეგ, რომელიც მიმართული იყო ევროპული ფაშისტური არმიის ძლიერი მეხუთე კოლონის შესაქმნელად საბჭოთა კავშირში.

ამ უკომპრომისო ბრძოლას, ანუ იძულებით თავდაცვას, როგორც ამპუტაციას — განგრენის მკურნალობის რადიკალურ მეთოდს, ანგლოსაქსების მიერ საბჭოთა კავშირისთვის თავსმოხვეულს, ლიბერასტები „სტალინურ რეპრესიებს“ უწოდებენ. არადა, სწორედ ასეთმა უკომპრომისო დამოკიდებულებამ შეასრულა უმნიშვნელოვანესი როლი მსოფლიო ფაშიზმზე გამარჯვებაში.

**იმისათვის, რომ არ დაეშვა ახალი ჩავარდნები კოლონიზაციის საქმეში, აშშ-მა გააუმჯობესა საზოგადოებრივი მაინულირება და ზნეობრივ მკვლელობამდე აღაზევა იგი: „თავისუფალი სიტყვა“ „დემოკრატიის“ დროშადააფრიალა.**

ამჟამად აშშ-ის კონტროლს დაქვემდებარებულ მედიას მსოფლიოში მინიჭებული აქვს უფლება, აუკრძალოს ხელისუფლებას, იბრძოლოს გაუნათლებლობისა და გახრწნის, სიცრუისა და ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, რაც ამერიკისადმი ქვეყნების სრული დამორჩილების პირობებს ქმნის. ხოლო **პროდასავლური არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ მეხუთე კოლონის წევრთა „უფლებების“ ხელშეუხებლობას, არავითარ ყურადღებას არ აქცევენ სხვათა უფლებების დაცვას. ამასთანავე, აქტივობის იმიტაციის მიზნით, მონდომებით ამოწმებენ („მონიტორინგს უწევენ“) ადგილობრივ არსებულ სიტუაციას — წარმოიქმნება თუ არა ზნეობრივი მკვლელობის საწინააღმდეგოდ მოწოდებული, საღი აზროვნების კერები და დაუყოვნებლივ აცნობებენ კურატორებს.**

ეს უკანასკნელნიც არ იზარებენ, განახორციელონ მათი ნეიტრალიზაციის ღონისძიებანი.

**ერდოღანი,** როგორც ჩანს, ერთადერთია, რომელმაც გაბედა, აშშ-ის დიქტატის საწინააღმდეგოდ განეხორციელებინა სტალინისეული სცენარი პროამერიკული „მეხუთე კოლონის“ წინააღმდეგ (21-ე საუკუნეში სიცოცხლე მოუსწრაფონ მოღალატეთა თემის მთავარ ფიგურებს, თანაც საფრთხე არც ისე დიდი იყო, როგორიც სსრკ-ში ომამდე), რათა დასავლეთისთვის მოესპო თურქეთში სამოქალაქო ომის დაწყებისა და ქვეყნის ტერიტორიის დანაწევრების ყველა შესაძლებლობა.

მაგრამ საკითხავია, ერდოღანი ამას სტალინური საბჭოთა კავშირის მიბაძვით სოციალური სამართლიანობის დასამყარებლად აკეთებს თუ რელიგიური ან პოლიტიკური დიქტატურის დასამყარებლად და საკუთარი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ძალაუფლების შესანარჩუნებლად და მეტი გამორჩენის მისაღებად, რომლის უფლებასაც აშშ მხოლოდ თავის მარიონეტებს (საუდის არაბეთი, ყატარი, პოლონეთი, ბალტიისპირეთი, უკრაინა...) აძლევს.

**„საარტილერიო მომზადებისას“ „სიტყვის თავისუფლების“ პირველ დარტყმას მოსდევს სახელმწიფო გადატრიალება და მართვის ყველა სისტემის ხელში ჩაგდება, მოსახლეობის რაოდენობის შესაძლო შემცირება ლოკალური შეიარაღებული კონფლიქტების, სამოქალაქო ომისა და მისი (მოსახლეობის) ალკოჰოლიზაციისა და ნარკოტიზაციის მეშვეობით.**

ამის შემდეგ იწყება მოქალაქეთა ზნეობრიობის საბოლოოდ მოსპობა ყველა ინსტიტუტის მეშვეობით, რომლებიც სწრაფად იყო რეფორმირებული ნგრევაზე ორიენტირებით, უწინარეს ყოვლისა კი, დეჰუმანიზაციის თვალსაზრისით. ასე იყო სსრ კავშირის, იუგოსლავიის, შემდეგ — უკრაინისა და საქართველოს შემთხვევაში და ა. შ., ასევე გრძელდება დღევანდელ რუსეთში. ზოგჯერ ყველაფერი მთავრდება მსუბუქი გადატრიალებებით, ყალბი იდეებისა და რეფორმების დახმარებით, როგორც ეს მოხდა ევროპაში, რომელმაც მსოფლიოს დანაწილებაში აშშ-ის, „გენერალური პარტნიორის“, მლიქვნელური დაპირების მიღმა ვერ შეამჩნია თავისი კოლონიზაციის რეალური პერსპექტივა.

**დამორჩილებული ქვეყნების ბუნებრივი სიმდიდრეების, საწარმოო და სამომხმარებლო რესურსების ხელში ჩასაგდებად აუცილებელია მათი მოსახლეობის უნებისყოფო მასად გადაქცევა. ამიტომ არის, რომ აშშ მთელ მსოფლიოში ამ გრანდიოზულ ანტიჰუმანურ პროექტს — ზნეობრივ მკვლელობას განახორციელებს.**

ამ პროექტის განხორციელების პროცესში გამოყენებული საშუალებები, ისევე, როგორც მიზანი, ისე ძნელად დასამტკიცებელია, რომ იურიდიულად ვერ შეფასდება, მაშასადამე, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად ფორმალურად ვერ იქნება მიჩნეული. მეტიც, ისე ჩანს, რომ ეს იციან მხოლოდ გლობალური დანაშაულის დამკვეთებმა. დანარჩე- ▶

## ენით დაკოდილი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პროდასავლური არაკომერციული ორგანიზაციები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ მეხუთე კოლონის წევრთა „უფლებების“ ხელშეუხებლობას, არავითარ ყურადღებას არ აქცევენ სხვათა უფლებების დაცვას. ამასთანავე, აქტივობის იმიტაციის მიზნით, მონდომებით ამოწმებენ („მონიტორინგს უწევენ“) ადგილობრივ არსებულ სიტუაციას — წარმოიქმნება თუ არა ზნეობრივი მკვლელობის საწინააღმდეგოდ მოწოდებული, საღი აზროვნების კერები და დაუყოვნებლივ აცნობებენ კურატორებს.**

ნი ადამიანები, შემსრულებლების ჩათვლით, რომც ეცადათ, ვერ წარმოიდგენდნენ და არც დაიჯერებდნენ.

დანარჩენებისთვის, ვინც ხვდება, რა უბედურებაც ტრიალებს, გამზადებულია აგრესიულ-ირონიული ბრალდებები — „შეთქმულების თეორია“, „კონსპიროლოგია“... და იმიტომ, რომ ჩამოუყალიბებელ საზოგადოებაში დაუსჯელობა არის დანაშაულის ჩადენის მთავარი ფაქტორი, ასობით მილიონი ადამიანისთვის, რომლებმაც იციან, ვისგან და რისგან დაიცვან თავი, სიცოცხლე უხალისო ხდება.

საღად მოაზროვნე საზოგადოება შეფიქრიანებულია მსოფლიოში კულტურის დონის დაცემით, რადგან ეს უკარგავს ხალხებს გონიერი აზროვნების, ცოდნის, ღირსებისა და საკუთარი უფლებების დაცვის უნარს. თრგუნავს მის ნებას, შეეწინააღმდეგოს მაღალტექნოლოგიურ კოლონიზაციას და ხელს უშლის ახალი ძალების წარმოქმნას, რომლებიც მომავალში შეძლებენ დეკოლონიზაციის მოძრაობის სათავეში ჩადგომას.

**ბევრ ადამიანს მართლაც უჭირს ამის დაჯერება, მაგრამ ასეთი ქმედების შედეგის ნიშანი ძალიან ბევრია, რომლებიც უფლებას აძლევს საკუთარი თავის პატივისმცემელ დამკვირვებელს, აღიაროს ამერიკული ჰიბრიდული ფაშიზმის არსებობა.**

ამგვარი ნიშნების მრავალ წყაროს შორის ერთ-ერთი აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატის — **ჰილარი კლინტონის** გამონათქვამებშია გაბნეული.

**„თუ უკრაინა შევა საბაჟო კავშირში, მას რუსეთის ფინანსურ და კულტურულ სივრცეში გაერთიანება მოუწევს“**, — თქვა ჰილარი კლინტონმა აღმოსავლური პარტნიორობის სამიტზე პრეზიდენტ **იანუკოვიჩის** გამგზავრების წინ, სადაც მას, დასავლეთის ჩანაფიქრით, ხელი უნდა მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებისთვის.

იმის შიშით, რომ იანუკოვიჩს არ ეყოფოდა გამბედაობა, უკრაინა გაეყიდა, დასავლეთის მასმედიამ და პოლიტიკოსებმა სრულად და უპრეცედენტოდ შეუტიეს მას. კლინტონსაც თავისი წვლილი უნდა შეეტანა ამ ზემოქმედებაში, რაც მისთვის ჩვეული გამჭვირვალობით კიდეც გააკეთა.

ნათელია, რის თქმაც სურდა, მაგრამ ყველამ ვერ გაიგო, რაც განაცხადა. მისი აზრი შეიძლება ასე გავშიფროთ: „მე, როგორც ყოფილ სახელმწიფო მდივანს... კარგად მესმის, რა დიდხანს და როგორ ძირფესვიანად ანგრევდა და იმორჩილებდა აშშ რუსეთის ფინანსურ და კულტურულ სივრცეს და როგორ გრანდიოზულ წარმატებას მივაღწიეთ! და მე შემშურდება მისი, ვინც ამ დეგრადირებულ გარემოში აღმოჩნდება“.

**აქედან გამომდინარეობს, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო საფუძველს უთხრის იმ ქვეყნების არა მხოლოდ სამრეწველო და საფინანსო სექტორებს, რომლებიც აშშ-ის სასიცოცხლო ინტერესების სფეროში აღმოჩნდნენ, არამედ ანადგურებს მათ კულტურასაც.**

თავდაპირველად, ყალბი რეფორმების მეშვეობით ანგრევენ სახელმწიფოს ინსტიტუციურ საფუძვლებს, შემდეგ ამ რღვევითა თუ ნგრევით აშინებენ სხვებს, თანაც აბუჩად იგდებენ მათ, ვინც თავისი სულელური დამოკიდებულებით დაეხმარა აშშ-ს, დაენგრია საკუთარი ქვეყანა, და გულწრფელად სძულთ, ვინც სერიოზულად ეწინააღმდეგება შეერთებულ შტატებს.

**აშშ-მა შექმნა და მსოფლიოში გაავრცელა კულტურასა და მასმედიაში მოღვაწეთა (უნიჭო ადამიანების) საკადრო სისტემა; ადამიანებისა, რომლებიც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ხელმძღვანელობით ზნეობრივი მკვლელობის მთავარ მონაწილეებად გვევლინებიან.** ამაოდ არ უწოდებდა **ონორე დე ბალზაკი** ცალკეულ ჟურნალისტებს „იდეებისა და რეპუტაციების დაქირავებულ მკვლელებს“. დღეს ასეთებად შეგვიძლია მივიჩნიოთ ე.წ. კულტურის მოღვაწეები, რომლებიც ზემოთ ნახსენებ სისტემაში არიან ჩართულები.

**დასავლეთის და პროდასავლურად განწყობილმა ჟურნალისტებმა თითქმის სრულად მოსპეს ყველასთვის ერთნაირი შესაძლებლობის სამართლიანი საზოგადოების იდეა, ხალხთა მეგობრობის იდეა, დამარხეს „მთელ მსოფლიოში მშვიდობის იდეაც“.**

ისინი სახელს უტეხენ თავიანთი ქვეყნების არა მხოლოდ პოლიტიკურ მოღვაწეებსა და კერძო პირებს, არამედ ბღალავენ ყველაზე უფრო ეფექტიანი ინსტიტუტების რეპუტაციას, რომლებიც სახელმწიფოთა სიამაყე და საფუძველია, და პირდაპირ თუ ირიბად ეწინააღმდეგებიან კოლონიზაციას.

**ყველაფერი საუკეთესო, ხარისხიანი, ეფექტიანი, რაც კი ქვეყანაში არსებობს და ამერიკელების თვალსაწიერში მოხვდება, სიტყვით მკვლელობას ემსხვერპლება. დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ, რომ ლიბერალური“ აგრესიული ინტერპრეტაცია (დემონიზაცია) ცნობილი ინსტიტუტებისა და გამოჩენილი პიროვნებებისა, რომლებიც მოღვაწეობდნენ და მოქმედებდნენ სსრ კავშირში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იუგოსლავიასა და სხვაგან, ასი პროცენტით სისტემური ფალსიფიკაციაა.**

ავტორი ცნობილია — აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო.

**ადამიანების უმრავლესობაში ასეთი პიროვნებების შესახებ ნეგატიური დამოკიდებულება ძალადობრივად არის ჩანერგილი დასავლეთის ტოტალური პროპაგანდის მიერ, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ამგვარი შეხედულების პირობით რეფლექსად ჩამოყალიბება.**

ამ ამოცანას მათ წარმატებით გაართვეს თავი.

**სიტყვის თავისუფლების ნიღბით სიცრუის პროპაგანდის ეფექტიანობა ისე ძლიერია, რომ ბევრი ადამიანი ყოფილ საბჭოთა სივრცეში, პატრიოტებიც კი, ამა თუ იმ ამერიკული ვარიანტის გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ და საკუთარი ისტორიისადმი, კულტურისადმი, მენტალობისადმი, ქვეყნის მიმართ ზიზღით დაავადდნენ. ამავე პროპაგანდის ზემოქმედებით სისხლიან გადატრიალებას უკრაინაში „რევოლუციად“ მოიხსენიებენ.**

მასმედიის მხარდამხარ კინოცა და თეატრიც კულტურის ნგრევის თავიანთ წილს




**სიტყვის თავისუფლების ნიღბით სიცრუის პროპაგანდის ეფექტიანობა ისე ძლიერია, რომ ბევრი ადამიანი ყოფილ საბჭოთა სივრცეში, პატრიოტებიც კი, ამა თუ იმ ამერიკული ვარიანტის გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ და საკუთარი ისტორიისადმი, კულტურისადმი, მენტალობისადმი, ქვეყნის მიმართ ზიზღით დაავადდნენ. ამავე პროპაგანდის ზემოქმედებით სისხლიან გადატრიალებას უკრაინაში «რევოლუციად» მოიხსენიებენ**

„წარმატებით“ ასრულებენ. განათლების ნაცვლად — უზირობის პროპაგანდა, სამყაროსა და საზოგადოების ღრმა და ობიექტური შეცნობის ნაცვლად — გონებრივი და ზნეობრივი დეგრადაცია. თეატრებში აღმოფხვრეს კლასიკური რეპერტუარი, თუ რამ დარჩა, გაუკუღმართებული ფილოსოფიური არსითა და ჰუმანიზმის წარყვნითაა დაღდასმული.

კინოსა და ტელევიზიაში გააუქმეს მორალის ნორმები და მათ ნაცვლად ნერგავენ გარყვნილებასა და უტიფრობას. მასმედია ამ პროცესს მაქებარი „კრიტიკით“ უჭერს მხარს დამაინტრიგებელი ანონსებითა და პოლიტიური პიარით.

**საერთო მიზანი ინსტიტუტებისა, რომლებიც 1990-იანი წლებიდან მეხუთე კოლონის მიერ არის ოკუპირებული, „ცნობიერების დეცენტრალიზაცია“ და ინტელექტუალური სტერილიზაციაა, როგორც ძირითადი გზა, ზნეობრივი მკვლელობისკენ მიმავალი. ზნეობრივ მკვლელობაში ტელევიზია, როგორც ყველაზე იოლად მისაწვდომი ფენომენი, მთავარ და საშინელ როლს ასრულებს.**

ამიტომ დღეს პრაქტიკულად არავის შეუძლია თქვას, რომ წესიერი და პატიოსანი ოჯახის შვილია, რადგან ყველა ოჯახში არის ტელევიზორი.

ზნეობრივი მკვლელობა სხვადასხვაგვარად მოქმედებს ადამიანებზე: ზოგს აპათიაში აგდებს და იწვევს დეპრესიას; ზოგს აიძულებს, ირწმუნოს ნიჭიერად აგებული სიცრუე და აბრუებს ფსევდოდემოკრატიული ბანგით; ზოგს უმოქმედებით აავადებს; ზოგს ნგრევისა და იავარქმნის ვნებით აღაგზნებს.

ყველა შემთხვევაში ზიანი ადგება სახელმწიფოს, სუსტდება, რადგან ადამიანები კარგავენ უნარს:

*გაიაზრონ და დაიცვან საკუთარი უფლებები;

* ისწრაფონ ნამდვილი დემოკრატიისკენ;

*დაიცვან თავიანთი ისტორია ფალსიფიკატორებისგან და „ახლებურად გააზრების“ მქადაგებლებისგან;

*აირჩიონ აუცილებელი პრიორიტეტები, ნამდვილი მეგობრები, რომლებისთვისაც უცხოა უსინდისობა და საკუთარი უპირატესობის გრძნობა;

*მოთოკონ დაუოკებელი სწრაფვა ინსტინქტური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, დაძლიონ განურჩევლობა ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის დანაკარგების მიმართ.

ზნეობრივი მკვლელობის უსაშინელესი მომენტია გარედან შემოტანილი სიცრუის ტოქსიკურობა, რომელიც დამუშავებულია აშშ-ის მეცნიერი სოციოლოგებისა და ფსიქოლოგების მიერ და უცხოური პროპაგანდით გაბრუებული ადამიანები ზნეობრივ თვითმკვლელობამდე მიჰყავს, უკარგავს ისტორიულ მეხსიერებას და აქცევს მათ საკუთარი კულტურის გამანადგურებლებად. და, ამასთანავე, სხვებსაც აავადებს ნგრევისა და იავარქმნისკენ მისწრაფების პათოლოგიური სურვილით.

**ამგვარი ზნეობრივი თვითმკვლელობა გამოზარდა აშშ-მა გარკვეული ხასიათის მქონე ადამიანებისგან, რომლებსაც, როგორც წესი, გაამწესებენ მქადაგებლებად ქუჩასა თუ აუდიტორიაში „რეჟიმთან ბრძოლისა“ და „სისტემის წინააღმდეგ მასობრივი უკმაყოფილების“ ატმოსფეროს შესაქმნელად.**

სწორედ ასეთ ადამიანებს აწინაურებდა საბჭოთა ეპოქის დასალიერს კადრების ჩრდილოვანი განყოფილება. დარწმუნებით შეიძლება ვთქვათ, ჯერ კიდევ **გორბაჩოვის** პერიოდში იყო აპრობირებული და 1991 წლის გადატრიალების შემდეგ განხორციელდა მასშტაბური, ოღონდ წინასწარ განუცხადებელი ლუსტრაცია საქვეყნო ცხოვრების ყველა სფეროში — პოლიტიკასა თუ ეკონომიკაში, და, უწინარეს ყოვლისა, მასმედიასა და კულტურაში. სასწრაფო წესით იცვლებოდნენ და იდევნებოდნენ კულტურასა და მედიაში მოღვაწე ჭეშმარიტად ნიჭიერი ადამიანები, ნამდვილი პროფესიონალები, მათ ადგილებს იკავებდნენ ხელმოცარული რეჟისორები, ვაიმსახიობები, მდარე დონის ჟურნალისტები და რედაქტორები — ყველა, ვინც საბჭოთა პერიოდში მეორე და მესამე პლანზე, საკუთარი უნიჭობის შესაფერ ადგილებზე იმყოფებოდნენ.

კულტურის ყველა დამსახურებულმა მოღვაწემ ერთბაშად დაკარგა სამუშაო 1990-იან წლებში, ცარიელზე დარჩა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ნიჭიერები იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ იცავდნენ შემოქმედებით ატმოსფეროს, იყვნენ მხატვრულად აზროვნების გენერატორები, კულტურული გარემოს ფუძემდებლები და მოდალური ტიპის მოაზროვნენი.

ისინი იყვნენ პროფესიონალები, ზნეობრივი ავტორიტეტები, თავიანთ გარშემო იკრებდნენ ნიჭიერებს და მთელ საზოგადოებრიობას ეწეოდნენ მაღლა — ზნეობრივი პროგრესისკენ.

ასეთი ადამიანები აღმოჩნდნენ ზნეობრივი მკვლელების სამიზნეში, რომლებსაც შესანიშნავად ესმოდათ მათი მნიშვნელობა კულტურის ინსტიტუტისა და საზოგადოებრიობისთვის.

არა მხოლოდ ზნეობრივი მკვლელობის მსხვერპლი, არამედ განწირულები სასიკვდილოდ...

ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორ კლავდნენ სპორტსმენებს, მეცნიერებს, კულტურის მოღვაწეებს სირიაში, როცა ისინი მხარს უჭერდნენ **ასადს** კონფლიქტის დასაწყისში. ასე იყო უკრაინასა და სხვა ქვეყნებში.

**ყველგან, ადამიანებისა და იდეების მკვლელობით დაწყებული (ერაყში, ავღანეთსა და სირიაში — ისტორიული ძეგლების, უკრაინაში საბჭოთა კულტურის ძეგლების განადგურებით დამთავრებული), უკლებლივ ყველგან ამერიკული კვალი ჩანს.**

ეს ყველაფერი, ისტორიისა და ლიტერატურის „ახლებურად წაკითხვასთან“ ერთად, იწოდება ხალხების ზნეობრივ მკვლელობად.

როგორ მოხდა, რომ პრაქტიკულად მთელი კულტურა (კონკურსებისა და პრემიების ჩათვლით) აშშ-ის ხელში აღმოჩნდა? თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს სტიქიური პროცესი იყო, ცდება: ეს იყო მოსახლეობის დეჰუმანიზაციის დაგეგმილი აგრესიული ოპერაცია.

**აშშ-მა დაამტკიცა, რომ მის მიერ პროვოცირებული ზნეობრივი მკვლელობის მიზეზით ვერც ერთი ხალხი ვერ დაიცავს „საუკუნეებით განმტკიცებულ“ მეგობრობას, ძმობას, პარტნიორობასა და კეთილმეზობლობას. და ეს ქაოსი უახლოეს პერიოდში გაგრძელდება.**

ეს **ობამას** გაეროს ტრიბუნიდან წამოსცდა, როცა განაცხადა: „...სისხლისღვრას, განხეთქილებას რელიგიურ ნიადაგზე, შურისძიებას — ყველა ამ უბედურებას უცებ ვერ მოიცილებ. და თუ ამას სერიოზულად მიუდგები, უნდა შეიგნო, რომ ვერავითარი გარეშე ძალა ვერ აიძულებს ეთნიკურ და რელიგიურ საზოგადოებებს, დიდხანს თანაარსებობას“.

„განსაკუთრებული ერის“ წარმომადგენლის რა საშინელი გამონათქვამია! მაგრამ ეს არის ზუსტად ის, რასაც ანგლოსაქსები ესწრაფოდნენ, დაეფიქსირებინათ, როგორც გარდაუვალი ბოროტება, როგორც ბედისწერა, რომელსაც მსოფლიო უნდა შეურიგდეს, შეერთებული შტატები კი — „ებრძოლოს“.

დამცავი მექანიზმების ამოქმედების გარეშე შეუძლებელია, წინ აღვუდგეთ ზნეობრივ აგრესიას, რომელიც დამუშავებულია დასავლეთის მეცნიერული ფსიქოლოგიის მიერ.

უკეთესი იქნებოდა, ჩაგვეტარებინა კონტრლუსტრაცია, თუნდაც კულტურის სფეროში, თურქეთის ამასწინანდელი მაგალითის მიხედვით, მაგრამ ხელისუფლება, რომელიც „სიტყვის თავისუფლებით“, ასევე, ინვესტიციების დაკარგვით არის დაშინებული, ვერ ბედავს მასობრივი ღონისძიების განხორციელებას.

**პაველ გორტაკოვი,**
**„რუსსკაია ვესნისთვის“**
*(ქვეყნდება მცირე შემოკლებით)*

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1998 წლის იანვარში პრემიერმინისტრი მესუთ იილმაზი იძულებული შეიქნა, მილიონობით ტელემაყურებლისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია შვიდთვიანი საპარლამენტო გამოძიების შედეგების შესახებ სოფელ სუსურლიკთან მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევაზე. „დავინახეთ საშინელი სურათი სამარცხვინო სისაძაგლის“, — ასე დაიწყო მან თავისი განცხადება და შემდეგ აღიარა, „რომ სადამსჯელო რაზმები შექმნილი იყო სახელმწიფოს შიგნით. სახელმწიფო სრულად იყო საქმის კურსში, რაც ხდებოდა“.**




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №37-39 (366-368)

დანიელ განსერი

# ნატოს საიდუმლო არმიები

# ოპერაცია «გლადიო» და ტერორიზმი დასავლეთ ევროპაში

1990 წლის 14 ნოემბერს ლუქსემბურგის პარლამენტის წინაშე წარდგა პრემიერმინისტრი **ჟაკ სანტერი** და დაადასტურა, რომ ნატოსთან დაკავშირებული საიდუმლო არმია დიდ საჰერცოგოშიც არსებობდა. „ის, რითაც დაკავებული იყო ეს არმია ქსელის არსებობის პერიოდში, შემოიფარგლებოდა მათი მისიის მომზადებით, რომელიც გულისხმობდა მოწინააღმდეგის ზურგში საბრძოლო მოქმედების ასათვისებელ წვრთნას და მოკავშირეებთან კოორდინაციის გაძლიერების ღონისძიებების შესწავლას“. ლუქსემბურგის პარტია „მწვანე ალტერნატივის წარმომადგენლის — **ჟან ჰუსის** წინადადებას, რომ დაწყებულიყო საპარლამენტო დებატები ამ თემაზე და ჩამოეყალიბებინათ საგამოძიებო საპარლამენტო კომისია, უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა.

საერთაშორისო პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომელშიც დამოწმებული იყო ლისაბონში პორტუგალიის რადიოსადგურით გადაცემული ცნობა, 1950-იან წლებში „გლადიოს“ უჯრედების აქტიური მოქმედების შესახებ დოქტორ სალაზარის დიქტატურის მხარდასაჭერად, მოქმედება მთავრობამ კატეგორიულად უარყო.

1990 წლის 16 ნოემბერს **პორტუგალიის** თავდაცვის მინისტრმა **ფერნანდო ნოგეირამ** განაცხადა, რომ მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ პორტუგალიაში არსებობდა „გლადიოს“ არმიის რაიმე ფილიალი, და რომ არც მის სამინისტროში, არც პორტუგალიის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში არ ჰქონდათ არავითარი ინფორმაცია, რომელიც მეტ-ნაკლებად შეეხებოდა პორტუგალიაში „გლადიოს“ სტრუქტურის არსებობას ან მოქმედებას“. **მაგრამ გადამდგარი გენერალი არ დაეთანხმა მთავრობას და ანონიმურობის პირობის დაცვის საფუძველზე დაუდასტურა პრესას, რომ პორტუგალიაში ნამდვილად არსებობდა საიდუმლო ქვედანაყოფები და მათ საქმიანობას კოორდინაციას უწევდა თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და კოლონიების საქმეთა სამინისტრო.**

მეზობელ **ესპანეთში**, ისევე, როგორც პორტუგალიაში „ცივი ომის“ განმავლობაში, დამყარებული იყო მემარჯვენე დიქტატურა, რომელიც პოლიტიკურ ოპოზიციას ტერორისა და წამების მეშვეობით ებრძოდა. 1980-იანი წლების დასაწყისში ამ ქვეყნის თავდაცვის მინისტრი **ალბერტო ოლიარტი** მიიჩნევდა, რომ **„არასერიოზული“ იყო კამათი საკითხზე, მოქმედებდა თუ არა ფრანკოს დიქტატურის დროს მემარჯვენე მიმართულების საიდუმლო არმია, რადგან ამ დროს „გლადიო“ თვითონ იყო მთავრობა.**

**დანიის** თავდაცვის მინისტრი **კნუდ ენგაარდი** საზოგადოებრიობის ზემოქმედების შედეგად იძულებული შეიქნა, წარმდგარიყო ფოლკეტინგის (დანიის პარლამენტი) წინაშე 21 ნოემბერს. მან **უარყო ქვეყანაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ორგანიზაციების არსებობა, რომლებსაც მხარს ნატო უჭერდა.** „შემდეგი ინფორმაცია საიდუმლო სამსახურების ოპერაციის შესახებ ოკუპაციის შემთხვევაში არის მასალა გრიფით „საიდუმლო“, — ხაზი გაუსვა თავდაცვის მინისტრმა, — ამიტომ აკრძალული მაქვს, გავამჟღავნო რაიმე ინფორმაცია დანიის პარლამენტში“.

პარლამენტის წევრმა **პელე ვოიტმა** შეკითხვაზე, ვინ წამოჭრა „გლადიოს“ თემა ფონკეტინგში, აღნიშნა, რომ „თავდაცვის მინისტრის პასუხი წინააღმდეგობრივი იყო და **მივიღეთ არაპირდაპირი პასუხი იმაზე, რომ დანიაშიც იყო „გლადიოს“ საიდუმლო ნაწილები.** ამის შემდეგ საიდუმლო ქვედანაყოფების შესახებ აზრთა გაცვლა პარლამენტის სპეცსამსახურების საქმიანობის მეთვალყურეობის კომიტეტში დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

როცა **ნორვეგიის** პრესამ მთავრობას „გლადიოს“ შესახებ შეკითხვით მიმართა, მიიღო ლაკონური კომენტარი კონტინენტზე საიდუმლო არმიის არსებობის შესახებ: „ჰანსენის სიტყვები ჯერ ისევ ძალაში“, — განმარტა თავდაცვის სამინისტროს სპიკერმა **ერიკ სენსტადმა.** 1978 წელს, მას შემდეგ, რაც გამჟღავნდა საიდუმლო ქვედანაყოფების არსებობა ნორვეგიის ტერიტორიაზე, თავდაცვის მინისტრი **როლფ ჰანსენი** იძულებული გახდა, **პარლამენტის წინაშე ეღიარებინა საიდუმლო არმიის არსებობა.** კონტრადმირალი **იან ინგებრისტენი**, რომელიც 1985 წელს თადარიგში გავიდა და დაინიშნა დაზვერვის სამხედრო სამსახურის ხელმძღვანელად, დაჟინებით იმეორებდა, რომ ასეთი გასაიდუმლოება ლოგიკურია: „ამაში საეჭვო არაფერია, ამიტომ მათი მოღვაწეობა საიდუმლოდ უნდა დარჩეს“.

3 დეკემბერს **თურქეთის მმართველმა ელიტამ გაავრცელა განცხადება „გლადიოს“ საიდუმლო ქვედანაყოფების არსებობის შესახებ.** თურქეთის სამხედრო ძალების ოპერატიული სამმართველოს უფროსმა **დოღან ბეიაზითმა** და თურქეთის სპეცდანიშნულებს ძალების სარდალმა **ქემალ იილმაზმა** დაადასტურეს თურქეთში ნატოს საიდუმლო არმიის არსებობა, რომელსაც კურატორობდა საბრძოლო ოპერაციების სპეციალური დეპარტამენტი. ამ ქვედანაყოფების მთავარი ამოცანა იყო „წინააღმდეგობის ორგანიზება კომუნისტური ოკუპაციის შემთხვევაში“. მაშინ, **როცა გენერლები დაჟინებით იმეორებდნენ, რომ თურქული „გლადიოს“ მონაწილენი ნამდვილი პატრიოტები არიან, პრესა და ყოფილი პრემიერმინისტრი ბიულენტ ეჯევითი ამტკიცებდნენ, რომ თურქეთის საიდუმლო ქვედანაყოფები, რომლებიც მოწინააღმდეგის საოკუპაციო ჯარებთან საბრძოლველად იყო შექმნილი, ხშირად მონაწილეობდნენ წამებაში, მკვლელობაში, თავდასხმებში, ასევე, გადატრიალების ორგანიზებაში, და მათ გამოიყენებდნენ ქვეყანაში ქურთი უმცირესობის წინააღმდეგ საბრძოლველად.** ასეთი განცხადებების შემდეგ თურქეთის მმართველმა სამხედრო ელიტამ უარი თქვა, ეპასუხა პარლამენტისა და სამოქალაქო მინისტრების შეკითხვებზე, თურქეთის თავდაცვის მინისტრმა **გირეიმ** კი გააფრთხილა, რომ ეჯევითმა უნდა დახუროს თავისი ეშმაკისეული პირი“.


„გლადიო“, რომელიც ოკეანის გაღმიდან იმართებოდა

ქვედანაყოფები, რომლებიც შექმნილი იყო საოკუპაციო ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად, განაგრძობდნენ თავიანთ ოპერაციებს. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა 1995 წლის დეკემბერში გამოქვეყნებულ თავის მოხსენებაში ადამიანის უფლებათა შესახებ აღნიშნა, რომ თურქეთის „ცნობილი და სანდო უფლებადამცველი ორგანიზაციები, ქურთების ლიდერები, ასევე რიგითი ქურთები ამტკიცებენ, რომ თურქეთის მთავრობა თვალს ხუჭავს, ზოგან კი თავად მონაწილეობს სამოქალაქო მოსახლეობის მკვლელობებში“. სახელმწიფო დეპარტამენტის მოხსენებაში განმარტებულია, რომ „უფლებადამცველთა ჯგუფების მიერ დადასტურებულია თურქეთში ფართოდ გავრცელებული აზრი, რომ ოკუპაციის შემთხვევაში გამოსაყენებლად შექმნილი საიდუმლო ქვედანაყოფები დაკავშირებულია სპეციალური დანიშნულების ჯარებთან და რომ მათ განახორციელეს რამდენიმე „საიდუმლოებით მოცული მკვლელობა“.

ამერიკელი ჟურნალისტი ქალი **ლუსი კომისარი** შეეცადა, მიეღო მეტი ინფორმაცია, მაგრამ გაარკვია, რომ მისი მთავრობა ძლიერ განსხვავდება თურქეთის მთავრობისგან საიდუმლოების დაცვის რეჟიმის განხორციელების თვალსაზრისით. **„რაც შეეხება ვაშინგტონის როლს, პენტაგონი არასოდეს გასცემდა ინფორმაციას იმის შესახებ, უწევს თუ არა იგი მატერიალურ ან სხვა სახის დახმარებას საომარი ოპერაციების დეპარტამენტს. იგი არ უპასუხებს ამ თემატიკის არც ერთ საკითხს“.**

ჟურნალისტს კვლავ არ მისცეს ინფორმაცია: „ყველა ოფიციალურმა პირმა განმიმარტა, რომ არაფერი იციან ამ საკითხზე და, თუ რამ შეიძლება იყო კიდეც, დიდი ხნის წინათ და არ დარჩა, ალბათ, არავითარი მტკიცებულება. ან ის, რაც მე აღვწერე, იყო ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ოპერაცია, და მათ არ შეუძლიათ რაიმე ინფორმაციის მოწოდება“.

პენტაგონის ერთ-ერთმა ისტორიკოსმა იკითხა: „მხედველობაში გაქვთ საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებდა ევროპის ქვეყნების ტერიტორიებზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ? ეს ინფორმაცია გასაიდუმლოებულია“.

1996 წლის 3 ნოემბერს სტამბოლიდან 100 კილომეტრით დაშორებულ სოფელ სუსურლიკთან შავი "მერსედესი" ტრაქტორს შეეჯახა. ავტოკატასტროფაში დაიღუპა საოკუპაციო ჯარებთან ბრძოლის თურქეთის საიდუმლო ქვედანაყოფების ფუნქციონერი, მაღალი თანამდებობის პოლიციელი და პარლამენტის წევრი. ბევრისთვის ეს იყო აშკარა მტკიცებულება იმისა, თუ რა მჭიდროდაა ჩათრეული მთავრობა საიდუმლო ქვედანაყოფების მონაწილეობით წარმოებულ ბინძურ ომში. ათასობით ადამიანმა მოაწყო პროტესტი „უმოქმედო სახელმწიფოს“ წინააღმდეგ და მოითხოვა ქვეყნის „კრიმინალური ბანდებისგან“ გაწმენდა.

**1998 წლის იანვარში პრემიერმინისტრი მესუთ იილმაზი იძულებული შეიქნა, მილიონობით ტელემაყურებლისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია შვიდთვიანი საპარლამენტო გამოძიების შედეგების შესახებ სოფელ სუსურლიკთან მომხდარ ტრაგიკულ შემთხვევაზე. „დავინახეთ საშინელი სურათი სამარცხვინო სისაძაგლის“, — ასე დაიწყო მან თავისი განცხადება. და შემდეგ აღიარა, „რომ სადამსჯელო რაზმები შექმნილი იყო სახელმწიფოს შიგნით. სახელმწიფო სრულად იყო საქმის კურსში, რაც ხდებოდა“.**

1990 წლის 22 ნოემბერს, „გლადიოს“ გარშემო ატეხილი სკანდალი ევროკავშირის პარლამენტმა განიხილა. იმხანად ევროკავშირში გაერთიანებული იყო 12 ქვეყანა, ყველა, როგორც ერთი ამ სკანდალში იყო ჩათრეული. იმ პერიოდში უშიშროებისა და თავდაცვის პოლიტიკის წარმოება ჯერ კიდევ ექვემდებარებოდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სუვერენულ კონტროლს.

„ბატონო პრეზიდენტო, ქალბატონებო და ბატონებო, არსებობს ერთი ფუნდამენტური მორალური და პოლიტიკური აუცილებლობა იმ ახალი ევროპის მიმართ, რომელსაც თანდათან ვაშენებთ“, — ამ ბრძნული სიტყვებით გახსნა იტალიელმა პარლამენტარმა **ფალკიმ** სხდომა, რომელიც აღნიშნულ საკითხს ეძღვნებოდა. **„ამ ევროპას არ ექნება მომავალი, თუ იგი არ იქნება აგებული სიმართლეზე, თავისი ინსტიტუტების სრულ გამჭვირვალობაზე დემოკრატიის წინააღმდეგ წარმოებული ფარული შეთქმულებების მიმართ, რომლებმაც ისტორია თავდაყირა დააყენეს, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში ბევრ ევროპულ ქვეყანაში“.** ფალკი ამტკიცებდა, რომ „მომავალი... არ გვექნება, თუ უარს არ ვიტყვით იდეაზე, ვიცხოვროთ ორმაგ სახელმწიფოში. პირველი ღია და დემოკრატიულია, მეორე — საიდუმლო რეაქციულია, ამიტომ უნდა ვიცოდეთ, „გლადიოს“ კერძოდ რომელი და რამდენი ქსელი მოქმედებს ევროპული თანამეგობრობის ქვეყნებში“.

პარლამენტის წევრმა **დიურიმ** გაიზიარა ეს შეშფოთება და განაცხადა: „გლადიოს“ ამ საქმეში ჩვენ ყველაზე უფრო შეგვაშინა იმან, რომ ამ ქსელებს შეეძლოთ ეარსებათ დემოკრატიული პოლიტიკური ხელისუფლების თვალთახედვისა და კონტრო-

## ნატოსადმი ნდობა შეირყა, გაზეთებში გაჩნდა სათაურები: „ნატოს გასაიდუმლოებული ქვედანაყოფები, შესაძლოა, ტერორისტებთან ყოფილიყო დაკავშირებული“, „ნატოს საიდუმლო ქსელი დაღდასმულია დივერსიული ქმედებით: კომისიამ გაარკვია, რომ „გლადიო“, როგორც ალიანსის იარაღი, იტალიაში გადაიქცა ფაშისტური ელემენტების საკოორდინაციო ცენტრად, იმათი, რომლებიც ილტვოდნენ კომუნისტების წინააღმდეგ საბრძოლველად ტერორისტული შეტევების პროვოცირების გზით რეპრესიული კანონების გასამართლებლად“, „ბოლონიაში გამოყენებული ბომბები ნატოდან მოვიდა“.

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ლის მიღმა. ვფიქრობ, ეს ფუნდამენტური საკითხია, რომელიც უნდა გადავწყვიტოთ“. დიურიმ დაასკვნა, რომ უნდა ჩატარდეს „გლადიოს“ საქმის გამოკვლევა. **„ვფიქრობთ, რომ ნათელი უნდა გახდეს ყველაფერი, რაც ამ საქმესთან არის დაკავშირებული, რათა გავერკვეთ არსში და თავიდან ავიცილოთ საკითხის გადაჭრის გაჭიანურება...** აგრეთვე, არ დავუშვათ არავითარი ცდუნება იმისა, რომ ბრძოლის ამგვარი მეთოდები გავრცელდეს სხვა ორგანიზაციებზე“. ამასთანავე, მან წამოაყენა წინადადება ნატოს როლის გამოძიების შესახებ. თუმცა, „როცა საქმე ეხება ნატოს ან ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების შტაბის პასუხისმგებლობას, არა მგონია, შეთქმულებაზე შეიძლებოდეს ლაპარაკი“, — თქვა მან, — მაგრამ, ვფიქრობ, რომ არ უნდა ჩავიკლათ სურვილი სიმართლის გაგების და გულგრილნი არ უნდა დავრჩეთ ყველას და ყველაფრის მხილების მიმართ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ზოგიერთი ადამიანი „გლადიოს“ არმიიდან მუშაობს ნატოს კომიტეტებში“. თავისი გამოსვლა მან ასე შეაჯამა: „მე ვგრძნობ, რომ ამ პრობლემების გამოაშკარავება ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია“.

„სისტემა გლადიო ოთხი ათეული წლის განმავლობაში მოქმედებდა სხვადასხვა სახელწოდებით, — მიმართა ევროპარლამენტს საბერძნეთის პარლამენტარმა **ეფრემიდისმა**, — სისტემა ფარულად მუშაობდა და ჩვენ შეგვიძლია მივაწეროთ მას დესტაბილიზაციის ყველა პროცესი, ყველა პროვოკაცია და ყველა ტერაქტი, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა ამ ორმოცი წლის განმავლობაში, და შეიძლება ითქვას, რომ უშუალოდ თუ არაპირდაპირ „გლადიო“ ჩართული უნდა ყოფილიყო ამ პროცესებში“. ეფრემიდისმა მკაცრად გააკრიტიკა საიდუმლო არმიების ქსელი: **„საქმე ის არის, რომ „გლადიო“ შექმნილი იყო ნატოსა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ, რომელთაც განზრახული ჰქონდათ, დაეცვათ დემოკრატია, ფაქტობრივად კი, ძირს უთხრიდნენ მას და თავიანთი ბინძური მიზნებისთვის იყენებდნენ“.** დეპუტატმა მიანიშნა, რომ „გლადიო“ მონაწილეობდა 1967 წლის გადატრიალებაში და განაცხადა, რომ „დემოკრატია, რომლის შედეგებით უნდა დავმტკბარიყავით, ფაქტობრივად, მხოლოდ ნიღაბი აღმოჩნდა“, და ევროპალამენტს მოუწოდა ამ საკითხის შესწავლას შესდგომოდა. „დეტალები უნდა გამოვავლინოთ, შევქმნათ სპეციალური საგამოძიებო ქვეკომიტეტი, შევისწავლოთ მთელი პრობლემა იმისთვის, რათა გადავდგათ აუცილებელი ნაბიჯები ჩვენი ქვეყნების ამგვარი საიდუმლო ორგანიზაციებისგან გასაწმენდად“.

ფრანგმა პარლამენტარმა **დე დონეამ** თავისი თვალსაზრისი გაუზიარა კოლეგებს: „მეორე მსოფლიო ომის დასასრულს კანონიერი იქნებოდა, ქვეყნების უმრავლესობისთვის შეგვექმნა სამსახურები, რომელთა ძირითადი მიზანი იქნებოდა წინააღმდეგობის ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც გააქტიურდებოდნენ ვარშავის ქვეყნების მიერ ევროპის ოკუპაციის შემთხვევაში. საფრანგეთის პარლამენტარმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენ სათანადოდ უნდა შევაფასოთ ისინი, ვინც „ცივი ომის“ პერიოდში მონაწილეობდა ამ ქსელების მუშაობაში“. დე დონეა ამტკიცებდა, რომ „ეფექტიანი რომ დარჩენილიყო, ეს ქსელები საიდუმლო უნდა ყოფილიყო“. ამასთანავე, მას სურდა, გარკვეულიყო ამ ქსელების ტერორისტებთან შესაძლო კავშირის რეალობაში: „მე ვლაპარაკობ იმაზე, რომ, **თუ არიან სერიოზული მოწმეები და არსებობს ეჭვი გარკვეულ ქვეყნებში ზოგიერთი ქსელის არაკანონიერი და არანორმალური მუშაობის შესახებ, ჩვენ ხელს გვაძლევს, გავასაჯაროოთ ეს და დავსაჯოთ დამნაშავეები“.**

ნიდერლანდის პარლამენტის წევრმა **ვანდემელებროკმა**, რომელმაც ალღო აუღო ევროპელთა უმრავლესობის განწყობილებას, ხაზი გაუსვა, რომ იგი, როგორც პარლამენტარი, შეშფოთებულია ამ ოპერაციის საყოველთაობით. „საიდუმლო ორგანიზაციების ბიუჯეტიც გასაიდუმლოებული იყო. ეს საკითხი ევროპის არც ერთ პარლამენტში არ განუხილავთ, და ჩვენ გვინდა, გამოვხატოთ შეშფოთება კონტროლს მიღმა არსებული ცენტრების არსებობის გამო, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს და განახორციელებენ მათ“. სიტყვის დასასრულს ნიდერლანდელმა პარლამენტარმა შენიშნა: „მსურს, გამოვხატო პროტესტი ევროპელთა უმრავლესობის სახელით: **ამერიკელი სამხედროები ფიქრობენ, რომ ევროპაში ნატოს გაერთიანებული სამხედრო ძალების მთავარსარდლის შტაბის, თვით ნატოს ან ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მეშვეობით შეუძლიათ ჩაერიონ ჩვენს დემოკრატიულ უფლებებში. ჩვენ ამის წინააღმდეგი ვართ“.** მაგრამ მან აღიარა, რომ ამ საქმეების შესწავლა ევროპის პარლამენტის კომპეტენციას სცილდება: „კარგად მესმის, რომ ევროპის პარლამენტს არ შეუძლია გადაწყვიტოს მშვიდობისა და უშიშროების საკითხები, — განმარტა მან, — და ამიტომ კომპრომისულ გადაწყვეტილებად გთავაზობთ, ევროკავშირის წევრ თორმეტივე ქვეყანაში შეიქმნას საპარლამენტო საგამოძიებო კომისიები ყველა საკითხზე განმარტებების მისაღებად“.

ევროკავშირის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია „გლადიოს“ საქმეზე, რომელშიც კრიტიკულად მიუდგნენ „გლადიოს“ ფენომენს და რეზოლუციის პრეამბულაში შეეცადნენ, განეზოგადებინათ ინფორმაცია „გლადიოს“ შესახებ:

**„1. მხედველობაში ვიღებთ იმას, რომ ევროპის რამდენიმე მთავრობის ძალისხმევით გაიხსნა გასაიდუმლოებული „პარალელური“ სპეცსამსახურების და გასამხედროებული ორგანიზაციების არსებობა ევროკავშირის წევრ ზოგიერთ ქვეყანაში;**

**2. იმის გამო, რომ ორმოცი წლის განმავლობაში ეს ორგანიზაცია არსებობდა ყოველგვარი კონტროლის მიღმა და იმართებოდა სახელმწიფო საიდუმლო სამსახურების მიერ, რომლებიც ჩართული იყვნენ ნატოსთან მოღალატურ თანამშრომლობაში;**



„გლადიო“ — საიდუმლო არმია: ტერორი, მკვლელობა, სახელმწიფო გადატრიალება...

**3. იმის შეგნებით, რომ ამგვარ ორგანიზაციებს შეეძლოთ არალეგალურად ჩარეულიყვნენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საშინაო პოლიტიკაში და შეიძლება განაგრძობენ იმავეს;**

**4. იმის გამო, რომ ევროკავშირის წევრი ზოგიერთი სახელმწიფოს საიდუმლო სამსახურები (ან მათი გაუკონტროლებელი ფილიალები) ჩათრეული იყვნენ სერიოზული ტერაქტებისა და დანაშაულებრივ ქმედებათა ჩადენაში, რაც მტკიცდება სხვადასხვა სასამართლო გამოძიებით;**

**5. იმის გამო, რომ აღნიშნული ორგანიზაციები მოქმედებდნენ კანონის მიღმა და საპარლამენტო კონტროლს არ ექვემდებარებოდნენ, ხშირად კი მთავრობის უმაღლესმა მოხელეებმა სრულიად არაფერი იცოდნენ აღნიშნული სიტუაციის შესახებ;**

**6. მხედველობაში ვიღებთ იმას, რომ „გლადიოს“ სხვადასხვა ორგანიზაციას თავის განკარგულებაში აქვს დამოუკიდებელი არსენალები და სამხედრო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ საომარი პოტენციალით და, აქედან გამომდინარე, ემუქრება დემოკრატიულ სტრუქტურებს იმ ქვეყნებში, რომლებშიც ისინი მოქმედებენ ან მოქმედებდნენ უწინ;**

**7. ფრიად შეშფოთებული ვართ იმით, რომ არსებობს დემოკრატიის კონტროლს დაუმორჩილებელი და სრულიად საიდუმლო ორგანოები, რომლებიც იღებენ და ოპერატიულად განახორციელებენ გადაწყვეტილებებს, განსაკუთრებით იმ დროს, როცა დისკუსიების მუდმივ თემად განიხილება საზოგადოების გაერთიანება უშიშროების საკითხის გარშემო“.**

ამ პრეამბულას მოჰყვებოდა ევროკავშირის პარლამენტის რეზოლუცია, რომლის პირველი პუნქტი გმობდა იატაკქვეშა მანიპულაციური ქსელების არსებობას და მოითხოვდა, სრულად ყოფილიყო გამოძიებული: მათი ბუნება, სტრუქტურა, მიზნები და სხვა ასპექტები ამ საიდუმლო ორგანიზაციების ან ნებისმიერი, ცალკე მოქმედი ქვედანაყოფების, მათი არაკანონიერი ჩარევა საშინაო პოლიტიკურ საქმეებში, და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ან მესამე ქვეყნების სპეცსამსახურების შეთქმულებაში.

**მეორე პუნქტში** მითითებული იყო, რომ ევროკავშირი მკვეთრად ილაშქრებს ევროპაში ნატოს გაერთიანებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის ზოგიერთი ამერიკელი სამხედრო პირის მცდელობის წინააღმდეგ ევროპაში სადაზვერვო-დივერსიული ქვედანაყოფების შესაქმნელად.

რეზოლუციის **მესამე პუნქტში** ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები მთავრობებს მოუწოდებდა, განეიარაღებინათ ყველა საიდუმლო სამხედრო და ნახევრადსამხედრო ქსელი.

**მეოთხე პუნქტით** ევროკავშირი მოუწოდებდა ევროკავშირის წევრი იმ ქვეყნების სასამართლო ხელისუფლებას, რომლებშიც დადგინდა ამგვარი საიდუმლო სამხედრო ორგანიზაციები, სრულად გამოავლინონ მათი სტრუქტურა და გაარკვიოს, რას მოიმოქმედებდნენ ისინი ევროკავშირის წევრი ქვეყნების დემოკრატიული სტრუქტურების დესტაბილიზაციისთვის.

**მეხუთე პუნქტი** აცხადებდა, რომ ევროკავშირი მოუწოდებდა ყველა ქვეყანას, რომლებიც ევროკავშირში შედიან, განახორციელონ აუცილებელი ღონისძიებები, თუ საჭიროება მოითხოვდა, საპარლამენტო საგამოძიებო კომიტეტების შექმნით, ამგვარი საიდუმლო ორგანიზაციების სრული სიის შესადგენად და, პარალელურად, შესაბამისი ქვეყნების დაზვერვის სამსახურების კავშირის დასადგენად ტერორისტების ჯგუფებთან ან სხვა უკანონო საქმიანობის გამოსავლენად.

ევროკავშირის პარლამენტი **მეექვსე პუნქტით** მიმართავდა ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს, უპირველეს ყოვლისა, თავდაცვის სამინისტროს, და მოუწოდებდა მინისტრთა საბჭოს საიდუმლო სადაზვერვო და საბრძოლო სამსახურების შესახებ მოპოვებული სრული ინფორმაცია გაესაჯაროვებას.

**მეშვიდე პუნქტი** რეზოლუციისა მოუწოდებდა უფლებამოსილ კომიტეტს, განეხილა მოსმენების ორგანიზება „გლადიოსა“ და მისი მსგავსი ორგანიზაციების როლისა და გავლენის გარკვევის მიზნით.

**ბოლო პუნქტით** რეზოლუცია მიმართავდა უშუალოდ ნატოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს, გადაეცათ ეს რეზოლუცია ნატოს კომისიისთვის, ევროკავშირის საბჭოსთვის, ნატოს გენერალური მდივნისთვის, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და აშშ-ის მთავრობებისთვის, მაგრამ „მყეფარი ძაღლი არ იკბინებაო“:

**რვა ქმედებიდან, რომელთა განხორციელებასაც ევროპალამენტი ითხოვდა, არც ერთი არ შესრულებულა.**

მხოლოდ ბელგიამ, იტალიამ და შვეიცარიამ ჩაატარეს გამოძიება საიდუმლო არმიების არსებობის თაობაზე საპარლამენტო კომისიების ძალებით და გამოაქვეყნეს კიდეც დეტალური ანგარიშები. მიუხედავად იმისა, რომ რეზოლუცია გადაეცა ევროკავშირს, ნატოსა და აშშ-ის შესაბამის ინსტიტუტებს, ნატოს გენერალურ მდივან **მანფრედ ვერნერსა** და აშშ-ის პრეზიდენტ **ჯორჯ ბუშს** არც უფიქრიათ საქმის დეტალური გამოძიება და არც საჯაროდ გაუკეთებიათ რაიმე განცხადება.

## ნატოს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და „მი-6“-ის დუმილი

1990 წელს, როცა მხილებულ იქნა „გლადიო“, უდიდესი სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში — ნატოში 16 ქვეყანა იყო გაერთიანებული: ბელგია, გერმანია, დანია, საფრანგეთი, საბერძნეთი, დიდი ბრიტანეთი, ისლანდია, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ნორვეგია, პორტუგალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, თურქეთი და შეერთებული შტატები. ეს უკანასკნელი ალიანსში დომინირებდა. იტალიის პრემიერ-მინისტრ **ანდრეოტის** გულახდილობაზე ნატოს დაბნეული რეაქცია ჰქონდა, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ მოერიდა საკუთარი სახელის შებღალვას, რადგან საიდუმლო არმიებს უკავშირდებოდა მასობრივი დარბევები, წამება, გადატრიალების მცდელობები და ტერორისტული ოპერაციები, რომლებიც დასავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაში განხორციელდა.

**1990 წლის 5 ნოემბერს, თითქმის ერთთვიანი დუმილის შემდეგ, ნატოს წარმომადგენლებმა, როგორც იქნა, ხმა ამოიღეს: ალიანსმა კატეგორიულად უარყო ანდრეოტის ბრალდებები, რომლებიც ეხებოდა ნატოს ჩართულობას „გლადიოს“ ოპერაციებში და საიდუმლო არმიების შექმნაში. ნატოს მაღალჩინოსანმა ჟან მარკოტამ ევროპაში ნატოს გაერთიანებული სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის შტაბ-ბინაში, რომელიც ქალაქ მონსშია (ბელგია), განაცხადა, ალიანსს აზრადაც არ მოსვლია, ეწარმოებინა საიდუმლო ომი და განეხორციელებინა საიდუმლო ოპერაციები; რომ ალიანსი ყოველთვის დაკავებული იყო თავისი სამხედრო საქმეებით და საკუთარი და თავისი მოკავშირეების საზღვრების დაცვით.**

**6 ნოემბერს ნატოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნატოს მიერ გუშინდელი უარყოფა იყო მხოლოდ სიცრუე. წარმომადგენელმა ჟურნალისტებს გადასცა მხოლოდ მოკლე კომუნიკე, რომლითაც განცხადებული იყო, რომ ნატო კომენტარს არასოდეს აკეთებს სამხედრო საიდუმლოებებზე და რომ, საერთოდ, არაფერი უნდა განეცხადებინა.**

საერთაშორისო პრესის წარმომადგენლებმა პროტესტი განაცხადეს სამხედრო ალიანსის საზოგადოებრიობასთან კავშირის პოლიტიკის გამო: „მთელი კონტიგენტი დაზაფრული იყო, ნატოს წარმომადგენელმა მხოლოდ უარყოფა გამოაქვეყნა: არაფერი იყო ცნობილი „გლადიოს“ ან ე.წ. საიდუმლო ქვედანაყოფების შესახებ, რომლებიც სპეციალურად იქნენ დატოვებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საბჭოთა კავშირის მიერ მათი ოკუპაციის შემთხვევაში. შემდეგ კომუნიკეში ნათქვამი იყო, რომ უარყოფა შეცდომაა, რადგან უარყოფა „არაკორექტული“ იყო.

**ნატოსადმი ნდობა შეირყა, გაზეთებში გაჩნდა სათაურები: „ნატოს გასაიდუმლოებული ქვედანაყოფები, შესაძლოა, ტერორისტებთან ყოფილიყო დაკავშირებული“, „ნატოს საიდუმლო ქსელი დაღდასმულია დივერსიული ქმედებით: კომისიამ გაარკვია, რომ „გლადიო“, როგორც ალიანსის იარაღი, იტალიაში გადაიქცა ფაშისტური ელემენტების საკოორდინაციო ცენტრად, იმათი, რომლებიც ილტვოდნენ კომუნისტების წინააღმდეგ საბრძოლველად ტერორისტული შეტევების პროვოცირების გზით რეპრესიული კანონების გასამართლებლად“, „ბოლონიაში გამოყენებული ბომბები ნატოდან მოვიდა“.**

ნატოელმა დიპლომატმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, პრესას განუცხადა: „რადგან ეს ორგანიზაცია გასაიდუმლოებულია, მე არ ველოდი, რომ გამცემდნენ პასუხს ბევრ კითხვაზე, მიუხედავად იმისა, რომ „ცივი ომი“ დამთავრებულია. რომც ყოფილიყო რაღაც კავშირი ტერორისტულ ორგანიზაციებთან, ინფორმაცია ამის შესახებ ძალიან ღრმად იქნებოდა ჩამარხული. თუ არა, მაშ, რა არის ცუდი იმაში, რომ განხორციელებული იყო სიფრთხილის წინასწარი ზომები საბჭოთა თავდასხმისთვის წინააღმდეგობის გასაწევად?!“

**გაგრძელება იქნება**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წარმოიდგინეთ, რომ არ გახსოვთ, სად გააჩერეთ მანქანა პარკინგის უზარმაზარ მოედანზე. საკმარისია, უბრალოდ, თქვათ „მოძებნე ავტომობილი“ და ციცქნა დრონი, რომელიც დამაგრებულია თქვენს მხარზე, მაშინვე აფრინდება „ასაფრენი მოედნიდან,“ იპოვის ავტომობილს და მიგიყვანთ მასთან. „ამაზონის“ დრონი-დამხმარე ემორჩილება თავისი მფლობელის ხმოვან ბრძანებებს და შეუძლია არაერთი დავალების შესრულება. მაგალითად, მისი დახმარებით შეგიძლიათ იპოვოთ სავაჭრო ცენტრში დაკარგული ბავშვი; სპეციალურ სამსახურს კი — მისი გამოყენებით თუნდაც იმავე სავაჭრო ცენტრში სიმაღლიდან ხანძრის კერის აღმოჩენა.**



# ღირს თუ არა დრონით ნათურის მოხსნა?

**რამდენი დრონი დასჭირდება ნათურის გამოცვლას? მართლაც და რამდენი დრონი დაგვჭირდება, გადამწვარი ნათურა რომ შევცვალოთ?ეს შეკითხვა დასვა YouTube-ის მომხმარებელმა მარეკ ბაკზინსკიმ.** რამდენიმე მცდელობის შემდეგ მან შეძლო თავისი კვადროკოპტერი Eachine E30W ეიძულებინა, ძველი ნათურა მოეხსნა პატრონიდან დამ ის ნაცვლად შიგ ახალი ჩაეხრახნა. ოღონდ ამ პროცესში ერთი დრონი და 9 ნათურა დაემსხვრა. ასე რომ, სულაც არაა სახუმარო დრონით ნათურის მოხსნა.



# მომავლის მოტოციკლი

**BMW-მ ლოს-აჯელესში გამართულ გამოფენაზე The BMW Motorrad VISION NEXT 100 მომავლის მოტოციკლი-2017 წარმოადგინა.**

# ჩინეთში მსოფლიოში ყველაზე პატარა ატომურ რეაქტორს შექმნიან





**ჩინელი მეცნიერები ატომური ენერგეტიკის უსაფრთხოების ტექნოლოგიის ინსტიტუტიდან მსოფლიოში ყველაზე პატარა ბირთვული რეაქტორის შექმნაზე მუშაობენ, რომელიც 10 მეგავატამდე ელექტროენერგიის გამომუშავებას შეძლებს. მისი სიმაღლე იქნება 6 მეტრამდე, სიგანე კი — 2 მეტრამდე. შემქმნელები ირწმუნებიან, რომ ასეთი ელექტროსადგური ელენერგიით 50 ათას სახლს მოამარაგებს.**

ეს ატომური სადგური წარმოადგენს რეაქტორს ნეიტრონებზე, მეცნიერებმა მას „პორტატული ბირთვული აკუმულატორი“ უწოდეს. კონსტრუქცია აგებულია იმგვარად, რომ რეაქტორს, სულ ცოტა, 5 წლის განმავლობაში შეუძლია იმუშაოს შეუფერხებლად. ატომური ელექტროსადგურის გამაგრილებელ ელემენტად გამოიყენება გამდნარი ტყვია.

მიუხედავად იმისა, რომ პატარა ბირთვული რეაქტორი შეიძლება გამოყენებული იქნას ელექტროენერგიაზე ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მეცნიერები, უპირველესად, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში გეგმავენ წყლის გასამტკნარებლი დანადგარის გაკეთებას.

# კომპანია «ამაზონმა» ციცქნა დრონი-ასისტენტი დააპატენტა

Available at amazon

**ამერიკული სავაჭრო გიგანტი „ამაზონი“ ბოლო წლებში აქტიურად იპყრობს ახალ-ახალ ბაზრებს. ახლახან „ამაზონმა“ დააპატენტა ციცქნა დრონი-დამხმარე.**

წარმოიდგინეთ, რომ არ გახსოვთ, სად გააჩერეთ მანქანა პარკინგის უზარმაზარ მოედანზე. საკმარისია, უბრალოდ, თქვათ „მოძებნე ავტომობილი“ და ციცქნა დრონი, რომელიც დამაგრებულია თქვენს მხარზე, მაშინვე აფრინდება „ასაფრენი მოედნიდან,“ იპოვის ავტომობილს და მიგიყვანთ მასთან. **„ამაზონის“ დრონი-დამხმარე ემორჩილება თავისი მფლობელის ხმოვან ბრძანებებს და შეუძლია არაერთი დავალების შესრულება.** მაგალითად, მისი დახმარებით შეგიძლიათ იპოვოთ სავაჭრო ცენტრში დაკარგული ბავშვი; სპეციალურ სამსახურს კი — მისი გამოყენებით თუნდაც იმავე სავაჭრო ცენტრში სიმაღლიდან ხანძრის კერის აღმოჩენა.

დრონები, რომლებიც დღეს გამოიყენება ჰობისთვის, ფოტოებისა და ვიდეოების გადასაღებად საკმაოდ კომპაქტურია თავისი ზომებით. ოღონდ, ცოტა არ იყოს, რთულია, მხრით ათრიო ამ ზომის კვადროკოპტერი. რა თქმა უნდა, მიკროფონი ხმოვანი ბრძანებებისთვის და გამოთვლითი მოდული დრონის კორპუსის გარეთ იქნება. ბავშვის ან ავტომობილის სწრაფად მოძებნის მიზნით „ამაზონი“ მომხმარებელს სთავაზობს RFID-ნიშნებს, რომლებიც დამაგრებული ან დაკერებული იქნება ბავშვის ტანსაცმელზე.



ყველაფერთან ერთად „ამაზონი“ დრონების გამოყენებას გთავაზობთ იმისათვის, რათა შეამოწმოთ, დაკეტეთ თუ არა სახლის ან ავტოფარეხის კარი; რამხელა საცობია თქვენი ავტომობილის წინ. მსგავსი დრონები კარგად დაეხმარება პოლიციელებსაც ექვმიტანილთა ფოტოების ოპერატიულად გადაღებაში, დაკავების კადრების აღბეჭდვასა და სხვა შემთხვევაში. რა თქმა უნდა, პატენტი ვერ იქნება იმის გარანტი, რომ იდეა აუცილებლად განხორციელდება ცხოვრებაში, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში „ამაზონის“ იდეები საკმაოდ საინტერესო და მიმზიდველია.

# Uber -ი უახლოესი 10 წლის განმავლობაში თავის კლიენტებს მფრინავ ავტომობილებს ჰპირდება

**დადგა დრო, ადამიანები მფრინავი ავტომობილების შექმნაზე დაფიქრდნენ. მართლაც, საგზაო ტრანსპორტით გადატირთულ ქუჩებში გადაადგილება, გამუდმებული საცობები ყველას დიდ დისკომფორს უქმნის და აზარალებს. ასე რომ, მფრინავი ავტომობილი მართლაც კარგი იდეაა. მის განხორციელებას კი უახლოესი 10 წლის განმავლობაში კომპანია Uber-ი გვპირდება.**

„იმის მსგავსად, როგორც ცათამბჯენებმა მოგვცეს საშუალება, მცირე ფართობი ეფექტიანად გამოგვეყენებინა, ასევე საქალაქო საჰაერო სატრანსპორტო სისტემა მნიშვნელოვნად განტვირთავს გზებზე მოძრაობას. მოცემულ მომენტში სწორედ ამაზე ვმუშაობთ, რათა ეს ფანტასტიკური იდეა რეალობად ვაქციოთ“, — ნათქვამია კომპანიის ოფიციალურ განცხადებაში.

კომპანიამ 97-გვერდიანი დოკუმენტი გამოაქვეყნა, რომელშიც აღწერილია, როგორი იქნება მფრინავი სატრანსპორტო საშუალებების პარკი, რომელიც იმუშავებს ელექტროდენზე. მათ შეეძლებათ ჰაერში ვერტიკალურად აფრენა და ამგვარად დაშვება მიწაზე. თავის ახალ სერვისს Uber-მა გადაწყვიტა Elevate უწოდოს. ოღონდ კომპანია არ აპირებს, თვითონ გამოუშვას ეს სატრანსპორტო საშუალებები. ის ფიქრობს, ამ საკითხით დააინტერესოს სხვა კერძო თუ სახელმწიფო კომპანიები.

სახელმწიფოს თანადგომის გარეშე არაფერი გამოვა, რადგან აუცილებელი იქნება უამრავი ინფრასტრუქტურული, სასერტიფიკაციო და სამართლებრივი საკითხების გადაჭრა. ექვს თვეში კომპანია დაიწყებს საქალაქო საჰაერო ტრანსპორტის სისტემაზე მუშაობას, ხოლო 2017 წლის დასაწყისში ოფიციალურ ღონისძიებას ჩაატარებს, რომელზეც თავის მიღწევებზე პრესას აცნობებს. როგორც კი საორგანიზაციო საკითხები მოგვარდება და დღის სინათლეს იხილავს საკმაოდ სანდო საქალაქო საჰაერი ტანსპორტი, Uber-ი გააკეთებს იმას, რაც ყველაზე კარგად შეუძლია. კერძოდ, იპოვის პროფესიონალ პილოტებს, დააკავშირებს მათ თავის შთამბეჭდავ კლიენტურის ბაზასთან, გაწერს მარშრუტებს და ყველაფერ ამას ჩამოაჭრის თავის




კუთვნილ დივიდენდებს. გეგმა პრაქტიკულად კარგია, მაგრამ მისგან ნუთუ მხოლოდ 10 წელი გვაშორებს? და თუ ამას კიდევ დავუმატებთ Uber-ის ოცნებებს იმაზე, რომ მფრინავი ავტომობილი მომავალში ავტოპილოტის საშუალებით იმოძრავებს, თამამად შეგვიძლია კიდევ 10 წელი მივუმატოთ დათქმულ დროს. არა, ჩვენ პესიმისტები არ ვართ, უბრალოდ, საქმეა ძალიან სერიოზული. ხუმრობა ხომ არ არის, მფრინავი ტაქსის მართვა კომპიუტერს მიანდო.

იონიზირებული რადიაციის, როგორც კოსმოსში ყველაზე გავრცელებული გამოსხივების ფორმის, ზემოქმედების ეფექტი ნაყოფზე ან ემბრიონზე, შესაძლოა, ტოტალურად კატასტროფული აღმოჩნდეს.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შესაძლებელია თუ არა ბავშვის ჩასახვა მარსზე?

**ილონ მასკის გათვლებით, ადამიანები უახლოეს რამდენიმე ათწლეულში მარსზე გაეშურებიან. სექტემბრის ბოლოს SpaceX-ის გენერალურმა დირექტორმა განაცხადა მასობრივი ტრანზიტის სარაკეტო სისტემის, ხომალდების ფლოტილიის შემუშავებაზე, რომელიც მგზავრებისა და ტვირთის მარსზე გადატანა-გადმოტანას მოემსახურება ყოველ 26 თვეში.**



და უკვე 2022 წელს მარსზე დასახლდება პირველი ასეული ადამიანი. როგორც ჩანს, ეს იქნება მარსზე დასახლების პირველი ნაბიჯი. თუკი აღმოჩნდება, რომ ადამიანები იქ შვილებს ვერ გააჩენენ, მაშინ ეს პროცესი დიდხანს გაგრძელდება.

მეცნიერებმა ჯერ არ იციან, რა მოხდება, თუკი ადამიანი შეეცდება დაფეხმძიმდეს, იმშობიაროს ან გაზარდოს შვილი პლანეტაზე, რომელზეც, დედამიწისგან განსხვავებით, ასჯერ მეტი გამოსხივება და განსხვავებული გრავიტაციაა. ჯერ უცნობია, წერს **მენდონ კეიმი** Wired-ში, უჯრედის განვითარების პროცესი სხვა ტიპის გარემოში როგორ წარიმართება. ცხადია, ჰოლივუდის ფილმები ამაში ვერ დაგვეხმარება.

## კოსმოსი არ არის ადგილი ბავშვებისთვის

**გვერდით გადავდოთ კინემატოგრაფი. ყველაფერი, რაც ვიცით ცოცხალ ორგანიზმებზე დედამიწის გარეთ, ოპტიმიზმის საშუალებას არ გვაძლევს.** 1979 წელს 5 დედალი და 2 მამალი ვირთხა რუსული ხომალდით „კოსმოსი-1129“-ით კოსმოსში გაუშვეს. ორი ვირთხა დამაკდა, მაგრამ ორივეს ფეხმძიმობა უდროოდ შეწყდა. 2009 წელს ბიოლოგებს გამოჰყავდათ ვირთხები ხელოვნური მიკროგრავიტაციის პირობებში, ვირთხების ემბრიონული უჯრედები არ იყოფოდა და არ მწიფდებოდა ისე, როგორც საჭირო იყო. **მიკროგრავიტაციის პირობებში მსგავსმა კვლევებმა ვირთხის ნაყოფის ჩონჩხისა და ტვინის არანორმალური განვითარება გამოავლინა, ზრდასრულ მამრებს ჰქონდათ ცუდი სპერმა.**

**მეცნიერები შიშობენ, რომ დაბალი გრავიტაცია ასევე გაზრდის საშვილოსნოს გარეთ ორსულობას.**

სამწუხაროდ, კოსმოსური გამოსხივება არაერთ შეკითხვას აჩენს ადამიანის განვითარებისა და მსგავს პირობებში არსებობის შესახებ.

**რა დაემართება ქალს, რომელიც დაფეხმძიმდება და მიიღებს გამოსხივებას?**

რადიაციამ, შესაძლოა, ხელი შეუშალოს უჯრედულ პროცესებს და დააზიანოს დნმ-ი. მას შეუძლია ზიანი მიაყენოს სპერმატოზოიდების რაოდენობას. ამის მაგალითები მედიცინაში უკვე არის.

დედამიწის ატმოსფერო კოსმოსური გამოსხივების დიდ ნაწილს აკავებს და არ აძლევს მას საშუალებას, პლანეტამდე მოაღწიოს. მარსის ატმოსფეროს კი ეს არ შეუძლია.

მეცნიერთა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ, მიუხედავად სპერმატოზოიდების სიმცირისა, თუკი ჩასახვა მაინც მოხდება, მარსის რადიაცია საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ხელი შეუშალოს უჯრედების გამრავლებას ნაყოფში და შეწყვეტოს ფეხმძიმობა.

და ეს — ყველაზე კარგ შემთხვევაში. იონიზირებული რადიაციის, როგორც კოსმოსში ყველაზე გავრცელებული გამოსხივების ფორმის, ზემოქმედების ეფექტი ნაყოფზე ან ემბრიონზე, შესაძლოა, ტოტალურად კატასტროფული აღმოჩნდეს.

დაავადებათა კონტროლისა და აღკვეთის ცენტრმა შეადგინა პრობლემების, განვითარებაში ჩამორჩენილობის, ტვინის ფუნქციების დარღვევისა და კიბოს დაავადებების სია, რომლებიც ჩნდება იმ შემთხვევაშიც კი, როცა გამოსხივება ძალიან დაბალია საიმისოდ, დედაზე რომ იმოქმედოს. ამას გარდა, სექსმა შეიძლება გულის რევა და თავბრუსხვევა გამოიწვიოს, კონტრაცეპტივებმა არ იმუშაოს, სიმძიმის ძალის შემცირებამ კი ერექციას ხელი შეუშალოს.

## არავითარი სექსი მარსზე

Mars One, SpaceX-ის კონკურენტი, რომელიც 2026 წელს გეგმავს მარსზე ჯგუფის გაგზავნას, ამბობს, რომ მარსის პირველ მობინადრეებს ურჩევს, თავი შეიკავონ დაფეხმძიმებისგან.

**„პირველი კოლონია მარსზე ნამდვილად ვერ იქნება შესაფერისი ადგილი ბავშვების გასაზრდელად, — წერს კომპანია თავის საიტზე, — დაბალი გრავიტაციის პირობებში ადამიანის შესაძლებლობები ჩასახვასთან დაკავშირებით ჯერჯერობით უცნობია, ისევე როგორც უცნობია ის, შეძლებს თუ არა ნაყოფი მოცემულ სიტუაციაში ნორმალურად განვითარებას“.**

ეს თავშეკავებამდე მიგვიყვანს, განსაკუთრებით კონტრაცეფციის უეფექტობის ფონზე. **შესაძლოა, დაისვას საკითხი მარსის მკვლევართა ნებაყოფლობითი სტერილიზაციის შესახებ.**

თუკი მასკი ოდესმე დაფიქრებულა კოსმოსში სექსზე, ამ საკითხზე ხმამაღლა მაინც არაფერს ამბობდა.

ისევე, როგორც NASA.

მოცემულ საკითხზე NASA-ს წარმომადგენელი იუწყება, რომ სააგენტოს გეგმა მდგომარეობს იმ ფაქტორების განსაზღვრაში, რომლებსაც შეუძლია ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედება, მაგრამ თემა — ადამიანების რეპროდუქცია მასში არ შედის.

NASA მარსზე ადამიანების გაგზავნას 2030 წლის ბოლოსთვის გეგმავს. ნუთუ არავინ იზრუნებს მარსზე გამრავლების საკითხის მოგვარებაზე?





# ჩასახვის საწინააღმდეგო აბები მამაკაცებისთვის

**როგორც გამოცემა The Daily Mail იტყობინება, მეცნიერთა ჯგუფმა დიდ ბრიტანეთში მამაკაცებისთვის შექმნა პრეპარატი, რომელიც ანალოგიურია ქალებისთვის არსებული ჩასახვის საწინააღმდეგო აბებისა.**

მეცნიერთა მტკიცებით, ლაბორატორიული კვლევებისას პრეპარატმა დაამტკიცა, რომ 95%-ით ეფექტიანია.

პრეპარატის ძირითადი ძირითადი შემადგენელია **პროგესტაგენი**, რომელიც მოქმედებს სპერმატოზოიდზე — დროებით აკარგვინებს მას გადაადგილების ფუნქციას. ასე რომ, ყველაფერი ძალიან მარტივია: სპერმატოზოიდი ვერ აღწევს კვერცხუჯრედამდე.

პრეპარატი მოქმედებას იწყებს მიღებიდან რამდენიმე საათში, ეფექტი კი 2-3 დღეს გრძელდება, რომლის შემდეგ უჯრედებს ჩვეული ფუნქცია უბრუნდებათ. ამჟამად პრეპარატის დამატებითი კვლევა მიმდინარეობს, რათა საბოლოოდ დადგინდეს, რამდენად უვნებელია ის ადამანის ორგანიზმისთვის და მომავალი ჩანასახის განვითარებისთვის. სპეციალისტების აზრით, ამ საოცარი პრეპარატის გამოჩენას აფთიაქებში 2021 წელზე ადრე არ უნდა ველოდოთ.

# იცით თუ არა?

*** 1984 წელს მსოფლიოში 1000 კომპიუტერი იყო, 1992 წელს — 1 000 000, 2008 წელს კი — 1 000 000 000.**

* ერთ წუთში ინტერნეტიდან არალეგალურად 694 000 სიმღერა იწერება.

*** სირაქლემის კვერცხის ბოლომდე მოსახარშად 40 წუთია საჭირო.**

* ფრანგები მტრედებს მფრინავ ვირთხებს უწოდებენ.

*** სინდიოფალას დღე-ღამეში 20 საათი სძინავს.**

* ვეფხვებს არა მხოლოდ ბეწვი აქვთ ზოლებიანი, არამედ – კანიც.

*** ჟირაფებს ყველაზე მაღალი არტერიული წნევა და ყველაზე დიდი გული აქვთ ცხოველთა სამყაროში.**

* ანტარქტიდაში მობინადრე ზოგიერთი თევზის სხეულის ტემპერატურა მინუს 1.7 გრადუსი ცელსიუსია.

*** ვეშაპის გული წუთში მხოლოდ 9-ჯერ ძგერს.**

* სპილოს თავის ტვინის მასა მისი სხეულის მასის დაახლოებით 0.27%-ს შეადგენს.

*** ზრდასრული ვეშაპი 2 წამში 2400 ლიტრ წყალს შთანთქავს.**

* პითონს შეუძლია კურდღელი მთლიანად გადაყლაპოს. ნახევარი წლის განმავლობაში კი 150 თაგვი შეჭამოს.

*** გველების უმეტესობას შეუძლია 1 წელი საჭმლის გარეშე გაძლონ.**

* 99,9% პროცენტი ცხოველებისა, რომლებსაც ოდესმე უარსებიათ დედამიწაზე, ადამიანის გამოჩენამდე განადგურდა.

*** მსოფლიოში არსებული ღორების ნახევარზე მეტი ჩინეთში იზრდება.**

* მამონტს 5 მეტრის სიგრძის ეშვები ჰქონდა.

*** ვერავინ ვერ შეძლო აფრიკული სპილოს მოშინაურება (ჯერჯერობით მხოლოდ ინდური სპილოა მოშინაურებული).**

* პოლარული დათვი ერთადერთი ძუძუმწოვარია, რომელსაც ადამიანის არ ეშინია.

*** ჭიანჭველაჭამიის სიგრძე 1,8 მეტრია, პირს კი მხოლოდ 2,5 სმ-ით აღებს.**

* დინოზავრების უმეტესობა 100 წელზე მეტხანს ცოცხლობდა.

# მეცნიერებმა ადამიანის ტვინში «პლაცებოს ცენტრი» გახსნეს

**ჩიკაგოელი მეცნიერები, რომლებიც სავარაუდო „პლაცებოს ცენტრზე“ მუშაობენ, თვლიან, რომ მათი ტექნოლოგიები მედიკოსებს საშუალებას მისცემს, დაინახონ ტვინის ის ნაწილი, რომელიც უაქტიურდება პაციენტს ტკივილისას. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება ტვინის ამ ნაწილზე დაკვირვება და პაციენტის მიერ მიღებული კონკრეტული წამლების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება.**

მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ მომავალში ამ ცენტრის გამოყენება დაეხმარება ექიმებს ტკივილების არსის გარკვევაში და შესაძლოა, მათ აღარ გამოიყენონ ძლიერი ტკივილგამაყუჩებლები, — წერს „რია ნოვოსტი“. უფრო დაწვრილებით მეცნიერებმა თავიანთი კვლევა აღწერეს ჟურნალ PLoS Biology-ში.

მეცნიერები, რომლებიც თავისივე აღმოჩენილ მეთოდიკაზე მუშაობენ, აკვირდებოდნენ 50 ადამიანის ტვინის მუშაობას, რომელთაც აღენიშნებოდათ სახსრების ქრონიკული ტკივილი. მათ შესთავაზეს ახალი ტკივილგამაყუჩებლის ტესტირება. ამასთანავე, კვლევის მონაწილეთა ნახევარს ნამდვილ



წამალს კი არ აძლევდნენ, არამედ „ცარიელს“, რის შემდეგაც სამი კვირის განმავლობაში სწავლობდნენ მათი ტვინის აქტივობას ტომოგრაფის საშუალებით, შემდეგ კი ადარებდნენ ამ ორი ჯგუფის ადამიანთა მაჩვენებლებს.

**შედეგად მივიდნენ დასკვნამდე, რომ ადამიანის ტვინში ნამდვილად არის გარკვეული ზონა, რომლის აქტივობის გამოყენება შეიძლება პლაცებოს ეფექტიანობის განსასაზღვრად და თან შეიძლება იმის გაგებაც, რამდენად კარგად ართმევს თავს მოცემული პრეპარატი თავის ამოცანას.**

შემთხვევები იყო სხვადასხვა: ზოგ პაციენტს პლაცებოს ეფექტი უძლიერდება, ზოგს კი — პირიქით. კვლევის ავტორთა აზრით, ამას შეუძლია იმის ახსნა, ბევრი ადამიანი თუ რატომ ვერ აღწევს თავს ქრონიკულ ტკივილს ძლიერი ტკივილგამაყუჩებლების მიღების შემთხვევაშიც კი.

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველა დელფინს, ისევე, როგორც ადამიანს, თავისი სახელი აქვს და ისინი ერთმანეთს სახელებით მიმართავენ. დელფინებს უნიკალური მეხსიერებაც აქვთ — ისინი იმახსოვრებენ „ძველი მეგობრების“ ისეთ სახელებსაც, რომლებიც თუნდაც მხოლოდ ერთხელ, 20 წლის წინათ მოუსმენიათ.**



# როგორ იცნო შიმპანზემ 18 წლის შემდეგ თავისი მომვლელი

**ვეტერინარი ლინდა ქებნერი 23 წლის იყო, როცა დაიწყო პროექტი „6 შიმპანზეს რეაბილიტაცია“. მაიმუნები დაიბადნენ ტყვეობაში და იზრდებოდნენ ლაბორატორიაში, სადაც მათზე ცდებს ატარებდნენ.**

რამდენიმე ცდის ჩატარების შემდეგ, როცა ცხოველი ექსპერიმენტებისთვის უკვე აღარ არის გამოსადეგი, კლავენ, რადგან ლაბორატორიაში დაბადებული და გაზრდილი ცხოველი ველურ ბუნებაში ვეღარ ცოცხლობს, მაგრამ ლინდამ გაბედული ნაბიჯი გადადგა — მან მაიმუნებს სიცოცხლის მეორე შანსი მისცა და დიდ დროს უთმობდა მათ, რათა ისინი ველურ გარემოს შეჩვეოდნენ.

ლინდა გაოცებული აკვირდებოდა, თუ როგორ გრძნობდნენ საცოდავი მაიმუნები ბალახის სუნს, როგორი სიფრთხილით ადგამდნენ მიწაზე ფეხს. მათ ეშინოდათ ხეებთან მიახლოების და გაურბოდნენ ყველაზე პატარა უსუსურ ცხოველსაც კი. შიმპანზეებს დაბადებიდან გალიის, ადამიანებისა და სამედიცინო ნემსების მეტი არაფერი ჰქონდათ ნანახი.

რეაბილიტაციის პერიოდში შიმპანზეებმა ბევრი რამ ისწავლეს, რაც უთუოდ გამოადგებოდათ დამოუკიდებლად ცხოვრებაში.

18 წლის შემდეგ ქალმა გადაწყვიტა, ველურ ბუნებაში თავისი გადარჩენილი მეგობრები ეპოვა. გაირკვა, რომ მათგან მხოლოდ 2 მაიმუნი იყო ცოცხალი — დოლი და სვინგი.

ამ ხნის განმვალობაში უსუსური ცხოველები უზარმაზარ, კუნთიან და ძლიერ არსებებად გადაქცეულან.

დოლი და სვინგი ნაპირთან შფოთავდნენ, როდესაც მათკენ ნავით მიმავალი ქალი დაინახეს. და მოხდა საოცრება: შეხვედრისას ერთ-ერთი შიმპანზე ძალიან თბილად ჩაეხუტა ძველ მეგობარს.

დოლისა და სვინგს ამდენი წლის შემდეგაც ახსოვდათ თავიანთი გადამრჩენელი (მაიმუნები უცხო ადამიანებთან ველურად და უხეშად იქცევიან).

# სიამის ტყუპი ინდოეთიდან





**სიამის ტყუპი ძმა — შივანათხი და შივრამ სახუები ინდოეთში დაიბადნენ, ბავშვები ისეთი უცნაურები დაიბადნენ, რომ შეშფოთებულმა თანასოფლელებმა მათი გაღმერთება დაიწყეს, რადგან ისინი ზეციურ არსებებად მიაჩნიათ.**

12 წლის ძმები ერთმანეთთან წელით არიან დაკავშირებული; აქვთ ორი ფეხი და ოთხი ხელი, საერთო კუჭი, მაგრამ დამოუკიდებლი ფილტვები და გული. ორივე ბავშვი ჯანმრთელი დაიბადა. სწავლისა და ვარჯიშის შედეგად ძმებს შეუძლიათ ყოველდღიური რუტინული პროცედურების მცირე ძალისხმევით შესრულება, აბაზანის მიღება, ჭამა, ჩაცმა, ერთმანეთისთვის თმის დავარცხნა, კიბეზე ასვლა და ჩასვლა, ასევე ძალიან კარგად იყენებენ ექვსივე კიდურს თამაშის დროს მეზობელ ბავშვებთან ერთად.

როდესაც ექიმებმა მათი განცალკევების შესაძლებლობაზე ისაუბრეს, ოჯახმა უარი განაცხადა და ყველაფრის ისე დატოვება ისურვა, როგორც არის. მამა ამბობს, რომ არ მისცემს ექიმებს უფლებას, ძმები ერთმანეთს დააშორონ, თუნდაც ეს ოპერაცია მათ უფასოდ ჩაუტარონ და სიცოცხლისუნარიანობის გარანტია მისცენ.

— **ღმერთმა ისინი ასე მოავლინა ქვეყანას და ასეთებად უნდა დარჩნენ, ბევრი ინტერესით უყურებს ჩემს შვილებს, მაგრამ მხოლოდ მე მესმის მათი პრობლემები, რომლებსაც ისინი ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან, წვიმაში ძალიან უჭირთ სიარული, როდესაც ერთს დაჯდომა უნდა, მეორე იძულებულია, დაწვეს,** — განაცხადა ბიჭების მამამ.

შივანათხი, რომელიც შედარებით უფრო სუსტი გარეგნობისაა, ამბობს: — **ჩვენ ყველაფერი შევისწავლეთ, ჩვენ შეგვიძლია სკოლაში სიარული ველოსიპედით და კრიკეტსაც ვთამაშობთ.**

ისინი კარგად სწავლობენ და სკოლის საუკეთესო მოსწავლეებადაც ითვლებიან.

# რატომ მოკლა დელფინმა შვილი დაბადებისთანავე?



**დელფინი ერთ-ერთი ჭკვიანი არსებაა დედამიწაზე. დელფინების ოჯახში უფროსები ზრუნავენ პატარებზე. მდედრი დელფინები თავიანთ შვილებს ყოველთვის იცავენ საშიშროებისგან. ყოფილა შემთხვევები, როდესაც დელფინი ადამიანის დასახმარებლად მოულოდნელად გამოჩენილა.**

იაპონიის საპორტო ქალაქ ნაგოიას ოკეანერიუმში მომხდარმა ფაქტმა ადამიანების აღშფოთება და გაოცება გამოიწვია. მომვლელებმა შენიშნეს, რომ მდედრმა დელფინმა, სახელად ლულუმ, თავისი ახალშობილი შვილი მოკლა.

ამ ფაქტის ახსნა თავიდან ვერავინ შეძლო, თუმცა, ზოოაქტივისტების თქმით, ყველაფერი მარტივია. კერძოდ, ლულუ ზრდასრულ ასაკში თავის ოჯახის წევრებთან ერთად დაიჭირეს. ლულუ პატარა აუზში მოათავსეს, დანარჩენები კი სიცოცხლეს გამოასალმეს.

„დელფინები საოცრად ჭკვიანი ცხოველები არიან. ლულუმ კარგად იცის, თუ რა არის თავისუფლება. მას არ დავიწყებია, რა გაუკეთეს მის ოჯახს ადამიანებმა. დელფინები არ უნდა ცხოვრობდნენ პატარა აუზში, მათი ადგილი ზღვებსა და ოკეანეებშია, სადაც შეუძლიათ ცურვა 55 კმ/სთ სიჩქარით, ასევე, წყლის სიღრმეში ჩასვლა 300 მეტრზე, მაგრამ ლულუ, რომელიც მსგავს თავისუფლებას იყო შეჩვეული, პატარა აუზში გამოკეტილი აღმოჩნდა. ეს მისთვის ცხოვრება არ არის და მას არ სურდა, მისი ახალდაბადებული შვილიც ტყვეობაში დატანჯულიყო. სწორედ ამიტომ მიაყენა საკუთარ შვილს სასიკვდილო ზიანი. დაიმახსოვრეთ, ცხოველები არ იბადებიან აკრობატებად და მსახიობებად. ყოველი ილეთი დაბადებულია სისასტიკითა და ტკივილით; წარმოდგენები ადამიანების გასართობად იმართება და არა ცხოველებისთვის“, — აცხადებენ აქტივისტები.



საერთაშორისო ორგანიზაცია Whale and Dolphin Conservation მოუწოდებს ადამიანებს და მოითხოვს, აიკრძალოს დელფინების დაჭერა, მათი მოკვლა და დატყვევება. სპეციალისტების თქმით, ყველაზე კარგად გაკეთებული აუზიც კი დელფინისთვის ციხეა და მათი ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი.

ზღვის ცხოველები ტყვეობაში 20 წლამდე ცოცხლობენ, იმ დროს, როცა დელფინის სიცოცხლის ხანგრძლივობა თავისუფალ გარემოში 50 წელია. ვეშაპების შემთხვევაში უფრო საშინელი მდგომარეობაა: ისინი თავისუფლებაში 80-90 წელი ცოცხლობენ, ხოლო ტყვეობაში — სულ რაღაც 10 წელი.

* ინდოეთი არის **პირველი ქვეყანა, რომელშიც დელფინარიუმები აკრძალეს.**

* ინდოეთის მთავრობამ დელფინებს მიანიჭა სტატუსი: „პიროვნება, რომელიც ადამიანების რიგს არ მიეკუთვნება“.

* სწორედ ინდოეთია პირველი ქვეყანა, რომელმაც აღიარა დელფინის უნიკალური ინტელექტი. გადაწყვეტილება გარემოს დაცვის სამინისტრომ მიიღო.

კანონში ასევე აღნიშნულია, რომ იკრძალება ყოველგვარი ღონისძიება იმ დელფინების მონაწილეობით, რომლებიც იმყოფებიან დელფინარიუმებში, აკვარიუმებში და ა.შ. სამინისტროს გადაწყვეტილებით, დელფინებს უნდა ჰქონდეთ თავისი განსაკუთრებული უფლებები.

ბოლო კვლევებმა დაადასტურა, რომ **ყველა დელფინს, ისევე, როგორც ადამიანს, თავისი სახელი აქვს და ისინი ერთმანეთს სახელებით მიმართავენ. დელფინებს უნიკალური მეხსიერებაც აქვთ — ისინი იმახსოვრებენ „ძველი მეგობრების“ ისეთ სახელებსაც, რომლებიც თუნდაც მხოლოდ ერთხელ, 20 წლის წინათ მოუსმენიათ.**

დელფინები ერთ წლამდე თვითონ ირჩევენ სახელებს, რომლებიც რთული ხმოვანი სიგნალისგან შედგება. იმ დღიდან სხვა დელფინებიც მას ამ სახელით (სიგნალით) მიმართავენ და ამგვარად ურთიერთობენ ისინი ერთმანეთთან. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ დელფინები რთულ ბგერებს იყენებენ კომუნიკაციისთვის. მათ, ადამიანების მსგავსად, ურთიერთობისთვის აქვთ საკუთარი „სასაუბრო ენა“.



**მსოფლიოს ექვს კლინიკურ ცენტრში მეცნიერთა ჯგუფმა 531 პაციენტი გამოიკვლია, რომლებსაც გენ NF1-ის მუტაცია აღენიშნებოდათ. პაციენტთა დაახლოებით ნახევრის ქცევაში აუტისტური გადახრები შეიმჩნეოდა. ადრე მეცნიერება ვერანაირად ვერ აკავშირებდა პირველი ტიპის ნეიროფიბრომატოზს აუტიზმთან.**

ეს საინტერესოა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მეცნიერებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს აუტიზმის დამარცხების გზაზე

**ალბათ, ყველას გახსოვთ დასტინ ჰოფმანის გმირი ფილმიდან „წვიმის კაცი“. გახსოვთ, ალბათ, ისიც, რომ ის აუტიზმითაა ავად, მაგრამ აქვს საოცარი მეხსიერება და ფენომენური მათემატიკური ნიჭი. და ყველაფერთან ერთად ეს ზრდასრული მამაკაცი უმწეო ბავშვს ჰგავს.**



აუტიზმი დაავადებაა, რომელიც წარმოიშობა თავის ტვინის განვითარების დარღვევის შედეგად. აუტიზმი ფსიქიკის ისეთი მდგომარეობაა, როცა ინდივიდს ახასიათებს ჩაკეტილი ცხოვრება და გარემო სამყაროსგან სრული მოწყვეტა, ავადმყოფი ცხოვრობს მის მიერვე შექმნილ არარეალურ სამყაროში.

აუტიზმის სიმპტომები ჩვეულებრივ თავს იჩენს ბავშვის ცხოვრების პირველი სამი წლის განმავლობაში და თან სდევს მთელი ცხოვრება. 18 თვის ან 2 წლის ბავშვი ვერ აღწევს ჩვეულებრივი განვითარების დონეს. მშობელსა და ბავშვს შორის ნორმალური ურთიერთობა ირღვევა. აუტისტი ბავშვები გაურბიან პირდაპირ მზერას და მათი მეტყველება რუდიმენტულია.

გამოხატვის ხარისხის მიხედვით აუტიზმი მრავალნაირია. ყველაზე ძლიერ ფორმას ახასიათებს განმეორებითი, უჩვეულო, თვითსაზიანო და აგრესიული ქცევა. ასეთი ქცევა დიდხანს გრძელდება და მისი შეცვლა ძალიან რთულია. ყველაზე სუსტი ფორმა გულისხმობს პიროვნულ დარღვევებს, რომლებიც დაკავშირებულია სწავლის უნარის დაქვეითებასთან. აუტისტ ბავშვებს იშვიათად შეუძლიათ დამოუკიდებელი ცხოვრება, ძლიერი თერაპიული ინტერვენციის, მშობლის ზრუნვისა და ზოგჯერ ჰოსპიტალიზაციისა და წამლების გარეშე.

აუტიზმი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში აღმოაჩინა პროფესორმა **ლეო კანერმა**. მალე გამოიყო ნიშანთა ერთობლიობაც, რომლის არსებობის პირობებში აუტიზმის დიაგნოზი ისმება. ეს ტრიადა, როგორც მას სპეციალისტები უწოდებენ, შემდეგია:

პირველი ნიშანი — **სოციალური ურთიერთობების შემცირება ან ხარისხობრივი გაუარესება**;

მეორე — **სპეციფიკური მეტყველებითი პრობლემები** (შეიძლება სიტყვათა მარაგი არც იყოს მცირე, მაგრამ მეორე ადამიანთან ურთიერთობა მაინც შეუძლებელი ხდება);

მესამე — **გამეორება, სიახლისადმი ძალიან ნეგატიური დამოკიდეიჩბულება, სტერეოტიპების დამკვიდრება.**

მასაჩუსეტსის ტექნიკური ინსტიტუტის მკვლევარებმა ჩაატარეს ცდები ლაბორატორიულ თაგვებზე. მათ შეძლეს, დროებით გაეთიშათ გენი სახელწოდებით Shank3 (SH3), შემდეგ, ცხოვრების შედარებით გვიან ეტაპზე, კვლავ ჩაერთოთ. ვაშინგტონელმა მეცნიერებმა ასევე შეძლეს კიდევ ერთი გენის გამოყოფა, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული მოცემულ დაავადებასთან. ის გამოვლინდა იმ პაციენტებში, რომლებიც იშვიათი სიმსივნური დაავადებით არიან ავად და რომელიც დაკავშირებულია პირველი ტიპის ნეიროფიბრომატოზთან. გენსაც, შესაბამისად, ეწოდება NF1.

**ცნობისთვის:** ნეიროფიბრომატოზების ჯგუფი აერთიანებს მემკვიდრეობით დაავადებებს, რომლებსაც კანისა და ნერვული სისტემის პათოლოგიური ცვლილებები, აგრეთვე, ცალკეული ორგანოებისა და ორგანოთა სისტემების სხვადასხვა ანომალია ახასიათებს. ამჟამად ექვსი ტიპის ნეიროფიბრომატოზს განასხვავებენ. მათგან განსაკუთრებული კლინიკური მნიშვნელობა აქვს I და II ტიპს. I ტიპის ნეიროფიბრომატოზი **რეკლინჰაუზენის დაავადების** სახელწოდებითაც არის ცნობილი. ამჟამად ასეთ დიაგნოზს 3000-დან ერთ ახალშობილს უსვამენ.





დადგენილია, რომ I ტიპის ნეიროფიბრომატოზი (რეკლინჰაუზენის დაავადება) განპირობებულია მე-17 ქრომოსომაში ერთ-ერთი გენის (NF1-ის) მუტაციით.

საქმე ის არის, რომ NF1 იმ გენების ჯგუფს ეკუთვნის, რომლებიც სიმსივნური წარმონაქმნების ზრდა-განვითარებას თრგუნავს. კერძოდ, NF1 სიმსივნის სუპრესორის (დამთრგუნველი ნივთიერების) ნეიროფიბრომინის კოდირებას ახდენს. როდესაც ეს გენი მუტაციას განიცდის, ნეიროფიბრომინის გამოყოფა მცირდება ან წყდება, რასაც უჯრედთა უკონტროლო გამრავლება (პროლიფერაცია) მოჰყვება. I ტიპის ნეიროფიბრომატოზს ახასიათებს გამოხატული კლინიკური პოლიმორფიზმი, სხვადასხვა ორგანოს დაზიანება, პროგრესირებადი მიმდინარეობა და ხშირი გართულება.

„აღნიშნულ დაავადებას ერთადერთი გენის – **NF1**-ის მუტაცია იწვევს. ჩვენმა კვლევამ მიგვიყვანა დასკვნამდე, რომ ეს გენი მჭიდროდ უკავშირდება ამ ავადმყოფებში აუტიზმის გამოვლენას. ამდენად, მოგვიწევს, თვალყური ვადევნოთ ორი დაავადების განვითარებას, რათა ვიპოვოთ საშუალებები მომავალში მათთან საბრძოლველად და პაციენტთა სამკურნალოდ სწორი მეთოდიკები შევიმუშაოთ“, — განუცხადა ჟურნალისტებს კვლევის თანაავტორმა სტეფანი მორისმა.

მსოფლიოს ექვს კლინიკურ ცენტრში მეცნიერთა ჯგუფმა 531 პაციენტი გამოიკვლია, რომლებსაც გენ NF1-ის მუტაცია აღენიშნებოდათ. პაციენტთა დაახლოებით ნახევრის ქცევაში აუტისტური გადახრები შეიმჩნეოდა. ადრე მეცნიერება ვერანაირად ვერ აკავშირებდა პირველი ტიპის ნეიროფიბრომატოზს აუტიზმთან. ახლა კი კავშირი ამ ორ მდგომარეობას შორის ნათელია. მხოლოდ აშშ-ში ამჟამად აუტიზმით იტანჯება ბავშვების დაახლოებით 2%. მათ შორის ხუთჯერ მეტი ბიჭია.

# «ჭკვიანი» ეტლი, რომელსაც დაბრკოლებების გადალახვა შეუძლია

**ინდოელ ინჟინერთა და მედიკოსთა ჯგუფი შეუდგა „ჭკვიანი“ სავარძლის შექმნაზე მუშაობას, რომელიც დამოუკიდებლად გადალახავს წინააღმდეგობებს, ასევე „მიხვდება“, რომ მასში მჯდომი ავადმყოფი ან დაიღალა, ან ძალიან აფორიაქებულია.**

პროექტის სათავეში დგას **ნავინ კუმარ მალიკი,** რომელმაც თავის კოლეგებთან ერთად შეიმუშავა ნავიგაციისა და გარემოში ორიენტირების განსაკუთრებული სისტემა. **სავარძელს აქვს რამდენიმე სენსორი, რომელთა საშუალებითაც შეუძლია არამხოლოდ დაბრკოლების გადალახვა, არამედ თვალყურის დევნებაც მასში მჯდომის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ეს, შესაძლოა, სასარგებლო იყოს იმ პაციენტებისთვის, რომლებსაც კოგნიტური დარღვევები აქვთ. „ჭკვიან“ სავარძელს შეუძლია სხეულის ტემპერატურის, მაჯისცემის, სუნთქვისა და სხვა რიგი ფსიქოლოგიური პარამეტრების კონტროლი პაციენტის მდგომარეობის ზუსტად განსასაზღვრად.**

მოცემულ მომენტში სავარძლის შემქმნელები გამოხატავენ მზადყოფნას მათი გამოგონების წარმოებაში ჩაშვების თაობაზე, რამდენადაც ყველა ძირითადი მოდული უკვე მზადაა და შემოწმებულიც. ინდოელი მეცნიერები დარწმუნებულნი არიან, რომ მსგავსი გამოგონებები საგრძნობლად გააუმჯობესებს ცხოვრებას პაციენტებს, რომელთაც დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლიათ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ **ამ სფეროში ეს პირველი გამოგონებაა. „ჭკვიან“ სავარძლებზე მსოფლიოს ბევრი ქვეყანა მუშაობს. მაგალითად, ახლახან რუსეთის ეროვნულ კვლევით უნივერსიტეტ МИФИ-ში დაიწყეს ისეთი სავარძლის შექმნაზე მუშაობა, რომლის მართვაც შესაძლებელი იქნება ტვინის იმპულსებით.**

ასეთი სავარძელი პარალიზებული პაციენტებისათვის მისწრება იქნება.



**სავარძელს აქვს რამდენიმე სენსორი, რომელთა საშუალებითაც შეუძლია არამხოლოდ დაბრკოლების გადალახვა, არამედ თვალყურის დევნებაც მასში მჯდომის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე**

ისტორიული მემკვიდრეობა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჯვართან ერთად აქაც დარჩენილა ჩვეულებად ღობის სარზე ჩამოკიდება პირუტყვის თავის ქალისა ან, როგორც აქ ეძახიან, საქონლის ხაპერისა. ამ ძვალს აჭარაში იგივე დანიშნულება აქვს, რაც იმერეთში: მავნე თვალთაგან დაიცვას და უვნებელ-ჰყოს კარ-მიდამო და ქონება აჭარელისა, მისი უსულო, მაგრამ მუდამ ჟამიერი გუშაგი იყოს.**

მეთექვსმეტე საუკუნეში სამხრეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი, ტაო-კლარჯეთი და მესხეთ-ჯავახეთი, ასევე აჭარაც, ოსმალებმა დაიპყრეს და „გურჯისტანის ვილაიეთი" უწოდეს. „გურჯისტანის ვილაიეთი" 8 ადმინისტრაციულ ერთეულად იყოფოდა. ესენი იყო: ახალციხის, ხერთვისის, ახალქალაქის, ჩილდირის, ფოცხოვის, პეტრეს, ფანაკისა და დიდი არტაანის ლივები. თავის მხრივ, ლივები ნაჰიებად (რაიონებად) იყო დანაწილებული, დასახლებული პუნქტები 1160-ს შეადგენდა.

ამ ტერიტორიების დაბრუნება მხოლოდ რუსეთის იმპერიის დახმარების შედეგად გახდა შესაძლებელი: პირველად — 1828 წელს, რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა და საქართველოს დაუბრუნდა ძველი მესხეთისა და ჯავახეთის ნაწილები: ქობლიანი, ოძრხე (აბასთუმანი), ახალციხე, აწყვერი, ასპინძა, ხერთვისი, ახალქალაქი, ჭაჭარაქი, ფოცხოვი და აბოცი (ჩილდირი); ანუ ძველი სამცხე, ჯავახეთი, პალაკაციო და ერუშეთი.

1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ პარიზის ზავით შემოერთებულ იქნა მესხეთის მეორე ნაწილი: აჭარა-ქობულეთი, შავშეთი, კლარჯეთი, კოლა-არტაანი და ტაოს ჩრდილო ნაწილი — ოლთისი.

რუსეთის დროს შემოერთებული ტერიტორია შემდეგი მოცულობისა იყო:

ახალციხის მაზრა — 2706 კვადრატული კილომეტრი;
ახალქალაქის მაზრა — 2793;
ბათუმის ოლქი — 3779;
ართვინის ოლქი — 3339;
ფოცხოვის ოლქი — 588;
არტაანის ოლქი — 5137;
ოლთისის ოლქი — 3051.

სულ მესხეთის ტერიტორია გადაჭიმული იყო 21 393 კვადრატულ კილომეტრზე, ანუ მთელი საქართველოს ტერიტორიის მესამედზე მეტს შეადგენდა. ძველი მესხეთის ნაწილებიდან ოსმალეთის საზღვრებში დარჩა ჭანეთი, ანუ ლაზისტანი და ზემო ჭოროხზე მდებარე ნაწილი.

ეს ისტორიული ექსკურსი პირველ რიგში მათთვის არის განკუთვნილი, ვინც რუსეთს საქართველოს ისტორიულ მტრად თვლის, თურქეთს კი — მეგობრად.

როდესაც ვახსენებთ ტოპონიმებს — ბათუმი, ქობულეთი, ახალციხე, ახალქალაქი, ასპინძა, აწყური... იქვე უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთის გარეშე ეს ყველაფერი დღეს თურქეთის ნაწილი იქნებოდა, ხოლო დანარჩენი საქართველო რამდენ ნაწილად განაგრძობდა არსებობას და იარსებებდა თუ არა საერთოდ, ცალკე საკითხავია.

მგზავრის წერილები და მგზავრის შენიშვნები, რომელიც თავმოყრილია წიგნში „მოგზაურობანი", თედო სახოკიამ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე დაწერა. იმ ხანებში ავტორმა იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთების რედაქციების დავალებით იმოგზაურა გურიაში, აჭარაში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში, შემდეგ კი მოგზაურობის შთაბეჭდილებები სხვადასხვა დროს გამოაქვეყნა პერიოდულ პრესაში. ამჯერად შემოგთავაზებთ თედო სახოკიას აჭარაში მოგზაურობის შთაბეჭდილებებს.

# მოგზაურობა აჭარაში



**XI-XII საუკუნეების ფურტიოს თაღოვანი ხიდი აჭარისწყლის ხეობის დასაწყისში მდებარეობს. ხიდი ერთმანეთს სხალთისწყლის ხეობაში არსებულ ძველ გზებს აჭარისწყლის ხეობაში გამავალ ცენტრალურ მაგისტრალთან აკავშირებდა. ამ გზით სხალთის ხეობიდან ზღვისპირეთისაკენ მიემართებოდა უმოკლესი საქარავნე გზა არდაღანიდან და ახალციხიდან. ხიდმა ჩვენამდე საკმაოდ დაზიანებული სახით მოაღწია. ხიდის ძირითადი ნაწილის სიგრძე 135 მეტრია, სიგანე — 2,35 მეტრი.**

**თამარ მეფე, როგორც მოგვითხრობენ იგივე აჭარელნი, ხშირად დადიოდა სხალთის ტაძარში სალოცავად. აქაურ მთაგორიან ბილიკებზე სავლელად სულ მუდამ ჯორი ჰყავდა. ამ ჯორით სწორედ ამ ფურტიოს, ანუ „დედოფლის ხიდზე" გამოდიოდა თურმე. ხიდს რომ მოადგებოდა, „ძირს ჩამობრძანდებოდა და ფეხით გაბრძანდებოდა მეორე ნაპირასო".** ხიდის მარცხნით ნაპირზე ახლაცაა განკერძოებულად მიწაში ღრმად ჩამჯდარი ლოდი ერთ ოთხკუთხის ადლის სიფართისა, თითქმის ერთ ადლზე ამოწეული ნიადაგიდან. ამას „დედოფლის ქვას" ეძახიან. თამარ მეფე ყოველთვის ამ ქვაზე შესდგამდა ფეხს და ისე შებრძანდებოდა თავის ჯორზეო.

ამ ხიდიდან ერთი გზა აჰყვება აღმართს, ნახევარი საათის სიარულის შემდეგ გზა ორ ტოტად იყოფა: ერთი ტოტი რომ ფურტიოში მიდის, ხოლო მეორეს სოფ. სხალთაში მიჰყავს მგზავრი. იმ გზას, რომლითაც თამარი სხალთაში დაბრძანდებოდა სალოცავად, დღესაც ამ ქალი მოგზაურის სახელი შერჩენია, **„დედოფლის გზა"**. ამ გზას, ანუ, უკეთ, ბილიკს იქით-აქეთ ნაპირებზე ქვის ნაყორალი ატყვია, სერზე გადადის და იქიდან სხალთის წყალთან ჩადის. მართლაც და დიდებული უნდა ყოფილიყო მეფე, რომელმაც ასეთი სიყვარული მოიპოვა თავის ქვეშევრდომთა შორის და თავისი ნეტარსახსენებელი სახელი ასე დაუვიწყრად ჩაუქსოვა მათს ხსოვნას!..

წარსულის მოგონებითა და ოცნებით გატაცებულმა სერზე ერთ სიმინდის ყანაში ტლანქად გაკეთებულ და მიწაში ჩარჭობილ ჯვარს მოვკარი თვალი, მხარ-ნახევრის სიმაღლისას, სწორედ ისეთს, როგორც თითქმის ყოველ ყანებში შეხვდება ხოლმე ადამიანი გურია-სამეგრელოში. **საქართველოს ამ კუთხეებში ასეთი ჯვრები, როგორც ვიცით, ითვლება მფარველად მკვდრის ქონება-კარმიდამოსი მზაკვართა და მავნე სულთაგან. ამ საქრისტიანო მხარეში ადამიანს თვალი შეჩვეული აქვს და ასეთი ჯვრები არ აკვირვებს. მაგრამ აჭარაში, სადაც საუკუნე-ნახევარია, რაც ქრისტეს სჯული და ჯვარი მაჰმადიანობამ აღმოფხვრა, ჯვრის ნახვამ დიახ გაგვაოცა და ცნობისმოყვარეობა აღგვიძრა.** პირველად ჩემს თვალს არც კი ვუჯერებდი — ხომ არა ვცდებიმეთქი, და იუნუსას ვკითხე: რა დგას ყანაში-მეთქი? ჯვარია ბატონოვო, მიპასუხა და თანაც ამიხსნა მისი დანიშნულება: მოგეხსენებათ, ყანის მტერი ნამეტნურად ჩხიკვია: როცა ამას დაარჭობენ, სოფლიერი (გლეხი) ჩხიკვს ეტყვის: „თუ ამის მადლი გწამს, სიმინდს არ შემიჭამო!.."

ჯვართან ერთად აქაც დარჩენილა ჩვეულებად ღობის სარზე ჩამოკიდება პირუტყვის თავის ქალისა ან, როგორც აქ ეძახიან, საქონლის ხაპერისა. ამ ძვალს აჭარაში იგივე დანიშნულება აქვს, რაც იმერეთში: მავნე თვალთაგან დაიცვას და უვნებელ-ჰყოს კარ-მიდამო და ქონება აჭარელისა, მისი უსულო, მაგრამ მუდამ ჟამიერი გუშაგი იყოს.

გარეშე ხილულ გარეულ ფრინველთა და ცხოველთა, გარეშე ბოროტისა და ავის თვალის უხილავ სულთა, აჭარელის ჭირნახულს მეტი სიძლიერით ვნებენ და თითქმის აჩანაგებენ ბუნების მოვლენანი: გვალვა და გაბმული წვიმა, რომელთაც ხანდისხან სეტყვაც ერთვის ზედ. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ეს ორი მოვლენა ბუნებისა ისე არსად არის საშიში, როგორც მთა-გორიან ადგილებში, როგორიც არის აჭარაც. ორ-სამ გოჯის სიღრმე ნიადაგი, რომელსაც მაშინათვე კლდე მისდევს ხოლმე, თუ გვალვაა, უცბად შრება, ნახნავი გოროხად იქცევა და სიმინდი ხმება გამოუბრუნებლად; თუ გამუდმებული წვიმაა — მცენარე ნიადაგიანად ძირს ჩაირეცხება ხოლმე, ხოლო მისი პატრონი, ყოვლად უმწეო, ყოვლად უსასოო მთელი წლის განმავლობაში ხელდაბანილი რჩება თავის სარჩო-საბადებელზე. და აჰა, ამ დროს, როცა ჯვარი და „საქონლის ხაპერი" ვერასა ჰშველის აჭარელსა, ეს უკანასკნელი ზენაარსს შეჰღაღადებს, ცას შეჰყურებს, იქიდან მოელის ხსნასა; განრისხებულს ბუნებას, ამ უბედურების მომვლინებელს, მსხვერპლსა სწირავს, რომ ამით გული მოულბოს, თავი შეაბრალოს და რისხვა მოწყალებად შეაცვლევინოს.

აჭარელი დარწმუნებულია, რომ ძღვენი და ქრთამი ყველგან და ყველასთან გადის, რომ ქვეყნად არავინაა ისეთი, სამსახური და მორჩილება არ ეამოს და რომ უამისოდ ცხოვრების ფონი, თუ სულ მახრჩობელა არ არის, ძნელი გასავლელი მაინცაა. ამ მსხვერპლის შეწირვას და ლოცვას ყურბანი ჰქვიან. გვალვის დროს, როცა სოფელი დარწმუნდება, რომ უყურბანოდ ზეციდან წვიმას ველარ ეღირსება, ყადი მოთავედ უხდება საქმეს და მთელ სოფელს დიდიან-პატარიანად (გარდა დედათა სქესისა) თავის ხოჯების საშუალებით იწოდებს, — „დუაზე" გამოდით, ესე იგი ვეხვეწოთ წვიმის მოყვანისათვისო. უწვიმობით შეწუხებული რამდენიმე სოფელი ერთად იყრის თავს ამ შემთხვევისათვის და ქართულად ამბობენ: „ღმერთო! წვიმა მოიყვანე შხაპუნა და ძლიერიო". წინ მოლები მიუძღვით. ლოცვის სათქმელად რაც უფრო მაღალი სერებია, იქ ადიან და ერთი სერიდან მეორეზე გადადიან, — აქედან უფრო ახლოსა ვართ ცასთან და უფრო გავაგონებთ ჩვენს გაჭირვებასაო. სამი დღის განმავლობაში დადის ხალხი მოლების წინამძღოლობით სერ-სერ. რო დაიღლებიან, შეისვენებენ და ისევ შეუდგებიან ლოცვა-ვედრებას. სამ დღეს უკან ჯამესთან ჩამოვლენ და საერთოდ გაღებული ფულით ნაყიდ ხარსა, ძროხასა, ყოჩსა ჰკლავენ და ხორცს ფუხრებს (ღარიბებს) ურიგებენ. რა თქმა უნდა, თავიანთ თავსაც არ ივიწყებენ და მართავენ ჭიდაობასა და სიმღერა-თამაშს. ამავე დროს ჩამოდიან მახლობელ მდინარესთან, რომელშიაც ჩადგმულია მოწნული ძარი. პროცესიის მონაწილეს თითოეულს თითო წვიტი (პატარა) ქვა მოაქვს. ყოველ ქვას ჯერ მოლას მიუტანენ და ისიც თურქულად შეულოცავს ხოლმე: „ღმერთო, წვიმა გვიწყალობე, შეწუხებული ვართ, შენი წყალობა მოგვანიჭე, ყველასი, დიდისა და პატარასი, მწყალობელი შენა ხარ". რადგან ერთი ყველას თავს ვერ გაართმევს, შემლოცველად ხანდისხან ოცი, ოცდაათი მოლა მოიყრის ხოლმე თავსა. ამ შელოცვილ კენჭებს, რომელთა რიცხვი ზოგჯერ რამდენიმე ათასს აღემატება ხოლმე, წყალში ჩადგმულ ძარში აგდებენ და ელოდებიან წვიმის მოსვლას: დარწმუნებული არიან, რომ ცა ველარ გაუძლებს შელოცვილი კენჭების ჯადოს, სიკერპეზედ უნებურად ხელს აიღებს და უეჭველად გაწვიმდებაო. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ, ამ ოპერაციის შემდეგ, კრიჭაშეკრული ცა ღრუბლებით დაიხუზლება, იელვებს, გაისმის გრგვინვა და მათდა სასიხარულოდ, მართლაც წამოვა გამაცოცხლებელი წვიმა და გვალვისაგან სულ-ამორთმეულ ჭირნახულს უკვდავებს წყალივით მოესწრება. ისეც მოხდება, რომ ხანგრძლივი გვალვის შემდეგ, თუ კი ერთი და ერთი მოიხსნა ცამ პირი და გააბა, ავდარს დასასრული აღარ უჩანს და, რგების მაგიერ, ჭირნახულს უარესად აფუჭებს. ამ მეორე უბედურების ასაცილებლად იმავ მოჯადოებულ ძარს, რომლის შემწეობით ცას პირი გაახსნევინეს, წყლიდან ამოიღებენ და ისევ ყურბანს დაჰკლავენ, ისევ ლოცულობენ, რომ ცამ ისევ შეიკრას პირი, — გვაკმარე უხვად მომადლებული წყალობა შენიო.

ნეტარ არიან მორწმუნენი!..

ჩვენი ბილიკის აღმართს ბოლო აღარ ელება, საცოდავი პირუტყვი ღონიდან იცლება და ოთხივ ფეხებით ჰკანკალებს მეტი სიმწარისაგან. სიცხისგან მათს მხედრებსაც ხვითქი გადაგვდის. მოსმენილ ამბის გავლენის ქვეშ მყოფმა მაშინალურად ვინატრე, ნეტავ, ვინმე მადლიანი გამოჩნდებოდეს ჩვენს ბედზე და ახლა ყურბანს დაჰკლავდეს, იქნება მართლა შესუსტდეს მზის სიმწვავე-მეთქი. ამ ნატვრაზე ზედ წავადექი მშვენიერ რცხილნარში ჩუხჩუხით გამომავალ ბროლის მსგავს და ყინულივით ცივს წყაროს. **აბა, რას მოვიფიქრებდი, რომ როდისმე მეღირსებოდა სიცხისაგან დატანჯულს წყურვილი მომეკლა სწორედ იმ წყაროზე, სადაც გადმოცემით თამარი არაერთხელ ჩამომხდარა, რომ ამავე წყალს დასწაფებოდა...**

„ეს, ბატონო, „დედოფლის წყაროა", — მითხრა ჩემმა იუნუსამ და თან მოაყოლა ამ ისტორიული წყაროს ბიოგრაფია. სხალთაში მიმავალი მეფე, როცა მგზავრობის გათავებას ვერ მოასწრებდა და შემოაღამდებოდა, ფურტიოში დაისვენებდა მეორე დღემდე. ერთხელ ერთ შეძლებულ გლეხს — ვინმე სიმონას სწვევია. გლეხი სიხარულისაგან ცას ეწია თურმე — „დედოფალი მეწვიაო", და დატრიალებულა, რომ დიდებულ სტუმარს თავის შეძლებისდაგვარად გამასპინძელბოდა, ისე რომ თვითონ დედოფალს საამოდ დარჩენოდა და ეთქვა, — „შეხე, რა ქვეშევრდომი მყავსო". სიმონას შვილისათვის ღვინო მიუცია ამ წყაროში ჩასაცივებლად. დედოფალს ფრიად მოსწონებია ჩაცივებული ღვინო და უნებებია, შეეტყო, ასეთი ცივი წყარო (მართლაც ამ წყაროს 5 გრადუსით მეტი არა აქვს სითბო) სად არისო? რა თქმა უნდა, მისი სურვილი მყისვე აუსრულებიათ. ამის შემდეგ აქეთკენ სიარულის დროს დედოფალი ამ წყაროს ისე არ გაუვლიდა, წყალი არ დაელიაო, და წყაროსაც მისი სახელი შერჩენია. არც თამარ მეფის მასპინძლის სახელი გადავარდნილა. ამ გლეხის ნამოსახლარს, რომელიც ახლა ფურტიოს მცხოვრებს, არიფალა ბერიძეს ეკუთვნის, დღესაც „სიმონაური" ჰქვიან. მეორეჯერაც სწვევია თამარ მეფე სიმონას. მის შვილებს ძვირფასი სტუმრისათვის „დოლია" (ურქო ძროხა) დაუკლავთ. მამას როგორღაც უკითხავს შვილებისათვის: სად დაჰკალითო? იმათაც უჩვენებიათ. ამ ადგილსაც დაუვიწყარი მეფის სტუმრად წვევის მოსაგონებლად „დოლიაური" დაჰრქმევია და სახელი დღესაც არ შეცვლილა.

**ადამიანს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ „დედოფლის წყარო" რითიმე ხელოვნურად დაემშვენებინა, ალბათ, მკრეხელობად ჩასთვალა, ბუნებას შესჯიბრებოდა ამ საქმეში.** ჩუხჩუხით გამოდის დედამიწის გულიდან ანკარა, ვით ვერცხლის წყალი. ზედ დასცქერის ერთად თავშეკრული მარად მწვანე ნაძვები და წვრილ ფოთლიანი რცხილები, რომელნიც გუშაგად უდგანან და მზის სხივებს აღარ აკარებენ. გარს შემოხვევიან ხავერდის მსგავსი ხავსი და სხვადასხვა გვიმრა. წყალს უხვად იძლევა ეს წყარო. მხიარულად მიხტის ქვიდან ქვაზე; იმის ქვემოთ გამწკრივებულია ოთხი თუ ხუთი ბუჭულა სოფლიერთა და დღე და ღამე ნირშეუცვლელად ახმიანებენ იქაურობას. ხის წისქვილები ისე პატარები არიან, რომ ერთი კაცი ძლივს მოთავსდება შიგ. თითქმის ყოველ ოჯახს თავისი საკუთარი ბუჭულა აქვს, რადგან მთის წყლები უხვად გადმოსჩუხჩუხებენ. ღარებიც ხომ საინტერესო აქვს! იმის მაგივრად, რომ სამი ფიცარი შეეკრათ, მთლიანი ძელის გული ამოუღრუტნიათ. წყალი რაც კი ჩადის, წვეთი აღარ იკარგება და მთელი თავისი ძალით ხვდება წისქვილის თვლებს.

**ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა", №10, 2016 წ.**

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

**თედო სახოკია**

**ერთ-ერთი პარტიის ლიდერმა განაცხადა: „ეს არის ხარკი, გაღებული საქართველოს გადასარჩენად“. ამ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ რომ ვერ ვახერხებთ ამას? რაში გამოიხატება გადარჩენა? — ქართველი საქართველოდან რომ გარბის და ვიღაც ვიგინდარებს ემსახურება? უცხოელი რომ უფრო ლაღად გრძნობს თავს საქართველოში, ვიდრე ქართველი თავის სამშობლოში? ქართული ქალაქი უცხოური ლოზუნგებით აჭრელებულ რეკლამებში რომ ჩაკარგულა? მუხლგამოგლეჯილი ჯინსებით შემოსილ ახალგაზრდებს ევროპელობა თუ ამერიკელობა უფრო პრესტიჟულად რომ მიაჩნიათ, ვიდრე ქართველობა?**

ფოსტა

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**25 წელი შესრულდა ამერიკისა და საქართველოს პარტნიორობიდან და ამ ფაქტს მედასავლეთეებმა გულისამაჩუყებელი ფილმი უძღვნეს, რათა ამერიკის ელჩების „მეგობრობა“ და ამერიკელთა მიერ გაწეული „ღვაწლი“ საქართველოში სამარადჟამოდ უკვდავყონ.**

# ჰეროკრატიიდან ავტოკრატიამდე

საინტერესოა, ამ ფილმისა და **გიორგი ხაინდრავას** „ჰეროკრატიის“ ერთ კონტექსტში განხილვა: პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ერთ ფილმში ხოტბას ასხამენ ამერიკელებს, რომელთა „მოღვაწეობის“ შედეგად ხალხისთვის თავსმოხვეულმა მანიაკების კრიმინალურმა ბანდამ „ჰეროკრატიის“ (რომელშიც ამ მანიაკების რეალური სახე იკვეთება) გადაღების საჭიროებამდე მიიყვანა ქართველი საზოგადოება. მეტიც, ამერიკელები დღესაც მათ რეანიმაციას ცდილობენ. რატომ იყო აუცილებელი ფილმის შექმნა, როცა არსებობდა საიდუმლო სამალავებში შენახული დოკუმენტური კადრები, რომლებიც გაანადგურეს ამერიკელთა დაკვეთით, გარდა იმისა, რომ ამერიკული „დემოკრატიისა“ და საკუთარი პოლიტიკის ლუსტრაცია მოახდინეს, 4 მილიონი დახარჯეს ფილმის გადასაღებად, როცა შეიძლებოდა ამ თანხით სწავლას მოწყურებულ სტუდენტებს დავხმარებოდით. საიდუმლო სამალავებიც ამერიკელთა რჩევით და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მიღებული გამოცდილებით იქნა მოწყობილი. **ეს ხომ იმ „დემოკრატიული“ ზღაპრიდან აღებული აპრობირებული მეთოდია, როცა ნატოს საიდუმლო არმიები საბრძოლო იარაღს დასავლეთ ევროპის ტყეებში, მინდვრებში, მიწისქვეშა ბუნკერებში ინახავდნენ, რათა აღებული კურსი შეენარჩუნებინა ევროპის ქვეყნებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ყველა საშუალება გამოეყენებინათ, მკვლელობების ჩათვლით.** პოლიტიკური სარჩულით შეფუთული მკვლელობები და სიამოვნებისთვის ჩადენილი წამებები — რა განსხვავებაა სერიულ მკვლელებსა და „ნაცმანიაკებს“ შორის? **დემოკრატიულ ქვეყნებში სერიული მკვლელები ციხეში სხედან; ხოლო საქართველოში, როგორც ამერიკელთა ექსპერიმენტების ქვეყანაში, — პარლამენტში და ქვეყნის მოაზროვნე საზოგადოებას მოძღვრავენ, რაც მხოლოდ „მეოცნებეებს“ არ აღელვებთ.**

„ქართული ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“ — ორივე დისკრედიტებული იყო, მაგრამ ამ არჩევნებში სამყაროს შევსებას ცდილობენ, როგორც „ბნელი“ და „ნათელი“ ძალა, თუმცა ჩნდება კითხვები — **როგორ მიიღეს ნაცებმა ნახევარი მილიონი ხმა, ხოლო წინა არჩევნებში 300 ათასი? ხომ არ მოხდა ხმების რაოდენობის გაზრდა სხვა პარტიების ხარჯზე?** ამომრჩეველი ორიენტირებული იყო პოლიტიკური სივრციდან „ნაცმოძრაობის“ გაქრობაზე და არა პოზიტივზე ან პროგრესზე, რასაც, ფაქტობრივად, ვერ ვიტყვით „ოცნებაზე“. როცა პრემიერი წინა ხელისუფლების „პროგრესს“ აღიარებს, ვინმეს აქვს ილუზია, რომ სამართლებრივ ქვეყანას აგვიშენებს? ან, როცა „თავისუფლება“ საარჩევნო ლოზუნგად გაუხდია, თვითონ კი ექოსავით იმეორებს ამერიკის ელჩის მითითებებს, ამას თავისუფლება ჰქვია? ნებისმიერი ამომრჩეველი ორიენტირებული უნდა იყოს იმ იდეოლოგიაზე, რომელსაც აანონსებს ესა თუ ის პარტია და არა იმაზე, შევა თუ არა ის პარტია პარლამენტში. **ბევრმა ამომრჩეველმა გამსვლელ პარტიას მისცა ხმა და არა იმ პარტიას, რომელიც იდეოლოგიურად მის ცნობიერებას პასუხობდა — ეს კი პოლიტიკური სიბეცე და გაუნათლებლობაა.**

გამოკითხვების თანახმად, მოსახლეობის 30% მხარს უჭერდა საგარეო ვექტორის ცვლილებას, მაგრამ ეს არჩევნებში არ აისახა. არსებობს ინფორმაცია, რომ ზოგ სოფელში ყუთები შეცვალეს და ხმები გადაინაწილეს. **ანტიდასავლური იდეოლოგიის მქონე პარტიებს სარეკლამო დროც არ დაუთმეს, სამაგიეროდ ნაცების, ანუ „ბნელი ძალებისადმი“ ხალხის სიძულვილზე გათვალა ქვეყნის მომავალი სახელისუფლო სპექტრმა — ესეც ამერიკელთა დაკვეთა იყო.** ყველაზე დიდი საფრთხე ქვეყნისთვის ის ხელისუფლებაა, რომელიც უცხო ქვეყნის დაკვეთებს ასრულებს, აღიზიანებს რუსეთს და არ ფიქრობს შედეგზე. დღევანდელი ხელისუფლება **შევარდნაძე-სააკაშვილის** გზის გამგრძელებელია. **საქართველოში ჩამოსული ამერიკელი ემისრები კვლავ დაჟინებით ცდილობენ ქვეყნის მოსახლეობის დარწმუნებას, რომ ყველაზე დიდი საფრთხე რუსეთია.** გავაკეთოთ ანალიზი: **რუსეთმა ყირიმი შეიერთა და ასეთივე წარმატებით მიიერთებდა ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებსაც, მაგრამ ეს არ გააკეთა და ელოდება, ქართველები როდის მოვლენ გონს, მაგრამ მოვლენ კი? უეროვნებო, უზნეო, იდეოლოგიურად გაკოტრებული და მსოფლიოში ტერორიზმის ფუძემდებელი ქვეყნის წარმომადგენლების უნდა გვჯეროდეს თუ პუტინის, რომელსაც ქვეყანაში დემოკრატია ოთხპარტიული სისტემით აქვს წარმოდგენილი, ხოლო მისი რეიტინგი 85%-ია?**

ჟურნალისტის შეკითხვაზე — რომ არა „ქართული ოცნება“, რომელ პარტიას განიხილავთ მმართველ ძალადო, — **ბიძინა ივანიშვილმა** რესპუბლიკელები და „თავისუფალი დემოკრატები“ დაასახელა ქართველი საზოგადოების აზრის გაუთვალისწინებლად. ამ საკითხზე ერთ-ერთი პარტიის ლიდერმა განაცხადა: „ეს არის ხარკი გაღებული საქართველოს გადასარჩენად“. ამ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ რომ ვერ ვახერხებთ ამას? **რაში გამოიხატება გადარჩენა? —**




**ქართველი საქართველოდან რომ გარბის და ვიღაც ვიგინდარებს ემსახურება? უცხოელი რომ უფრო ლაღად გრძნობს თავს საქართველოში, ვიდრე ქართველი თავის სამშობლოში? ქართული ქალაქი უცხოური ლოზუნგებით აჭრელებულ რეკლამებში რომ ჩაკარგულა? მუხლგამოგლეჯილი ჯინსებით შემოსილ ახალგაზრდებს ევროპელობა თუ ამერიკელობა უფრო პრესტიჟულად რომ მიაჩნიათ, ვიდრე ქართველობა?** მსგავსი რიტორიკა ხარკია საქართველოს თუ საკუთარი კეთილდღეობის გადასარჩენად? **ამერიკამ თურქეთს გადატრიალება მოუწყო და, რა თქმა უნდა, თუ ნატოს წევრი და ყველაზე დიდი სამხედრო პოტენციალის მქონე ქვეყანა არ დაინდო, არც ჩვენ დაგვინდობს, მაგრამ როდემდე უნდა ეწირებოდეს საქართველო უცხო ქვეყნის ინტერესებს?** გამოსაშვები სისხლი უნდა გამოვუშვათ, მაგრამ არა პატრიოტი ქართველების, არამედ სწორედ ქართველების სისხლმოწყურებულ კანიბალებისა! ჯერ კიდევ 1980-იან წლებში ქართველი პოეტი წერდა: „როდემდე ვივლით ლაჩარი ლაჩრად, პირში ჩაჩრილი ამხელა ბურთით?“. თანამედროვეობიდან პოეტი **ლაშა ნადარეიშვილი** ეხმაურება ამ პათოსს და ქართველ ხალხს მიმართავს: „შენ ისევ დათმე სამშობლოს მთები, არ გაგჩენია კითხვა — როდემდე?“

მართლაც, როდემდე, ძვირფასო მკითხველო?

ამერიკელი ჟურნალისტი და მკვლევარი ჯეფრი სილვერმანი აღნიშნავს, რომ ამერიკისა და რუსეთის მოლაპარაკების გარეშე საქართველოში არაფერი შეიცვლება. ამასთანავე, ეჭვს გამოთქვამს, რომ საქართველოს ტერიტორია შეიძლება ნატოს ბაზებისთვის იქნეს გამოყენებული, რადგან ამერიკა თურქეთს საიმედო პარტნიორად აღარ განიხილავს. ბიძინა ივანიშვილი ქველმოქმედია და მისი საქმიანობა ამით შემოიფარგლება. ქართველი საზოგადოება მისი ცნობიერებით ვერ იცხოვრებს და იგი გზამკვლევად ვერ გამოადგება ეროვნული ღირსების მქონე ქვეყანას. ნაცების დამფინანსებელი ბიზნესმენების — **ცეზარ ჩოჩელისა** და **კახა ოქრიაშვილის** შესახებ იგი ამბობს: „ამ ხალხს გონება ეყო ამ გაუაზრებელ ძალას წინ არ აღუდგნენ. იმდენი ჭკუა ეყოთ, რომ არც თავი დააჭერინეს, არც დაარბევინეს“ — ამ ლოგიკით ბატონი ბიძინა თავის პოზიაციას ამართლებს: ნუ მსაყვედურობთ, ნაცებს რომ ვაფინანსებდი და ვანოს სისტემა რომ გავაძლიერე, ამით თავი გადავირჩინეო. ბატონმა ბიძინამ ნაცების დაფინანსებით თავი რომ გადაირჩინა, ამის გაგება შეუძლია საზოგადოებას, მაგრამ გაუჭირდება მისი აზროვნების ლაბირინთებში ჩაწვდომა, როცა ხელისუფლებაში მოიყვანა ქართველებისთვის არასასურველი ძალები, შემდეგ კი კოალიციიდან გაუშვა და პოლიტიკური საფლავი გაუთხარა. ამის შემდეგ კი „ქართული ოცნების“ შემცვლელ ძალებად დააანონსა. არავინ იცის, კიდევ რა შეიძლება მოიმოქმედოს ივანიშვილმა ამერიკის კარნახით — იქნებ კვლავ „გონიერებას“ იჩენს და კვლავ აფინანსებს ანტიქართულ ძალებს?!

„ქართულმა ოცნებამ“ წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოსწორებაც არ ინება. **საქართველოში მუსლიმანური სამყაროს წარმომადგენლების მიგრაციული პროცესი მაშინ დაიწყო, როცა სააკაშვილმა გიულენის თხოვნით ათასობით თურქს საქართველოს მოქალაქეობა მისცა და სანაცვლოდ მილიონები მიიღო, ხოლო რეალური ძალადობა ქართველებზე მაშინ დაიწყო, ერაყელებმა მოზარდი ბიჭი სახლში რომ შეიტყუეს, როცა შიშველი მათ ხელიდან დაუსხლტა, მეზობელმა შეიფარა და პატრულიც გამოიძახა, მაგრამ, ბოლო ინფორმაციით, ქვეყნიდან ერაყელის გაყვანა ამერიკის ელჩმა უზრუნველყო.** ექსპრეზიდენტის დედა **გიული ალასანია**, რომელმაც თავის სასწავლებლებში კარი ფართოდ გაუღო მუსლიმანური სამყაროს წარმომადგენლებს, არავინ იცის, რა იდეოლოგიას ახორციელებს თურქი **გიულენის** დაფინანსებით. ამ უნივერსიტეტის ახლოს ქართულს იშვიათად თუ გაიგონებ. აქ მცხოვრებნი „არაბების შემოსევას“ აპროტესტებენ, მეტიც, ჩვენი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის მოწმეც გავხდით, როცა ერაყელმა სიცილ-ხარხარით ერთ უხერხულ ადგილზე პირჯვარი გადაიწერა.

ქვეყნის ხელისუფლება ახალი პროექტების განხორციელებას აანონსებს და შეგნებულად უგულებელყოფს **პაატა გიორგაძის** მტკნარი წყლის პროექტს, რათა თითოეული მოქალაქე 460 ათასი დოლარის მატერიალური ფასეულობის მფლობელი არ გახდეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ეძებენ ისეთ ინვესტორს, რომელსაც წილში ჩაუჯდებიან და ქართველი ხალხის ნაცვლად თვითონ მიიღებენ სარგებელს. **შევარდნაძის** ხელისუფლების პერიოდში მსგავს ფაქტს უკვე ჰქონდა ადგილი, როცა ქართველი ხალხის სიმდიდრე, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული 1261 დასახელების სასარგებლო წიაღისეული, საერთაშორისო მაფიის მონაწილეობით შევარდნაძის კლანმა მიიტაცა. ხელისუფლება არ არის დაინტერესებული მოსახლეობის სოციალური ფონის ამაღლებით.

ამერიკელი ჟურნალისტი **ჯეფრი სილვერმანი** მოგვიწოდებს: „იყო ნამდვილი ქართველი, ეს უდიდესი პატივია“, მაგრამ, როგორც ჩანს, 21-ე საუკუნის იდეოლოგიურად გაკოტრებულ საქართველოში, რომელსაც ამერიკულმა დემოტრაკიამ ცნობიერება ისე დაუმახინჯა, რომ სულში ჩაფურთხებულს ძლივსღა უფეთქავს ეროვნული სული, ქართველს გაუჭირდა ჭეშმარიტებისკენ გზის გაკვალვა. ქართველებად რომ დავრჩეთ, ამისთვის უნდა გავთავისუფლდეთ:

* დასავლური, ანტიქართული, ნაციონალების, რესპუბლიკელებისა და „თავისუფალი დემოკრატების“ ცნობიერებისგან;

*არაეროვნული, ქართველთა ღირსების შემლახავი იდეოლოგიისგან;

* ქართველთა მაგინებელი და ვეტოთი შეიარაღებული ნაცპრეზიდენტისგან;

* ნაცმანიაკთა პროგრესულ ძალად წარმომჩენ პრემიერისგან;

*ამერიკისა და დასავლეთის დიქტატისგან.

ქართველმა საზოგადოებამ უნდა შეძლოს გაერთიანება და ქართული ნიურნბერგის პროცესის ჩატარება, ეროვნულად მოაზროვნე ხელისუფლების არჩევა, რომელიც უცხო ქვეყნის ინტერესებს არ მოემსახურება და საქართველოს 30 ვერცხლად არ გაყიდის. ეროვნული ხელისუფლება ეროვნულ რეფორმებს განახორციელებს, რომელიც მოსახლეობას კეთილდღეობას მოუტანს.

ეს თუ ვერ შევძელით, ე. ი. ერი აღარ ვართ და ჩვენი სულმნათი პოეტი აკაკი წერეთელი ახლა უკვე იმ სამყაროდან ერთხელ კიდევ შემოგვძახებს:

„ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველოვ!“

**იზა თამაზაშვილი**

**P.S. ჩახედე მეგობარს (გიგა ბოკერიას) თვალებში და უმალ მიხვდები, ვინ ხარ შენ, ნაცმანიაკებისთვის ხმის მიმცემო ავადმყოფო ამომრჩეველო!**

ფერმერის სკოლა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ღია გრუნტში პომიდორი მოჰყავთ ჩითილის დარგვით და უშუალოდ გრუნტში თესვით. ორივე შემთხვევაში ნიადაგის დამუშავება იწყება შემოდგომაზე ან ზამთრის პირას, მიწის ნაკვეთიდან წინამორბედი კულტურის ალებისა და ნარჩენების გაწმენდის შემდეგ ნაკვეთის აოშვით. აოშვა ტარდება 4-6 სმ-ის სიღრმეზე. თუ ნაკვეთზე მრავალწლოვანი სარეველები იყო გავრცელებული, მაშინ — 10-12 სმ-ზე. მზრალად მოხვნა აღმოსავლეთ საქართველოში უნდა ჩატარდეს 25-30 სმ-ის სიღრმეზე, დასავლეთ საქართველოში – 20 სმ-ზე.**

# მათთვის, ვისაც პომიდვრის მოყვანა სურს

**პომიდვრის მოსაყვანად ზრუნვას ფერმერი შემოდგომის მიწურულსა და ზამთრის პირზე უნდა იწყებდეს. მეურნე კაცის გარჯა უხვი მოსავლით დაგვირგვინდება, თუ იგი იმ რჩევებს გაითვალისწინებს, რომლებსაც დღევანდელ წერილში გთავაზობთ.**

**პომიდორი სითბოს მოყვარული მცენარეა. მისი ზრდა-განვითარებისთვის საჭირო ოპტიმალური ტემპერატურაა 22°C; 15°C-ზე დაბალ ტემპერატურაზე მცენარე არ ყვავილობს, ხოლო -1°C ყინვა დამღუპველია. ინტენსიური განათების მომთხოვნია, ამიტომაა, რომ ხეხილის ბაღის რიგთაშორისებში წარმოებისას დაბალ მოსავალს იძლევა. სინათლის მოთხოვნა განსაკუთრებით დიდია ჩითილობის პერიოდში — უმნიშვნელო დაჩრდილვაც კი იწვევს მის აწოწვას, ღეროფოთლის ეთიოლირებას და გვიან მსხმოიარობას.**

პომიდვრის დამოკიდებულება ტენიანობისადმი განსხვავებულია. იგი მოითხოვს ნიადაგის მაღალ (ს.ტ. 60-70%) და ჰაერის დაბალ (60%-მდე) ფარდობით ტენიანობას. ჰაერის მაღალი ფარდობითი ტენიანობა არ არის ხელსაყრელი, რადგან ასეთ პირობებში ვრცელდება სხვადასხვა დაავადება: ფიტოფტორა, რუხი სიდამპლე და სხვა, ცუდად მიმდინარეობს ყვავილების დამტვერვა, რომლის გამოც მცირდება მოსავალი. პამიდორი ვერ ეგუება ნიადაგში ტენიანობის მკვეთრ რყევას, რადგან ავადდება ნაყოფის წვეროს სიდამპლით. ამ კულტურის მოსაყვანად საუკეთესოა საკმარისად განოყიერებული და ტენით უზრუნველყოფილი ქვიშნარი და ქვიშიანი ნიადაგები, ასევე, — სტრუქტურული, ნეშომპალით მდიდარი, წყალგამტარი თვისებების მქონე მსუბუქი თიხნარები.

ნიადაგიდან გამოტანილ ცალკეულ ელემენტებს შორის ყველაზე დიდი წილი მოდის **კალიუმზე**, შემდეგ — **აზოტზე**. მიუხედავად ამისა, პომიდვრის კვების რეჟიმში განსაკუთრებული მნიშვნელობა მაინც **ფოსფორს** აქვს, რადგან მცენარე მკვეთრად და სწრაფად რეაგირებს ნიადაგში ფოსფორის ნაკლებობაზე. ფოსფორის ნიადაგში ოპტიმალური რაოდენობით არსებობა აჩქარებს ნაყოფის მომწიფებას და ასტიმულირებს აზოტის შეთვისების პროცესს. მისი ნაკლებობა იწვევს მცენარის ზრდის შეწყვეტას, აფერხებს ნასკვების წარმოქმნას.

აზოტით ოპტიმალური განოყიერებისას მატულობს პომიდვრის მსხმოიარობა. ამ ელემენტის სიჭარბეც და უკმარისობაც უარყოფითად მოქმედებს მოსავლიანობაზე, კერძოდ, პირველ შემთხვევაში გვიანდება ნაყოფის მომწიფება, მცირდება დაავადებებისა და დაბალი ტემპერატურისადმი გამძლეობა, მეორე შემთხვევაში ფერხდება მცენარის ზრდა. ნაყოფი ღებულობს ღია მოყვითალო ფერს.

ფოთლების სიყვითლე იწყება მთავარი ძარღვიდან ნაპირებისკენ, შემდეგ ძარღვებიც ყვითლდება. ქვედა ფოთლები ღებულობს მორუხო-მოყვითალო ფერს და ცვივა. კარგ შედეგს იძლევა აზოტიანი სასუქების მცირე დოზებით შეტანა რამდენიმე ჯერზე, გამოკვების სახით.

**კალიუმი აუცილებელია პომიდვრის ღეროსა და ნასკვების ფორმირებისთვის, აქტიური ასიმილაციისა და ნახშირწყლების წარმოქმნისთვის. ნიადაგში კალიუმის ნაკლებობისას ღეროს ზრდა ჩერდება. მცენარე იწყებს ხმობას, იხვევა ფოთოლი.**

აზოტისა და ფოსფორის ან მხოლოდ აზოტის გარეშე შეტანილი კალიუმი სასურველ შედეგს არ მოგვცემს, ზოგჯერ მოსავალსაც კი ამცირებს.

**ღია გრუნტში პომიდორი მოჰყავთ ჩითილის დარგვით და უშუალოდ გრუნტში თესვით. ორივე შემთხვევაში ნიადაგის დამუშავება იწყება შემოდგომაზე ან ზამთრის პირას, მიწის ნაკვეთიდან წინამორბედი კულტურის ალებისა და ნარჩენების გაწმენდის შემდეგ ნაკვეთის აოშვით. აოშვა ტარდება 4-6 სმ-ის სიღრმეზე. თუ ნაკვეთზე მრავალწლოვანი სარეველები იყო გავრცელებული, მაშინ — 10-12 სმ-ზე. მზრალად მოხვნა აღმოსავლეთ საქართველოში უნდა ჩატარდეს 25-30 სმ-ის სიღრმეზე, დასავლეთ საქართველოში — 20 სმ-ზე.**

დასავლეთ საქართველოს ჭარბტენიან რაიონებში, სადაც გაზაფხულობით მოსალოდნელია წყალდიდობა, მზრალად მოხვნა არ არის მიზანშეწონილი და ნიადაგის ძირითადი დამუშავება გაზაფხულისთვის უნდა გადავიტანოთ.

პომიდვრის ჩითილი გამოჰყავთ როგორც ღია საჩითილე კვლებში, ისე დახურულ გრუნტში, უფრო ხშირად კი — სათბურებში.

**საადრეო მოსავლის მისაღებად პომიდვრის ჩითილი გამოჰყავთ სათბურებში, რომლის ყოველ 1 კვადრატულ მეტრ ფართობზე ითესება 2-3 გრამი თესლი. მწკრივებში თესლი უნდა დაითესოს ისე, რომ 1 კვადრატულმა მეტრმა უზრუნველყოს 250-300 ცალი ჩითილის გამოზრდა.**

ბოლო პერიოდში ჩითილის გამოსაზრდელად თესლს ათავსებენ ნაზავნიადაგიან კასეტებში. ჩითილის გამოზრდის პერიოდში სათბურში უნდა დამყარდეს შემდეგი ტემპერატურული რეჟიმი: აღმოცენებამდე 20-25°C, აღმოცენების შემდეგ პირველი 4-7 დღის განმავლობაში, დღისით — 12-15°C, ღამით — 10°C-მდე. ვეგეტატური ზრდის პერიოდში, მზიან ამინდში — 20-26°C, ღრუბლიანში — 17-19°C ჰაერის ფარდობითი ტენიანობა 60-55 პროცენტის ფარგლებში უნდა იყოს.

ქოთნებსა და კასეტებში ჩითილი შეიძლება გამოიზარდოს როგორც უშუალოდ თესლით, ასევე ნორჩი მცენარის (ერთი ნამდვილი ფოთლის ფაზა) გადაჩითილებით (პიკირებით). გადაჩითილებისას მცენარეებს რგავენ ლებან ფოთლებამდე, რწყავენ და 1-2 დღით დაჩრდილავენ. სითბოს გარდა, ჩითილის გამოზრდისას დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ტენიანობას, რადგან ქოთნებში მიწა მალე შრება და ამიტომ უნდა მოვრწყათ 20°C-მდე შემთბარი წყლით, თანაც დღის პირველ ნახევარში.





**პომიდვრის საშუალო და საგვიანო პროდუქციის მისაღებად ჩითილი გამოჰყავთ ღია საჩითილე კვლებში, რომელთა მოსაწყობად ნიადაგის მომზადება დასარგავად მთავრდება კვლების დაჭრით. ნაკვეთი 1 მეტრი სიგანის კვლებად უნდა დაიჭრას, კვლებს შორის 50-60 სმ მანძილის დატოვებით. თესლი უნდა დაითესოს მწკრივების 10 სმ-ით დაშორებით. შედეგად მივიღებთ ზოლებრივ ნათესს, სადაც ზოლებს შორის მანძილი იქნება 50-60 სმ, მწკრივთაშორის მანძილი კი — 10 სმ.**

საჭიროების მიხედვით ნაკვეთი უნდა მოირწყას, ნათესები გამეჩხერდეს, გამოიკვებოს მინარალური სასუქებით და სხვ.

პამიდორი ირგვება როგორც ხელით, ისე სარგავი მანქანით. ხელით დარგვისას ნიადაგი წინასწარ უნდა იყოს მომზადებული (დაშარული). სარწყავ ადგილებში კარგ შედეგს იძლევა პომიდვრის წარმოება შემაღლებულ კვლებზე და ბაზოებზე. ამ შემთხვევაში მცენარის წყლით უზრუნველყოფა ხდება ნაღარებიდან გაჟონვით. შედეგად ნიადაგი ტენიანდება, ჰაერი კი მშრალი რჩება, რაც პამიდვრის ზრდა-განვითარებისთვის მეტად ხელსაყრელია.



**ჩვენს პირობებში პომიდორი ხშირად ირგვება მწკრივებად (70X35X40 სმ). ამ შემთხვევაში ჰექტარზე დაახლოებით 40 ათასი მცენარე თავსდება. დარგვისას ძლიერი ზრდის ჯიშები შეიძლება დაირგოს შემდეგი სქემით: ((90-120+50):2)X35 სმ, სადაც ზოლებს შორის მანძილი არის 90-120 სმ, ზოლში მწკრივებს შორის — 50 სმ, მწკრივებში მცენარეთა შორის — 35 სმ, მწკრივების რაოდენობა ზოლში — 2.**

**პომიდვრის მოვლის ძირითადი სამუშაოებია: ნიადაგის გაფხვიერება, მორწყვა, მიწის შემოყრა, სარეველა ბალახების მოსპობა, გამოკვება, მავნებელ დაავადებებთან ბრძოლა. ნიადაგის გაფხვიერება და სარეველა მცენარეების მოსპობის მიზნით თოხნა-კულტივაცია სეზონის განმავლობაში საშუალოდ 4-ჯერ ხდება. ნიადაგის გაფხვიერება უნდა ჩავატაროთ ქერქის გაჩენისთანავე, მორწყვისა და დიდი წვიმების შემდეგ.**

მშრალ სარწყავ რაიონებში მძიმე ნიადაგებზე დამატებითი ფესვების განვითარების მიზნით მიმართავენ მიწის შემოყრას 8-10 სმ სიმაღლეზე, მეორე საყვავილე მტევნებზე კუკურების გამოჩენის დროს. სარწყავ ფხვიერ ნიადაგებზე მიწის შემოყრა საჭირო არ არის.

**მოსავლიანობის გაზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება არის მცენარეების გამოკვება ორგანული და მინერალური სასუქებით. პირველი გამოკვება ტარდება დარგვიდან 10-15 დღის შემდეგ, მეორე — პირველიდან 20-25 დღის შემდეგ, მესამე — მეორე გამოკვებიდან 20-25 დღის შემდეგ. სასუქების შეტანის ნორმები დგინდება სათანადო აგროქიმიური ანალიზის ჩატარების შედეგად მიღებული მონაცემების შესაბამისად.**

პომიდვრის უხვი მოსავლის მისაღებად მორწყვა არა მხოლოდ მშრალ რაიონებშია საჭირო, არამედ გვალვის დროს ყველა ზონაში. პირველი მორწყვა ტარდება ჩითილის მუდმივ ადგილზე დარგვისთანავე.

მშრალ რაიონებში გვალვისას ნათესები უნდა მოვრწყათ: მსუბუქ ნიადაგებზე — ყოველ 4-7 დღეში, მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგებზე — 10-14 დღეში ერთხელ. ამაზე მეტი ინტერვალით პომიდვრის მორწყვა არ არის მიზანშეწონილი, რადგან ასეთ შემთხვევაში ადგილი ექნება ნიადაგში წყლისა და ჰაერის მკვეთრ მერყეობას, რაც იწვევს ნაყოფის დახეთქვას. ამიტომ ნიადაგში შედარებით თანაბარი ტენის შესანარჩუნებლად ამ პერიოდში პომიდორი, უმჯობესია, მოირწყას მცირე ნორმებით და ხშირად. ჩვენი პირობებისთვის მორწყვის საორიენტაციო ნორმა ჰექტარზე 400-500 კუბური მეტრის ფარგლებშია.

**პომიდვრის ისეთი მავნებლების წინააღმდეგ, როგორიცაა ბამბის ხვატარი, ბალჩის ბუგრი, კოლოფა ჭია, კოლორადოს ხოჭო, გამოიყენება კონფიდორმაქსი, პრეპარატის ხარჯვის ნორმაა 0,04-0,05 კილოგრამი ჰექტარზე.**

სოკოვან დაავადებებს ებრძვიან ბორდოს 0,5-პროცენტიანი ხსნარით, ფიტოფტორისა და ალტენარიოზის წინააღმდეგ — ანტრაკოლით, ნორმა — 1,5-2 კილოგრამი ერთ ჰექტარზე. პომიდვრის ფიტოფტორისა და მიკროსპოროზის წინააღმდეგ გამოიყენებენ პრეპარატ მელოდი დუოს – 2,0 კილოგრამი ერთ ჰექტარზე.

**ვაჟა ჯაფარიძე,**
**პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი**

**კონფლიქტური პერიოდია. შეიძლება გამძაფრდეს ბრძოლა ძალაუფლებისთვის. ფინანსურ ავანტიურებში მონაწილეობა ცუდად დასრულდება. წარმატებას მიაღწევენ ქალწულისა და მორიელის ნიშნებით დაბადებულები.**

ჰოროსკოპი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რას გვიქადიან ვარსკვლავები

**2 – 8 ნოემბრის ასტროლოგიური პროგნოზი**

## ვერძი — 21 მარტი – 20 აპრილი

რთული პერიოდია. ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობის სტაბილურობის შესანარჩუნებლად დიდი ძალისხმევა დაგჭირდებათ. ყურადღებით გააანალიზეთ ყველა შემოთავაზება, რომლებიც ფინანსურ ოპერაციებში მონაწილეობასთან იქნება დაკავშირებული, რადგან დიდია მოტყუების ალბათობა.

მეტი დრო გაატარეთ ახლობლების გარემოცვაში და იზრუნეთ ოჯახის უფროს წევრებზე.

უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელზე და შეეცადეთ, მეტად დაიტვირთოთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 3 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 7 ნოემბერი.**

## კურო — 21 აპრილი – 21 მაისი

ბევრი კურო მოიმკის გაწეული შრომის შედეგს. კარგი პერიოდია კვალიფიკაციის ასამაღლებლად და კონკურენტებზე ცნობების შესაგროვებლად. შესაძლოა, მოგიწიოთ ურთიერთობა იმ ადამიანებთან, რომლებიც გულზე არ გეხატებათ, მაგრამ თქვენი ინტერესების გამო ეს აუცილებლად უნდა გააკეთოთ.

მარტოხელა კუროებმა უნდა დაძლიონ მორცხვობა და გრძნობა გაუმხილონ ადამიანს, რომელთან დაახლოებაც, დიდი ხანია, სურთ.

გაფრთხილდით საყოფაცხოვრებო ტექნიკის გამოყენებისას — დიდია ტრავმირების ალბათობა.

**დადებითი დღე: 5 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 8 ნოემბერი.**

## ტყუპი — 22 მაისი–21 ივნისი

გამოიჩინეთ ეკონომიურობა. ეს ეხება არა მხოლოდ ფულის ხარჯვას, არამედ საქმის შესასრულებლად საჭირო ენერგიასა და ემოციებს. ეს პერიოდი სავსე იქნება სიურპრიზებით, ზოგჯერ უსიამოვნო სიახლეებითაც. ტყუპის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ქალების ყურადღებას მიიპყრობს რამდენიმე თაყვანისმცემელი და მხოლოდ მათზე იქნება დამოკიდებული. რომელიმე მათგანთან ურთიერთობის გაღრმავება.

თქვენს ჯანმრთელობას სახიფათო არაფერი ემუქრება, მაგრამ, თუ ჭარბი წონა გაწუხებთ, დაიცავით კვების რეჟიმი და მეტად დაიტვირთეთ ფიზიკურად.

**დადებითი დღე: 6 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 8 ნოემბერი.**

## კირჩხიბი — 22 ივნისი–22 ივლისი

შესაძლოა, გაგიჩნდეთ პრობლემებისგან გაქცევის სურვილი, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გარდა მათ ვერავინ მოაგვარებს.

შეეცადეთ, გააკონტროლოთ პროცესები, რომლებიც თქვენი ინტერესების სფეროსთან არის დაკავშირებული.

მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ოჯახის უმცროსი წევრების მიმართ. დაეხმარეთ მათ პრობლემების მოგვარებაში.

მაღალია შარდ-სასქესო სისტემის დაავადების გამწვავების ალბათობა. ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 2 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 8 ნოემბერი.**

## ლომი — 23 ივლისი –22 აგვისტო

ბევრი საქმის ერთდროულად კეთება სასურველ შედეგს არ მოგიტანთ, თანაც გაითვალისწინეთ, რომ პრობლემების მოგვარება მხოლოდ თქვენი ძალებით მოგიწევთ.

ღირსეულად დააფასეთ შრომა იმ ადამიანისა, რომელიც თქვენზე ზრუნავს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება ის დაკარგოთ.

თქვენი ჯანმრთელობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დადებითი ემოციები, მაგრამ სასურველია, რომ ეს ემოციები დაკავშირებული არ იყოს მხოლოდ კერძებსა და სასმელთან, რადგან წონის მომატება ცუდად აისახება არა მხოლოდ ფიგურაზე, არამედ ჯანმრთელობაზეც.

**დადებითი დღე: 3 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 7 ნოემბერი.**

## ქალწული — 23 აგვ. –23 სექტემბ.

გაგიმძაფრდებათ პასუხისმგებლობის განცდა. შეეცდებით, სასიამოვნო სიურპრიზი მოუწყოთ ახლობელ ადამიანს ან კოლეგებს, რომლებიც თქვენ გულწრფელ თანადგომას სათანადოდ დააფასებენ.

ზოგიერთი ქალწულისთვის მოულოდნელად დაწყებული რომანი შეიძლება ასევე მოულოდნელად დასრულდეს. დაქორწინებულები კი უნდა მოერიდონ მეუღლის გაკრიტიკებას, რადგან წინდაუხედავად ნათქვამი სიტყვა მწვავე კონფლიქტს გამოიწვევს.

ამ პერიოდში რეკომენდებული არ არის ქირურგიული ოპერაციის გაკეთება.

**დადებითი დღე: 5 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 8 ნოემბერი.**

## სასწორი — 24 სექტ. – 23 ოქტ.

შესაძლოა, პრობლემა შეგექმნათ ხელმძღვანელობასთან. გამორიცხული არ არის ნათესავებთან უთანხმოებაც. სირთულეების გადალახვაში მოთმინება, ოპტიმიზმი და იუმორი დაგეხმარებათ. იმოქმედეთ სიტუაციის მიხედვით და შეამჩნევთ, რომ ცხოვრება უფრო კომფორტული იქნება.

დაქორწინებულმა სასწორებმა მეტი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ოჯახის უმცროსი წევრების მიმართ.

ამ ცივ პერიოდში კარგი იქნება, თუ გაუფრთხილდებით სუნთქვის ორგანოებსა და თვალებს.

**დადებითი დღე: 6 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 8 ნოემბერი.**

## მორიელი — 24 ოქტ. – 22 ნოემბ.

თუ სამსახურის შეცვლას აპირებთ, ამისთვის სასიკეთო პერიოდია. დასახული პროექტების განსახორციელებლად მიიღებთ მაღალი თანამდებობის პირებისა თუ გავლენიანი ადამიანების მხარდაჭერას. იაქტიურეთ და მიზანს აუცილებლად მიაღწევთ.

თუ სახლში ტოტალური რეჟიმის დამყარებას შეეცდებით, ეს უხეში შეცდომა იქნება და მწვავე კონფლიქტს თავიდან ვერ აიცილებთ.

თავი აარიდეთ სტრესულ სიტუაციებს და შეეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ სუფთა ჰაერზე.

**დადებითი დღე: 2 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 8 ნოემბერი.**

## მშვილდოსანი — 23 ნოემ. – 21 დეკ.

სამუშაოს შესასრულებლად ყურადღების კონცენტრაცია გაგიჭირდებათ, მაგრამ ეს აუცილებლად უნდა შეძლოთ, რადგან შედეგებზე პასუხს თქვენ მოგთხოვენ.

ფული ეკონომიურად ხარჯეთ, მოსალოდნელია გაუთვალისწინებელი დანახარჯები. თქვენი დახმარება შეიძლება დასჭირდეს მეგობარს ან ნათესავს და უარს ნუ ეტყვით. ჰუმანიზმის გამოვლენით ღირსეულ მაგალითს აჩვენებთ თქვენს შვილებს. თუ კანის პრობლემა შეგექმნათ, აუცილებლად მიდით სპეციალისტთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 3 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 8 ნოემბერი.**

## თხის რქა — 22 დეკემ. – 20 იან.

შესაძლოა, გაიცნოთ გავლენიანი ადამიანი, რომელსაც თქვენი იდეები დააინტერესებს და, არ არის გამორიცხული, ერთობლივი პროექტის დაფინანსებაც გადაწყვიტოს.

თავი აარიდეთ საეჭვო ფინანსურ ოპერაციებსა და აზარტულ თამაშებში მონაწილეობას. დაქორწინებული თხის რქების ურთიერთობა მეუღლესა და ოჯახის წევრებთან გართულებებისა და უთანხმოების გარეშე წარიმართება.

მოწყვლადია საკვების მომნელებელი სისტემა. რაციონიდან ამოიღეთ ცხიმიანი, ცხარე, მარილია და შებოლილი საკვები. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელზე.

**დადებითი დღე: 7 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 4 ნოემბერი.**

## მერწყული — 21 იან. – 19 თებ.

ბევრი რამ ისე არ გამოგივათ, როგორც დაგეგმილი გქონდათ, ამას შეიძლება დაემატოთ შემაშფოთებელი მოვლენები, რომლებიც თქვენ გარშემო განვითარდება. ნუ ინერვიულებთ, ყველაფერი თქვენს ჩაურევლად მოგვარდება.

ამ პერიოდში მოიმატებს თქვენი მომხიბვლელობა და საწინააღმდეგო სქესის ბევრი წარმომადგენლის ყურადღებას მიიპყრობთ. შეეცადეთ, კარგად შეისწავლოთ ის პიროვნება, რომელთანაც მოისურვებთ ურთიერთობის გაღრმავებას.

შეეცადეთ, ვიტამინებით მდიდარი საკვებით გაიმყაროთ იმუნიტეტი.

**დადებითი დღე: 3 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 7 ნოემბერი.**

## თევზები — 20 თებ. – 20 მარტი

რთული პერიოდია. დასახული მიზნის მისაღწევად მოგიწევთ კომპრომისზე წასვლა, მსხვერპლის გაღება. პრობლემების მოგვარებას მოთმინებით, გამძლეობითა და გულმოდგინე შრომით შეძლებთ. მარტოხელა თევზები შეიძლება შეხვდნენ საწინააღმდეგო სქესის მომხიბვლელ წარმომადგენელს, რომელთანაც მგზნებარე რომანს გააჩაღებენ. და, არ არის გამორიცხული, ოჯახიც შექმნან.

ამ პერიოდში მოწყვლადია ძვლოვანი სისტემა და კბილები. მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური პროცედურები.

**დადებითი დღე: 6 ნოემბერი.**
**უარყოფითი დღე: 4 ნოემბერი.**

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



## სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მთვარის კალენდრის მიხედვით

**ადამიანები უძველესი დროიდან იყენებდნენ მთვარის კალენდარს მიწის დამუშავებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად. მცენარეების დარგვისა და მოსავლის აღების, ხვნა-თესვის დაწყებისა და სახლის აშენების დროსაც კი მთვარის კალენდრის მიხედვით განსაზღვრავდნენ. გთავაზობთ 26 ოქტომბერი—1 ნოემბრის მთვარის კალენდარს, რომლის მიხედვითაც შეიტყობთ, რომელი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესრულება სჯობს ამ პერიოდში.**

**2 ნოემბერი** — რეკომენდებულია მიწის დამუშავება — გაფხვიერება, აგრეთვე, ოთახის მცენარეების მორწყვა. არ არის რეკომენდებული გამხმარი ტოტების ან ხის მოჭრა.

**3 ნოემბერი** — მთვარის ამ დღეს რეკომენდებულია კენკროვანი მცენარეების შეგროვება და გახმობა შესანახად, აგრეთვე, გასაყინავად.

**4 ნოემბერი** — რეკომენდებულია მინერალური სასუქების შეტანა ნიადაგში, რომელზეც ხარობს მარადმწვანე მცენარეები.

**5 ნოემბერი** — რეკომენდებულია სტაფილოს, თალგამისა და ჭარხლის დათესვა.

**6 ნოემბერი** — კარგი დღეა ყვავილების გადასარგავად.

**7 ნოემბერი** — რეკომენდებულია მსხმოიარე ხეების ტანის შეწამვლა მავნებლების საწინააღმდეგო ქიმიკატებით.

**8 ნოემბერი** — რეკომენდებული არ არის ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვება, ხის მოჭრა.

# «ანადოლუ»: თურქეთმა აშშ-ს გიულენის ბრალის დამამტკიცებელი საბუთები წარუდგინა



თურქეთის ხელისუფლების აზრით, ეს საბუთები საკმარისია ფედჰულაჰ გიულენის დასაპატიმრებლად.

იუსტიციის მინისტრმა **ბექირ ბოზდაგმა** აშშ-ში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სამხილები საკმარისია გიულენის დასაპატიმრებლად, სულ ცოტა, გამოძიების პროცესში მაინც. „უეჭველია, რომ მიმდინარეობს გარკვეული სამართლებრივი პროცესი. ამერიკულ მხარეს ჩვენ განვუცხადეთ, რა მოლოდინი გვაქვს ამ საკითხზე“.

მინისტრის აზრით, გიულენი შეეცადა, დაეტოვებინა აშშ, რათა დაპატიმრება თავიდან აეცილებინა. „გამორიცხული არ არის, გაქცეულიყო ბელგიაში, ბრაზილიაში ან კანადაში. ამის შესახებ გვაქვს სადაზვერვო მონაცემები, რომლებიც ვაშინგტონს ვაცნობეთ“, — დაუმატა მან.

16 ივლისის თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორად და სულისჩამდგმელად გიულენს მიიჩნევენ. საინტერესოა, რომ აპირებენ მისთვის ორი სამუდამო ვადით პატიმრობის მისჯას, პლუს — 1900 წელი ციხეში.

გიულენი წაყენებულ ბრალდებას უარყოფს.

31 ოქტომბერს გავრცელებული ინფორმაციით, თურქეთში დააპატიმრეს გაზეთ „ჰურიეთის“ მთავარი რედაქტორი და მასთან ერთად 10 დამოუკიდებელი ჟურნალისტი. მათ ბრალად წაუყენეს ფეთჰულაჰ გიულენის მხარდამჭერი მასალების გამოქვეყნება. ევროპის მედიამ ეს ქმედება შეაფასა, როგორც თურქეთის მიერ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი „წითელი ხაზის“ გადაკვეთის ალმაშფოთებელი ფაქტი.



# როლანდ ჯალაღანია 75 წლისაა

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ გაზეთ „ილორის“ მთავარ რედაქტორს, „აიასა“ და „ფაზისის“ აკადემიების წევრს, ბატონ როლანდ ჯალაღანიას 75 წელი შეუსრულდა.**

„ამქვეყნად ყველაფერი წარმავალია — მზეც კი არ არის სამარადჟამო, სამარადჟამო მხოლოდ ღმერთია და ის ღმერთი გწყალობდეთ ყველას, ვინც გულითადად მომილოცა დაბადების დღე, ვინც კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ალალად მენდობა და ეჭვი არ ეპარება გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციების მართებულობაში!“ — წერს ბატონი როლანდი გაზეთ „ილორში“ გამოქვეყნებულ წერილში.

გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ულოცავს ბატონ როლანდ ჯალაღანიას 75 წლის იუბილეს და უსურვებს მას დიდხანს სიცოცხლესა და შემოქმედებით წარმატებებს.

**„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია**

# ვინ არიან ქართული პოლიტიკის მეძავები

**ქუთაისის გუბერნიის სოფელ ბაღდათიდან ჩემი გენიალური თანამემამულის ამ ლექსის შემდეგ წერტილის დასმა მინდოდა — ვლადიმერ ვლადიმერის ძემ თითქმის საუკუნის წინათ ამომწურავი პასუხი გასცა კითხვაზე: ვინ არიან პოლიტიკური მეძავები და რით არიან ისინი ჩვეულებრივ მეძავებზე უარესები?**




მაგრამ ბუშის, სააკაშვილისა და სანდრას „ბარკლებით“ მოწამლული ქართველი ობივატელის ინფანტილურობის გათვალისწინებით მომიწევს, ავხსნა, — ვინ მიმაჩნია საქართველოში მეძავებად თავიანთი არსით, „ნაღდ, მატყუარა, ფულის მწოველ“ მეძავებად, როგორც მათ **მაიაკოვსკი** უწოდებს.

ყველამ იცის, რომ პოლიტიკას პოლიტიკოსები აკეთებენ, მაგრამ ცოტას თუ ესმის, ვინ არიან პოლიტიკოსები. ქართველ ობივატელს შეცდომით ჰგონია, რომ ასეთები არიან მხოლოდ პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და წევრები, პრემიერმინისტრი, მინისტრები და პოლიტიკური პარტიების ლიდერები. მაგრამ მათ თანაბრად, ზოგჯერ კი უფრო მეტადაც, პოლიტიკას აკეთებენ ჟურნალისტები, საზოგადო მოღვაწეები, პოლიტოლოგები და „ენჯეოშნიკები“, ამიტომ ისინიც პოლიტიკოსები არიან.

**მათ შორის ვინ არიან „ნაღდი, მატყუარა, ფულის მწოველი“ მეძავები?**

საქართველოში ისინი არიან **„ნაციონალური მოძრაობისა“** და მისი სატელიტი პარტიების ლიდერები, აგრეთვე, მათ მიერ გამოკვებილი მასმედია, საზოგადოებრივი სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები.

**რა არის „საზოგადოებრივი სექტორი“ საქართველოში?** — ეს არის პოლიტიკური მეძავების საბრძოლო რეზერვი, ძირითადად, ქართველი ინტელიგენციის გამყიდველი ნაწილის წარმომადგენლებით — სკკპ-ის ყოფილი წევრებითა და მათი ნაშიერებით დაკომპლექტებული, რომლებსაც სასაცილო ამბიცია აქვთ, „ქართველი ერის ჭკუად, სინდის-ნამუსად“ და „ქართველი საზოგადოების ელიტად“ იწოდებოდნენ, რათა ხელისუფლებაში შეძრომა მოახერხონ მათი მამებისა და ბაბუების მსგავსად.

**რა აერთიანებთ ზემოთ ჩამოთვლილ პოლიტიკოსებს, ჟურნალისტებს, საზოგადო მოღვაწეებს, „ენჯეოშნიკებსა“ და ექსპერტებს?**

ქართული პოლიტიკის მეძავებს აერთიანებს დიდძალი და იოლი ფული, რომელსაც მათ უხდიან ქართველი ხალხის პროტექტორატის მოსახლეობად გადაქცევისთვის, რომელიც ადგილობრივი მარიონეტების ხელით, ანუ მათივე ხელით იქნება მართული. პოლიტიკური მეძავები ხომ ძალიან ხარბები არიან, მათი ვნების ობიექტი ბევრი ფულია, პოლიტიკური ბიზნესი კი საქართველოში ყველაზე მომგებიანია, მით უფრო, რომ ჩვეულებრივი ბიზნესისთვის მათ ჭკუა, სურვილი და შრომის უნარი არ ჰყოფნით.

**რომელ იდეოლოგიურ პლატფორმაზე გააერთიანეს სამშობლოს სახელმწიფო ინტერესების გამყიდველი ეს მოღალატეები?**

ეს არის რუსოფობია, რომლის გარშემოც, როგორც სტრიპტიზბარში ძელზე შემოსალტული მოცეკვავეები, აღმაგზნებად ტრიალებენ ქართული პოლიტიკის ნაღდი მეძავები(!).

დასასრულ: **რით არიან სახიფათო პოლიტიკური მეძავები, „ნაღდი, მატყუარა, ფულის მწოველი“, რომლებიც საკუთარ ხალხს ატყუებენ და ფულს ისრუტავენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე — დასავლური გრანტებიდან?**

საქმე ის არის, რომ მეძავები ქართულ პოლიტიკაში დღეს არ გაჩენილან, ისინი ყოველთვის იყვნენ, როგორც ბანდერელები — უკრაინაში. ისინი საფრთხეს არ წარმოადგენენ, სანამ „დაკონსერვებული“ არიან, ანუ, სანამ ბრბო არ დაუჭერს მხარს. მაშინ ისინი „მაიდნებზე“ გამოძვრებიან, წვავენ სხვაგვარად მოაზროვნეებს, მართლმადიდებლებს, ებრაელებს და დგება ფაშიზმის ხანა.

**საპარლამენტო არჩევნებში წაგების მიუხედავად, ქართული პოლიტიკის მეძავები მომავალი 4 წლის განმავლობაში საბოტაჟითა და მავნებლობით იქნებიან დაკავებულნი, რათა ხელისუფლების პარალიზება გამოიწვიონ და საქართველოში ახალი „ფერადი რევოლუციის“ პროვოცირება მოახდინონ, მაგრამ ეს მცდელობები ჩაიფუშება, თუკი ისინი ელექტორატის გარეშე დარჩებიან.**

არჩევნების შედეგების მიხედვით, მათ ნახევარი მილიონი გაბრიყვებული ამომრჩეველი უჭერს მხარს, რაც საქართველოსთვის ძალიან ბევრია. იმისათვის, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და სატელიტმა პარტიებმა მათ მიერ მოტყუებული 500 ათასი ამომრჩეველი დაკარგონ, ხელისუფლებამ ეკონომიკაში გარღვევა უნდა მოახდინოს, ხალხი გამოკვებოს და აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან რეინტეგრაცია დაიწყოს. ეს კი არარეალურია საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის კორექტირების გარეშე, რომელიც რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის სრულმასშტაბიან მოგვარებასა და ევრაზიულ ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციას გულისხმობს.

**არნო ხიდირბეგიშვილი,**
*„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი*

# «ფორინ პოლისი»: აშშ-ის კონგრესის საბჭოში ასადის მოკვლის საკითხი განიხილეს

**ჟურნალისტებმა გაარკვიეს, რომ სხდომის ერთ-ერთმა მონაწილემ ახლო აღმოსავლეთის საქმეებში თეთრი სახლის ექსკოორდინატორ ფილიპ გორდონს შესთავაზა სირიის მეთაურის მკვლელობა.**

— ასადის მოკვლაზე რას იტყვით? — იკითხა მან.

შეკითხვამ გააოცა იქ მყოფნი, გორდონმა კი კატეგორიული უარი განაცხადა ამ ვარიანტის განხილვაზე; განმარტა, რომ ეს არაკანონიერი იქნებოდა და არც არაფერს შეცვლიდა, რადგან რუსეთისა და ირანის ინტერესები სირიაში ნებისმიერ შემთხვევაში არ შეიცვლება.

„თუ რაიმე მიზეზის გამო ასადი ან მოკვდება, ან მოკლავენ, კონფლიქტის არსი დარჩება — რეჟიმი, რომელიც რუსეთის მხარდაჭერით ებრძვის ოპოზიციას. საფუძველში არაფერი შეიცვლება“, — განაცხადა წყარომ წარმომადგენელთა პალატიდან.



ბრძანებულების თანახმად, რომელიც 1976 წელს გამოიცა, აშშ-ის მთავრობის თანამშრომლებს აკრძალული აქვთ დაგეგმონ ან განახორციელონ პოლიტიკური მკვლელობები.

**ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

**ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894